




საქართველოს
საქართველოს



საქართველოს

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი

მე-ფუნქცია

თსუცუცუცუცუც
სსუცუცუცუცუც
სს ოცუცუც

ვახუშტის

« სსუცუცუცუცუც »



თბილისი

1964

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი




ქუჩა-გადასასვლელი

ტ მ ა ნ VIII

თავისუფლება

K 116.931
3



გაზეთის გამომცემი
«საბჭოთა საქართველო»



თბილისი
1964



Г1
899.962
3192

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი დეონიძე (მთავარი რედაქტორი)
გიორგი აბზიანიძე
დიმიტრი ბენაშვილი
სოლომონ ყუბანეიშვილი
მიხეილ ჩიქოვანი

ბიჭსტი გამოსაცემად მოაგზავდა,
ვარდნაბები და უნივერსიტეტი დაურთო
დ. სანაძემ

3
A. 119. 031

სკპ-2000
საქართველოს
ბიბლიოთეკა

საქართველოს
ისტორიის
ინსტიტუტი



წინასწარმეტყველი

(ლერმონტოვისა)

უყურეთ, ძმანო, აი ის კაცი,
რომელიც ღმერთმა გამოგვიგზავნა,
ტან-ფეხ-შიშველი და უფერული, —
სიმართლის წყალში ზეცამ აბანა.


მიდით, მტირალი სახე გასინჯეთ!
ხომ ხედავთ ამის დახეთქილ ფეხებს?!
ჯიბე და უბე კარგად უნახეთ —
საგძალს და ოქროს ხომ არ ატარებს?

სიდგან რა ადგილს გადმოვარდნილა,
სად ზღვა-ხმელეთი შემოუვლია.
თვალ-პირზედ, ტანზედ მტვერი სქლად აძევს,
სჩანს თავისათვის არ მოუცლია.

ოქროს და ვერცხლსა წინ რომ აგებებთ,
სახის ღმეჭითა თვალს რად გარიდებთ?
მისთვისა, ძმანო, რომ გაიგონოთ,
რაზედაც იგი თქვენ დაგარიგებთ.

მაგას არ უნდა ქვეყნად ქონება,
მაგის ქონება — წმინდა ენაა;
არ უნდა მაგას თქვენი დიდება —
ეგ მხოლოდ იმის გულის წყენაა.

მას ღმერთმა მისცა ტანჯულთ ქვეყანა,
მან იმ ქვეყანას უნდა დასტიროს,
უნდა იბრძოლოს იმის მტერთანა,
ლახვრით ხალხისგან თვით განიგმიროს.



მაგრამ ჩვენ მაგის სიტყვა არ გვესმის,
ყურებს როგორღაც ეჩოთირება,
გულსა ღრაჭუნით ქლიბივით ესმის,
ჟანგი არ უშვებს, ვერ ეკიდება.

1881 წ. მარტის 20.

*
* *

(თარგმნილი პოლშურიდან)

ბუღბუღსაც მოეწყინება
ტირილი მუდამ ვარდზედა,
წავა, ტყეს მიიმალება,
ან გადაივლის მთაზედა...
მესმის, რისთვისაც სოფლადა
ჯავრი გულს მიღრღნის ძალზედა...
წავალ, იქ გადავვარდები,
საცა მთანი და კლდეनिया,
ნაპრალის თავზედ ვამრავლებ
ცრემლს, რაც აქამდინ მდენია —
სალმა კლდეებმა მიიღონ
იქნებ ნაღველი ჩემია.

[1886 წ.]

ჰეინელამ

სალამოს უამმა არე დაფარა,
 ტალღების ქედზე ჯანლები დიან,
 დიდებულ ზღვასა ღრმა ძილით სძინავს,
 მის მკერდზედ ტკბილი სიზმრები ჰკრთიან.
 მაგრამ იქიდამ გასაკვირველი,
 თეთრად მოსილი გამოჩნდა ქალი.
 ის არის ტურფა, მეტად ლამაზი,
 მძვინვარე ზღვისა გაზდილი ალი.
 იმის მომხიბვლელ მშვენიერებას
 არ მოშორდება ერთ წამსა თვალი.
 მოვიდა ჩემთან, მომიახლოვდა,
 როგორაც ტოლი, როგორაც ცალი.
 მის ტურფა მკერდი ადის და დადის,
 იქ ღრმა გრძნობისა ეტყობა კვალი.
 ხელი მომხვია, მიმიკრა გულზე,
 უნდა გამწუროს, დამიდნოს ზედა.
 „გულს რად მიხუთავ, ქალო ლამაზო,
 რად მიკრავ ეგრე მაგრა მკერდზედა?“
 „იმიტომ, ჩემო, იმიტომ, კარგო,
 სიცვიისაგან ვკანკალებ, მხედამ?
 მინდა გამათბოს შენმა სიცხოვლემ,
 ხელის მოხვევნას იმიტომ ვბედავ“...
 მალლიდან მთვარე დაღონებული
 მკმუნვარე სახით თავს დაგვცქეროდა.
 „თვალი გემღვრევა, გიწყლიანდება“.
 ზღვისა ასულსა არა სჯეროდა:
 „შენ გეჩვენება, სულ ტყუილია,
 მოცრემლილია? რას ამბობ, ბეჩა,
 როს ტალღებიდამ გამოვდიოდი,
 მაშინ წყლის წვეთი თვალებზედ შემრჩა“.
 აძრახდა გედი თავმომწონედა
 და მხრები მძლავრად ზღვის ტალღებს დაჰკრა.



„ლამაზო ქალო, ასულო ზღვისავ,
რად გიცემს გული საოცრად მაგრა?“
„რად მიძგერს გული ასე ძლიერად?
რას ამბობს ერთი სულელი, დახე!..
იმიტომ, კარგო, რომ ძლიერ მიყვარს,
მიყვარს უდივრად მე კაცის სახე“.

[1893 წ.]

ქორონი

ედგარ პოსი

საშინლად ბნელა. მარტოდმარტო ვარ...
არ მეკარება თვალზედა ლული.
სნეული სევდის მორევში ვცურავ,
სულშეხუთულსა მიკვნესის გული.
წიგნებს ვალაგებ და შემომესმა,
დამიკაკუნა ვილაცამ კარი.
შიშმა შემიპყრო, თანაცა ვფიქრობ:
რა დროს მოსვლაა, ნეტავ ვინ არი?
არავის ველი, ის ხომ აღარ მყავს...
გზადაკარგული იქნება მგზავრი,
ნახა სინათლე და მომატანა...
აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!

ზამთარი იყო. ჰყინავდა, თოვდა,
ქარი ღმუოდა, ძლიერად ჰქროდა.
გაჩაღებული ბუხრისა ალი
ჩემ ყრუ სადგურის კედლებზე ჰკრთოდა.
ცეცხლისა ალი დაქსაქსულიყო
უხვად ოთახის ყოველ მხარესა,
მაგრამ არც სითბო და არც წიგნები
ვერა სწამლობდენ გულის ნაღველსა.
ლენორავ! სად ხარ? აღარ მომხედავ?
სად არს შენ თვალთა მადლი ნეტარი?!

კვლავ ტირის გული, ახლდება წყლული,
ვერ ამოვითქვი, არ იქნა, სული
და აბრეშუმის ფარდის შრიალი
კვლავ მიათკეცებს ტანჯვას, ტიალი.

ვის ველოდები? ან რაზე ვკრთები?
რა მემართება? ნეტავ რას ვშვრები?
გონდაფანტული ჩემთვის ვჩურჩულებ,
ვფიქრობ ტკივილსა მით დავიყუჩებ:
„ვილას მოველი? ვინლა მომივა?
მგზავრს ვისმე სტუმრად მიგზავნის ყინვა:
სწადიან ცეცხლთან გათბეს საწყალი,
შეაწუხებდა თოვნი და ქარი...
„აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

ჩემმავე ბოდვამ გამომათხიზლა
და გამამხნევა, შემმატა ძალი.
ათრთოლებულის წარმოვთქვი ხმითა:
„ვინა ხარ მანდა? მოხვედი სითა?
გთხოვთ მომიტევოთ, რომ გაცდევინებთ,
ამ სიცივეში მანდ გათევინებთ.
კარის კაკუნი სუსტად მომესმა,
რომ ის მეგონა მე უბრალო ხმა.
ჩავთვალე იგი მოჩვენებადა,
ქარბუქისაგან მონაბერ ხმადა“.
ავდეგ, მაშინვე გავალე კარი,
არეს ეფარა ზეწარი შავი.
შემომღმუოდა თავ-პირში ქარი:
„აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

ხელახლა ისევ შემიპყრო შიშმა,
არსად სინათლე, არსაიდან ხმა.
მოჩვენებათა აღტყინდა ხროვა.
წარსულ, დაკარგულ ბედნიერ წამზე
დაუსრულები მოთქმა და გლოვა.
მას ვერ მიჰხვდება ხალხისა გროვა.
ტკბილ ოცნებათა გადართხმულ ზღვაში
„ლენორა!“ უცბად გაისმა ცაში.
ქრუოლა მომვიდა. გავიგე ცხადად
აღელვებულმა წარმოვთქვი თავად.
და გამოხმობამ ხმა მომცა მწარი:
„აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

ისევ მოვუჯექ ახლო ბუხარსა,
ავყევი ისევ გულისა თქმასა.

ფანჯარას სცემენ, ცხადად მესმოდა,
ძლიერ, საბრალოდ ისიც კვნესოდა.
„იქ არის ვინმე უეჭველადა,
დარახუნდება ფანჯარა რადა,
თუკი არ ახლოს არავინ ხელი?
ვინ უნდა იყოს? ღამეა ბნელი...
იქნებ შიშისგან ეს მეჩვენება.
არას დამიშლის მე შესვენება.
მაშინ გაგება ადვილი არი.
იქნებ ბოდვაა? ან იყოს ქარი?..“
აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!

ავდებ, გავაღე მყისვე ფანჯარა,
ბნელმა ოთახი სრულად დაფარა.
როგორაც კუბრი და უკუნეთი,
შინ შემომეჭრა ფრინველი ერთი.
ფრაშუნობს სახლში, როგორც ბორანი,
ის იყო დიდი შავი ყორანი.
მრისხანე არის, ვით ჯოჯოხეთი,
მას არ ელოცა არას დროს ღმერთი.
ავლებს ოთახში წრეებს ჩუმადა
და მერე დაჯდა დინჯად, უბრადა,
პალადის ძეგლზე ბოროტი, ბნელი.
ცივად მიცქერის არაფრის მთქმელი.
ზის და მიცქერის ჩემი ამქარი...
აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!..

იჯდა დინჯადა განრისხებული,
მეც შევცქეროდი განცვიფრებული.
მელიმებოდა. მოვყე ხუმრობას
და შევეყბედე, ვაფიცებ ძმობას:
„თუ გწამს უფალი, პირდაპირ ჩემსა
სიდან მოჰფრინავ, მითხარი, დღესა?
რომელს მხარესა წინად სცხოვრობდი?
ან ამ ქვეყანას წინადაც სცნობდი?
თუმც არ გასხია ტანზე აბჯარი,
მაგრამ გეტყობა ძველი გაქვს გვარი,
შენი სახელი, მითხარ, რა არი?“
პასუხად მესმა მისი ყრანტალი:
„აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

იმის პასუხსა გავკვირდი მენა,
რომ ამოიდგა ფრინველმა ენა.
თუც სანუგეშო არარა სთქვა მან,
წყლულის წამალი არ მომიტანა,
არც აზრი იყო იმის სიტყვაში,
მით ჟრუანტელი მივლიდა ტანში:
საშინელს სურათს იგი ჰხატავდა,
ძეგლზე ყორანი კისერს ჰსძაბავდა,
კაცთა ენაზე მის საუბარი:
„აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

ბნელის ღამისა ის იყო მსგავსი,
შავის ფიქრებით იგი აღსავსი.
და მედიდური სიჩუმე ყორნის
თან წარმოთქმული სიტყვისა ორის
საკმაო იყო გამოექვეყნა
ყორნის სულისა აზრი, კვეთება.
მე გულმოკლული ვდუდუნებ ჩემთვის:
„ყველა სიამე, რაც ვიგრძენ დღემდის,
წავიდა, გაჰქრა, როგორც ოცნება,
მე დამრჩა მხოლოდ ტანჯვა-გოდება.
ვარ მარტოდმარტო, ობოლი, მწირი,
არსად თვისტომი, არც მეგობარი.
ყორანიც წავა, ვიდრე ინათებს“.
პასუხად მესმის იგივე ყრანტალი:
„აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

შემაკრთო ფრიად ყორნის პასუხმა
მოსაზრებულმა და გონივრულმა.
თითქოს გაიგო ტკივილი ჩემი.
სულ ტყუილია: ოცნების გემი
მიმაფრენს, მივსდევ, იმიტომ ვსცდები.
დასწავლილი აქვს მაგას ეს ხმები.
ვინ იცის ვისგან შეუსწავლია,
განდევითანა მას უცხოვრია,
რომელსაც დარდი ჰკლავდა, ჰქენჯნიდა
და დაჟინებით ამას მოსთქვამდა,
ბოლმით გვემული და განამწარი:
„აღარ აღსდგება არასდროს მკვდარი!“

მაგრამ ყორანმა მაინც გამართო,
ავდეგ — ბუხარში შეშა დამერთო,
მერმე სკამითა მისკენ მივქანდი
და თვალებითა ყორანსა ვთქამდი.
შევჩერებოდი იმას სახეში,
მსურდა შემეტყუო ყორნის თვალებში
ღრმად დაფიქრება, მისი ოცნება,
ჰქონდა თუ არა თავში გონება,
რომ მკითხავივით მიხსნიდა ფიქრსა, —
მართლა შეგნებით ამბობდა ისა:
„არ შეიძლება აღდგომა მკვდრისა!“

იგი წინანდლებრ დინჯადვე იჯდა,
ცეცხლის ნაპერწკლებს თვალთაგან სცრიდა —
ჰსურდა ამ ცეცხლით ჩემი გაკვეთა.
სხივი ჭრაქისა უხვად ხალიჩას,
სავარძლის ხავერდს ეფინებოდა,
საცა ვავლებდი დაღალულს თვალებს,
ვიგონებდი რა წარსულსა წამებს, —
მაგრამ, ვაჰ, წყლულსა რა დაამებს?!
და აგერ, ვითომ სავარძელზედა
ლამაზის თავის შევნიშნე კვალი...
თმისა ნაწნავი... არ მმტყუვნობს თვალი...
ვაი რომ, აღარ აღსდგება მკვდარი!

ვიგრძენ, ჰაერი აღშფოთებული
წამს გაიქლენთა საკმლის სუნითა,
იქით, კედლის წინ, ხალიჩაზედა
ნაზი ფეხის ხმა მესმა ყურითა
ცხადად, აშკარად. და მეჩვენება:
ცით ჩამოსულა ანგელოზთ კრება,
ცოდვილს ქვეყანას სტუმრად სწვევიან,
ჩემს სახლს გარშემო შემოჰხვევიან.
ვყვირი ხმამაღლა: „ნუთუ, უფალო,
შენ მომივლინე ციურნი ძალნი,
რომ დავიუყუო გულის ტკივილი,
განვკურნო ცრემლით დამწვარნი თვალნი?...
და დავივიწყო“... კვალად ხმა მესმის:
„აღდგომა მკვდრისა წესი არ არი!“

ეს დამყრანტალა ყორანმა თავზე,
გაჯავრებულმა მეც იმის ხმაზე
წამოვიძახე: „დამლონებელო,
ამ უდროვო დროს ჩემო მტანჯველო,
უბედურების, ტანჯვის მომგვრელო!
ვინც უნდა იყო, თუ გინდა ალი,
რომ ავიტანო ამდენი ტანჯვა,
მექნება კიდევ შეძლება, ძალი?
ოცნებას მოსწყდეს ჩემი მტანჯველი
და არ აფრქვევდეს ცრემლებსა თვალი?
უგუნურ ტანჯვის მთლად ამოიფხვრას,
არ ეტყობოდეს გულს მძიმე კვალი“.
შემომყრანტალა: „არ სდგება მკვდარი!“

36566

მაშინ დავუწყე ხვეწნა-მუდარა:
„მითხარი სწორე, თუ გწამს უფალი,
თუ გწამს ის წმინდა ჭეშმარიტება,
ნუ დამიმალავ, მითხარ მართალი;
თავს არ დავზოგამ და არც დაგწყევლი,
იმავე წუთასა თუნდა მომკალი.
როცა უფალი ჩემს ტანჯულს სულსა
მიიღებს, ეპყრას ხელთ როგორც ჭიქა
ნამტვრევ-ნამცხვრევი, ვნახავ, მითხარი,
ლენორას სადმე, შევხვდები იქა,
შემომხვევს კვალად კისერზე ხელებს,
შევახებ კიდევ ლოყაზე პირსა?
ვნახავ თუ არა, ვით დილის ცისკრის,
მადლის მფრქვეველსა მის თვალთა სხივსა?“
ის წყეული კი მასვე ყრანტალებს:
• „სად გაგონილა აღდგომა მკვდრისა?!“

ვერ მოვითმინე და შევუძახე:
„ასჯერ წყეული იყავ ღვთისგანა,
საუკუნოდა გაყრას გვიქადის
ეგ შენი ენა — ჭირსა ჭირთანა!
მაშ უნდა დავრჩე იქაც ობლადა,
ვერ დავისვენო ვერავისთანა?!
მძულს დაღვრემილი მე შენი სახე
და ღვარძლიანი ბოროტი ენა.

წადი, გამშორდი, შემზარავი ხმა
ჩასწყდეს, არ მწადის შენის ხმის სმენა!
იქ იყრანტალე, საცა ჰაერი
არარაობით არის მოცული;
სად ტანტალებენ მხოლოდ აჩრდილნი,
არც წარსულია და არც მოსული;
სადაც მხოლოდა ქარი ბობოქრობს,
ადამიანის არა სძგერს გული!
გამშორდი! ფიფქიც კი არ დასტოვო
თოვლისა, ნიშნად შენს აქ ყოფნისა,
რომ არათერმა არ მომაგონოს
წამი შენ აზრთა, შენის ცნობისა“.
იგი კვლავ ისევ იმას ყრანტალებს:
„მკვდარი ამდგარა სად და როდისა?!“

როდი გაფრინდა, იქვე ზის წყნარად
წარბშეუხრელად, ბოროტი შავად.

ბოროტ სულივით ამაყმა, უტყუმა
ჩემ შინ დაიდვა სამუდმო ბინა,
არ ენანება ბეწვის ოდნადა
რაც დამაძმარა, რაც მაწყენინა.

მისი აჩრდილი გადმოწოლილი
შავბნელად ჰმოსავს, სახლშია რაცა.
დამაწვა ტანზე, გრძნობა-გონებას
ჩემსას მძლავრად ბრჯღალები სტაცა.
მთელს შენობაში გამეფებული
არის მხოლოდა ბნელი, წყვდიადი,
მის აჩრდილის ქვეშ ისმის მხოლოდა
გამუდმებული კვნესა დიადი.
გულზე დამედვა სამარის ლოდი,
სულში არ მოჩანს სინათლის ცვარი,
არც ველირსები მას არასოდეს, —
ადარ აღსდგება არასდროს მკვდარი!

[1906 წ.]

საქართველოს ოცნება

ვუმღვნი ქართველ ხალხს

ანატ. კრემლიოვისა

(თარგმანი რუსულიდან)

1

სიზმარი ვნახე: დღეა ნათელი.
ჩემს გარეშემო სიცოცხლე სდულდა.
ცით დასწოლია აჩრდილი მიწას,
თითქოს იმისთვის სიტურფე ჰშურდა.
ღრმა ხეობაზე მოჰქუხს მდინარე,
ვისლაც უწყრება, რაზედლაც სწუხდა.
უწოდებს ხალხსა მტერთან საბრძოლად,
ბულბულთან ერთად ამ ჰანგზე ჰქუხდა...
მესმის ბრძოლის ხმა, ჟღერა აბჯრისა
შურისძიების დაუზოგავი;
თავისუფლების მოტრფიალეთა
აქ არ სცხრებოდა არადროს მკლავი.
მედგარ ბრძოლაში გამობრძმედილმა
ბევრმა შესწირა სამშობლოს თავი.
ღრმა ხეობებში, მთების კალთებზე,
სადაც მოსჩქეფენ მშფოთარნი წყალნი,
კლდისა ნაპრალსა გადმოკიდებულს
შეჰკედლებოდა ადამიანი.
სცხოვრობდა ლალად, ხანა მღეროდა,
ხან გულს ნაღველი მოერეოდა,
სიყვარულისა გრძნობას ციურსა
შურისძიებაც შაერეოდა.
ვით ღვინის ნაკადს სისხლის წვეთები,
ვხედავ მოდიან ჩემს წინ მხედრები:
მძიმე ლაშქარი აბჯრით მოსილი,

ტანით ტურფანი, სახით მედგრები
და თვალებიდან ცეცხლის მფრქვევლები.
მოაქროლებენ ფიცხსა ტაიჭებს
და რისხვით სავსე მათი სიმღერა,
გულში გრძნობათა მოუსვენრობას,
აეხმამაღლა, გაეძლიერა.

ჯარს ემატება გუნდი გუნდზედა,
ხმლები, ხანჯრები ტანს უბურავენ,
გააფთრებული მხედართ ცხენები
თვალდაფეთებით ოფლში სცურავენ.
ვხედავ, გროვიდან ტურფა ასული,
მის სილამაზეს ვერ ასწეოს ენა,
ვაუკაცურადა, თავგამოდებით
მოაქროლებდა ცხენსა ჩემსკენა.
თავბრუ დამხვია იმის სიტურფემ,
წინ მივეგებე გაქანებული,
ჯილავი ვტაცე ცხენს, შევაყენე
და შევყურებდი აღტაცებული:
აბჯარ-აბგარში ქალი ჩამჯდარი
თვალებს აელვებს, რაღაცა სწყინდა
და სიყვარული მძულვარებასა
იმის თვალებში დროდადრო სცვლიდა.
სულშეხუთულმა მღელვარებითა
ძლივსღა ვუთხარი მე სიტყვა ერთი,
მოწიწებითა თვალებში ვუცქერ
და ვეკითხები: „თუკი გწამს ღმერთი,
რა გქვიან, მითხარ, და ან ეგ სახე,
ღვთაებისა და სამოთხის მჩენი,
ვინ გააჩინა? გამაგებინე,
მე ვერ მივმხვდარვარ, არა ვარ ბრძენი“.
ქალმა ტკბილის ხმით დაიწკრილა
სიტყვა ლამაზი და მოსალხენი:
ჟრჟოლა თავიდან გულს დაემღერა —
„საქართველო ვარ მე დედაშენი“.

გაჰქრა ჩვენება. ვით სუდარაში,
ნისლში ეხვევა სამყარო მთელი,

მიყუჩ-მიჩუმდა სრულად ბუნება,
თითქოს სიკვდილსა დაედვას ხელი.
დაჰბერა ქარმა, ნისლი გაჰფანტა,
ჩამავალის მზის ბედკრული სხივი
ეაღერსება მთა-ბარს ნაღვლიანს
და მას იხუტებს ბუნება ცივი.
ბნელს ხეობაშიც მდინარე ტირის,
მას სიხარული აღარ ეტყობა,
ნაღვლით სავსეა ბულბულის სტვენა,
კაეშანითა გული ეპობა.
ბრძოლის ხმა ისმის, კვნესა და ოხვრა —
ომის მხლებელნი სადღაც შორითა
ტირილით ლოცვა, მღერისა ნაცვლად,
მოისმის ტყიდან, წყალზე გორითა.
ცა, დედამიწა მწარედა ოხრავს,
ოხრავს უენო ტყე დაბურული,
მწვანე მინდორი, მთები მალღები,
მთაზე კლდე ბანად გადმოხურული.
მთელის ბუნების დაღონებამა
გული მომიკლა, მეც დამაღონა.
წინაღვე ვიგრძენ, კარგს არას ვნახავ...
რაც ვნახე იყო ნაგრძნობის წონა:
გავცქერი შორსა და თვალთა ხედვა
ქვეყნის სივრცეში იღუპვის, ინთქმის.
კვლავ ვაკვირდები და მოჩვენება
მიახლოვდება, ფეხის ხმა ისმის.
მოვიდა ახლო, გარჩევით ვნახე
იმისი სახე: ბრწყინვალე შუბლი,
გაშლილი თმები, შუბლს — მღელვარება.
გადაღეღილი ქალს ჰქონდა გული
(ზედ ეტყობოდა დიდი ხნის წყლული).
თვალეებში უკრთის დიდი ნაღველი,
აღბად რამე აქვს ჩემთან სათქმელი,
ჰსურს რომ დარღები ქალმა მიაგმოს
და კაეშანი მით გაიქარვოს.
კაბის შრიალი ფოთლისას უგავს
უნდა რომ მითხრას, მაგრამა ხათრობს
და დაღარულის შუბლის კანითა
მიკოდავს გულსა, შიგ ისრებს მასობს.

მომიახლოვდა და ასე მითხრა:
„ვერას მიშველი? მე წამიყვანენ,
სასწაულია გაუსხლტი მტარვალთ
და, თუ მიპოვნეს, იმ წამს მომკლავენ!“
„ვინა გყავს, ქალო, მითხარი მტერი?“
„არ ვიცი, არა, ვიზე გიჩვენო!
მაგრამ ვგრძნობ მოვა: სჩანს მისი ხელი.
ახ, რომ იცოდე როგორ ვიტანჯვი
და სულს მიხუთავს ფიქრები მწველი!..“
„რა ცოდვისათვის ხარ შენ დასჯილი?“
„ერთი მაქვს მხოლოდ დანაშაული,
ეს არის მხოლოდ დღეს ჩემი ბრალი,
რომ მეზიზღება ფრიად მონობა,
მინდა რომ ვიყო თავისუფალი“.
„მაინც სად არი, ვინაა მტერი?“
„არ ვიცი, არა, ვერაფერს გეტყვი,
მაგრამ ამას ვგრძნობ დღე მითავდება,
მიშველე რამე, თუ შეგიძლიან,
სისხლის ცრემლსა ვღვრი, გული მიდნება“.
„ვინა ხარ, ვინა, შენ, წამებულო,
ვისი ხმა მესმის მე ამაზრზენი?!“
და მიპასუხა: „სხვა არავინა,
საქართველო ვარ, სამშობლო შენი“.

3

იმავე წამში გაჰქრა მზე ცაზე.
შორიდან ისმის ქუხილი, გრგვინვა.
ხმა თოფებისა, მუქარა, კვნესა,
დაჭრილებისა ოხვრა და გმინვა.
გრძნობამიხდილი პირქვე დავემხე
და მაინც მესმა მწარე ქვითინი, —
ისევ გოდება, ისევ ტანჯვის ხმა
და მასთან მწუხრად ვისლაც ღიღინი.
გონზე მოვედი. გარშემო ბნელა,
შექმნილა თითქოს ჰაერად კუბრი,
მხოლოდ მთვარის შუქს მაღალ ფანჯრიდან
გაეპო მთრთოლარს წყვდიადის მური.



ციხეშია ვარ გამომწყვდეული,
დაკეტილი აქვს მას მაგრა კარი;
ირგვლივ წყვდიადი, სველი კედლები, —
აი, სადა მაქვს თავშესაფარი!
მყუდროებაა, ხმა არსით ისმის,
ჩემის გულისა მე მესმის ფეთქა,
ბორკილის ქღერამ იქვე ახლოდან
ვაების ტალღა ზედ მოახეთქა.
ციხის კუთხეში მთვარის შუქითა
განათებული შევნიშნე ქალი:
თვალმიზნედილი, ბორკილიანი,
სასომიხდილი და შესაწყალი.
ფერით იმავე მთვარის შუქს ჰგავდა,
ავადმყოფსავით უცემდა გული,
ღრმა ხაზთა შორის ტანჯვა-ვაების
კვლავ გამოსჭვივდა შევენება სრული.
სჩანდა, რომ ქალის ამაყი გული
შეპრიგებია ბორკილს, ტყვეობას.
თვალთაგან ცრემლი ჩამოსდის ღვარად
და ველარ იჩენს იგი მხნეობას.
მსურს ვანუგეშო და გაუფანტო
ტანჯვა-ვაება გულისა მღრღნელი.
მომაკვდავსავით დაკიდებული,
ქალს დავუჭირე მე ცივი ხელი,
შმაგად ვუკოცნი, დაქვითინებით
ზედ დავაფრქვიე მე ცხარე ცრემლი.
გაშტერებითა მან შემომხედა,
კრინტი არ დაძრა, არარა მითხრა.
„ჩემო სიცოცხლევ, ნუთუ იმედი
რომ აღგეძროდა — დავუწყე კითხვა:
ვერ დაჰლეწავდი შენ ამ ბორკილებს?“
იმავე წამს ქალი გამოიცვალა,
გამოცოცხლება დიდი დაეტყო,
გამბედაობის იჩინა ძალა.
იგი წამოდგა მამაცად ზეზე,
მხნეობის აღმა გადაჰკრა ფერზე.
„მრწამს ვიმედოვნებ, ძალა ბრძოლისთვის
გულში ბევრი მაქვს ჯერ შენახული.“

მომავალიცა ბრწყინვალე მელის,
ადვილ არაა ვიცვალო რჯული.
რა ვუყოთ, დღესა ბედმა მარგუნა —
დამცრობილი ვარ, გვემულ-ტანჯული,
მაგრამ ეს ტანჯვა წუთიერია,
კვლავ გაცოცხლდება მოკლული გული“.
რა ტურფა იყო იგი იმ დროსა —
მზე იყო სწორედ ღამისა მთენი.
ვინა ხარ, ტურფავ? — კვლავ შევეკითხე.
„საქართველო ვარ — მშობელი შენი“.

4

ერთბაშად გაჰქრა ეს მოჩვენებაც,
საუცხოვო რამ სინათლე გაჩნდა,
რასაც წყვდიადი უჩინარჰქმნიდა,
თვალწინ დამიდგა და ცოცხლად დაჩნდა.
აღსდგა ქვეყანა, ამწვანდა მთები,
მოლხენით მოხტის, მოჰყეფს მდინარე,
ჩიტების გუნდი ჰაერში მოსჩანს
მეივან-მეჩინავი, მიმომფრინარე.
და კიდით კიდეს ისმის ბულბულის
სტვენა ლხენისა, შვების მფინარე.
ჭალებზე, დაბლა, მდინარეთ პირას
ერთმანეთზედა მოჩანს ბალები;
ჩაჰხუტებია ყვავილთა გუნდი,
ვით დედის მკერდსა ჩვილი ბალები,
იმათ მიდამოს. საუცხოვოა.
კლდეთა გროვები კლდეებზე მოჩანს,
ნაპრალი ნაპრალს წინ ეხეჩება,
დაბლა მდინარე ბობოქრობს, მოსთქვამს.
იქ ბუნებისა ჩანგი იკვროდა —
უცხო ჰანგების გამომცემელი.
ხალხის მოლხენას თვისას უერთებს
შეფრქვევით, ერთხმად მთა და ტყე, ველი.
უსაკვირველეს თავის ძალ-ღონეს
უგალობს ჰიმნსა ბუნება მთელი.
სილადით ჰსუნთქავს, რაც თვალითა სჩანს,
აღტაცებითა და ტრფობით სავსე.

იმათი ცეკვა, ქორივით ქროლა,
ღრუბელთა შორის ელვას ვამსგავსე.
მოლხინართ შორის იდგა ლამაზი,
გალაღებული ჰაეროვანი.
ვერა ძღებოდა იმათი ცქერით,
თან ტაშს უკრავდა ხალხს ბანოვანი.
იმაზე ლამაზს, იმაზე ტურფას
ვერას ჰნახავდა თვალი კაცისა.
დაგავიწყებდა სასუფეველსა
რხევა, მიმოხვრა იმის ტანისა.
ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს რასა ვხედავ?
სინამდვილეა, თუ მოჩვენება...
ვუცქერ, ნახული რამ მომაგონდა,
მაჯებზე ხუნდის ნიშნები ჩნდება:
სისხლის წვეთები... ციხეში ვნახე
და ამ დროს იგი მე აქ მიხვდება?
ბედნიერებამ თავბრუ დამხვია
ქალისამ ამ დროს, ვერ მოვითმინე,
მთვრალი ეშხითა და სიყვარულით
მივიტერ ქალთან, მსწრაფლ მივირბინე.
თავად არ მესმის, თუ რასა ვსჩადი,
ხელებს ვუკოცნი, წავიდუღუნე:
„სიყვარულისთვის თუ საჩუქარი
მოიპოვება დედამიწაზე,
მე მეკუთნოდეს შენდამი ტრფობა,
სხვა არა მინდა მე მეტი მაზე.
მითხარ, სიცოცხლევე, ჩემო საუნჯევე,
თვალთა სინათლევე, ბედის გვირგვინო,
ვინა ხარ, ვინა? გამაგებინე...
მითხარ სახელად რა მოგაქვივნო?“
ჩიტთა სტვენასთან, წყაროს ჩქერასთან,
ბულბულის ხმასთან ხმა შეურია
და გამაგონა ბედით დამტკბარმა:
ის ხმა, რაც მიყვარს, რაცა მწყურია,
ნექტარი იყო სიკვდილის მტერი,
ცამდე ამყვანი და ამაზრზენი.
არ დააყოვნა, დაიწკრიალა:
„საქართველო ვარ — მე დედაშენი!“

სტენკა რაზინი და მისი სატრო

(რუსულიდან)

კუნძულის პირად დაყენებული
გამოიშალა წყალზე ნავები,
შაღებილები ათასფერადა,
შავარდნებივით, სწრაფი, მალეები.

წინა ნავზედა თავად სტენკა ზის,
ხელგადახვევით სატროსა ჰკოცნის,
ქეიფიანი კარგს გულზედ არი,
სატროსა ჰკოცნის გმირი გულხელი.

ზურგს უკან დრტვინავს მისი ლაშქარი:
„ძმები დიაცზედ, ჰხედავთ, გაგვცვალა.
იგი თვითონაც დიაცად იქცა,
რა ყველაფერი მას ანაცვალა!“

ლაშქრის დაცივნა და სამდურავი
მრისხანე ბელადს გარკვევით ესმის,
ძლიერის მკლავით ქალს გულზედ იკრავს
და სიბრაზითა გმირს თავბრუ ესხმის.

სქელი წარბები დაბლა დასწია,
უნდა იჭექოს საცაა ცამა,
სისხლით აევსო იმწამს თვალები,
მდინარე შესძრა ბელადის ხმამა:

„ყველაფერს მივცემ, არას დავზოგავ,
კერპს, გაუტეხელს, მოვიჭრი თავსა!“

ზმა მის ძლიერი, როგორც დევისა,
სძრავდა მიდამოს, მთასა და ბარსა.

მისი სატრფო კი შიშითა ჰკრთოდა,
განაბულიყო, როგორაც მწყერი,
გამტკნარებული უგდებდა ყურსა
და ეცვლებოდა ათასგვრად ფერი.

„ვოლგავ, შენ ვოლგავ, მშობელო დედავ,
სახელოვანო რუსეთის წყალო,
არ მოუძღვნია არც ერთ კაზაკსა
მის მსგავსი, რითაც მსურს გაგახარო.“

რომ თავისუფალ მოძმეთა შორის
ჩემგან არ დაშრეს ერთობის წყარო,
უნდა ლამაზი ეს ჩემი სატრფო
შენის ზვირთებით ეხლავ დავფარო!“

ხელის გაქნევით, როგორაც ბურთი,
თავისი სატრფო მან წყალში გაჰკრა
და მშვენიერი თავადის ქალი
გიჟმაჟ ზვირთებში ერთ წამში გაჰკრა.

„თქვენ, ეი, ძაღლებო, რისთვისა სდუმხართ?
უნდა ქალური გრძნობა დავთრგუნოთ
და ჩემის სატრფოს მოსახსენებლად
მოდის სიმღერა დავაგუგუნოთ!“

მორჩა, გათავდა, სიმშვიდე სუფევს...
თავქვე მოგორვენ მხოლოდ ტალღები
და ათასფერად შეღებილები
შიგ ბანაობენ ფირალთ ნავები.

ᄃᆞᆫ ᄆᆞᆫ ᄆᆞᆫ ᄆᆞᆫ ᄆᆞᆫ ᄆᆞᆫ ᄆᆞᆫ



국립중앙도서관
국립중앙도서관



ქ ა ჯ ი

(ლერმონტოვისა)

ნაწილი პირველი

1

ქაჯი დევნილი, დაღონებული
თავს დაჰბრუნავდა ცოდვილს მიწასა
და ბედნიერად განვილილ დღეთ ფიქრი
გულს უქეჯნიდა ფრიად იმასა, —
იმ დღეთა, როცა ნათელში იყო,
უფლის სახესა ბრწყინვალე სჭვრეტდა
და გათხოვილთა ვარსკვლავთ ნაზ ღიმილს,
მისთვის ნაძღვნევესა, უხვადა ჰკრეფდა;
ცნობისმოყვარე შავს ღრუბელთ შორის
მოძრავ ვარსკვლავთ გუნდს თვალს ადევნებდა;
შემოქმედისა პირმშოსა ძესა
ზიზლი და შური გულს არა ჰკბენდა;
როს ჟამთა ბრუნვა ერთფეროვანი
იმის გონებას ლახტს არა სცემდა.
ბევრი, მრავალი აქვს საფიქრალი,
მაგრამ მას გული არღა შესწევდა.

2

მოხეტიალეს უდაბნოშია
თავშესათარი არ ჰქონდა მასა.
საუკუნეები ისე გავიდნენ,
თითქოს წამი სდევს მეორე წამსა.

არა არღვევდა ერთფეროვანსა
 ამა სოფლისა დრო-ჟამის სვლასა.
 დაუბრკოლებლად აუარებელს
 იგი სთესავდა ქვეყნად ბევრს ავსა.
 ბოროტი ქცევა ბოლოს მოსწყინდა
 ერთს დროს მეუფის ერთგულსა ყმასა.

3

სამოთხიდანა დევნილი სული
 მოსრიალეზდა კავკასის ცაზე
 და, როგორც ელვა ღრუბლით მკრთომარე,
 დასტრიალებდა მყინვარსა თავზე.
 მყინვარს, ვით მეფეს—ხმელეთის მპყრობელს,
 თავს უმშვენებდა ლალის გვირგვინი.
 ქვეით კი დაბლა, ბნელს ხეობაში
 ისმოდა მკაცრი გრგვინვა, ბიბინი.
 გახეჩილ კლდეში — ვეშაპის ბუდე,
 მოსჩანდა ლალი თვით დარიალი:
 ამაშფოთარი მის არემარის
 იყო ძუ ლომის — თერგის, დრიალი.
 ფაფარაშლილი იგი გრგვინავდა,
 შეუპოვარი, გმირი ბედმლაშე
 და მის ჯავრობას ყურს უგდებს ჯიხვი,
 არწივი, ორბი მხარმოფართაშე.
 სამხრეთიდანა შავთა ღრუბელთა,
 ვით მხლებელთ, ჩრდილოს მიჰყავდათ თერგი,
 სალის კლდეების ურიცხვი ჯარი
 გზას უღობავდა, როგორაც ხერგი...
 საკვირველებით შემოსილიყვნენ,
 სთვლემდენ და დაბლა თავებსა ჰხრიდენ;
 თვალს ადევნებდენ ცელქსა ტალღებსა
 და აღმასებით შუაზე სჭრიდენ.
 კოშკ-ციხეები კლდის თავებზედა,
 თვით კლდეებზედა მკვიდრადა მდგარი
 იცქირებოდენ შეუპოვარად,
 რათა დაეცვათ კავკასის კარი.
 გასაკვირველი და საოცნებო
 ამაზედ მეტი სხვა არა არი!

მაგრამ ზიზღითა ბოროტმა სულმა
გადავლო თვალი ღვთისა ქმნილებას,
მაღალსა შუბლზე ვერ შეამჩნევდი
სინიდისისას ოდნავ მხილებას.

4

სხვა უკეთესი იმის თვალწინა
ბუნების სახე გადაიშალა:
ლამაზის ქვეყნის — საქართველოსი,
მდელო, სერები ნახა იმანა.
ტურფა ქვეყანა, მიწის მშვენიება!
ძვირფასთ შენობათ სჩანს ნანგრევები...
და სიცელქითა რა შეადრება
აქ რომ ჩამოდის უხვად ხევეები.
ფერად კლდეებში დაბადებულნი
მოკამკამებენ ცივნი წყარონი;
ვარდის ბუჩქებში კეკლუცთ სალხინოდ
გალობენ დღე-ღამ აქ იადონნი.
მოსაგრილებლად, მოსასვენებლად
მიწას ამკობენ დიდი ჭანდრები;
სიცხეს და მტერსა როს მიურბიან,
აქეთ იწევენ ხარი-ირმები.
აქ სდულს სიცოცხლე, ათასგვარი ხმა
ფრინველებისა ტყეში კრიალებს
და ტურფა სუნი ყვავილებისა,
ვით სამოთხეში, უხვად ტრიალებს.
ნელ სიცხით დღისით შემჟკნარი მწვანე
გაიბანება ღამე ნამითა,
ნიავიც ნელი, წყნარად მქროლარე,
გულს ავსებს მადლით და სიამითა.
ცას ვარსკვლავები მოჟიკჟიკენი,
მაცხოვლებელნი ბნელის ღამისა,
თვის გარეშემო მაღლსა აფრქვევენ,
როგორც თვალეები ქართველ ქალისა,
მაგრამ ბუნების სიტურფემ ქაჯსა
როდი აღუძრა ახალი გრძნობა.
მის გულში სჩქედდა ნასმენ-ნახულის
წინანდებური ზიზღი და მტრობა.

სახლი ააგო მოხუც გუდალმა,
 უსწორდებოდა სიმაღლით მთებსა.
 დიდს შრომად უჯდა სახლის აგება
 მონებას ჩვეულთ დიდის ხნის ყმებსა.
 მზის ამოსვლიდამ იმისი ჩრდილი
 გრძლად გაწვებოდა მთების კალთებზე
 და კლდე რამ იყო ერთი მომდგარი
 დარბაზზე მობმულს კოშკსა, ციხეზე.
 იმ კლდეზე იყო კიბე ნაკვეთი...
 ჩადრწამოსხმული ამა კიბეზე
 ჩაეშვებოდა ტურფა თამარი
 ლალის არაგვის, ლალსა კიდეზე,
 წყალს ამოჰკრეფდა და მერე კოკას
 გადიკიდებდა მოხდენით მხარზე.

დიდი ხანია სახლი კლდის თავით
 მუნჯად დასცქერდა მთათ მიდამოსა,
 დღეს აქ ლხინია, ზურნის ხმა ისმის,
 სტუმრები ჯიხვით სვამენ ღვინოსა.
 სასიძოს ელის მოხუც გუდალი,
 დაიპატიჟა მთელი უბანი.
 ბანი სახლისა პირით-პირამდე
 აყვავებულა ხალიჩებითა.
 ხალიჩაზე ზის სასძლო თამარი,
 გარსშემორტყმული დობილებითა.
 ცეკვავენ, მღერენ, ზოგნი ტაშს სცემენ
 და აგერ მზემაც დახარა ფრთები,
 მოკრიბა სრულად თვისი სხივები,
 გადაიარა მაღალი მთები.
 წამოდგა სასძლო დაირით ხელში,
 უკრავს დაირას, ხან მაღლა ისვრის...
 გასრიალდება, როგორც ფრინველი,
 მიმოიხედავს... ტანში არ იძვრის.
 წამწამს შეარხევს ქალურის შურით,
 მაყურებელთა თვალებით სდაგავს,

შავი წარბები გადაჭიმული
ზევიდამ მელნის ორს ტბასა ჰსაზღვრავს.
ოდნავ გადახრილს წელში პატარძალს
არ შეეშლება როკვისა ხერხი
და ხალიჩაზე ჰაეროვანად
დასცურავს მისი ღვთიური ფეხი;
თან იღიმება ტკბილად, ნაზადა,
იგი უმანკო, როგორაც ბაღლი...
მთვარისა სხივთა ნამზე თამაში
ვერ შეედრება ამ ღიმილს, ლალი
მისი ღიმილი თვით სიცოცხლეა
დაუსრულები, უზადო, საღი.

7

ცისკარსა ვფიცავ, დილის ცისკარსა,
სხივს საღამოსას და დილის მზისას,
არც ერთს მეფესა ქვეყანისასა
და არცა მფლობელს თვით სპარსეთისას
ჯერ არ ეკოცნოს ამ გვარნი თვალნი
და არც შეადრევანს ჰარამხანისას
არ გაეზანოს მისებრი ტანი;
არც ერთს აშიქსა საყვარლის უუბლზე
არ გაუშლია ისეთნი თმანი.
რაც რომ სამოთხე კაცთა დაკარგეს,
რამდენი არის გავლილი ხანი!
მაგრამ მას შემდეგ ისე ლამაზი
არღა უნახავს ქვეყანას ქალი.

8

უკანასკნელად დღეს თამაშობდა,
ხვალ მიელოდა მას უცხო მხარე,
ყოფნა მონისა უთავისუფლო
და ან, ვინ იცის, თვით ბედიც მწარე,
უცხო სამშობლო, უცხო ოჯახი —
ცოტა ამისგან ჰკრთებოდა მთვარე.
მაინცდამაინც ქალს მიხვრა-მოხვრა
ჰქონდა მარტივი, გრძნობა ცხოველი



და სავსებითა ცა-ქვეყნის მადლი
იხატებოდა მასში ყოველი.
კარგი რამ იყო ამ დროს თამარი
და რომ ენახა იმ წყეულს ქაჯსა,
დაკარგულ ბედის სამგლოვიაროს
გადაიძრობდა გულიდამ თალხსა.

9

ნახა კიდეცა... და უცებ ქაჯსა
აღეძრა გულში ზღვად მღელვარება.
მის ჟანგიანმა, წრიაკმა სულმა
იგრძნო საამო რამ ნეტარება.
და კვლავ შეიძლო მან სილამაზის,
ტრფობა, კეთილის ცალკე გაგება.
ამ მშვენიერის სანახავითა
დიდხანს ატკობდა თვისს ოცნებასა.
ფიქრს ფიქრი მოსდევს განუწყვეტელად,
იგონებს წარსულს ნეტარებასა.
მისი ფიქრები მისსავე თვალში
ჰგვანდენ ურიცხვსა ვარსკვლავთ კრებასა;
მაგრამ ახალი დარდი გაუჩნდა,
იგი არ მისცემს იმას შვებასა.
მძინარე გრძნობამ გამოიღვიძა,
ესაუბრება ძველის კილოთი,
გადასხვავების ნუთუა ლანდი?..
გონებას სტანჯავს მწარე ფიქრითა.
მაცდურებისა სიტყვებს ეძებდა
თვის გონებაში, მაგრამ ვერ ჰპოვა.
მაშ დაივიწყოს? ღმერთს არა ჰნებავს,
არც თვით ისურვებს — ურჩევნის ხსოვა.

10

მოღლილს ტაიჭზე თამარის საქმრო
თვის დანიშნულთან ეშურებოდა.
ეს დღეც გათავდა, შავი ნაბადი
მიწას ღამისა ეხურებოდა.
მშვიდობიანად მან მოაღწია
არაგვის კიდეს ამწვანებულსა.



და სავსებითა ცა-ქვეყნის მადლი
იხატებოდა მასში ყოველი.
კარგი რამ იყო ამ დროს თამარი
და რომ ენახა იმ წყეულს ქაჯსა,
დაკარგულ ბედის სამგლოვიაროს
გადაიძრობდა გულიდამ თალხსა.

9

ნახა კიდეცა... და უცებ ქაჯსა
აღეძრა გულში ზღვად მღელვარება.
მის ჟანგიანმა, წრიაკმა სულმა
იგრძნო საამო რამ ნეტარება.
და კვლავ შეიძლო მან სილამაზის,
ტრფობა, კეთილის ცალკე გაგება.
ამ მშვენიერის სანახავითა
დიდხანს ატკობდა თვისს ოცნებასა.
ფიქრს ფიქრი მოსდევს განუწყვეტელად,
იგონებს წარსულს ნეტარებასა.
მისი ფიქრები მისსავე თვალში
ჰგვანდენ ურიცხვსა ვარსკვლავთ კრებასა;
მაგრამ ახალი დარდი გაუჩნდა,
იგი არ მისცემს იმას შვებასა.
მძინარე გრძნობამ გამოიღვიძა,
ესაუბრება ძველის კილოთი,
გადასხვავების ნუთუა ლანდი?..
გონებას სტანჯავს მწარე ფიქრითა.
მაცდურებისა სიტყვებს ეძებდა
თვის გონებაში, მაგრამ ვერ ჰპოვა.
მაშ დაივიწყოს? ღმერთს არა ჰნებავს,
არც თვით ისურვებს — ურჩევნის ხსოვა.

10

მოღლილს ტაიჭზე თამარის საქმრო
თვის დანიშნულთან ეშურებოდა.
ეს დღეც გათავდა, შავი ნაბადი
მიწას ღამისა ეხურებოდა.
მშვიდობიანად მან მოაღწია
არაგვის კიდეს ამწვანებულსა.

წინ მოუძლოდა აქლემთ ქარავანს,
მრავლის საჩუქრით აკიდებულსა,
მთები ეფხიზლა ზრიალ-წკრიალით
ზარებს მათს ყელზე დაკიდებულსა.
თვით მფლობელია სანოვაგისა,
მას ეკუთნოდა ეს ქარავანი.
სულ ოქრო-ვერცხლით ჰქონდა მორთული
თოფი, ხმალი და გრძელი ხანჯალი,
მხარ-ილღივ თოფი გადაგდებული,
წელში დამბაჩა, მთელი აბჯარი.
ყურთუმაჯებსა ქარი ურხევდა,
ჩოხა ბუზმენტით ეცვა მორთული
და უნაგირიც ოქრომკედითა,
ძვირფასის თვლებით ჰქონდა მორწყული,
მის ქურანს ცხენსა ოფლიც სდიოდა,
აცქვეტდა ყურებს, თანაც ჰკრთებოდა
და კლდიდამ კლდეზე პირს ქათმომდგარი
უბორკილოდა მარდად ხტებოდა.
საშიში არის ეს ვიწრო გზები, —
მარჯვენა მხრიდამ მდინარის ყეფა.
დაბინდდა. აგერ, თოვლიანს მთაზე
დასავლეთისკე მკვდართ მზეცა ქრება.
დაიძრა ნისლი, მიათრევს ფრთასა
და ქარავანიც შაუდგა გზასა.

11

იქვე გზის პირას ნიშია ერთი
და იქ თავადი ვინმე ჰმარხია,
მოსისხლე მტრისგან მოკლული იგი,
მოწმად ცნობილი არის ხალხშია.
ვინც კი გაივლის მის ახლო მგზავრი,
თუნდა ძალიან ეშურებოდეს
ხატობას ანუ გინა ლაშქარსა,
ეს ნიში მუდამ უნდა ახსოვდეს:
აქ შესწირავდეს მღუღარე ლოცვას,
მკვდარსაც ეტყოდეს იგი შენდობას;
ეს დაიხსნიდა მტრის ხელიდამა,
იმის ხანჯლის და იმის ხმლიდამა.

არ აასრულა სანეფომ წესი
 ეს ძველისძველი მამა-პაპისა,
 გრძნობის მმართველად მას დასდგომია
 ხმა და რჩევანი ბილწის ქაჯისა.
 ჰაერში ჰკოცნის ფიქრით თამარსა,
 ელანდებოდა სახე ქალისა.
 ორი რამ დაჩნდა მგზავრის წინ გზაში
 და მალე გროვაც მთელის ხალხისა;
 იჭექა თოფმა... მაგრამ მამაცსა
 არ შეეშინდა მტრის თავდასხმისა.
 ფაფარს დასწია, ცხენი გაქუსლა,
 არ უთქვამს სიტყვა, არ დაძრა კრინტი,
 ხელში მოიგდო სწრაფად ხირიმი
 და მიესია ტყვიასებრ ცქვიტი.
 გახშირდა სროლა... გაისმის კვნესა.
 გმინავენ, ოხვრენ დაკოდილები
 და ამავე ხმას იმეორებენ
 კლდე-ღელეები, მაღალი მთები.
 მალე გათავდა ბრძოლა და ომი,
 შემოეფანტნენ თავადს მხლებლები.

12

დადუმდა ეს ხმაც. გათავდა ბრძოლა,
 მისწყდა კიჟინა, თოფების სროლა.
 გაოცებულნი, ზარების ჟღერით
 მკვდართა სთელავდა აქლემთა ხროვა.
 გაძარცულია მთლად ქარავანი
 და ქრისტიანი მკვდარი წევს მკვდარზე.
 მათ არ ეღირსათ სამარეს წოლა
 მამა-პაპათა საფლავთა გვერდზე.
 უმადურადა, უმადურის ხმით
 ბუ დაჰფარფაშებს ძახილით თავზე.
 არ დაიტირებს არც და, არც დედა
 დახოცილებსა გლოვა-ზარითა,
 არ მოცვივიან შორის გზიდამა
 შემოსილები გრძელის ჩადრითა.
 ნაცვლად კლდის ძირას, მკვდართა სახსოვრად,
 აღიმართება მფარველი ჯვარი,

უსურვაზითა შეიმოსება,
როგორც ზურმუხტით, იმისი ტანი;
და არაერთხელ ნავალ-ნატანჯი
სულს მოიბრუნებს მის ჩრდილში მგზავრი.

13

მიფრინავს ცხენი გამალებული,
დიდი საქმე აქვს დავალებული,
გადახტომილი წამს შეჩერდება
და ქარის ზუზუნს მიუპყრობს ყურსა,
მაგრამ ამითი რაღას უშველის
თავის პატრონის მომაკვდავს წყლულსა.
ნალებს აელვებს, პირით ქაფსა ჰყრის,
ფრუტუნებს, სწყრება, ნესტოებს ჰბერავს,
გზას აღარ ირჩევს და მის კისერზე
შავი ფაფარი ზღვასაებრ ჰღელავს.
ცხენის პატრონი არ იღებს ხმასა,
უნაგირზედაც ვერ იჭერს ტანსა.
მიშვებული აქვს ცხენის სადავე,
ცხენის ფაფარზე აწყვეტავს თავსა.
შეუღებია სისხლსა საგულე,
როგორაც კლდიდამ ნადენსა წყალსა.
არ უღალატე, ცხენო, პატრონსა,
ბრძოლიდამ გაჰსხლტი, როგორც ისარი,
მაგრამ დაუნდო ოსის ტყვიამა
გაუპო მხედარს გულის ფიცარი.

14

გუდალის სახლში ქვითინი ისმის,
ხალხი გროვდება ეზოში ჯარად.
ეს ვისი ცხენი მოვარდა ქშენით,
ოფლი ჩამოსდის მთელს ტანზე ღვარად?
და წამოიქცა თავის მხედრითურთ
შავს ლოდებზედა ზედ ეზოს კარად,
ტანისამოსი და იარაღი
ერთიანად აქვს სისხლში მოსვრილი,
ფაფარზე ხელი ჩაუჭიდია,
ზედ დაჰყრდნობია წელში მოხრილი.

სასძლოვ, ელოდი თვალდამშეული
ამ საღამოთი საქმროს ნახვასა, —
აკი მოვიდა და არ უმტყუნა
კეთილშობილურს იმან აღთქმასა!
მაგრამ, ვაი, რომ წყლული სჭირს მკერდზე
და ვერ შეჯდება კვლავ თავისს ცხენზე!

15

უღარდელს ოჯახს მოულოდნელად
დღეს მოევლინა სასჯელი ღვთისა.
წაიქცა პირქვე თავის ლოგინზე
თამარი, მოსთქვამს, მწარედა სტირსა
და ცხელი ცრემლი ეწევა ცრემლსა,
ღვარად ჩამოსდის მის ლამაზს პირსა.
მძიმედა ჰსუნთქავს, თან გულიც მისდის,
ხმა მომხიბლავი მის ყურთან ისმის:
„ტყუილად სტირი, ქალო ლამაზო,
ამოდ აფრქვევ ცხარე ცრემლებსა.
ტირილით მკვდარი არ გაცოცხლდება,
რისათვის სტანჯავ, ნეტავი თავსა?
ტირილით თვალებს ნუ გაიწყალებ
და ნუ დაიწვავ ტურფა ღაწვებსა.
იგი შორსაა, იმას არ ესმის,
ვერც დაათვასებს შენს ცრემლს, კვნესასა.
ციური სხივი ეალერსება
მის უსხეულო თვალთახედვასა.
სამოთხის ხმები იმას ატკბობენ
და ამა ქვეყნის ამოება:
საწყალის ქალის კვნესა-გოდება,
ან კი მას რაში ეპრიანება?!
არა, არც ერთი ღვთისა ქმნილება,
ჩემო სიცოცხლევ, მერწმუნე ამად,
ვინც უნდა იყოს, ძვირადა ღირდეს,
არა ღირს ძვირფას შენს ნაღვლის ფასად.
ცისა სივრცეზე უნავ-უაფროდ
დასცურავს წყნარად ვარსკვლავთა გუნდი.
შავთ ღრუბელთ გროვა თავზედ აწვებათ,
როგორც პატიმარს ფეხებზე ხუნდი.

წამი ნახვისა, წამი გაყრისა
არც გაახარებს და არც აწუხებს.
მომავლისათვის არა ზრუნავენ,
წარსული იმათ გულს არ ადუღებს.
უბედურს დროსა წარმოიდგენდე
ვარსკვლავთ და ღრუბელთ მხოლოდ გროვასა:
იმათებრ იყავ შენც უღარდელი,
ნუ მიეცემი ვიშს და გლოვასა.
რაწამსაც ღამე შავსა ნაბადსა
გადაათარებს კავკასის ქედსა
და მოხიბლული გრძნეულის სიტყვით
არ ემღუროდეს ქვეყანა ბედსა;
რაწამს კი ქარი კლდის თავზე დამტკნარს
ბალახს დაჰბერავს, დაუწყებს რხევას
და ვარდის ბუჩქზე მიძინებული
ნაზი ბულბული დაიწყებს მღერას;
ვაზისა ძირში ნამით ნაკვები
ღამით ყვავილი როს გაიშლება
და მთვარეც ბადრი მთის გადაღმიდამ
სხივფრქვევით, დინჯად ამოცურდება,
ქურდულად თვალსა შენ გადმოგავლებს; —
ამ დროს გეწვევი მენაც სტუმრადა
და ტკბილს სიზმრებსა ხშირს წამწამ-წარბზე
მოგივლენ ფრქვევით მაშინ ჩუმადა“.

მისწყდა სიტყვები და შორს ჰაერში,
ვით ზარის რეკა, ხმა ისე გაქრა.
ქალი წამოხტა, შეშლილად ქმნილი,
თითქოს ვიღამაც მას თავში დაჰკრა.
ელდანაცემი გარემო თვისსა
შეშინებული ავლებდა თვალსა.
ყველა მის გრძნობა — სული და გული,
მგზნებარე ცეცხლის შეეპყრო ალსა.
ტუჩები უთრთის და მთელი ტანი,
თითქოს სჩხვლეთენო, უთრთოლავს, ყივის,
ის წელანდელი ხმა საუცხოო
იმის ყურებში გველივით წივის.

განთიადისას ფიქრით დაღლილსა
თითქოს მოადგა თვალებზე ლული.
მაგრამ ფიქრებმა გონი წაართვეს
და შემოჰკენეს ისევე გული:
ვინ მოელანდა ის მზიან-ჩრდილი,
ამ ქვეყნიურს კაცს არ ჰგავდა ისა,
მას ნაპერწკალი თვალებში უჩნდა
თამარისადმი სიყვარულისა
და სიყვარულსა თვალებში აღმგზნარს
ამკობდა გრძნობა სიბრალულისა.
ვინ იყო ნეტავ, უცხო ქმნილება
ანგელოზია ვითომ მფარველი?
ეს სიცრუვეა: მის ხუჭუჭ თმასა
გარს არ ეხვია გუგად ნათელი...
მაშ ჯოჯოხეთში ტანჯულს სულს ჰგავდა
ცოდვებისათვის, — ცოდვილსა კაცსა?
არა, ის იყო ბინდის მაგვარი,
არც ღამეს ჰგავდა, არც დილის ჟამსა.

ნაწილი მეორე

1

„მამავ, რად სწყევლი თავისს თამარსა,
რად მიათასებ გულის ვარამსა?
ხომ მხედავ, ვსტირი ცრემლშეუშრობლად
და ვერ დავძლიე მე ჩემი გული?
ათასს მთხოვნელში ვერვის ავირჩევ,
რომ გაამთელოს კვლავ ჩემი წყლული.
ტყულად სცდებიან, — ქმარს არ შევირთავ,
მანამდე მიდგა მე პირში სული.
ღმერთმა არ მომცა, ვინც მე მინდოდა,
როგორღა გავყვე ეხლა მე სხვასა?
მას შემდეგ, რაკი იმისი გვამი
არ მივაბარეთ აგერ იმ მთასა,
გაღამერია რაღაც რამ ფიქრი
და გულს მიბოჭავს მე ყოველ წამსა.
დღე ვერ ვლოცულობ და ღამე ხომა
საშინელს რასმე სიზმრებსა ვხედავ;
ვიტანჯვი, ვჭკნები, სული მიშფოთავს
და შენს წინაშე ამ თხოვნას ვბედავ:

მონოზნად მინდა, მამავ, რომ შევდგე,
ლოცვა-მარხვაში დღენი ვატარო
და მაცხოვარის ჩვენის წინაშე
გულის ვარამი უხვად დავღვარო.
იქნებ იქ ვპოვო სულის მშვიდობა,
ამ ქვეყნისათვის უკვე ვარ მკვდარი.
მიმიღოს სადმე მყუდრო საბერომ,
ჩემთვის ნუგეშად დღეს ესლა არი.

2

შორს სადმე მშობელთ ერთს მონასტერში,
თუმც არ უნდოდათ, მისცეს თამარი.
ქალი შემოსეს შავის ძაძითა,
წელით შემოხსნეს ოქროს ქამარი.
მაგრამ მონოზნის ტანისამოსში
ძველებრივ სძგერდა გული ცოდვილი;
სამგლოვიარო მწირის საცმელმა
როდი განკურნა ერთხელ კოდვილი.
ტრაპეზს წინ მდგარსა, როცა სანთლებით
ეკვდერი იყო განათებული
და მონოზანთა მკვნესრად გალობა
ისმოდა ღვთისთვის გაჩაღებული,
შემაშფოთები ამ დროს თამარსა
ხმა შეესმოდა ნაცნობი, ძვირი
და საკმევლისა ხშირს ბურან-ნისლში
ჰკრთოდა, სცურავდა იმისი პირი.
უხმობს თავისთან, უქნევს თან ხელსა...

3

ეს მონასტერი ღელეში იდგა,
მთებ შემორტყმული, განმარტოებით
და მის მიდამო დაჩრდილულ იყო
ვერხვით, ჭანღრებით, დიდრონ ხეებით.
როცა კი ღამე ფრთას დაჰკიდებდა,
დაბნელდებოდა მთა-ღელე-ველი,
ფოთლებში მკრთალად დაღონებული
სჩანდა მონოზნის მხოლოდ სანთელი.

ხეების ჩრდილში საფლავებზედა
მწკრივად ოდნავლა ეტყობა ჯვრები,
გეგონებოდათ, დარაჯად დგანან, —
არ მოეპარა არავის მკვდრები.
და ლოდებზედა მკვირცხლად მხტომარნი
ჩამოქანავდენ მალლიდამ წყლები.
ქვეით ჭალაში შეიყრებოდენ,
რწყვენ ველთა, მდელთ წმინდა ნამითა,
უხვად დაფარულთ კიდით-კიდემდე,
როგორაც რთვილით, ყვავილებითა.

4

ჩრდილოეთისკენ მთები მოსჩანდა,
თავს დაჰნათოდა იმათ ცისკარი
და ხეობაში ნისლი ჰბოლავდა
ლურჯი და ლალი, ცის მინაგვარი.
ზარისა რეკვა ცისკრის ლოცვისთვის
ღვთისა მოსავთა ერთად აღვიძებს,
ყველანი ერთად იკრიბებიან,
ყველა შემოქმედს ერთხმად აღიღებს.
ქართველი ქალი კოკით მხარზედა
ჩამოეშვება მთიდან წყალზედა.
ყინულის ჯაჭვი, წითლად ნაღები,
გადაჭიმულა მთიდან მთაზედა.
საღამოს ჟამსა იგივე მთები
ტანზე იცვამდენ წითელს კაბასა.
მყინვარს გაეჭრა თავით ღრუბლები,
ციდამ დამზერდა დაბლა დაბასა.
კრძალვით შემზერდა მთებისა გროვა
ყინულით ნაჭედს იმის ფაფარსა.

5

მცდარის ფიქრითა გატაცებული,
არც როს თამარი არა ხარობდა.
მთელი ქვეყანა ქალის თვალშია
ჯოჯოხეთისა ცეცხლსა სდარობდა.
ჯავრი, ნაღველი მას გულს უღრღნიდა,
იტანჯებოდა, სტირდა, წვალობდა.

ღამით, როდესაც ყველას ეძინა,
ქარში მრისხანედ ქარი ხვიოდა,
მუხლმოდრეკილი ღვთისმშობლის ხატსა
თამარი თავისს დარღს შესჩიოდა.
მწარედ მოსთქვამდა... მისი ქვითინი
თავზარსა სცემდა მიმავალს მგზავრსა.
იგი ფიქრობდა: „ბოროტი სული
კვნესის და მითი იქარვებს ჯავრსა“.
ცხენს მათრახს დაჰკრავს შეშინებული,
გაეშურება წასასვლელს გზასა.

6

ნაღვლიან გულით თვალცრემლიანი
სარკმლით გასცქერის ხშირად თამარი,
ოხრავს და შფოთავს, მთელი დღე-ღამე
ჰქენჯნის მას ფიქრი მოუთმინარი.
ყურში ვიღაცა ქალს ჩასჩურჩულებს:
„ნუ გედარდება, საცაა მოვა“.
ამავე ნუგეშს არ იძლეოდა
წუხელ და გუშინ სიზმრების გროვა?
იგი ესიზმრა: ნაღვლიანს თვალებს
აღერსიანად მას აშტერებდა.
ქალს უნდა წმინდათ ლოცვა შესწიროს,
მაგრამ ვედრებას ვერ ახერხებდა.
გული მხოლოდ ერთს იმას ლოცულობს,
იმისკენ მიჰქრის მისი გონება.
როს წევს, ქვეშაგებს ედება ცეცხლი,
დგება — ნაღველი მით არ შორდება.
ცეცხლი ედება საწყალს გულ-მკერდზე,
ხვევნით დაეძებს ტრფობისა საგანს,
უნდა აკოცოს, მაგრამ ეს კოცნა
აშრება ბაგეს, ცრემლითა ნაბანს.

7

საღამოს ჟამმა საქართველოსი
მთა და სერები უკვე დაჰფარა.
და ამ ღროს ქაჯი, ღამის გუშაგი,

მონასტრის ბაღში შემოიპარა.
 დიღხანს გარშემო ეხეტებოდა,
 წმინდა ადგილის სცხვენოდა ლახვა.
 ხანდახან თითქოს კიდევ ფიქრობდა,
 რომ უარყო თვისი განზრახვა.
 თავი აიღო, სარკმლიდამ ნახა
 მკრთალად მნათობი შუქი კრაქისა.
 ელის ვილასცა და სიჩუმის დროს
 მოისმა მკვნესრად მღერა ქალისა.
 უკრავს ჩონგურსა მწუხარე ხმაზე
 და საუცხოვოთ დამღერის ზედა.
 ცრემლის დენასა ის მღერა ჰგავდა,
 მომღინარს ხშირად და ზედიზედა,
 ისეთი ტკბილი და ნაზი იყო,
 თითქოს შაექმნა ქვეყნისთვის ცასა.
 გეგონებოდათ, თვით ანგელოზი
 ჩამოფრენილა და უმღერს ქალსა.
 წარსულს იგონებს, რომ იმით მაინც
 შეუმსუბუქოს ტანჯვანი მასა.
 სიყვარულისა ძალი გაიგო
 წყეულმა ქაჯმა მხოლოდ ამ წამსა.
 უნდა გაფრინდეს, გადაიკარგოს,
 ვერ ანძრევს, ველარ ერევა ფრთასა.
 გამოლამებულს თვალეზიდამა
 გაღმოუგორდა ტყვიასებრ ცრემლი, —
 დაეცა ლოდსა და გაწვა იგი,
 ისეთი იყო მძიმე და ცხელი.
 ჯერაც ეტყობა ქაჯის ცრემლისგან
 გამწვარი ქვაზე იმ დროის ხვრელი.

8

შედგა მან ფეხი ქალის სადგურში,
 კეთილისათვის უცემდა გული.
 ჰფიქრობს: იქნება ახალ ცხოვრებამ
 განკურნოს მისი დიდის ხნის წყლული.
 მოლოდინისა, მომავლის შიშმა
 შეიპყრო ერთს წამს იმისი სული.
 შევიდა... ჰხედავს მის თვალთა შხამსა:
 სდგას ქერუფიმი — სამოთხის შვილი.

თამარს გვერდს ედგა იგი დარაჯად,
ცრემლი სდენოდა მფარველის თვალთა.
შუბლი შეიკრა... ჰაეროვანი
ქალს დაათვარა თავის მხრის კალთა.
ღვთიურმა სხივმა უცბად დაუხშო
ბოროტსა სულსა ბოროტი ხედვა.
აღერსისა და საღმისა ნაცვლად
ქაჯს შემოესმა კრულვა და წყევა.

9

„მოუსვენარო, ბილწო, ბოროტო,
ვინ დაგპატიუა ამ ღამით აქა?
ღვთისაგან ჩემთვის ჩაბარებულსა
გინდა რომ მოსცხო ჩირქი და ლაქა?!
აქ საშენკბილო არავინაა,
ამიერიდამ აქ ცოდვა გაჰქრა“.
ჯერ ხმა არ გასცა ბოროტმა სულმა
და გესლიანად იღიმებოდა.
ქაჯისა გულში ძველის მტრობისა
ზვირთი ზვირთზედა იკრიფებოდა.
„ქალი ჩემია!“ სთქვა მან მრისხანედ:
„თავი ანებე! ეგ ჩემი არი!
დაგიგვიანდა, ჩემო ძამიავ,
გვიანილაა დღეს შენი მსჯავრი.
ამაყსა გულსა ჩემის უფლების
დიდი ხანია მე დავსდე დაღი.
აქ შენი ხატი ვის უნახია?
დღეს მე მეკუთვნის ეს ტურფა ბაღი“.
და ანგელოზმა საბრალო მსხვერპლსა
ჭმუნვით გადავლო თვალები ნაზი,
გაფრინდა მადლა და ცის კამარას
გაავლო სხივის ბრწყინვალე ხაზი.

10

თ ა მ ა რ ი

ვაჰმე, ვინა ხარ? გაქვს მწიკვლი ენა.
ქვესკნელიდამ ხარ, თუ გწყალობს ზენა?

ქ ა ჯ ი

ტურფა ხარ შენა!

თ ა მ ა რ ი

მაინც მითხარი, ვინა ხარ შენა?!

ქ ა ჯ ი

ისა ვარ, ვინაც შენ ღამეობით
მანუგეშებლად გეცხადებოდა
და ვისიც სახე დაღონებული
ხშირად ჰაერში გეხატებოდა.
ვისიცა ფიქრი შენს თავსა ადგა,
შეწყალვა გულში გეხადებოდა.
ისა ვარ, ვინცა არავის უყვარს, —
მთელი ქვეყანა სწყევლის და ჰკრულავს.
არაფერია ჩემთვის წელთა სვლა,
ქვეყნიურ მონათ გახლავარ ლახტი;
მეფე ვარ ცოდნის, თავისუფლების,
კეთილის მტერი, ბოროტის ტახტი,
შენმა სიტურფემ დამამონავა,
რა დაგინახე, მყის დავრჩი სახტი.
ძღვნად მოგიტანე ლოცვა ტრფობისა
და ქვეყნიური ჩემი ტანჯვანი,
ზღვა ჩემთა ცრემლთა, შენთვის დაღვრილი.
გთხოვ გამიგონო გულის ზრახვანი!
ერთის სიტყვითა შენ შეიძლებდი
შევრიგებოდი ისევაც ღმერთსა:
თუ ღირსს გამხდიდი სიყვარულისას,
დავიმშვენებდი მე იმით მკერდსა,
ვით ანგელოზი ახლად შობილი,
ვეახლებოდი მეუფეს გვერდსა.
შენი მონა ვარ... როგორ მიყვარხარ!
შემოგხვეწნივარ, კიდევ გთხოვ ერთსა:
რა წამს კი ერთხელ შენ თვალი მოგკარ,
მყის შემეჯავრა უკვდავი თავი,
კაცთ დღენაკლული მხიარულება
შემშურდა ძლიერ, — მათ ბედიც შავი.
არ მშურს შენთვისა მე ეგ ცხოვრება...
უშენოდ უხამად მიჩანს სიცოცხლე.

უსისხლოს გულში მოულოდნელმა
სხივმა გამოსცა ისევ სიცხოვლე.
ნაღველი ძველის წყლულის ძირზედა
იძვრის, ვით ქართ მინდორზე ოლე.
უშენოდ რაა დაუსაბამო
მთელის ქვეყნისა დაჭერა, ფლობა?
— ჩალაა მხოლოდ ერთი გამხმარი,
გაუქმებულთა ტაძართა გროვა.

თ ა მ ა რ ი

დამეხსენ, გასწი, ბოროტო სულო,
მტრისას ჰგავს შენი საუბრის ჩქამი.
ვაჰმე უფალო! ლოცვა არ ძალმიძს,
უძლურს ფონებას ჩამესხა შხამი.
შენ მე დამლუპავ, როგორც გეტყობა,
სული წაწყმდება, დაიწვის გვამი.
რისთვის გიყვარვარ, რატომ არ მეტყვი,
რამ მოგივლინა ეგ ტრფობის წამი?

ქ ა ჯ ი

მეც რომ არ ვიცი, ჩემო ლამაზო,
ახალმა გრძნობამ შემიპყრო მთლად.
თავით გარდვიგდე ეკლის გვირგვინი,
რომ შენ გემონო, დაგედო მტლად.
ჩემი წარსული სულ დამავიწყდა,
შენს თვალეზშია დღეს ჩემი ბედი.
მიყვარხარ ფრიად, ეს სიყვარული
შენს სიყვარულზე ბევრით არს მეტი:
მთელ თვის ძალ-ღონით, მთელის გრძნობითა,
შენის ტრფობისგან თავს მესხმის რეტი.
ქვეყნის შექმნიდამ ეგ შენი სახე
ჩემს გულში ღრმადა აღბეჭდილიყო,
მუდამ თვალეზში მეხეჩებოდა,
ქვეყნის სივრცეზე გაფენილიყო.
დიდხანსა სტანჯა მან ჩემი ფიქრი,
საყვარელს სახელს ჩამჩურჩულებდა.
უშენობა ჩემს კეთილ ყოფნას
სამოთხეშია ანაკლულებდა.

შენ ვერ გაიგებ და ვერც მიჰხვდები
ჩემს მწარე ყოფნას და ჩემს ტანჯვასა:
მთელ სიცოცხლეში იმავ თავიდან
ლხენის და ჯავრის ერთად ხვლანჯვასა.
ბოროტისათვის არას იღებდე,
არც კეთილისთვის გძღვნიდენ ქებასა,
სულ ერთნაირად იტანჯებოდე
და არა ჰგრძნობდე ერთს წამს შვებასა.
მუდამ ნანობდე, არას ნატრობდე,
ყველა იცოდე, ყველაფერს ჰგრძნობდე,
სცდილობდე ყველა გეჯავრებოდეს,
განურჩევლად ყველასა ჰმტრობდე.
იმ დღიდან, როცა წყევლა უფლისა
ცით მოვლენილი ასრულდა ჩემზე,
ბუნებაც მაშინ გამიორგულდა,
არ მიხუტებდა მე იგი მკერდზე.
ოქროს გვირგვინით თავშემკულები
ცაზე ვარსკვლავნი მიღ-მოდრიოდენ,
მაგრამ იმათაც თვისი ნაძმობი
ეჯავრებოდათ და ველარ სცნობდენ.
ღვთისაგან ჩემებრ შეჩვენებულთა
სასომიხდილი თვისთან ვუხმობდი,
მაგრამ მათ სახეს — ბოროტით სავსეს,
მე რომ თვითონაც ველარა ვსცნობდი!..
განრისხებულმა გავშალე ფრთები
და გავსრიალდი... სად? ან რისთვისა?
ძველნი ნაცნობნი და ნათესავნი
თავს არ იტკენდენ მეგობრისთვისა.
მთლად ეს ქვეყანა, როგორც სამოთხე,
დაყრუვ-დამუნჯდა მხოლოდ ჩემთვისა.
როგორაც გემსა უბაგ-უაფროს
დააქანებდეს ზღვაზედა ქარი,
ან როგორც დილით ღრუბლის ნაწყვეტი
მისრიალებდეს ცაზედა ჩქარი,
არ კი იცოდეს მისი სადგური
საით, ან რომელს კუთხეზედ არი, —
ისე მე ვქროდი ცის სივრცეშია
გზადაკარგული, დღეგანამწარი.



არ განვაგებდი დიდხანს კაცთ გულსა,
 ცოდვა-ბოროტის ჩაგონებითა.
 მაღალს და კეთილს ტალახსა ვცხებდი,
 ვიხსენიებდი მე გინებითა.
 ბოლოს ჟამს ცეცხლი წმიდა რწმენისა
 აგანთე მალე ქვეყნისა გულში.
 და ან კი ღირდენ ამ ჩემ შრომადა
 მხოლოდ ორპირნი, სულელნი, მრუშნი
 ავდექ, მოვმართე მთა-ხეობათა,
 ვეხეტებოდი აქეთ-იქითა;
 იქ მგზავრი ერთი ღამით, ბნელაში
 მოვატყუილე ცეცხლის შუქითა.
 გადაიჩეხა ცხენითურთ კლდეზე,
 ეძახდა კაცთა იგი შველასა...
 გვერდობი, დეღე, სადც ის გადვარდა,
 ეღება სისხლსა წითელ ფერასა...
 ბოროტის საქმით თავის შექცევა
 ჩემს წყლულსა ჰშველდა მაინც ვერასა.
 ტან შემოსილი ბევრჯელ ელვითა
 შავს ღრუბლებს შორის ქარივით ვქროდი.
 ეს საშინელი ბუნების წყრომა
 ჩემს გულის ვარამს ეწამლა როდი!
 მითც შავი ფიქრი თანვე დამდეგდა,
 დაუვიწყარსა ვერ ვივიწყებდი.
 რაა ხალხისა უბედურება
 მომავლისა და წარსულ თაობის?
 ღირსიც არ არის შესადარებლად
 ერთს წამთან ჩემის ტანჯვა-წვალების!
 რა არის ხალხი? მისი ცხოვრება?
 მოჩვენებაა... წარმავალია.
 იმედიცა აქვთ: რომ საიქიოს
 ის არ წაწყმდება, ვინც მართალია.
 ჩემი ყოფნა კი უიმედოა,
 უცვალებელი, მუდამ ჟამს ერთი
 და არც ექნება მას დასასრული,
 მინამ ქვეყანას განაგებს ღმერთი.
 ვერ დაისვენებს ის სამარეში!
 როგორაც ცეცხლი, ისე მწვავს, მდაგავს,

ვით საფლავის ქვა, ისე მაწვება,
 ზან გველივითა მეხვევა, მხვლანჯავს
 და დაკარგულის ბედის ნაშთზედა
 ტანჯვა-ვაების უკვდავ ძეგლს ჰმართავს.

თ ა მ ა რ ი

თუმც საუკუნოდ მშვიდობას ვკარგავ,
 ვინცა ხარ ჩემი გარდნაკიდარი,
 ყურს გიგდებ ჩუმის სიამოვნებით,
 ნუ მომატყუებ, სწორედ მითხარი.
 ვაი, თუ ენით ტკბილმოუბარი,
 გულში კი ღალატს, შხამსა ჰმაღავდე.
 გთხოვ შემიბრალო! რა სახელია,
 სწყალის ქალის სულსა სძალავდე!
 ან ჩემი სული შენ რისთვის გინდა?
 ნუთუ მე ძვირად უღირვარ ცასა?
 რამდენი არის ტურფა, ლამაზი,
 შენ კი ვერ ამჩნევ ჩემ გარე სხვასა!
 მომაკვდავის ხელს არ გაუხსნია
 იმათს მკერდზედა ზურმუხტის დილი.
 არა! მომეცი შენ ფიცი მტკიცე!
 ხომ მხედავ, ვდნები ჯავრით, ვით ცვილი.
 შენ კარგად იცნობ ქალის ოცნებას,
 შიშსა სულისას ეაღერსები...
 სულ ყველა იცი, გაგებული გაქვს,
 იმედიც მაქვს, შაგებრალეები.
 ფიცი მომეცი, ბოროტებაზედ
 ამიერიდამ აიღებ ხელსა;
 ნუთუ ქვეყნადა არც ფიცს, არც აღთქმას,
 ველარ შევხვდები დაურღვეველსა!..

ქ ა ჯ ი

პირველ დღეს ვფიცავ ქვეყნის შექმნისას,
 უცანასკნელსა ვფიცავ მის დღესა,
 ცოდვის ჩამდენის სირცხვილსა ვფიცავ
 და გამარჯვებას სიმართლისასა.
 ვფიცავ დაცემის მწარე ტანჯვათა
 გამარჯვებისა მცირედსა ჟამსა.

ეხლანდელს შენთან შეყრასა ვფიცავ
და მომავალსა გაყრისა წამსა.
ჩემს ქვეშევრდომთა სულებსა ვფიცავ
და უვნებელთა ანგელოზთ ხმლებსა, —
ჩემს დაუცხრომელს მუდამყამს მტრებსა.
უკანასკნელად შენს ნახვას ვფიცავ,
ძირს ჯოჯოხეთსა და მალლა ცასა.
შენს სახელს ვფიცავ, ქვეყნის სიწმიდეს,
პირველად დაღვრილ შენთ ცრემლთა ნაქაა,
სათნოიანსა შენთ ბაგეთ სუნთქვას,
შენს ზღვასავითა მღელვარეს თმასა.
ნეტარებას და ტანჯვასა ვფიცავ,
სიყვარულისა ჩემისა მადლმა,
უარ მიყვია მე ძველი შური,
კაცთ შემარიგა აწ გულისთქმამა!
ამიერიდამ ცოდვილთ ფიქრთ შხამი
აღარ მიიღოს არავის ჭკვამა!
მწადს შევურიგდე ისევაც ცასა,
მწადის შევწირო ლოცვა უფალსა.
სინანულითა გადავირეცხავ
შუბლიდამ ციურ ცეცხლისა კვალსა
და ქვეყანაცა დასვენებული
მე ველარ მომკრავს ველარსად თვალსა.
მერწმუნე: მარტომ მე დაგაფასე,
შემოგვევლები კიდევაც თავსა.
ჩემს სალოცავად შენ აგირჩიე,
შენ შემოგწირავ ღონეს და ძალსა.
თუ სიყვარულით დამასაჩუქრებ,
საუკუნეთა გაგიცვლი წამში.
სიყვარულშიაც შეუდრკელი ვარ,
ვით ცოდვის ქმნაში, მტერობის ჯავრში.
ჰაეროვანო, ჩემო ლამაზო,
მხრებზედ შეგისვამ, აგაფრენ ცაში.
მეფედ იქნები ამა ქვეყნისა
და ჩემს მეგობრად, — არ გაგცვლი სხვაში.
შეუბრალებლად, გულგრილად ციდამ
დაუწყებ დაბლა მიწას მზერასა,
სადაც ბედნიერს ვერავის ჰპოვებ,
ვერ ჰპოვებ უცვლელს შენს შვენებასა;



სადაც ცოდვები მხოლოდ მეფობენ, —
წვრილმანი ვნება არის სასჯელი;
სადაც უშიშრად არ ძალუძთ მტრობა,
არც სიყვარული დაუზაკველი.

ნუთუ არ იცი? მითხარი, რაა
კაცთ წუთიერი, მჰლე სიყვარული?
ხანი გაივლის, გული ცივდება,
წყრომად ეცვლებათ კაცთ სიხარული.

ხატროფო სატროფოსა დაუძველდება,
ახალს რა ჰპოვებს სილამაზესა,
თვით ბუნებისა კანონი არის
და ოცნებისა ცელქობა ესა.

არა, ლამაზო, არ მემეტები,
რომ მონად იყო ამ ვიწრო წრეში,
ფლიდს და ბოროტსა მეგობართ შორის
მუდამ ჟამს შიშს ქვეშ, — ვერ სცნა ნუგეში,
ოთხს კედელს შუა ვნება დასთრგუნო,
ეხვეწო ღმერთსა, — იგვემო ლეში,
ღმერთს და ქვეყანას დაშორებულსა
გაგჩლუნგებოდეს ეგ გული მკერდში.

არა, ლამაზო, შენ სხვა მოგელის,
სხვა სატანჯველი, სხვა ნეტარება:
ძველი წადილი და ეს ქვეყანა
უარი ჰყავი, ნუ გეზარება;
აგიჩენ საგანს სანეტაროსა
სხვას, ამის ნაცვლად, ნუ გედარდება.

ჩემთა მსახურთა სულების გუნდსა
დავამხოვ ერთად შენს ფერხთა წინა, —
მოახლედ გრძნეულთ, ჰაეროვანთა
რამდენსაც მეტყვი, რამდენიც გინა.

აღმოსავლეთის ვარსკვლავს გვირგვინსა
შენის გულისთვის მოვხდი თავითა,
შუაღამისას ყვავილთ ნამს ავკრებ
და მოვრწყავ უხვად იმა ნამითა.

დასავლეთისა ჭიაფერ სხივით
გაგასხივოსნებ, შეგიმკობ ტანსა;
ტკბილ სუნნელებით ავავსებ ჰაერს,
შენს გარეშემო მთასა და ბარსა.

საკვირველის ხმით სმენას დაგიტკობ
ყოველს საათსა და ყოველს წამსა.
აგიგებ მდიდრულ სრა-სასახლესა
ძვირფას თვლებისას ფირუზ-ქარვისა;
ზღვის ძირში ჩავალ, ღრუბელთ ავცდები,
გადავფრინდები ცას იქით ქარად.
მხოლოდ ამას გთხოვ, რომ შემეყვარო
და არ დამტოვო მე ცოცხალ-მკვდარად.

11

წყნარადა ქაჯი ათროლვებული
შაეხო ბაგით ქალის ბაგესა:
ქალი ხვეწნითა ველარ გაღურჩა
მაცდურის ქაჯის გრძნეულს მახესა.
მძლავრსა თვალებსა თვალებში უყრის,
სწვავდა, სდაგავდა ვით ცეცხლის ალი.
დაპლიპლიპებდა ქალსა თავზედა
ხელშეუქცევი, როგორცა ხმალი.
ვაჰ, გაიმარჯვა ბოროტმა სულმა!
მომაკვდინებმა მის კოცნის შხამმა
მოჰწამლა ქალის უმანკო გული
და დაარღვია ღამის სიჩუმე
ქალის წვალების და ტანჯვის ხმამა.
აი ხმაში სჩანდა საამო ტანჯვა
და სამღურავი ხვეწნა დართული
და სამუდამოდ გაწბილებული
ყმაწვილქალობა აწ დაკარგული.

12

თუჯის ფიცარი მსახურთ ხელთ ეპყრა,
გალავნის გარსა ვიდოდა მარტო.
უცბად მოუკლო მოხუცმა ნაბიჯს,
ქალის სენაკთან რა მიღვა ახლო.
ყური დაუგდო... რა მოელანდა?
შესდგა კიდევაც, რა გაეჩქარა.
თუჯის ფიცარსა შეძრწუნებულმა
ცახცახით ხელი ზედ დაათარა.

მას მოეჩვენა, რომ მყუდროებას
არღვევდა ქალ-ვაჟთ კოცნა-ალერსი
და თან გულისა შემადრწუნები
კენესა სუსტის ხმით ვნებით ნალესი.
ცოდვილმა ფიქრმა მას გაურბინა
და გულშიაცა აღედრა ეჭვი.
მაგრამ ერთბაშად მისწყდა ის ხმაცა,
მოხუცმა მალლა აილო ქედი.
ქარი არხევდა გარშემო ხეებს,
ფოთლებს გაჰქონდა რხევა-შრიალი,
თითქოს კიდევებს ეჩურჩულება,
ისე ისმოდა ხევის ჩხრიალი.
შედრწუნებული კვლავ გაეჩქარა,
რომ წაიკითხოს მალე კანონი
და მოიცილოს ეშმაკეული
ფიქრი და ეჭვი შეუწყალონი.
აღელვებულსა იგი მკერდზედა
მთრთოლარეს ხელით ისახავს ჯვარსა
და იმედი აქვს განკურნებისა
და უფალს შესძღვნის ვედრებას წყნარსა.

13

ვით ანგელოზსა საყვარლად, მშვიდად
თამარს კუბოში ისე ეძინა.
სვეტად ნათელი, ცით მოვლენილი
პიცვალეებულსა შუბლზედ ეფინა.
სამუდამოდა თვალნი ეხუჭნეს,
ხშირნი წამწამნი თვალთ უფარავდენ
ან დღის, ან კოცნის მომლოდინეთა
თავის ჩრდილითა დაუმალავდენ...
ამაოდ დილის ბრწყინვალე შუქი
დაჰფოფინებდა იმათ თავზედა.
ამაოდ ბაგე მის ნათესავთა
ეკონებოდა ამ თვალებს ზედა.
ვინდა რას უშველს, როს კაცი კვდება
და სიცოცხლისა წამები ჰქრება?!

არც როს თამარი, სალხინოდაც კი,
 არა ყოფილა ასე მორთული:
 გულ-მკერდი უხვად მშობელ მიწისა
 ყვავილებითა ჰქონდა მორწყული;
 მინდვრის კეკლუცთა, მრავალფეროვანთ
 ტკბილ სუნნელებით შაემკოთ გული.
 ხელშიაც ეპყრა კონა ყვავილთა,
 ნიშნად მიწასთან გამოთხოვების
 და სახეზედა ნიშანი ვნების,
 მოტყუებულის სიამოვნების.
 სახე ქალისა, ვით სიცოცხლის დროს,
 მშვენიერებით იყო შემკული,
 ვით მარმარილო უგრძნობ-უენო,
 ოსტატის ხელით ქანდაკებული.
 ღიმილი უცხო და საკვირველი
 შეენარჩუნა იმის ბაგესა,
 ბევრს სამწუხაროს ამბავს ეტყოდა
 იგი ფხიზელის კაცის თვალებსა.
 იმ ღიმილშია იხატებოდა
 შავის ბედისა მდურება გმობით,
 ამ სოფლის მიმართ უბმოდ, უსიტყვოდ,
 ფიქრით ნაძღვნევი: იყავ მშვიდობით!
 ფერფლი სიცოცხლის დაკარგულისა,
 თამარი ჰგავდა ასჯერ მოკლულსა
 და ამით უფრო ღრმადა ჰკოდავდა
 თავის მნახველის სულსა და გულსა.
 ეგრედ მზემ იცის საღამოს ჟამსა,
 თითქოს დაღნაო თავის სხივებში,
 მოეფარება კავკასის ქედსა,
 დაილუპება ქვეყნის სივრცეში,
 მაგრამ მის სხივსა უკანასკნელსა
 შეირჩენს თოვლი მადლისა მთისა
 და, მწუხრის ბინდით დაპირბადული,
 შორიდამ მოსჩანს, ნელ-სხივობს ისა,
 ვაჰ, რომ ეს სხივი ცოცხალ-მკვდარია
 და უდაბნოში ვერ აწვდენს ხმასა:
 გზას ის ვერავის ვერ გაუნათებს,
 დადუღებული თოვლიანს მთასა!

გროვად ნაცნობნი და ნათესავნი
 შეჭირვებულნი გაუდგნენ გზასა.
 გულს იმჯილავდა მოხუც გუდალი
 და იწიწკნიდა ჭალარას თმასა.
 უკანასკნელად შეჯდა ლურჯაზე
 და გაემგზავრენ ყველანი ერთად,
 სამს დღე-ღამესა უნდა იარონ
 გზასა სამტეროს, საშიშსა მეტად.
 მამა-პაპათა საფლავებს გვერდით
 ქალს გაუთხარეს სამარე მათა.
 გუდალს ჰყოლოდა წინაპართაგან
 ერთი მეკობრე, მრბეველი მგზავრთა;
 როს მოუვიდა აღსასრულის დღე
 და საუბარი გაუბა მკვდართა, —
 აღუთქვა თავის სასულიეროდ
 ტაძრის აგება მაღალსა მთაზე:
 სადც განუწყვეტლად ქარი გრიალებს,
 მხოლოდ არწივი ფრთასა სცემს ფრთაზე.
 მალე მყინვარის ყინულებშია
 აგებულ იქმნა მარტოდ ტაძარი
 და ძვალთა იმა ბოროტ კაცისა
 იქ მოიპოვეს თავშესაფარი.
 მას აქედ ის კლდე — ღრუბელთა სწორი —
 სასაფლაოდ დადებულა,
 თითქოს სამარე ცის სიახლოვეს
 უფრო საამო, უფრო თბილია;
 თითქოს ქვეყნისა მოშორებითა
 არ შეშფოთდება ძილი მაგარი.
 აზოდ! მკვდრისთვის არც სიხარული,
 არც მწუხარება აღარსად არი!..

ანგელოზია, აგერ ჰაერში,
 რომ მისრიალებს ქვეყნიდამ ცაში:
 ცოდვილის მხევლის ცოდვილი სული,
 მკერდს მიხუტული უპყრია ხელში.

ანუგეშებდა ქალს იგი სიტყვით,
ექვს მომავალზე მას უკარგავდა,
ჩირქსა ცოდვისას და ტანჯვისასა
ცხარის ცრემლითა ტანზედა ჰბანდა.
შორიდამ ისმის ხმა სამოთხისა, —
მან გაიტაცა ცოდვილის გული, —
ამ დროს ჯურღმულით გაუთამაშდათ,
გზად გაღედობათ ბოროტი სული.
ვით ქარიშხალი, ის მძლავრი იყო
და ელვის მსგავსად სახის მჩენია,
მან უსირცხვილოდ ანგელოზს უთხრა:
„საითკენ მიგყავს, ქალი ჩემია?!“
თავის მფარველის გულს მიეხუტა
თამარის სული ლოცვა-ვიშითა,
მთლად ცახცახებდა და კანკალებდა,
რა დაინახა, იმის შიშითა;
მომავლის ბედი დღესა სწყუდებოდა,
მაგრამ დღეს იმას ვინღა იცნობდა?
როგორ ბოროტად იცქირებოდა
და შხამს მტრობისას თვალით აფრქვევდა!
დაუსაბამოს მტრობას და წყევლას
გამოიტყოდა თვალები მისი,
ბნელსა და ცივსა სამარეს უგავს
გაშეშებული კვლავ სახე მქისი.
„გამშორდი, წადი, ურწმუნოვ სულო“,
ეუბნებოდა შიკრიკი ცისა:
„დიდხანს სტკბებოდი გამარჯვებითა,
საქმეს გაარჩევს დღეს მსჯავრი ღვთისა:
და კეთილადაც გადასწყდა ისა!
განსაცდელისა ჟამი წავიდა
და ხორცთან ერთად ბოროტიც გაქრა,
ბოროტებისა ხუნდი აეხსნა...
აქას ჩვენ დიდხანს ველოდით აქა.
თამარის სული იმათგანია,
რომელთ სიცოცხლის ყოველი წამი
არის მხოლოდა ტანჯვა, ვაება,
უნუგეშობა, წვალება, შხამი.
საუკეთესო მასალით ღმერთმა
დაწნა არსება, მათი ბუნება,

ვერ შეიფერებს მათ ეს ქვეყანა
და არც ისინი მას ეთვისება.
დიდის ფასითა გამოისყიდა
თავისი ცოდვა შეცოდებულმა;
იგი იტანჯა სიყვარულისთვის,
კარი გაუღო მას სამოთხემა“.
აქ ანგელოზმა მრისხანებითა
გადავლო თვალი ბოროტსა არსსა,
მხრები გაშალა გახარებულმა,
გაფრინდა მარჯად, გაეკრა ცასა.
დამარცხებულმა ქაჯმა დასწყევლა
თვის უგუნური ფიქრი, ოცნება,
მოუნდა ისევ დაღონებულსა
უსიყვარულოდ ქვეყნად ცხოვრება.

კაიშაურის ხეობას მადლით
მრისხანედ დასცქერს დიდი კლდე სალი
და შუბის-წვერად მდგარ ნანგრევებზე
დღესაც მიუბრის მოგზაურს თვალი.
აჲ ნანგრევთ ამბით დღესაც დედები
შვილებს შიშსა და ძრწოლასა ჰგვრიან,
ნანგრევები კი თავის წარსულზე
და დიდებაზე ცრემლებსა ჰღვრიან.
შავად ხეები მოიყურება,
დაბლა სოფელი გაშენებულა;
მის არემარე ყოველ მხარეზე
ჰყვავის, სიმწვანით დამშვენებულა.
გაურკვეველი გრგვინვის ხმა ისმის,
ძირს ქარავანნი ვლენ ზარის ყღერით,
ღრუბელთა თავზე გადანადენი
მდინარე ბრჭყვინავს ქაფით და პერით.
ასალგაზდაა მისი ბუნება
სიგრილით, მზით და გაზაფხულითა;
ბუნება ცელქობს, მუდამა ხუმრობს,
უდარდელობით, სიყმაწვილითა.
მაინც მწუხარებს ციხის ნანგრევი,
რა მოიგონებს წარსულსა დროსა,



როგორც მოხუცი ცოლ-შვილ გამწყდარი —
ბედნიერადა სცხოვრობდა როსა.
და უჩინარნი მცხოვრებნი მისნი
უცდიან, ეგებ ამოხდეს მთვარე,
მაშინ ისინი მხიარულობენ
ღ: გაიღვიძებს ბედკრული მხარე.
ობობას თვისი ქსელი გაუბამს,
ზედ დასეირნობს ის განდევილი;
თავის ქსელისა ხელოვნურისა
მკვიდრად ჩაედგა მას საძირკველი.
ფსლიკვების ჯარი ბანზე თამაშობს,
გამოცურდება ხვრელიდამ გველი,—
იმ ნანგრევების ერთგული მცველი,
ხან რგოლებად მოიკეცება,
სან გაიშლება თოკივით გრძელად,
მაშინ ხმალსა ჰგავს ფოლადისასა,
დარჩენილს ოხრად ბრძოლისა ველად.
ნაოხარია აქაურობა,
აღარსადა სჩანს წარსულის კვალი,
საუკუნეთა სვლით შემუსვრილი
მოსჩანს ნანგრევი დღეს შესაბრალი.
აქ იმის მოქმელი აღარვინაა,
სად არს გუდალი, ან მისი ქალი.
მაგრამ საყდარსა კლდის თავზედ მდგარსა,
სადაც მათს ძვალთა განუსვენია,
უფლის ძალითა შავს ღრუბელთ შორის
ობლად გუმბათი დაუჩენია, —
კარისა მცველად სალი კლდეები
დღეს-აქამომდე შაურჩენია.
იმ სალთა კლდეთა მუზარადადა
მრავალ წლის თოვლი თავს ახურია,
ჯავშნად გულ-მკერდზედ სალი ყინული
დიდის ხნიდანვე შენახულია.
მძვინვარე ზვავი დაქანებული,
ყინვას მოუსწრავ, გაჩერებულა,
აქეთ და იქით დაკიდებულსა,
შუბლი შეუკრავს, გაშტერებულა.
იქ დაუდგრომლად ქარი ბობოქრობს,
ჭაღარა კედლებს აშორებს მტვერსა,



ხან ნაღვლიანად დაიღუღუნებს,
ხან გუშაგთ უხმობს: სდარაჯონ მტერსა.
აღმოსავლეთის ესმა ღრუბელთა
გასაკვირელი საყდრის ამბავი:
მოდის მათ გროვა მუხლმოდრეკითა,
ლოცვა-ვედრების გამომსახავი.
დიდი ხანია საფლავის ქვებზე
გლოვა-ზარითა ცრემლს არვინ აფრქვევს,
მხოლოდ მყინვარი თავის კლდეებით
სდარაჯობს მსხვერპლსა, გარს ღრუბლებს ახვევს,
დაუდგრომელი კაცთ სამღურავი
მშვიდს მოსვენებას მათსას ვერ არღვევს.

[1896 წ.]

ქალის მთა

(ლეონიდ ობოლენსკისა)

მოცელქობს ტალღა,
ბანს აძლევს დაღღა,
მშვიდად ლიკლიკებს,
წყნარად ტიკტიკებს,
ამოიოხრებს
და მიიძინებს.

დუდუნებს ვოლგა,
თავს ადგა ქოლგა
ლურჯისა ცისა.

შავისა ტყითა
გარემოცულა
ნის გორაკების
მიდამო სულა
და ვაჭრის გემი
ზედ გამოსულა.
მოსცურავს ნელა,
საშინლად ბნელა.

*

აღელვდა წყალი,
ასტეხა ოხვრა
და ერთმანერთი
ზვირთებმა მოსრა.
წყალსა ამღვრევენ,
ტალღებს არწევენ,
ვინაც დამრჩვალა,
ქაფად ტივტივებს
მათი ჭაღარა.

გემის პატრონსა
ალექსი ჰქვიან,
გასცქერის შორსა
(ნისლები ღიან),
გემის ბაგეზე
მწვიდად მდგომარე,
თუმც სახე უჩიანს
რადღაც მწყრომარე.
ნისლებში მოსჩიანს
ძლივას ქალის მთა.
მაზედ ნაძვის ტყე
სჩიანს, ვით ყორნის ფრთა.
არ შეუძლიან
არვის სიტყვის თქმა...
ამ მთას მგზავრები
რადღაც უფრთხიან,
შიშით მოცულნი
შორს გაუვლიან.

*

მთისა წვერზედა,
ობოლს სერზედა,
ანთია ცეცხლი
გაჩაღებული
და შავს ზვირთებში
ჩანათეიული
კაშკაშებს ალი,
იქ, თავის ლაშქრით
ქეიფობს ქალი
ყაჩაღი, ლალი,
თავისუფალი.
იქითკენ მიტომ
გასცქერს ვაჭარი,
იქ ეგულეზა
ფირალთ საფარი.
საცაა ქალი
დასძახებს ლაშქარს:

„აბა, ბიჭებო,
მტერს გულს ლახვარი!“
მაინც არ ჰკრთება,
ელის მტრის შეყრას,
იმ ყაჩაღ ქალთან
ბრძოლას და შებმას.
დიდი ხანია
ჰფიქრობდა მასა
და ამისათვის
ჰლესდა დანასა,
რომ დაემარცხა
ქალი ლაშქრითა
და ესახელა
თავის ამქრითა.
უძგერს მას გული,
არ ახსოვს ფული.
სიკვდილ-სიცოცხლის
წამი დგებოდა!
თვისი ცოლ-შვილი
აგონდებოდა.
ცოლის სახეზე
ცხარე ცრემლები, —
პირმომცინარი
წვრილი შვილები.
„მშვიდობით ჩემო
ლამაზო ნატო,
იქნება მოვკვდე,
ველარა გნახო;
გთხოვ, ცოდვებიდან
რომ მააზნატო.
იქნებ ზოგჯერა
აღერსს ვაკლებდი,
უსამართლოდაც
ბევრჯელ გარბევდი,
შენს სიმშვიდესა
ვერ ვაფასებდი.
და თუ ცოცხალი
დავბრუნდი კიდე,
მთელი მიწაზე

ნულაო ვვლიდე,
თუ შენ ურიგო
მე გითხრა სიტყვა,
გინალამც გცემო,—
მათრახი გირტყა“.
მოცელქობს ტალღა,
ბანს აძლევს ღალღა,
მშვიდად ლიკლიკებს,
წყნარად ტიკტიკებს,
ამოიოხრებს
და მიიძინებს.

*

არა გვიანობს,
მართლდება ფიქრი,
ბრძოლის დროს დგება
აქ გასაჭირი.
წყალზე ფირალთა
ნავები კრბება,
ჩუმად მოისმის
ნიჩფების ჩქეფა,
მას დაეთრგუნა
ტალღების ყეფა.
ახლოს მოვიდა
მტრის ლაშქრის კრება,
ყაჩაღი ქალი
წინ მოუძღვება.
აგერ, გაისმა
მის ხმა მაგარი:
„აბა, ბიჭებო,
მტრის გულს ლახვარი!“.
გავარდა თოფი,
განათდა არე,
თითქოს ვოლგიდან
ამოღის მთვარე.
ეს ვაჭრის თოფის
ხმა იყო მწარე.
ახლა სხვა თოფებს

დასტაცა ხელი,
წამლის ბოლისგან
განათლა ველი,
იძაბებოდა,
როგორაც გველი.
ამხანაგებმაც
უჭირეს მხარი.
ბრძოლაა ფიცხი,
ომია ცხარი.
მდინარის ზვირთებს
ჰღებს სისხლის ღვარი.
ამ ვაივაგლახს,
თოფების ხმასა
გვრგვინვით ბანს აძლევს
ტყე, მთა და ბარი.
დიდხანს ებრძოდა
ერთმანერთს ჯარი...
გაფთხა, გაიქცა
ქალის ლაშქარი.
ვასილისა კი
მარტო აქ არი,
სდგას, როგორაც კლდე,
ციხე მაგარი.
ეწვება მტერსა
კატარღა, ნავი,
არ უღუნდება
ყაჩაღ ქალს მკლავი.
მრისხანებს, ისმის
ხმა მისი მძლავრი:
„ამხანაგებო,
სად გარბით, სადა?
ქუდი რად გხურავთ,
ხმლებს ირტყამთ რადა?!
ფუჰ, თქვენს კაცობას,
შეგირცხვათ ხმლები,
საით გაჰრბიხართ,
როგორაც თხები?
თუკი არ გედვით
საგულეს გული,

რისთვის დაარქვით
თავის თავს თული?“
აღარ უსმენენ
ფირალნი ქალსა:
გარბიან ტყეში,
მოეცნენ მთასა.
ვაჭარმა იცნო
ქალი ხმაზედა
და მოკაშკაშე
ცეცხლის აღზედა
უმიზნა თოფი:
მოსტეხა ხელი.
დაიჭრა ქორი,
დაიჭრა შველი.
ჩამოეკიდა
ხელი მარჯვენა,
თვისი ძანეობა
ველარ აჩვენა.
თოფი დაჰვარდა
ხელიდან ქალსა,
მაინც არ ჰკარგავს
მხნეობას, ძალსა.
მოცელქობს ტალღა,
ბანს აძლევს დაღღა,
მშვიდად ლიკლიკებს,
წყნარად ტიკტიკებს,
ამოიოხრებს
და მიიძინებს.
„ყოჩად, ვაჭარო,
მაჯობე შენა.
მომტეხე კიდევ
ხელი მარჯვენა.
დავმარცხდი ლაშქრით,
დამეწვა გემი.
შენს სახელს იტყვის
რუსეთის თემი.
მაჯობე ხომა
და მოდი ბარე,
გმირულის მკლავით

დღე გამიმწარე.
არ მინდა მოვკვდე
ლაჩარის მკლავით,
არც მსურს სიკვდილი
წვალება-ტანჯვით.
მიტომ გთხოვ თოფი
რომ დამცე გულში,
სინხლმა იდინოს
უხვადა წყულში“.
სთქვა რა ეს ქალმა,
გადიხსნა მკერდი:
„დამეცი თოფი,
ამასა გვედრი!“
აღექსი ჰხედავს,
სროლას ვერ ჰხედავს, —
უშიშრად უდგას
წინ ქალის სახე
და მან დაუგო
ვაჭარსა მახე.
შავი თვალები,
ტუჩები ლალი,
წარბი, წამწამი —
ღრუბელთა ჯარი
და ბაგე მისი —
სამოთხის კარი.
მეტად ტურფაა
ყაჩაღი ქალი.
სდუმდა ვაჭარი
ზეზე გამხმარი.
თვალთ დაუბნელდა,
დაჰკიდა თავი
და მოუღუნდა
იმწამსვე მკლავი.
დამარცხებულსა
თვით სთხოვა ზავი.
„შენი ტყვე ვარ მე,
ქალო ლამაზო,
შეუღრეკელო,
ტურფავ და ნაზო.

ვერ გამაკვირვებ
ტანთ სამკაულით,
არც ისე ძლიერ
სილამაზითა,
როგორც მატყვევებ
შეუდრეკლობით,
თვალთაგან ნაფრქვევ
სიმამაცითა.

სიკვდილმა, ქალო,
ვერ შეგაშინა,
თუმც ხმალ-მოწვდილი
გედგა თვალწინა.

შენ მაინც წყნარად
გელიმებოდა,
სამარის კარს მდგომს
გეცინებოდა.

რა გნახე, გული
მომტაცე მყისა,
ქალო ლამაზო,
ასულო მზისა.

ტყვე ვარ დღეს შენი,
რაც უნდა ჰქმენი.

შენ ვერ გაგწირავ,
თავს შემოგწირავ.

თუ არ მიიღებ
სიყვარულს ჩემსა,
სიტყვას არ გეტყვი
მე აღარც ერთსა.

მოვიკლავ თავსა,
დავსწყევ დღეს შავსა.

რომ დაგინახე,
ჩემი ბუნება

გადაფერილი
სხვას მეუბნება:

ჯანდაბას სახლი,

ჯანდაბას ცოლი

მოსიყვარულე,

მშვიდი, მორჩილი,

ჯანდაბას შვილნი

ობლად შთენილნი.
ჯანდაბას სარფა,
ჯანდაბას ფული —
ვაჭარის ხალხის
სული და გული!
მაგრამ მაქვს შენთან
მე სათხოვარი:
მსურს გავუგზავნო
შინ სახსოვარი —
ერთი კატარღა
ფარჩა, შალეები;
გაიხარებენ
ჩემი შვილები;
რომ არ დამწყევლონ,
მღვდელს აწირვინონ.
აუნთონ ხატებს
ჩემთვის სანთელი,
მოიხსენიონ
თვისი აღმზრდელი“.
მოცელქობს ტალღა,
ბანს აქლევს დალღა,
მშვიდად ტიკტიკებს,
წყნარად ლიკლიკებს,
ამოიოხრებს
და მიიძინებს.
—შენ ამბობ ცოტას,—
ეტყოდა ქალი, —
გავგზავნე მთელი
ფარჩა და ლალი.
შენი ვარ მაინც,
ვფიცულობ ღმერთსა,
ამიერიდამ
და ყოველ ჟამსა.
არ დაგანებებ
არადროს თავსა.
წაგიყვან ჩემთან,
ჩემ საწყალ ქოხში,
არ მინდა შეხი
არც ერთი გროში.

არავის მივეც
აქამდის გული,
დავრჩი უმანკოდ,
დავრჩი ქალწული
სამეკობროდა
აქ წამოსული.
დღეს ღმერთმა მომცა
მე შენი თავი
და უნდა შენთან
ვიქონო ზავი.
აგერ, წავიდეთ
იმ ქალის მთასა,
იხილავ ჩემსა
სახლსა და კარსა,
დღეს ის შენია,
შენ ხარ ბატონი
და მასთან ერთად
ჩემი პატრონი.
ყველა შენ გქონდეს
ოქრო და ვერცხლი.
გთხოვ, არ მომიღვა
მხოლოდ გულს ცეცხლი:
გთხოვ, არ იკითხო
ჩემი წარსული,
ტანჯვა-ვაებით
გარემოცული, —
საიღამა ვარ
და ან თუ ვისი,
არ მკითხო, თუ გწამს,
შენ სახე ღვთისი.
მე ვასილისა
მქვიან სახელად,
„ქალი გლეხისა...“
მიჭირს სათქმელად.
თუ მეტის ცოდნას
შენ მოისურვებ,
მაშინ იცოდე,
რომ მომიმღურვებ.
პირობაც ჩვენი

გაჰქრება წამსა
და ვერც კარგ საქმეს
დაჰმართებ თავსა.
თავისუფლება
მიყვარს ძლიერა,
მიტომ ვესტუმრე
ამ მთას მშიერა.
თავისუფალი
მინდა რომ მოვკვდე,
არ მინდა ერთს წამს
რომ იმას მოვსცდე.
სხვას ყველას მოგცემ,
მას ვერ, ღვთის მაღლქა.
გახსოვდეს კარგად
ეს ჩვენი აღთქმა“.
მოცელქობს ტალღა,
ბანს აძლევს დაღღა,
მშვიდად ლიკლიკებს,
წყნარად ტიკტიკებს,
ამოიოხრებს
და მიიძინებს.

*

ერთადა სცხოვრობს
ეს ორი ვარდი,
არაფრისა მათ
არა აქვთ დარდი,
სამეკობროდა
ერთად დადიან,
საზარელს საქმეს
ბევრსა სჩადიან
და ნადავლითა
შინ ბრუნდებიან...
წვანან ერთადა,
გვერდის გვერდადა,
ერთი მეორეს
უჩახს ღმერთადა.
გედის ბუმბული

უგიათ ძირსა
და უკოცნიან
ერთმანერთს პირსა.
ერთიმეორეს
თვალებით სჭამენ,
ერთის ყანწითა
ღვინოსა ჰსვამენ,
ერთურთის სურვილს
მითც ვერ იკლავენ.
გავიღენ წელნი,
ჩაჰბარდენ ჟამსა.
ვოლგამაც ბლომად
მიართო ზღვასა
თვისი ტალღები
მძიმე, ლაღები.

*

ბედი კაცისა
ცვალებადია,
ვით რიყეზე ქვა
უმწეოდ ჰგდია;
დღეს აქა ვხედავ,
ხვალე სხვაგანა,
ნალევ, ნაგალსა
მას წყალთაგანა.
აღექსოს გულში
აღეძრა შავი
ფიქრები ბნელი,
გრძნობები მწვავი.
მას აგონდება
ცოლ-შვილი თვისი
და ნატოს სახე —
ნათალი მზისი.
მის თვალებიდან
ცრემლები დიან,
მისი ღაწვები
ჰკრთებიან, თრთიან
და მის შვილებსა,
ვინ იცის, ჰშიან.

რაც ხანი იგადის,
მით უფრო ხშირად
ლექსოს ისინი
მოსდიან პირად,
მის გონებაში
ფასობენ ძვირად,
მიებრძვის გული
იმათ საშველად,
დაობლებულთა
კვლავ მოსალხენად.
მოაგონდება
ცოლის თვალები,
მისი მშვიდი ხმა
შესაწყალები
და ქორწინების
პირველ წამები,
როცა ორნივე
იყვნენ ხამები
და ქურდულადა
როცა ხუმრობდენ,
ხალხში კი ერთად
არა უბნობდენ.
ალექსო ფიქრობს:
ნატალას სახეს
ვინ იცის ეხლა
რა ფერი აძევს.
განაცრებული
იქნება ფერით,
დაბრმავდებოდა
ცრემლისა დენით
და ჩემს მისასვლელ
გზისაკენ ცქერით.
რა ამას ჰფიქრობს,
თრთის ის და შიშობს,
როდღია მოსწონს
მას თვალმაყვალა,
რომ დაიმონა,
ეგრე დაძალა.
ემწარვის ქალის

კოცნა, ალერსი,
ჯავრითა კვდება
ჩვენი ალექსი.
სახეს გადევკვრის
შავი ღრუბელი
და გულს უქენჯნის
ვაჭარს ნაღველი.
მუშტებსა ჰმუჭავს
და კბილებს აღრჭენს,
თუ ჰკითხა ქალმა
მიზეზი დარდის,
როგორც ნადირი,
ისეთი დადის.
აიშლის ჯაგარს,
თვალთ აბრიალებს
და დიდს ცოდვა-ბრალს
დაატრიალებს.
თუ მექარავნეთ
წააწყდა თავსა,
ბევრს სჩადის მაშინ
საქმეებს ავსა.
მომაკვდავთ კვნესა,
ოხვრა, ტირილი,
არის სალხინო
მღერა, სიცილი
მისთვის ამ ჟამად.
სხვა კიდევ ფიქრი
აწევს გულს შავად:
როგორა ჰბედავს
ქალი თავხედი
სრულად არ მისცეს
მას თვისი ბედი.
ამ ფიქრის გამო
თავს ესხმის რეტი.
რისთვის მიმალავს
თავის წარსულსა,
არ მაგებინებს
თვის ამბავს სრულსა?
პირობას მართმევს,

კიდევ მაფიცებს,
ჩემის აღთქმითა
ამ პირს ამტკიცებს!
ერთხელ ნადავლით
დაბრუნებულთა,
ჯერ გაუყრელთა,
ისევ ერთგულთა,
ერთად ეძინათ,
ბევრი ერბინათ.
ლაწვი დაედოთ
ერთად ლაწვზედა
და ქალს ეძინა
ვაჭრის მკლავზედა.
მან ბოდვა იწყო
ლოცვის ხმაზედა,
ესმის ვაჭარსა
სიტყვები ცხადად:
„ბატონო! რად სცემ
ვანოსა, რაღა?
რამ გარდაგიქმნა
ეგ გული ქვადა?
იქნებ სიცოცხლე
მოგწყინდა, — მაღა?!
ვანოს საშველად
აქა ვარ მზადა!“
რა დაამთავრა
სიტყვები ესა,
ქალს გაეღვიძა,
ამოიკვნესა.
შემკრთალი ქალი
წამოჯდა ზეზე,
თუმც არ ამღგარა
ამჟამად ფეხზე.
დამფთხალის თვალით
იხედავს გარე,
გამოარკვია
სიზმარი მწარე,
დაეტყო მშვიდი
ღიმილი ფერზე

და მკერდით სატრფოა
დაეყრდნო მკერდზე.
ფრიად აღელდა
ვაჭარი მასზე,
ბრაზი დაეტყო
მაშინვე ხმაზე:
„ამ ჩემს მკერდზედა
ვის ჰგონებ, ქალო,
ეგ ვინ ვანო გყავს
შენ სატრფიალო?!“
ქალმა მიჰმართა
ხელი დანასა:
„სიტყვას რად ამბობ
მაგისტანასა?
რად გავიწყდება
პირობა შენი,
ჩვენგან შეკრული
და დანასკვენი?
ხომ არ მოგწყინდა
სიცოცხლე, კაცო,
თავისუფლების
ჩემისა მტაცო?!
მოგწყინდი და გსურს,
რომ ჯვარზე მაცო?
მე მომაგონდა
წარსული რამე,
ერთი დროება
და ერთი ღამე...“
არ დაათავა
სიტყვა ეული,
ენას ძლივს აგებს,
როგორც სნეული,
აუცახცახდა
მთელი სხეული,
ამოქვითინდა
უსიტყვოდ ისა,
გარეთ გავარდა
მემკვიდრე მთისა...

ბნელოდა კარში,
ცა არ სჩანს ცაში.
გავიდა კვირა,
გავიდა ორი.
ქალის ამბავი
არ იცის სწორი,
ამ ამბავს ვეტყვისთ
მხოლოდ მთა-გორი,
ვოლგა, ტყე შავი,
მხვივანი ქარი
და კლდე, სალი კლდე,
ვოლგის პირს მდგარი.
ქალი დაბრუნდა
სახლში გამხდარი,
ჩამოგლეჯილი,
ჩამოწეწილი,
ხელ-ფეხიდანა
სისხლი სდიოდა,
თვალთაგან ცრემლი
ჩამოსდიოდა.
რაკი გაუწყრა
ქალი ვაჭარსა,
ისიც იმზადებს
გულში ხანჯარსა.
დარბის გიყვივით
წყლის პირზე ტყეში.
ეძებს, ეძახის
მოხრილი წელში.
„ნეტავი მკვდარი
მაინც ვიპოვო,
მკვდარს მაინც ეგებ
შენდობა ვსთხოვო
და სამუდამოდ
გამოვეთხოვო.
მასთან ერთადა
მეც დავიმარხო,
ახ, როგორ მიხდა

თვალითა ვნახო“.
მოსთქვამდა შმაგი
ამას ალექსი,
ხელში ეჭირა
ხმალი ნალესი.
რაკი დაბრუნდა
შინავე ქალი,
აღაპყრო მანაც
მისაკენ თვალი,
მაგრამ ვერ ამბობს
სიტყვასა ერთსა,
მხოლოდ თვის გულში
მადლს სწირავს ღმერთსა.
ატირდა მწარედ,
დაემხო პირქვე
ქალის ფეხებთან,
ქვითინებს იქვე.
„გთხოვ მაპატიო,
ლამაზო ჩემო“.
„აღექი ზეზე
მე არა გცემო.
აწ მოგიტევე
პირველი წყენა“.
ასწია, ზეზე
წამოაყენა.
დაუწყო ქალმა
თვალეებში ცქერა,
ხელი მოჰხვია
და მოეფერა,
გულზედა თავი
დაადო წყნარად,
ზედ დაადინა
ცრემლები ღვარად
და არა თქმულა
სიტყვა იმ ჟამად
საამო შეყრის
ბედგასამწარად.
მაგრამა ქალი
აღარ არს ისა,

ნაზი ყვავილი
ლამაზი მთისა.
შეჰმცირებია
ნება გულისა,
თითქოს ჩამქრალა
თვალები მისა,
არეს არ ატკბობს
სიტკბო მის ხმისა,
რომ გააღვიძოს
ვოლგა მძინარე,
მისნი კიდენი
ყრუ და მძვინვარე.
გაუქრა ქალსა
სახეზე ალი,
ალარ ეტყობა
სიტურფის კვალი,
ყველაც შეატყობს
დარდი აქვს დიდი,
ხმაც დაუსუსტდა,
თვითც არი მშვიდი.
და, როცა მარტოდ,
მარტოკა რჩება,
თვალები სადღაც
უფსკრულში ჰრჩება.
გაშეშებული
გასცქერს უფსკრულსა,
ეძებს რაღაცას
იქ დაკარგულსა,
უცინის ვისღაც,
ესაუბრება.
იქ ვის დაეძებს,
ვინ ეგულება?
და მოსთქვამს ამას
შტერობის წამას:
„თავისუფლება
რისთვის დავკარგე?
თავისთვის მახე
თვით მე დავაგე.
ჩვენ ამხანაგნი

არა ვართ ტოლნი,
ამოდ შევხვდით
ერთმანერთს ორნი.
ლექსო კვდებოდა
თავის სარჩოზე
და ეხლაც ფიქრობს
თავის დამრჩოზე,
მას შევუყვარდი
სიყოჩაღითა,
შეუდრეკლობით,
სილამაზითა.
სილამაზე ხომ
გაჰქრება მალე —
დღევანდელ ნათოვნს
მზე აღნობს ხვალე.
ტყუილად მოვსცდი,
ტყვილად ვეწვალე.
ღმერთმა არ მოგვცა
შვილები ჩვენა,
ცოლ-ქმრის კავშირი
მით დაგვემშვენა.
ალექსოს გული
მიიბრძვის შინა,
რომ მოეგებნენ
შვილები წინა,
სწყურიან ნახოს
ცოლი და ბინა.
მე კი არა მაქვს
აღარსად „შინა“.
მოცელქობს ტალღა,
ბანს აძლევს ღალღა,
მშვიდად ტიკტიკებს,
წყნარად ლიკლიკებს,
ამოიოხრებს
და მიიძინებს.

*

უბედური რამ
შეემთხვა საქმე:

ერთხელ ქარავანს
სცარცვავენ ღამე.
ჰხედვენ: დედასა
აკლებულს გემზე
მიჰხუტებოდა
ყმაწვილი მკერდზე.
„ხელი არ აწლო,
აღექსო, ბავშვსა,
საქმეს ნუ იზამ,
გენაცვა, ავსა,
თორემ მოვიკლავ
მეც აქვე თავსა!“
ეტყოდა ქალი
საყვარელ ქმარსა.
გაცხარებულსა,
გამწარებულსა.
არ ესმის ვაჭარს,
აიძრობს ხანჯარს,
დასცემს დედასა,
სისხლი დაიწყებს
წითლად ჩქეფასა.
დაეცა ღედა,
ფართხალობს, კვდება.
პატარა ქალი
ობოლი რჩება.
ყმაწვილმა შექმნა
ღმეჭა, ტირილი,
დედას არ ესმის
შვილის კივილი.
დადუმდა დედის
გულის ტკივილი.
მაგრამ უჩნდება
ბავშვს აქ სხვა ღედა,
ბავშვის ცოდვითა
ტირილით კვდება.
ყაჩაღ ქალს ეპყრა
ხელში პაწია,
ვით ჩიტის ბლარტი,

კურდღლის ბაჭია.
იკრავს ბავშვს გულზე,
მხურვალედ ჰკოცნის
და თან თვალებზე
ცრემლები მოსდის.
ვერ ჰხედავთ, ცრემლი
გამოჩნდა როდის?!
ცრემლნო, აქამდის
იყავით სადა?
რისთვის აღგეძრათ
დღეს დენის მადა?
„შვილად ავიყვან,
ჩემი ქალია,
რა ტურფა არის,
ქვეყნის თვალია!
ოხ, ღმერთო,
როგორ შესაბრალია!
მომეცა, იქით
წაიღე ხელი,
ესეც კაცია,
განა თუ გველი“.
ქალს გულს აენტო
გრძნობები ძველი,
საყვარელსა ჰკრა
ხელი გულს მაგრა.
ვაჭარმაც სილა
ქალს ყბაში დაჰკრა.
„როგორ გაჰბედე,
შე უნამუსო,
ჩემს განზრახვასა
ლაფი წაუსო?!“
წაჰგლიჯა ქალსა
ხელიდან ბავშვი
და გადისროლა
პირდაპირ წყალში...
მაგრამ მოსტყუვდა
ვაჭარი ახში.
ხელი ჯერ ისევ
ქალის ყბას ედო,

რომ ვაჭრის გულში
დანა დაესო.
და ისიც წყალში
გადვარდა მკვდარი,
აღარსადა სჩანს,
აღარსად არი.
მოცელქობს ტალღა,
ბანს აძლევს დალღა,
წყნარად ტიკტიკებს,
მშვიდად ლიკლიკებს,
ამოიოხრებს
და მიიძინებს.

*

ქალი გაიქცა,
მირბის მთაზედა:
ჯაგი, ეკალი
ჰხვდება გზაზედა,
გზას როდი არჩევს,
მიღის რაზედა,
ეკალი ებმის
გაშლილს თმაზედა,
სწორედ შეშლილს ჰგავს
იგი ჰკვაზედა,
არაფერსა ჰგრძნობა,
არცა რა ჰსტკივა,
ბეწვები თმისა
ხეებზე სცვივა...
მას ეშურება
შინ როდის მივა.
ტანში აურყოლებს,
თითქოსა სცივა.
აი, მივიდა
თავის ქოხთანა,
სხვა ყაჩაღების
მტარვალ ბრბოსთანა
და შეუძახა
აჩქარებითა:

„მიჩუქებია
ჩემი ქონება
ამ ჩემ საყვარელ
ალაგებითა,
თქვენთვისა, ძმებო
და ძეგობრებო!
წაიღეთ ჩქარა,
რაცა ვსთქვი კმარა.
გაიტათ ყველა,
გაზიდეთ გარეთ,
თქვენთვის მიძღვნია,
თქვენ ჩაიბარეთ“.
მსწრაფლად დაეცა
ფირალთა გროვა,
ქალის ქონება
ხელთ მოიგროვა.
„ეხლა მშვიდობით,
ტყეო ბურვილო
და შენცა მთაო —
ჩემო მშობელო,
მშვიდობით, ვოლგავ,
ჩემო მშობელო,
ჩემის სიცოცხლის
დამატკბობელო.
მშვიდობით შენაც,
შენ, ჩემო ქოხო,
ამიერიდან
ველარა გნახო.
მშვიდობით, ჩემო
უბედო ბედო,
მრავალო ფიქრო,
აქ დანაყბედო“.
სთქვა რა ეს ქალმა,
მოუდო ცეცხლი, —
თვალთ გაჭმრობოდა
უბედურს ცრემლი, —
და მთელი ქოხი
ყოველ მხრიდანა,
თითქოს დაეცა

მეხი ციდანა,
მთლად აბურბულდა,
აენტო დიდად,
კვამლი და ბოლი
გაიდვა ხიდად
ამ არემარის
ყოველ კიდესა.
ალი ევლება
კენწეროებზე
ნაძვებს ცის პირად
ანაკიდებსა.
წამოიშალა
გუნდი ფრინველთა
ქივილ-ხივილით,
მსხდომნი იმ ველთა
და აიკრიბნენ
ცისა კიდეთა.
ქალი გაიქცა
თავად კი იქა,
საცა ვაჭარი
წყალმა დალიკა;
გულში დანითა,
ფიქრით მკვდარითა,
განაცრებულის
პირის კანითა;
და ამბობს ამას
ფერით მკრთალითა:
„ნუ მიეჩქარი,
მოიცა ცოტა,
შენ, მეგობარო,
ლამაზო, კოხტა.
შენთან მოვდივარ,
თან წამიყოლე“.
და მშფოთარს ზვირთნი,
არ იყო ოლე,
გადიქრა მარდად,
მას სააქაო
აღარ აქვს დარდად.
განათებული

ცეცხლით ტალღები
დათამაშობენ,
როგორც ბაღლები,
შაიყრებიან
და წავლენ შორსა,
ერთურთზე სდგამენ
მთასა და გორსა,
თეთრი პირქაფი
უბერავსთ პირსა, —
ვინ რასა ჰნახავს
რა ხდება ძირსა.
მოცელქობს ტალღა
ბანს აძლევს ღალღა,
წყნარად ტიკტიკებს,
მშვიდად ლიკლიკებს,
ამოიოხრებს
და მიიძინებს.

[1880—1909 წწ.]

ორლეანელი ქალი

დრამატული პოემა უილერისა

მოქმედი პირნი

კარლოს მეშვიდე — მეფე საფრანგეთისა.

იზაბელა — დედამისი.

აგნესა სორელი.

გულკეთილი ფილიპე — ჰერცოგი ბურგუნდიისა.

გრაფი დიუნუა.

ლიაგირი.

დიუ შატელი.

რემის მღვდელმთავარი.

შატილიონი — ბურგუნდიელი რაინდი.

რაული — ლოტარინგელი რაინდი.

ტალბოტი — ბელადი ინგლისელის ჯარისა.

ლიონელი
ფასტოლფი } ინგლისის ჯარის უფროსები.

მონგომერი — ვალიელი.

საფრანგეთისა, ბურგუნდიისა და ინგლისის რაინდები.

ორლეანელი მოხელენი.

ჰეროლდი ინგლისისა.

ტიბო დარკი — გლეხი.

ალინა
ლუიზა
იოანა } მისი ქალიშვილები.

ეტენი
არმანი
რაიმონდი } მათი საქმროები.

ბერტრანდი — სოფლელი.


შავგვრემანი რაინდი.

მენახშირე.

მისი ცოლი.

პაეები, სალდათები, ხალხი, კარისკაცნი, ეპისკოპოსნი,
მარშლები, მოხელეენი, მანდილოსანნი, ბავშვები.

პ რ ო ლ ო გ ი



სოფელი. მარჯვენით, წინ ნიშია, შიგ ღვთისმშობლის ხატი ასვენია. მარცხნივ,
მაღალი ტოტებგადართხმული მუხა სდგას.

ტ ი ბ ო დ ა რ კ ი, ე ტ ი ე ნ ი, ა რ მ ა ნ ი, რ ა ი მ ო ნ დ ი, ა ლ ი ნ ა,
ლ უ ი ზ ა, ი ო ა ნ ა.

მოქმედება წარმოებს 1480 წელს.

ტ ი ბ ო

ასეა, ძმებო, დღეს-აქამომდე
ჩვენი სამშობლო ჩვენს ხელში არი
და ან ვინ დასთვლის, რამდენმა ფრანგმა
შეაკლა მტერსა იმისთვის თავი.
ხოლო არ ვუწყით, ხვალ რა იქნება,
ჩვენ ვის დავრჩებით, ან ჩვენი მიწა.
როგორცა ჰხედავთ, თავხედი მტრისგან
ჩვენი ქვეყანა მთლად წაიბილწა:
ყოველ კუთხეში მოურიდებლად
დაფრიალებენ მათი დროშები.
ყანა მინდვრებში გაგვიჩანაგეს,
გულგრილად შევცქეროთ ჩვენ მკლავ-ბოშები
მტრისა ფარფაშსა. და ეს რა ვნახეთ,
პარიჟმაც იმას კარი გაუღო.
ძველი გვირგვინი დაგობერტისა,
ვითა ნადავლი, მტერმა წაიღო.
ჩვენთა მეფეთა სამეფო ტახტიც
უცხოელს დაჰრჩა საკუთრებადა,
მემკვიდრეც ტახტის თვის ხალხის შორის
დალოღიალებს უცხოელადა,
თავის ბიძამაც კი უღალატა
და მტერს შეეკრა იგი ზავითა.
დედა ცოცხალს შვილს სამარეს უთხრის,
უნდა დამარხოს თავის ხელითა.
მიტომ აივსო ჩვენი ქვეყანა
უბედურებით და სიავითა.
ყველგან სოფლები და ქალაქები
შემოსილია ცეცხლის ალითა.
ბარში მშვიდად ვართ, თუმცა ვაება
ჩვენც მალე გვნახავს თავის თვალითა.

და მინამ დრო გვაქვს, მოვიწადინე,
ჩემი ქალები, ღვთისა ძალითა,
დავაბინავო, ქმრები ვუშოვო,
არ დავიტვირთო ცოდვა-ბრალითა.
საშიშსა დროში დედაკაცს უჭირს, —
მფარველი ჰყვანდეს ფარით, ხმალითა.
ვისაც ვინ უყვარს, ჭირის ატანა
უფრო იმასთან ეადვილება,
მეც ჩემს ქალებთან, ღმერთო შენითა,
ვხედავ, რომ პირი არ მეწბილება.
ეტეინ, ვიცი აღინა მოგწონს
და მომიჯნავეც ჩვენი ხარ შენა.
გულსაც გული სცნობს — ესეც სწორეა.
არმანისაც კი არ მინდა წყენა...
შენ, ე, ლუიზავ, თავს რასა ჰქინდრავ?
გავიგე შენი ოცნების ფრენა...
თქვენ, მეგობრებო, ერთმანერთს ეტრფით,
ბედნიერებას ვისურვებ თქვენთვის.
გაყრა უფლისგან შეუღლვილების,
შეუნდობარი ცოდვაა ჩემთვის —
მას არც ვიკისრებ... რაა სიმდიდრე?
ან დღეს ვინ არი, აბა, მდიდარი?
ცოტა ხანა გვაქვს, რაც გვაბადია, —
ვიდრე დაგვესმის გულს მტრის ისარი,
ან ცეცხლის ალი გარს შემოგვერტყმის,
ყველა იწვოდეს ქვა და ფიცარი.
ვისაც გული აქვს სალისა კლდისა,
ეხლანდელს დროში ბიჭი ის არი.

ლ უ ი ზ ა

არმან!

არმანი (ხელს ართმევს)

შენი ვარ მარად!

ლ უ ი ზ ა

რას იტყვი, დაო?

ტ ი ბ ო

ღვთისა ძალითა ყველა ბევრი მაქვს,
ოცდაათის დღის მიწასაც გაძლევთ —
სათითაოდა ბოსტანს და ეზოს,
ცხვარსაც — რამდენიც რომელს შაგხვდებათ.
ღმერთმა დამლოცა: დოვლათი მომცა,
არ დაგივიწყებთ, თქვენცა დაგლოცავსთ.

ა ლ ი ნ ა

დაო ჟანა, შენც იმასა გთხოვ,
რომ ანუგეშო მშობელი მამა
და გაახაროს ჩვენ სამი დისა
ბედნიერების, ქორწილის ხმამა.

ტ ი ბ ო

წადით, იცოდეთ ხვალ ქორწილი გვაქვს,
მსურს მოვიწვიო მთელი სოფელი.
თქვენ შეუდექით დღესვე თადარიგს,
ივარაუდეთ კარგად ყოველი.

(ალინა, ლუიზა, არმანი და ეტიენი გადიან)

ჩემო ჟანეტა, დღეს შენი დები
გათხოვდენ, ორნივ ირთავენ ქმრებსა,
ამ სიბერის დროს ეს მე მახარებს
და წყლულად მრჩება ჩამორჩე დებსა.

რ ა ი მ ო ნ დ ი

ჰე, მეზობელო, ნეტავ ვიცოდე,
რად გსურს ჟანეტას შენ შეწუხება?

ტ ი ბ ო (უთითებს რაიმონდზე)

აი, ვაჟკაცი ყველაფრით სრული,
ამას რომ გაჰყვე, რა გენანება,
ხომ კარგად იცი ჩვენ სოფელშია
ამას ვაჟკაცი არ შაედრება.

სამი ზაფხული შენზედა ფიქრობს,
შენზე ოცნებას ის ემონება,
გულში იხარშავს ნალველს მღუღარეს
და როდი უყვარს თავის წონება.
რომ იმის გრძნობას პასუხი გასცე
შენ ნუთუ არ გაქვს იმდნად გონება?
დამუნჯებულსა, ყინულად ქმნილსა,
იმისგან ხელი შენ არ გეხლება.
ეს რა? ყველასთან ეგრე იქცევი,
სხვებთანაც ბედი შენ არ გექნება.
სიყვარულისა ასაკშია ხარ,
არ მოვტყუვდები, მე კარგად ვიცი,
ვარდი როს ჰყვავის, ბულბულსაც ელის,
ყველაც შეატყობს, არ უნდა ფიცი.
ჰყვავი, მაგრამა მე როდი მჯერა,
რომ შენს გულშია ტრფობა დამწიფდეს.
ეს მწყინს, თუმც წყენით რაღას ვუშველი,
ქალისა გული რად დამახინჯდეს?
ბუნების მიერ როცა დრო აქვს მას,
ტრფობის წყლულები გულზედა სჭირდეს.
შენს გულცივობას, მოლოზნობასა
არვინ იყიდის, თუნდ ჩალად ღირდეს.

რ ა ი მ ო ნ დ ი

არ გეკადრება, შენ, ჩემო არკო,
ძალას ატანდე ასულსა თვისსა.
მის სიყვარული ციური არის,
ბრწყინვალე, ვითა სხივები მზისა.
თავისუფალი და მშვენიერი
პირმშო შვილია მაღალის მთისა.
ამას ის უყვარს, როცა პირს და თმას
უკოცნის გრილი ნიავი მთისა.
ქობ-სადგურები ამაოდ უჩანს,
ქანას ის უყვარს, მარტოკა ისა.
და მეც ბედკრულმა, რომ ვერ შევიგნე,
მიმართულება მის ფიქრთა გზისა.
ნამეტნავ მაშინ, როცა მარტოკა
მთაზე მდგომარე ცხვართან ერთადა

თვალგაშტერებით სივრცეს გასცქერის,
მე ქალსა ვსახავ მაშინ ღმერთადა!
აშკარადა ვგრძნობ, ციურნი ძალნი
დაუდგებიან გვერდის-გვერდადა.
სხვა დროს შვილია, ამ დროის არა,
დაბადებულა ჩვენს დროს კენტადა.

ტ ი ბ ო

მეც სწორედ ეს მწყინს: მხიარულებას
თავის დებისას ყურსაც არ უგდებს,
მამლის ყივილსაც როდი დაუცდის,
ადრე ადგება, რომ გზას გაუდგეს!
მთა-გორებზედა იხეტილოს,
ეს არის მხოლოდ მისი გართობა,
ან ღრმა ხევებში, ბნელს ჯურღმულშია
იგემოს სადმე ტვინის დათრობა,
გზაჯვარედინზე მთის ყელეებშია
ნიავის სისინს დაუგდოს ყური.
ამ ერთ ადგილას რად უყვარს ყოფნა,
ამ ადგილისთვის რად უცემს გული?!
ცხვარსაც ამ ადგილს მოერეკება,
მთელ საათობით, რამდენჯერ ვნახე,
რომ ღრმა ფიქრებით გატაცებულსა,
ჩრდილავდეს დიდი დრუიდების ხე.
თუ არა გიჟი, ამ ხეს ახლოსა
ჭკვათამყოფელი არ ეკარება.
ბოროტ სულთ ბუდედ რომ არს ცნობილი,
ყველაც იმიტომ მას ერიდება.
ამ მუხაზედა მოხუცებულნი
ვინ იცის, რამდენს რასმე ამბობენ,
რომ მავნე სულნი მუხის ტოტებზე
ლამის წყვდიადში მწუხრად გალობენ.
ამას მე როდი დავიჯერებდი,
რომ არ მენახა ჩემის თვალითა.
ამ მუხის ახლო გავლა მომიხდა
მე მარტოდმარტოს ერთხელ ღამითა —
მუხის ქვეშ ვნახე რაღაც ნისლივით
თვისთან მიწვევდა შიშვლის მკლავითა.

გამოვისახე მყისვე პირჯვარი,
გამოვიქეცი გულით მწვავითა.

რ ა ი მ ო ნ დ ი (უჩვენებს ხატზე ნიშთან)

მე ეგ არა მწამს, ვითომ ეშმაკის
შთაგონებასა ეს ყურს უგდებდეს,
თვით ღვთიშობელი თავის მმოსავსა,
ვფიქრობ, თავისთან უნდა იწვევდეს.

ტ ი ბ ო

არა, არ მჯერა! გეტყვი კიდევაც,
მე მუდამ ისეთს სიზმრებსა ვხედავ,
საკვირველს ფრიად და საშინელსა
ასე, რომ თითქმის თქმასაც ვერ ვხედავ.
სამჯერ ზედიზედ მე დამესიზმრა,
რომ მეფის ტახტზე რეიმსში იჯდა,
შვიდის ვარსკვლავის წნული გვირგვინი
თავს ედგა, უხვად სხივებსა სცრიდა.
ხელთ ეპყრა ჟანას კვერთხი რამ უცხო,
სამი ყვავილი მაზედ ჰყვავოდა.
მე — მამამისი, ალინა, ლიზა,
გრაფ-ჰერცოგები — ყველა ჩემთანა —
მას თაყვანს სცემდა მეფესთან ერთად
მუხლმოდრეკილი მთელი ქვეყანა.
ჩემი საწყლობა და ეს სიზმრები,
ჩემო კეთილო, საიდან სადა?
სიზმარს უკუღმა უნდა გაგება,
და მიტომ ვსცანი წაწყმედის ხმადა.
მის სიამაყე თვით უფალსა სწყინს,
სიტურფეს ნაძღვნევს ბუნებისაგან
უხვად, რომ მაგრე ფეხითა სთელავს
და მზად არს გულში ჩაურჭოს დანა.
ანგელოზებიც გულზვაობისთვის
ღმერთმა განდევნა, უწყი, ციდანა
და დღეს ღვთისაგან შეჩვენებულნი
ჩვენ გვესევიან ყოველ მხრიდანა.

ჟანაზე მშვიდი და ზნეუმწიკვლო
 ამ ჩვენს სოფელში ერთიც არ არი,
 უფროსის დების მუდამ მორჩილი
 და სხვებისთვისაც არს თანამკვდარი.
 მას, როგორც მუშას, ვინ შეადრება?
 რაც უნდა მძიმე ეს საქმე იყოს,
 სხვა არაფერი საჭირო არ არს,
 ოღონდაც ერთხელ ხელი კი ახლოს.
 მადლს მიაღვენებს და ამის გამო
 აყვავდა კიდევც შენი ოჯახი,
 სადც საჭიროა იგი ცელს იქნევს,
 დაუღალავი, მუდამ ყოჩაღი.
 ცხვარსაც გიმრავლებს, ერთგულადა ჰმწყისს,
 ხელში უპყრია საწყაღს ჩობახი.
 მის ნაკეთები, მიუწვდომელის
 უფლის კურთხევით არს მუდამ საღი.

ტ ი ბ ო

მიუწვდომელის... დიად, სწორეა.
 მაგრამ ეგ სიტყვა ტანში ჟრჟოღას მგვრის,
 უნდა გავჩუმდე, ხმას, კრინტს არ დავსძრავ,
 ძრახვის საგნადა ვხდი მე თვის შვილსა?
 რომ გაგაფრთხილო, მუხას ერიღო,
 ვალად ეს მადევს, როგორც მშობელსა
 და აგაცდინო წამწყმედელ ფიქრებს,
 ეშმაკეულსა საქმეს ყოველსა.
 მარტოკა ყოფნა რისათვის გიყვარს,
 ბალახ-ბულახებს რადა სთხრი ღამე?
 ქვიშას რომ ჰქეჩავ და თანაც ჰხაზავ,
 რა გაგრძნობინა ნეტავ სიამე?!
 ნუ ედობილე ბოროტს სულებსა,
 ბალახებისას რა სასმელს ჰხარშავ?
 რატომ არ იცი, რომ სიმარტოვეს
 და ბნელს ღამესა მაცდური თან ჰყავ.
 ხომ კარგად უწყი, უდაბნოშია
 მარტოდმარტოსა მაცხოვარს ჩვენსა

გამოეცხადა ბოროტი სული
და უმართავდა ბოროტზე ხელსა.

ბ ე რ ტ რ ა ნ დ ი

(შემოდის, ხელში მუზარადი უჭირავს)

რ ა ი მ ო ნ დ ი

სუ, ჩუმად, აგერ, ბერტრანდი მოდის,
ის რაღა მოაქვს ნეტავ ხელითა?

ბ ე რ ტ რ ა ნ დ ი

ძალიან გიკვირთ, რომ მე მოვედი
ამა ნივთითა ძველისძველითა?

ტ ი ბ ო

ბიჭოს!.. ეგ საით რა გიშოვია,
იპოვნე სადა, წაართვი ვისა?
განა შეჰშვენის ჩვენს მყუდრო ბინას
ნიშანი მტრობის და სისხლის ღვრისა?

(იოანას, რომელიც აქამდის არ ერეოდა საუბარში და არც ესმოდა,
რაც მის გარშემო ხდებოდა, სიფხიზლე დაეტყობა, მიუახლოვდება
ბერტრანდს)

ბ ე რ ტ რ ა ნ დ ი

თვითაც არ მესმის როგორ ვიშოვე,
გავოცებულვარ ამით ძალიან.
მე ვოკულერში ნამგალს ვვაჭრობდი,
უნდა მეყიდა ცხენის ნალია.
მოედანზედა ხალხი, ვითა ზღვა
ქარიშხალის დროს, ისე ღელავდა,
ორლენიდან გამოქცეულებს
გარს ეხვეოდენ, ერთურთს სთელავდა,
ვერაფერს კაი ამბავს ისმენდა...
და ამის გამო უფროც დრტვინავდა.

ხალხში ვძვრებოდი ვაინაჩრობით,
 ზედ მაწვებოდა გუნდი ხალხისა.
 და უცაბედად წინ შამეფეთა
 სახე ვილაცა ბოშის ქალისა.
 ხელში ეჭირა ეს მუზარადი
 და დამაცქერდა გველის თვალითა,
 თან მითხრა: ვიცი მუზარადს ეძებ,
 ნუ დაიწუნებ სიიაფითა.
 მე მოვირიდე, თანაც ვუთხარი:
 რად მინდა-მეთქი, გასწი, მომშორდი!
 წაიღე, ვისმე რაინდს მიჰყიდე,
 მიტომ, რომ ჩემთვის მეტ ბარგად ვცნობდი.
 მუშა კაცი ვარ, რამდენი ვუთხარ,
 ჩემი საქმეა, მიწასა ვხნავდე,
 მაგას ვერაფრად გამოვიყენებ
 და შენც დაგაკლო, რისათვის, რაზე?
 არაო, ასტყდა, მსურს გიფეშქაშო:
 ვაჟკაცს ჰშვენისო აბჯარი ტანზე,
 დღეს ის დრო არის, რომ ყველას ედგას
 მკვიდრი კარავი რკინისა თავზე.
 ვერაფერი ვქენ და ჩამოვართვი,
 მისმა ფჭყვრიალმა თვალი მომტაცა.
 ლამაზი არის და მოხდენილი,
 როგორაც დილით მოწმენდილი ცა.
 ვინ იცის, რომელს რაინდს თავს ედგა
 და ექმნა პატრონს მტრის ხმლისგან მფარად...
 და მე რომ მკითხო, სიმართლეს გეტყვით,
 არ მიღირს ბეწვად, არ მიღირს ჩალად.
 დასწყევლა ღმერთმა, ძალად ხელშია
 მან მომაჩეჩა და გაჰქრა ქალი,
 ბევრი ვეძებე ხალხის გროვაში,
 მაგრამ ველარსად მოვკარი თვალი.
 დამრჩა ხელში და ვერც გადავაგდე
 ქუდად ნაჭედი რკინა და რვალი.

იოანა (ართმევს მუზარადს)

ეგ მუზარადი მომეცი აქა.



ბ ე რ ტ რ ა ნ დ ი

ქალის თავისთვის არ გამოდგება
ეს სამკაული, მაშ მოგცე რადა?

ი ო ა ნ ა

დიდი ხანია ეგ მე მეკუთვნის
და უნდა მომცე, მეცა გთხოვ მადა.

ტ ი ბ ო (იოანას)

ნეტავ ვიცოდე, რა დაგმართნია?

რ ა ი მ ო ნ დ ი

ნუ, ნუ დაუშლი, თუ გულით უნდა,
მიტომ, რომ ჟანა თვით ვაჟკაცია,
კარგად ვერ იცნობთ, მე კარგად ვიცი,
რომ შენი ქალი, გულითაც ლომი,
შარშან ერთს მგელსა, მე თითონ ვნახე,
მან აუტეხა ძლიერი ომი.
მწყემსებს და სამწყსოს განურჩევლად
ის მგელი ყველას თავზარსა გვცემდა.
ჟანამ პირიდან ცხვარი წაართო,
როცა შმაგადა იგი მსხვერპლს ჰგლეჯდა.
და მიტომ ვამბობ, რომ მუზარადი
სხვას არავისა, ჟანას კი ჰშვენის,
მით საიქიოს ძველს გმირს, მის პატრონს
არ მიუვიდეს ამბავი წყენის.

ტ ი ბ ო

ბერტრანდო, მაინც ვინ რას ამბობდა,
უბედურება სხვა რა მომხდარა
ორლენშია, არ გვეყო განა,
იმაზე მეტი სხვა რა წამხდარა?!

ბ ე რ ტ რ ა ნ დ ი

ღმერთო ძლიერო! შენ დაგვიფარე,
ჩვენი მეფე და ჩვენი ქვეყანა!

ორს დიდ ბრძოლაში ფრანგნი დამარცხდნენ,
ვერ შევიძელით ბრძოლა მტერთანა.
მან შუაგული ქვეყნისა იპყრო,
აღწევს ლაურის კიდეებთანა
და მტრის რაზმები ორლენს ერტყმის
დასაღუპავად ყოველ მხრიდანა.

ტ ი ბ ო

როგორ? დაიპყრეს მთლად ჩრდილოეთი
და არ იკმარეს ესე მტარვალთა,
ახლა ისიც ჰსურთ ცეცხლით, მახვილით
რომ გადმოვიდნენ სამხრეთის მზღვართა?!

ბ ე რ ტ რ ა ნ დ ი

როგორც კალია ყანას მოედვას,
ან ხეს ეხვიოს მართვე ფუტკრისა,
ისე ორლენს გუნდები მტრისა
გარს შემოერთყა მხდელი სულისა.
ციხის ნანგრევი იარაღები
ქალაქს დასცქერის ოთხივ მხრიდანა
და ორლენის მეშველი, მხსნელი
არ ჩნდება დაბლა, აღარც ციდანა.
სხვადასხვა ხალხსა პირი შეუკრავთ,
ჩვენს დასაღუპად, დასაქცევად.
და ჩვენ კი, ჩვენ კი, ქვეყნის ხსნის ნაცვლად
ყველანი მზად ვართ გასაქცევად.
საზარელია მტრისა ბანაკი —
ათასის ჯურის ხალხითა სავსე.
დიდი ჰერცოგი ბურგუნდიისაც
თავის საყმითი მიემხრო მასვე.
ლიტის-გენეგით და თვით გენტიდან
განთქმულს ხავერდით, აბრეშუმითა,
ბრაბანტიდან და ნამიურიდან
და ზელანდიის ნაპირებითა,
მის ქალაქები ზღვისპირს მდებარე
ყველანი თავის მცხოვრებლებითა,
გელანდიელნი და უტრეხტელნი
და ჩრდილოეთის ფრიზლანდიითა

მოქუჩებულა მძლავრის მთავრისა
ბურგუნდიისა დროშის ქვეშ ერთად,
რათა დაამხონ მათ ორლენი,
გადააქციონ კვლავ ნაცარ-მტვერად.

ტ ი ბ ო

ვაჰ, დამლუპველო უთანხმოებავ,
ვაჰ, იარაღო, მკვლელო ძმისაო!

ბ ე რ ტ რ ა ნ დ ი

თვით იზაბელა, დედა მეფისა,
ბავარელების ჯიშის წყეული,
აბჯარ-აბგარში გამოწყობილი,
ჩვენის მტრებისთვის გადარეული,
იმათ ბანაკში უსირცხვოდ მირბის,
აქეზებს მტერსა მლიქვნის ენითა,
მოაკვლევინოს თავისი შვილი —
ამ ფიქრით ისე გამსჭვალულია,
არ მოსდის იმას დღედაღამ ძილი.

ტ ი ბ ო

ღმერთმა დასწყევლოს და შეაჩვენოს!
ულმერთოვ, შენზედ რისხვა უფლისა
დიდი იქნება. ვით იეზაველს,
არც შენ შეგრჩება გმოზა სჯულისა.

ბ ე რ ტ რ ა ნ დ ი

მტრისა ლაშქარში მეტად ულმერთნი
სამი ჰრევია საშიში მტერი:
ერთი ლიონელ, ნამდვილი მხეცი
და საშინელი სალისბიური,
მესამე ტალბოტ, ერთ ხმლის მოქნევით
გადამწყვეტელი ბრძოლის ბედისა.
შეუფიცნიათ ერთმანერთისთვის,
რომ საფრანგეთის მთლად ქალებისა
შეიქმნენ სრულნი ბატონ-პატრონნი
იმათის გულის და თვალებისა.

ვინც ხმლით დაჰხვდება, არ ემონება,
დაუყოვნებლად მოჰკვეთონ თავი.
გალავანს ოთხი კოშკი მიუდგეს.
სალიბიური, გულითა შავი,
იქიდან ბრძოლას ადევნებს თვალსა:
დასტკბეს, რომ ნახოს მრავალი მკვდარი.
თვალს მოსისხლე მან თვალეებითა
ქუჩებზედ მხოლოდ ფრანგების მკვდარი.
გადმოისროლეს მრავლად ყუმბარა,
საყდრები უკვე დანგრეულია
და საძირკველი ღვთისმშობლის ტაძრის
ზარბაზნებისგან შერყეულია.
ლალუმებითა გალავნის ძირი
სავსეა და, ჰა, არ გვიან, მალე,
მთლად ორღეანი, უფსკრულმა შთანთქას,
უნდა, უეჭვოდ, დღესა თუ ხვალე.

(ჯანა გაფაციცებით ყურს უგდებს, ვერ ითმენს, თანდათან ცნობის-
მოყვარეობა ემატება და ბოლოს იხურავს მუზარადს თავზე).

ტ ი ბ ო

სად არს სანტრალი, ან ლიაგირი?
ან დიუნუა ქვეყნის იმედი?
რომ მტრის თანდათან ბრჭყალებში ვცვივით,
ბეწვზე ჰკიდია დღეს ჩვენი ბედი?!
სადაა მეფე? რა დაჰმართნია?
სად მოუხრია მონურად ქედი?
ნუთუ არა სწყინს ქალაქთ დაკარგვა,
ტანჯვა ერისა მას მეტისმეტი?!

ბ ე რ ტ რ ა ნ დ ი

შინონში არის მეფე ამალით,
მეომართ შოვნაც არსიდან არი,
ყველა ომშია, მტერმა დაგვჯაბნა
და გაიქლიტა მთლად ჩვენი ჯარი.
რას იზამს კარგი მხედართმთავარი?
ან რაინდების ლომგული გული,
რომ შიშმა, ბრძოლამ გამოუთქმელმა
იპყრო მთლიანად ჩვენი მამული?

რამ აღუდგინოს ჩვენსა ლაშქარსა
სასო, იმედი აწ დაკარგული?
თვით უშიშარნიც შიშმა შეიპყრო,
აღარ მოდიან, რაც უნდ ეძახო.
ყველა მათგანი სიმაგრეს ეძებს,
თხა-ცხვრებად ჩასთვლი, რომ დაინახო.
და, ვგონებ, ცხვრებმაც მგლების ღმუილზე
არ მიაშურონ ისე ფარებსა,
ვით ფრანგნი, ფრანგის სახელის მგმობლად,
ეფარებიან კოშკ-ციხეებსა.
ერთი გამოჩნდა მხოლოდ რაინდი
და ისიც ცოტა რამე ჯარითა
ეახლა მეფეს თავგანწირული
თექვსმეტის დროშა-ბაირალითა.

იოანა (აჩქარებით)

ვინ რაინდია, ნეტავი, ეგა?

ბერტრანდი

ბორკური არის, მაგრამ არ ვეჭვობ
მტრის ხელთ ჩავარდეს ხვალე თუ ზეგა,
ორპირად ჯარი სდევს მას კვალზედა.

იოანა

მითხარ სად არი, მითხარი ჩქარა,
მისი ამბავი საით რა ისმის?

ბერტრანდი

ვოკულერს გაღმა სდგას თვის ჯარითა,
მტერს ელოდება, იქით არ იძვრის.

ტიბო

გაჩუმდი, ჟანა, იქ რად ეჩრები,
რაც შენი საქმე სულაც არ არი.

ბერტრანდი

რაკი დარწმუნდა, მტერს ვერას უზამს,
და რაკი მეფის იმედიც არ აქვთ,

მოქალაქენი ვოკულერისა
ძლიერს ბურგუნდსა დაემორჩილნენ.
რომ არ ჩაცვივდენ უცხოელთ ხელში
და არ ემონნენ უცხოელს ძალსა,
იმ ფიქრით ბურგუნდს პირობა მისცეს
და კიდევ იმას უკრავენ თავსა.
რომ ჩვენ საკუთარ ტახტს ვმორჩილებდეთ,
რაკი ისინი შეჰკრავენ ზავსა.

იოანა (ალტაცებით)

ზავი? რის ზავი? რის მორჩილება?
გულს და გონებას მიწყლავს ეგ სიტყვა.
გალაღებული მტერი დამარცხდეს
უნდა ორლენს, ღვთისაგან ითქვა!
დრომ მოაღწია, ყანა მომწიფდა,
ქალმაც ნამგალი ხელში აღიპყრო,
გასთიბს სიხარულს ჩვენის მტრებისას,
განთავისუფლდენ, ვინც მან დაიპყრო!
ციდან ჩამოსწყვეტს უღირს სახელსა,
უგნურთ დაჰკიდეს ვარსკვლავებთანა.
წინ გავიწიოთ? რას ჰკრთით, რას შიშობთ?
შეუპოვარი ბრძოლა მტრებთანა!
და ვიდრე ყანა თავთავს დაისხამს
და გამცხრალდება ცაზედა მთვარე,
ბრიტანელთ ცხენთა ლაურის წყალი
ველარ დალიონ, ეჩვენოთ მწარე,
მტარვალის ფეხმა ველარა თელოს
წმინდა ადგილი, ეს ჩემი მხარე.

ბერტრანდი

ვაი, რომ ჩვენს დროს საკვირველება
ეგრე ადვილად აღარა ხდება.

იოანა

კიდევაც ხდება სასწაულები,
ჰნახავთ, რომ ტრედი ცად აფრინდება,
სურათს რა ჰნახავს მტარვალობისას,
იქ ის არწივად გარდაიქმნება,

სამშობლოს მწეწველს ყვავს და ყორნებსა
თავზე ღვთის რისხვად მოევლინება.
იგი დაამხობს ასხელა ტალბოტს,
ბურგუნდის ჰერცოგს მოფარფაშესა,
სისხლით უძღომელს სალისბიურის,
ჩვენთა სიწმინდეთ უღმობელს მტერსა.
და კუნძულელნი იქნება ჰნახოთ —
მერიდებოდენ, ვით ცხვრები მგლებსა.
ამ საწყალს ქალსა თვით ღმერთი ირჩევს
მტარვალს აჩვენოს თავისი ძალა.
უნდა გვასწავლოს, რომ მის წინაშე
კაცთ ძლიერება არს მტვერი, ჩალა.

ტ ი ბ ო

რა აღტაცებით ამბობს, ვერ ჰყურობთ?

რ ა ი მ ო ნ დ ი

ამ მუზარადმა აღაფრთოვანა
და საომრადა აღუგზნო გული,
სახე უელავს, თვალებიც მისი
ბრჭყვინავს, ვით ცაზე ვარსკვლავთ კრებული...

ი ო ა ნ ა

როგორ? დაეცეს ტახტი მეფეთა,
ძველისძველადა დიდად ქებული?
ქვეყანა ტურფა, სამოთხის მსგავსი,
სხვებშია ვნახო გამოკლებული?
ვით მაღლიანი თვისი თვალები,
ღმერთს ისე უყვარს ჩვენი ქვეყანა.
ვიღაც მოთრეულს უნდა ვემონოთ?
ღმერთია, ღმერთი მუდამ ჩვენთანა.
ნიშანი ხსნისა ბოროტებისგან —
ჯვარი, პირველად აქ აღიმართა.
ერუსალიმის გამოხსნაზედა
პირველად ბჭობა აქ გაიმართა.
და ლუდოვიკო წმინდებზე წმინდა,
ესეც ხომ უწყით, აქ დაიმარხა.

ხომ გესმით? მიკვირს ამდენი ცოდნა
სადა და ვისგან მან შეისმინა?
ბედნიერი ხარ შენ, მეზობელო,
ღმერთმა ასეთი ქალი შეგძინა.

ი ო ა ნ ა

უცხო ბატონი კანონიერი
საფრანგეთზედა ვერ იბატონებს,
ვითომ რომ ღვთისგან შექმნილიაო,
ჩვენსავით? — ჩვენში ის ვერ იცხოვრებს.
ჩვენთვისა მხოლოდ ჩვენს მეფეს ჰშვენის —
უკვდავს, სიკვდილით თავის დადება.
ჩვენის ცხოვრების ავსა და კარგსა
ჩვენს კაცს აბარებს მხოლოდ განგება.
ჩვენს ჯოგებს, ცხვარსა ინახავს მუდამ
ერთი მარტოკა — მის მფარველობა.
და რამდენს ტყვესა და პატიმარსა
მან მიანიჭა თავისუფლება.
იგია ერთი უძლურთ მფარველი,
ბოროტებისა ძირიან მფხვრელი,
იმის ტახტის წინ ქვეყანა კრთება,
ოღონდაც ნიშნად აღიპყროს ხელი.
მის გულს არ სცხია ჟანგი შურისა
ღვთისგან ნაკურთხი ბატონად ქვეყნის,
ტახტი ნამდვილის მფლობელებისა,
თავშესათარი უძლურთაც ეთქმის,
ანგელოზია ნუგეშინისა
და იმ დროს კაციც ცოდვილ ქვეყნადა.
მუდამ თან ახლავს ძალაც, ნუგეშიც
თავთავის დროსა სამსახურადა.
ავის მოქმედი მის წინ კანკალებს,
ხოლო კეთილი უშიშარია.
უცხო მეფე კი ჩვენს ქვეყანაში
ჩვენთვის ურგები, უტიფარია.
ან რა შეარცხვენს ავის საქმნელად,
რა მამა-პაპათ საფლავ-სამარე?!
იმათ ანდერძი, იმათი ხსოვნა

წმინდა მათ ნეშთი საფლავს მდებარე.
ერთიც არ ესმის იმის ბნელს გულსა,
წადი და ფრანგნი მას შეაყვარე!..
ვისაც ბავშვობა ჩვენი არ ახსოვს,
არ იზრდებოდა სიყრმით ჩვენთანა
და ფრანგის ენა გულს არ უტოკებს,
ვით შეიყვაროს ჩვენი ქვეყანა?!

ტ ი ბ ო

დაღუპვისაგან მაღალს ღმერთსა ვთხოვ,
დაიხსნას მეფე და საფრანგეთი.
ჩვენ მუშა ხალხი ხმაღს ვერ მოვიქნევთ,
ცხენოსნობაშიც არ გვწყალობს ბედი.
ჩვენ იმას უნდა დავემორჩილნეთ,
ვისაც ბატონად მოგვივლენს ღმერთი,
რადგან ომის ბედს და გამარჯვებას
იგი განაგებს მარტოკა ერთი.
ჩვენსა მეფედა იგია მხოლოდ,
ვინც ძველს სენდენის კუბოებზედა
ღვთით კურთხეულსა ქალაქ რეიმსში
მირონი იცხო მეფედ შუბლზედა.
ღრო არის, ძმანო, საქმე ვისაქმით,
გვახსოვდეს თვისი მოვალეობა.
ამ ქვეყნის თავადთ ჩვენ რა ყურს ვუგდებთ,
ან სად გვაქვს იმდენ მოცალეობა.
იმათ რაც ძალას წილისყრა არგებს,
ის იმათ, ხოლო ჩვენ კი მშვიდადა
ყური დავუგდოთ ომის მსვლელობას,
ნუ ავიტკივებთ თავსა დიდადა.
სხვა ყველა თუნდა ძალამ შემუსროს,
ხომ ვერ შეჰმუსრავს თვით დედამიწას?!
შთანთქას ყანები, სოფლები ცეცხლმა
და შეაყენონ თავდაყირასა
სახლები, მაინც სხვა გაზაფხულზე
ჯეჯილი მოვა, სთიბენ თივასა,
სახლის ბანებიც განახლდებიან
და მწუხრის შემდეგ ვნახავთ დილასა.

(ყველანი იოანას გარდა გადიან)

მშვიდობით, მთებო, მშობელო ველნო,
 უკანასკნელად გაძლევთ სალამსა, —
 დედასავითა, ჩემო აღმზრდელნო,
 უკანასკნელად გაწვდენთ ჩემს ხმასა.
 მწვანე მინდვრებო, ტურფა ხეებო,
 ყური დაუგდეთ თქვენს უმცროს დასა,
 თქვენ გეთხოვებთ სამუდამოდა,
 იგი შეუდგა ეკლიანს გზასა.
 ამიერიდან ველარა გნახავთ,
 უნდა უჩემოდ აჰმწვანდეთ, დასტკნეთ,
 თუ გაყრა თქვენი ასე დამწვავდა,
 თქვენთან რად გავჩნდი, თვალით რად გნახეთ?!
 ტკბილო ალერსო ჭალებისაო,
 გულს აღბეჭდილო ამოუფხვრელად,
 ხმავ იღუმალო, მანდ მოსეირნევ,
 ბევრს უამბობდი გულს მაამებლად.
 ნაკადულებო მოჩანჩქარენო,
 კლდეებში გიყნო, ჭკვიანნო ველად,
 გეტყვით: მშვიდობით სამუდამოდა,
 უფალი გექმნასთ მფარველად, მცველად.
 რაც რამ სიამე თქვენთგანა ვნახე,
 ეგ არის, მორჩა, ველარა ვნახავ.
 ჩემო ცხვრის ფარავ, მწყემსი მოძებნე,
 მე მგლებისაგან ვერ დაგიფარავ.
 ღმერთმა სამწყსოდა სხვა ფარა მომცა
 სისხლით შეღებილს ბრძოლისა ველში,
 იგი უნდა ვმწყსო, ღვთის ბრძანებაა,
 ხმალი მეჭიროს უშიშრად ხელში.
 დიად, იქ მიწვევს არა ცრუ გრძნობა,
 არამედ სხვაა, სულ სხვაა ისა. —
 ცეცხლმოდებული ბარდებიდანა
 მოსეს რომ ესმა ჭექა იმ ხმისა:
 „წადი, ებრძოლე მძლავრს ფარაონსა,
 რომ ჩემი ერი არ გახდეს სხვისა“,
 იგია, ვინაც ჭაბუკს დავითსა
 მოჰნიჭა ძლევა გოლიათისა.
 მუხის ქვეშ ვიდექ და ვლოცულობდი,

როდესაც მტკიცედ მანვე მიბრძანა:
„გამოაჩინე ჩემი სახელი,
ქალო, აიღე ხელთ მჭრელი დანა!
ჩაიცვი ჯაჭვი, წელზედა ხმალი
შეიბი, გედგას თავს მუზარადი
და ნუ შეჰბღალავს შენს ქალწულობას
ქვეყნიურ ვნების რაიმე ზადი!..
შენ საქორწინოდ არა გცალიან,
ოჯახში დასტკბე ქმრით და შვილებით.
არა, შენთვისა სხვა ბედს ვამზადებ:
ბრძოლაში იყო გამოჩინებით,
ყველა ქალებზე საფრანგეთისა
იხსენებოდე მუდამ დიდებით.
როცა კი საქმე იქამდის მივა,
რომ უშიშარიც ომში მხედარი
ჰკრთოდეს და პირზე შიშის ძრწოლისა
ეფარებოდეს ყვითლად ზეწარი,
ჩემგან ნაძღვნევის ორი აღმითა
მტერს უნდა დასცე მაშინ თავზარი.
შეჰზღუდო მტრისა გულზევიადობა
და შეუცვალო მღერა გლოვაზე.
შენ ასახელო ფრანგთა ლაშქარი,
კარლოსს დაადგა გვირგვინი თავზე.
რეიმსში, ეს თვით ღმერთმა აღმითქვა —
ცა-ქვეყნის გამგემ, კიდევც ასრულდა,
ამ მუზარადის ჩემთვის მოძღვნითა
ნება უფლისა დღესვე დამტკიცდა.
შეუდრკელობა მუზარადს ჰფარავს,
განუშორებლად, ვით ქერუფიმი.
სული და გული იქ მიმაქროლებს,
მინდა იქ ვიყო, საცაა ომი.
ხმაა ბრძოლისა... ჯარი გროვდება...
ხმლები ელავენ... კიჟინა ისმის,
საყვირისა და დაფისა ხმაზე
თვალწინ მიდგება — მთა-ბარი იძვრის.
უკვე ასრულდა უფლისა ნება:
სხვის ბატონობა ჩვენ შორის ჰქრება!

(მიღის)

მოქმედება პირველი

(ბანაკი მეფის კარლისა შინონში)



გამოსვლა პირველი

დიუნუა, დიუ შატელ

დიუნუა

არა! მოთმენის ძაფი გამიწყდა,
უნდა დავტოვო ბრძოლისა ველი,
ან რა ღირსია უშველო იმას,
ვინაც დიაცებრ აიღო ხელი
თვის მეფობაზე? სისხლი მიშრება
და გული მინდა სისხლად დავწურო,
ასე დაჩაგრულს, უპატრონოსა
თავის ქვეყანას როგორ ვუყურო?!.
ღმერთო, რას ვხედავ? ავაზაკები
ჩვენ სოფელ-ქალაქთ ინაწილებენ,
რაც კი რამ ჩვენთვის ძვირფასი არის
უკრძალავადა ხელში იღებენ.
რამდენს ახდენენ ბინძურის ხელით
და ახლა რამდენს თან წაიღებენ.
ჩვენები იმათ დაუანგებულსა
კარის გასაღებთ ხელთ აჩეჩებენ.
ქედმიდრეკილნი წინაშე მტრისა
სდგანან, განკითხვას მისგან ელიან.
და ჩვენ კი ყოფნა აქ განცხრომითა
გულხელდაკრეფით არა გვრცხვენიან.
რაწამს გავიგე, რომ ორლევანსა
გარს შემოერთყა მტრისა ჯარიო,
მყისვე წამოვედ მე ნორმანდიდან,
რომ არ გაჭამოთ მტრისა ჯავრიო.
ვფიქრობდი, მეფე ლაშქარს შეჰყრიდა,
გაუძღვებოდა თითონაც წინა
და ეს კი თურმე მასხარაებთან
მშვიდად, განცხრომით, ბრძანდება შინა.
ამოცანების დაყენებითა
მოსაზანდრებთან თავს ირთობს მეფე,

თავის აგნესას საამებლადა
ლხინ-ქეიფების მუდამ აღმჩქეფე.
თითქოს ქვეყანას არა უჭირდეს,
თითქოს სირცხვილი არ გვედგას კარზე.
რომ კონეტაბლმა ხელი აიღო
გამოცხადებით აშკარად მასზე,
მე არ ვამტყუვნებ და ვფიქრობ კიდევც,
რომ გამოვუდგე კონეტაბლს კვალზე,
დროა, დავტოვოთ უღირსი მეფე
თავის ჭკვისა და სისუსტის ბედზე.

დიუ შატელი

აგერა მოდის, ვით ნათქვამია:
მელი ხსენებას მოჰყვება თანა.

გამოსვლა მეორე

გინივე და მეფე

მეფე

უნდა გაცნობოთ, ძმებო, ამბავი,
იმას თან მოსდევს ახალი ხანა,
რომ კონეტაბლი ხმალსა მიგზავნის
და იბარება იმასაც თანა:
მე სამსახური აღარ ძალმიძსო,
საქმე გინახავთ თქვენ ამისთანა?!
მომწყინდა მისი თავნებაობა
და ან მეფესა შეჰშვენის განა,
რომ მისი აზრი თვით უვარგისიც
მოწონებული იქნას ჩვენთანა?

დიუნუა

ჩვენს დროში კაცი გაუტეხელი,
როგორაც ისა, ძვირფასადა ღირს.
როგორ მეწყინა მაგ ამბის ცნობა,
იმასთან გაყრა მე ძლიერა მწყინს.

მ ე ფ ე

შენი ძმობილი ბევრჯელა ცრუობს
და რასაც ამბობს, იმას არ ჰგუობს,
რამდენჯერ თქვენაც ხომ ვიცი, სჩხუბობთ,
ვგონებ რომ ამას მეფე არ ცრუობს?

დ ი უ ნ უ ა

მართალი არის. ის ამაყია,
ჯავრის მომგვრელი, მომბეზრებელი.
რასაც დაიწყებს — ვერ გაათავებს,
მაგრამ დღეს კარგ დროს აიღო ხელი
სამსახურზედა, როცა შეიგნო,
დარწმუნდა კიდევ, რომ აღარა ჰყავს
მას მხრის მჭერელი.
იმან მარტოკამ სირცხვილი ჭამოს,
არა ყოფილა მაშ ჭკუათხელი.

მ ე ფ ე

მხიარულად ხარ, როგორც შეგატყე,
იმხიარულე, არ გაწყენინებ
შენ, დიუ შატელ. მეფე რენემა
(ერთს ამბავს სხვასაც გაგაგებინებ)
თავის კაცები გამომიგზავნა,
მომღერლებია შესანიშნავი,
არ შეიძლება იპოვებოდეს
დედამიწაზე იმათთანანი.
და ამის გამო მოვიწადინე,
არ შევირცხვინო იმათთან თავი, —
ერთი ლამაზად გავუმასპინძლდე,
არაფერი სთქვან ჩვენზედა ავი.
და თითოს ოქროს ძეწკვიც ვაჩუქე.
(დიუნუას)

ნეტავ რას ჰნიშნავს სიცილი შენი?

დ ი უ ნ უ ა

ოქროს ძეწკვების გასაკვერადა
ლიტონი სიტყვა მათი გამჩენი.

დიუ შატელი

საიდან მეფევ? შენი ხაზინა
დიდი ხანია ცარიელია.

მეფე

უნდა იშოვო, დიდი აშული
უპატივცემლოდ ჩემგან ვერ წავა.
ჩვენთან ყოფნითა დღეს მკვდარი კვერთხი
თქვენის მეფისა მან ააყვავა,
მან შტო სიცოცხლის დაუქცნობელი
უკვდავებისა მკვდარს გვირგვინს შესძღვნა.
მეფეებთანა სრული მეფეა,
ვინაც კი მგოსნად თვით ზეცამ იცნა.
ოცნების ზღვაში ნაკვთი გრძნობისა,
ტკბილის ხმებისა, მას უდგა ტახტი,
ჩვენთან ნება აქვს ხელიხელ სვლისა,
დიდების მწვერვალს ჩვენთან არს მარად.

დიუ შატელი

ჩვენო ხელმწიფევ, მინდა სწორი ვთქვა,
მაგრამ სიმართლის თქმისაც მაქვს კრძალვა.
წყენა არა მსურს, რა ვქნა, გეწყინოს:
არ არგებს სნეულს ჭირისა მალვა.
საჭიროება მატანს ძალასა
ყოველივე ვსთქვა, არრა დავმალო:
საჩუქრებზედა რა დროს ფიქრია,
პური არა გვაქვს, რო ვჭამოთ ხვალო.
შენი ხაზინა დაცარიელდა,
იქ არსად ოქრო და აღარც ვერცხლი.
რომ ჯამაგირი არ მიუღიათ,
მხედართ ედებათ გულზედა ცეცხლი.
იმუქრებიან შინ დაბრუნებას,
სურთ, რომ დასტოვონ ბრძოლისა ველი
და მეც არ ძალმიძს, რომ ვასაზრდოვო,
სამეფო სახლი, ლაშქარი მთელი.
ამიტომა გთხოვთ მაგ ფიქრებზედა,
სამავნეოზე, აიღო ხელი!..

მ ე ფ ე

ნუთუ საღსარი აღარსით არი?
დააგირავე, თუ რამე დარჩა...

დ ი უ შ ა ტ ე ლ ი

სულ ამოა, მეფევ, სამის წლით
შემოსავალი დავაგირავეთ...

დ ი უ ნ უ ა

ვადა რომ გავა, აღარსად ფული
და აღარც რამა — დააგირავო!..

მ ე ფ ე

რა ვქნა, მიწები ჯერ ჩვენ ბევრი გვაქვს.

დ ი უ ნ უ ა

იმათა ჰფარავს ჯერ თითონ ღმერთი
და ღმერთთან ერთად ტალბოტის ხმალი.
ორლენიც თუ მტერმა აიღო,
რენესთან ერთად უნდა ჰმწყსო ცხვარი.

მ ე ფ ე

შენ მუდამ გიყვარს რენეს დაცინვა.
იმ უმამულომ მეფემ თვისითა
რა საჩუქრები გამომიგზავნა,
უნდა იცოდე ახლა იგიცა!

დ ი უ ნ უ ა

მან ნეაპოლი იქნება გიძღვნა?
ღმერთმა გაშოროს მის საჩუქარი.
რაკი რენემა მწყემსობა იწყო,
უკან თვით დასდევს, წინ უძღვის ცხვარი,
მისი ნაძღვნები სულ ფუჭი არი!..

ეგ გართობაა მაღალის სულის,
 დიდბუნებოვანთ მუდამ ხვედრია.
 უბედურ ცოდვილ თვის ქვეყნის ნაცვლად,
 თვისთვის სამეფო სხვა შეუქმნია,
 იდეალური, უმანკო, წმინდა.
 და ცდილობს კიდევ, რომ აღადგინოს
 ძველი დროება მამა-პაპური,
 და სიყვარულიც ზედ დაადგინოს,
 რომელიც რაინდთ ასულდგმულებდა,
 ის დრო, როდესაც დიაცნი ბჭობდენ,
 ასამართლებდენ მტყუან-მართალთა.
 სასტიკს განაჩენს ლმობიერს ჰხდიდენ
 მათ ნაზი გრძნობა და მაღლი თვალთა.
 ძველის დროების მოტრფიალეთ
 დღეს ეგ მეცხვარე მოხუცებული,
 რაც გადმოცემით გაუგონია,
 მხოლოდ იმისთვის უცემს მას გული
 და ჰსურს ამ დროში იგივე ზნე-წესი
 უკლებელადა იყოს დარგული.
 ნუ დაივიწყებთ, მან დააწესა
 დიდი სამსჯავრო სიყვარულისა,
 წმინდა მხევალთა წმინდა სამეფო —
 გამსამართლებლად ყოვლის სულისა —
 თვით რაინდების, სადაცა ვნახავთ
 მკვდრეთით აღდგენას სიბრაღულისა.
 მან ამირჩია უცილობელად,
 თითონ მე მეფედ ტრფიალებისა.

დ ი უ ნ უ ა

არც მე გახლავართ იმდნად უგნური,
 რომ არ მესმოდეს ძალა ტრფობისა.
 სხვაც რომ არა ვსთქვათ, ის არს მიზეზი
 ჩემის გაჩენის, ჩემის შობისა.
 მე სამკვიდრო მაქვს მის სამეფოში,
 ორლენელი მე სეფეწული,
 ლამაზთ მძლეველი მშობელი მყავდა
 სიცოცხლე მომცა, ჩამიდგა სული.

მას არ უყვარდა კოშკებში მალვა,
როს თხოულობდა მსხვერპლსა მამული.
გინდა, რომ მართლა მიჯნური გერქვას
და ღირსიც იყო ამ სახელისა?
იყავ მამაცი მამაცთა შორის,
გერქვას სახელი მძლეთა მძლეველისა.
ლაჩარმა მონამ ნაცარქეჩიამ,
როგორ მოიგოს გული მხევლისა?
მწყემსებს კი არა, გმირებს ასმევდენ
სუფრაზე ღვინოს ოქროს თასითა.
ლამაზის გულსაც რომ პოულობდენ
დაღვრილის თავის სისხლის ფასითა.
ლამაზი მხოლოდ იმას ეკუთვნის,
ვინც სატრფოს ჰფარავს თავის მკერდითა.
ვინც თვითონ ივნებს სატრფოს მაგივრად,
რომ სხვა არ ნახოს იმის გვერდითა.
ჰა, ასპარეზი ფართოდ გაშლილი!..
რას ელი, წადი, შეეხები მტერსა?!
ხმალამოწვდილი, ვითა რაინდი,
ნუ შეუდრკები თავდამსხმელს ბევრსა.
შეგინებული გვირგვინი დასცევ,
დაიცავ ტურფა ჩვენი ასულნი,
წაართვი მტერსა თავის გვირგვინი,
სისხლში მოსვრილი და ფერწასული,
გაღმოახედე საფრანგეთზედა
დაბნელებული და მზე ჩასული.
მაშინ იქნები ნამდვილი მეფე,
შენ გეკუთვნება ქვეშევრდომთ გული...

მ ე ფ ე (მოსულს მსახურს)

რას იტყვი?

მ ს ა ხ უ რ ი

კაცები გახლავთ ორღეანიდან.

მ ე ფ ე

უთხარ მოვიდნენ! (მსახური გადის)
ვიცი, რისთვისაც მოსულ არიან,
არ ვიცი რა ვქნა? რა ვუპასუხო?!



გამოსვლა მესამე

ი გ ი ნ ი ვ ე და ო რ ლ ე ა ნ ე ლ ი მ ო ხ ე ლ ე ნ ი

მ ე ფ ე

რა ამბავია, ორლენელნო,
რაზე გარჯილხართ, რისთვის მოსულხართ?
მტერს ხომ უხვდებით ღირსეულადა
და ვით ეკუთვნის, ხომ ისე ჰმუსრავთ?!

მ ო ხ ე ლ ე

ვაჰ, ხელმწიფეო, თქვენს მტერს ის ყოფნა,
რა წვალებაშიც ჩვენ ვიმყოფებით.
მტერი თუმც იღებს სიმაგრეებსა,
ჩვენც პასუხს ვაძლევთ, ჩვენც არა ვცხრებით.
მაგრამ რა? ციხეს მეციხოვნენი
და გუშაგები აღარვინ დარჩა. --
ვინაც მიდიან მტერთან ბრძოლაში,
იგი ცოცხალი აღარ გადარჩა.
სხვა უარესი მტერი აგვიჩნდა,
ყველა სიმშლით სიკვდილსა ველით,
ამის მომლოდნემ როშეპიერმა,
ჩვეულებისებრ იმ ძველისძველით,
დროებით მტერსა პირობა მისცა,
რომ თუ თორმეტს დღეს ვადას მოგვცემდენ,
მაშინ ქალაქი იქნება მტრისა.
და, თუ ახალ ჯარს არ მოგვაშველებ,
უნდა ასრულდეს პირობა მისა.

(დიუნუა ბრაზობს)

მ ე ფ ე

თორმეტი დღეო?! ძლიერ ცოტაა!

მ ო ხ ე ლ ე

მტერმა გზა მოგვცა და ჩვენც მოვედით,
გვიშველეთ რამე, მოასხით ჯარი.
გთხოვთ შეგვიბრალოთ, ნულარ ჰგვიანობთ,
თორემ ქალაქი ჩვენი არ არი!

დიუნუა

ვერ დავიჯერებ, რომე სანტრალი
ამ პირობაზე დასთანხმდებოდა.

მოხელე

ვინ იფიქრებდა — დავმორჩილდეთო,
თუკი ცოცხალი ის იქნებოდა.

დიუნუა

როგორ, მაშ მოკლეს?!

მოხელე

ციხეზე მოსულს მტერს იგერებდა,
მეფის გულისთვის მან თავი დასდო.

მეფე

სანტრალი მოკლეს — ლაშქარის ფარი!
ვაჰმე უბედურს.
(ამ დროს შემოდის რაინდი და დიუნუას ჩუმად
ესაუბრება, დიუნუა დელავს, ბრაზობს.)
სხვა რაღა მოხდა?

დიუნუა

დუგლასისაგან კაცია შენთან,
შემოუთვლია იმასაც ისა,
შოტლანდიელნი ჯამაგირს გთხოვენ
და უნდა გახსნა, მეფეო, ქისა.
იმუქრებიან უკან დახევას,
თურმე შინ წასვლას, მცხოვრებნი მთისა.

მეფე (დიუ შატელს)

ხომ გესმის?

დიუ შატელი (მხრებში იჩმუჩნება)

რა შემიძლიან?

მ ე ფ ე

აღუთქვი და დაუბარე, რომ მოიცადონ.
რაც გვაქვს — გავყიდოთ
და ჩემი ნახევარი სამეფო
გირაოდ ჰქონდეთ.

დ ი უ შ ა ტ ე ლ ი

სულ ამაოა. აღთქმა არ სჯერათ.

მ ე ფ ე

მეტი იმედი მე იმათი მაქვს,
ნუთუ ეხლა მე იმათ გამწირონ?

მ ო ხ ე ლ ე (დაჩოქილი)

ჩვენო ხელმწიფევე, ორლევანს უჭირს,
უშველე რამე!

მ ე ფ ე (სასომიხდილი)

რა ვქნა არ ვიცი, ეს რა ცეცხლში ვარ,
მიწიდან ვშობო კაცები, ჯარი?
ამ ჩემს ხელებზე პური სთესია?
ამგლიჯეთ გული, ვიქნები მკვდარი,
გნებავთ იმისი ფული მოსჭერით?
სიცოცხლეს მოგცემთ, ჩემს ხელთ ეს არი.

გამოსვლა მეოთხე

ი გ ი ნ ი ვ ე და ა გ ნ ე ს ა (შემოდის, ხელში ყულაბა უჭირავს)

მ ე ფ ე (წინ მიეგებება)

აგნესავ, შენა?.. ჩემო ნუგეშო,
ხელი მომეცი, მოდი ჩემთანა.
უსასოებამ სრულად შემიპყრო,
სულს მოვიბრუნებ მხოლოდ შენთანა.



ა გ ნ ე ს ა

ჩემო ხელმწიფევ, ეს რა ხმა მესმის?
(უცქერის იქ მყოფთ შეძრწუნებული)
დიუნუა, შენ?!

დ ი უ ნ უ ა

დიახ, გახლავარ.

ა გ ნ ე ს ა

როგორ? ასეთი უკიდურებაც,
უჯამაგიროდ ჩვენი მხედრობა
და აჯანყება იმათ შორისა?

დ ი უ შ ა ტ ე ლ ი

სულ მართალია.

ა გ ნ ე ს ა (აძლევს ყულაბას)

აჰათ, დაიჭით ფული, თუ გიჭირთ,
დახარჯეთ მთელი, რაც კი შიგ არის.
ვერცხლი დაადნეთ, ფული მოსჭერით,
ძვირფასი თვლებიც ფულად აქციეთ.
ჩემი კოშკები, ჩემი მამული
პროვანსიისა დააგირავეთ
და ჯამაგირი ჯარს დაურიგეთ.
არაფერს ვზოგავ იოტის ტოლას,
ოღონდაც მტერთან ნუ სწყვეტენ ბრძოლას.
დიუ შატელ, გასწი, აჩქარდი!..

მ ე ფ ე

დიუნუა და შენ დიუ შატელ,
ჰხედავთ? გგონივართ კიდევ ღარიბი.
ამისი გვარი ჩემსა გვარზედა
არ გეგონოსთ კი ვისმე ნაკლები,
ვალუას სისხლი მის მამა-პაპის
სისხლსა არა დროს არა სჯობია.
ღირსია თავზე გვირგვინი ედგას,

ეს ფიქრი მისთვის თუმც უცნობია,
ერთია მხოლოდ მისი წადილი,
მე მეკუთვნოდეს და ჩემი ერქვას.
ერთხელ ჩემთვისა რამ მოეთხოვოს,
მაჩუქე რამო, თუნდ ერთხელ ეთქვას.
გაზაფხულისა ია ვაჩუქე
და იშვიათი რამ ხის ნაყოფი,
ამისთვის დიდად მადლობელია,
მხოლოდ ეს არის მისთვის სამყოფი.
ყველაფერს მწირავს ეს საცოდავი,
ჩემგან კი არას არა თხოულობს,
მოარბენინებს, ოღონდ მეშველოს,
უკანასკნელსა, რასაც შოულობს.

ღ ი უ ნ უ ა

უგუნურობას და უჭკუობას
ერთიმეორეს ვერ დააყვედრებთ.
კარგნი ხართ მითი, რომ ერთმანერთსა
გულმხურვალედა ღმერთს შეავედრებთ.
მხოლოდ აგნესა სარჩოს ცეცხლში ჰყრის
და მით ჰსურს კოდი დანაიდისა
ფულით აავსოს, ვერაფერს გვიშველს,
შენთან დალუპავს მხოლოდ თავის თავს.

ა გ ნ ე ს ა

ნუ დაიჯერებ. ეგ ერთგული გყავს,
ძაგრამ ვინ ჰკითხავს, მე ფულს სად ვხარჯავ,
დიდი ხანია განა მას შემდეგ,
ოქროზე ძვირფასს რასაც შენ გწირავ?
და ეხლა პირად შვებისათვისა
ზურგსა შეგაქცევ, ნუთუ გაგწირავ?
ხელი ავიღოთ ფუფუნებაზე
და ამასა გთხოვ, მომეცი ნება —
მივცემ მაგალითს თავდადებისას
ხალხსა, გვეშველოს მაშინ იქნება
გადავაქციოთ ჩვენი სრა-სახლი
ჯარის სადგურად, სამხედრო ბინად

და ოქრო-ვერცხლი, რაც გვაბადია, —
 ჩვენის მტრებისა გამგმირავ რკინად,
 ნურას დავზოგავთ, ოღონდ შენს გვირგვინს
 ჩამოვაცალოთ ნაცხობი ლაფი,
 ნურც ბედში, ნურცა უბედობაში,
 ნუ გაწყდეს ჩვენი ერთობის ძაფი.
 გავიდეთ ერთად ბრძოლისა ველზედ,
 ჯაფით გვდიოდეს ოფლი და ქაფი,
 ღრუბლებმა შავი ბანი დაგვხურონ,
 წვიმამ მოიღოს ჩვენს თავზე ჩქაფი,
 მიწაზე დავწვეთ ულოგინოდა,
 თავით დავიდვათ ბალიშად ჩვენ ქვა.
 მეფეს რა ჰნახავს თავის გვერდითა,
 მხედართ მხნეობა ენით ვითა ვსთქვა?!

მ ე ფ ე (ლიბილით)

დახედეთ, დახე, როგორ სრულდება,
 რაც მოლოზანმა კლერმონში მითხრა:
 დედაკაცისგან უნდა იქნასო,
 შენის მტრებისა სრულად ამოფხვრა.
 შენს სამეფო ტახტს, მემკვიდრეობას
 უცილობელად ის დაიჭერსო.
 მე მას ბრიტანელთ ჯარში ვეძებდი
 და დედის გულში — „დედა გიშველსო“
 და იგი თურმე აქა ყოფილა,
 ჩემი აგნესა, სამშობლოს მხსნელი.
 წმინდა რეიმსში თან წამოგყვებით,
 მტრისა მძლედ გვექმნას წადილი შენი.

ა გ ნ ე ს ა

შენ უნდა სძლიო მეგობრების ხმლით.

მ ე ფ ე

სხვა იმედიც გვაქვს გარდა მაგისა:
 მტერთა შორის რომ შუღლი, შფოთია.
 ინგლისელების გულით ერთგული
 ჩვენი ფილიპე მართლა როდია!

გავიგებთ მალე. მე ლიაგირი
შუაკაცადა მასთან გავგზავნე,
რომ იმას ჩვენზედ გული მოუღბოს
ადელვებული, შურით მგზნებარე.

დიუნუა (სარკმელში იცქირება)

ვილაც რაინდი კიბესთან მოდგა,
აგერ, ცხენიდან კიდევც ჩამოხტა.

გამოსვლა მეხუთე

იგინივე და ლიაგირი

მეფე

გვითხარ, ლიაგირ, ნულარ ჰგვიანობ,
იმედი გვქონდეს, თუ დავიხოცნეთ.

ლიაგირი

შენი ხმალია ჩვენი იმედი.

მეფე

არა ჰსურს გულზვავს, რომ შეგვირიგდეს?
მაინც რა მოგცა პასუხი, რა სთქვა?

ლიაგირი

ვიდრე სათქმელად პირს გავაღებდი,
იმან ამაყად: — დიუ შატელი
უნდა მომცეთო. დღესაცა სჯერა,
რომ ეს არს იმის მამისა მკვლელი.

მეფე

მაგ ურცხვ პირობით ზავი არ გვინდა.

ლიაგირი

მაშინ ხომ ზავი შეუძლოდაა.

მ ე ფ ე

ჩემი ბრძანება ხომ აასრულე.
ხომ მას უთხარი — მონტეროს ხიდზე,
სადაც რომ მოჰკლეს იმისი მამა,
უნდა ვიბრძოლოთ ჩვენ პირით-პირზე.

ლ ი ა გ ი რ ი

მე ხელთათმანი შენი გადვუგდე
და თან დავძინე, რომ ვით რაინდი,
და არა მეფე, შენ იმას ითხოვ,
ორში ერთს გედღვნათ სიცოცხლის ბინდი.
მაგრამ ეს თქვენი წინადადება
იმან სიცილად არც კი იკმავა,
ამაყად მითხრა, მოურიდებლად
და თანაც თავი გაიჭილყვავა:
იმის გულისთვის რისთვის ვიბრძოლო,
რაც მეკუთვნისო, რაც ჩემს ხელშია?
თუ მაინც სწყურან ჩემთანა ბრძოლა,
უთხარ, დამიხვდეს ორლენშია,
ხვალ მის ციხესთან ვიდგები ჯარით.
იქ შემეებრძოლოს კარლი თვის მკლავით.

მ ე ფ ე

მაშ დავიჯერო ჩემს პარლამენტში
შესწყდა, არ ისმის ხმა სიმართლისა?

ლ ი ა გ ი რ ი

ძალას ვერ იჩენს, გაჩუმებულა,
წრეთა ბრძოლამა ის დაამუნჯა.
შენ ჩამოგართვა იმან მეფობა,
არც ნათესავი შენი არ უნდა
ამიერიდან პარლამენტს მეფედ.
დიაღ, ბრბო ამას გულმტკიცედ ჰქუხდა.

დ ი უ ნ უ ა

შამირცხვა ბრბოსი უტვინო მსჯავრი.

მ ე ფ ე

მაშ დედაჩემი არ გინახია?

ლი ა გ ი რ ი

დედაშენიო?

მ ე ფ ე

როგორ ბრძანდება?

ლი ა გ ი რ ი

რაილა თქმაა, ბარემ სულ ვიტყვი,
რაც გავიგონე, რაც თვალით ვნახე;
სენ-დენში შეველ გვირგვინობის დღეს,
დიდსა და მცირეს უბრწყინავს სახე.
საქორწილოდა მორთულნი იყვნენ
ყველანი ერთად მოქალაქენი.
მწკრივად კარები გაკეთებული
და იქით-აქეთ კარების მცველნი, —
თავაღებული დიდის ყოფითა,
შიგ გაატარეს ის ბრიტანელი.
იმდნად ეფინა მის წინ ყვავილი,
ცხენებს უჭირდათ დაეძრათ ეტლი.
სამშობლოს ხსნასა დღესასწაულობს,
იტყოდნი, ისე ლაღობდა ერი.

ა გ ნ ე ს ა

ლაღობდენ მაშა მეფის გამცემნი
და მამობრივის გულის დამჭრელნი?!

ლი ა გ ი რ ი

მე მიჩქმალული ხალხის გროვაში
თვალს ვადევნებდი უმსგავსს სურათსა:
წმინდა მეფისა ლუდოვიკის ტახტს
ვით აბძანებდენ ლანკასტერს, ბავშვსა.
მას გვერდით უდგნენ ბეტფორდ და გლოსტერ
ამაყად, ერთიც არ იღებს ხმასა

და თვით ჰერცოგი, დიად, თქვენი ძმა,
როგორ უკრავდა უსუსურს თავსა —
მონების ნიშნად თვის ბურგუნდიით,
ძუძუმწოვარას, ჯერ ისევ ყრმასა.

მ ე ფ ე

ფუჰ, ჩვენს შემრცხვენელს, ჩვენს გამცემელსა!!

ლი ა გ ი რ ი

ლანკასტერ შეკრთა, წაიბოროძიკა
კიბეზე, ტახტთან როცა მიჰყავდათ.
„ავს მოასწავებს“ — ხალხში გაისმა
და ზედ ხარხარი ხალხის დაერთო.
და სწორედ ამ დროს, თქვენმა დედამა
ჩვენს სამარცხვინოდ, საქოლავადა...
ან როგორა ვსთქვა?..

მ ე ფ ე

სთქვი: რის გრცხვენიან?

ლი ა გ ი რ ი

ხელთ აიყვანა და ტახტზე დასვა.

მ ე ფ ე

ოჰ, დედის გულო!

ლი ა გ ი რ ი

ბურგუნდიელნი, ხომ კარგად უწყით,
მათ სირცხვილისა არა იციან,
კაცის კვლა, ცარცვა ხელობადა აქვთ
და ტყუილადაც რამდენს ჰფიცვიან.
რა ესა ნახეს, შეჰრცხვათ ძალიან.
და დედოფალმაც, იგრძნო რა ესა,
თავისებურად ენა გალესა:
„ფრანგო, ხმელი ხე ძირში ამოვფხვერ
და იმის ნაცვლად გირგავთ ნედლს ხესა..“

თქვენის გულისთვის დვიძლ შვილს უარყოფ,
უგნურის მამის უგნურსა ძესა“...

დ ი უ ნ უ ა

საკვირველებაა!

მ ე ფ ე

თქვენ, მეგობრებო, ხომ გაიგონეთ,
გაეშურენით, ორლენს წადით,
ვინაც გერჩიოთ, იმას შეჰფიცეთ,
თავის იმედად მე ტყუილად მხადით.
თუ გსურთ ფილიპეს თავი დაუკართ,
გულკეთილია, აღსავსე მადლით.

დ ი უ ნ უ ა

ნუთუ იქნება, რომ ორლენზე
ავიღოთ ხელი?!

მ ო ხ ე ლ ე

ოჰ, ხელმწიფეო, ზურგს ნუ შეგვაქცევ
და მტერს ნუ მიგვცემ პირში მსხვერპლადა.
შენის გვირგვინის უძვირფასეს ქვას
მტერს ნუ ჩაუგდებ, მას გთხოვთ, ხელადა.
უწყით, ორლენ რომ ერთგულია
თვის მეფეების ძველისძველადა.

დ ი უ ნ უ ა

და ნუთუ ჩვენა ისე დავმარცხდით,
სრულად დავტოვოთ ბრძოლისა ველი.
არ ვიძროთ ხმალი ქარქაშიდანა,
არ შეუბრუნოთ ჩვენს შემრცხვენელს ხელი?
შენ ერთის სიტყვით მოიწადინე —
გული აჰგლიჯო საფრანგეთს მთელი!..

მ ე ფ ე

ისედაც ბევრი სისხლი დავღვარეთ,
მაგრამ იმითაც ვერაფერს გავხდით, —

რაკი რომ ღმერთი აღარა გვწყალობს,
 უფრო წავხდებით, როგორაც წავხდით.
 მე პარლამენტი მეფედ აღარ მცნობს,
 მთელი ქვეყანა და თვით პარიჟი
 განზე გამიდგნენ, მეფედ არ მცნობენ,
 მტერს ტაშს უკრავენ, ვითარცა გიჟი.
 ნათესავებიც მტრებად გამიხდენ,
 შორს რად მივდივართ, მშობელი დედა,
 რომ ნახოს ჩემი მოჭრილი თავი,
 მოლოდინითა საწყალი კვდება.
 თუ ღმერთი არ არს ჩვენზე გამწყრალი,
 ამდენს ავს საქმეს რისთვისა შვრება?!
 უნდა ლაურის გაღმა გავიდეთ,
 ასეა, ვხედავ, უფლისა ნება.

ა გ ნ ე ს ა

ღმერთო, რა მესმის? ნუთუ ჩვენ თვითონ,
 თავის ფიქრისგან შეშინებულნი,
 ავდგეთ ქურდულად და გავიპარნეთ,
 ოხრად დავტოვოთ ჩვენი მამული?
 დედიშენისა საკვირველ ქცევამ
 ტყვილა შეგიკრთო გმირული გული,
 მიმოიკრიბე ყოველი ღონე,
 მხნედ იყავ, როგორც ვაჟკაცსა ჰშვენის!
 წინა აღუდეგ უბედურებას,
 ჰნახავ, თუ მტერი არ დამარცხდების.

მ ე ფ ე (ჯავრიანად დაფიქრებული)

სულ ტყუილია, მითქვამს და ვამბობ,
 ფიქრების ჩმახვა, ხრიკების ძებნა,
 ვალუას გვარსა აღარა გვწყალობს,
 გარისხებულა ჩვენზედა ზენა.
 დედიჩემისა ბოროტმა ქცევამ
 ხომ უარესად დაგვლუბა ჩვენა.
 ოცს წელს უგნურის ყოფაქცევითვის
 მამაჩემიცა ღმერთმა დასაჯა;
 სამი ვაჟკაცი შვილი მოუკლა.
 ველარას გვიშველს დღეს ღვთისთვის აჯა.

კარლოს მეექვსის თესლი გათავდეს
უნდა, უფალმა ასე განსაჯა.

ა გ ნ ე ს ა

უნდა განახლდეს იგი შენითა,
თავს დაერწმუნე! ღმერთს ასე ჰნებავეს.
შენ, უნცროსი ძმა, მეფედ დაგნიშნა,
მით, რომ ავს და ცუდს ის კარგად ჰხედავს:
შენი სიმშვიდე ხასიათისა,
შენი ლამაზი და წრფელი გული
მე იმედს მაძლევს, რომ დაუბრუნდეს
ჩვენს ერს დიდება აწ დაკარგული.
წინადგრძნობით ვგრძნობ, რომ შინაურებს
შენ დააბრუნებ და დაამშვიდებ
და საფრანგეთსაც ღმობიერებით
მკვდრეთით აღადგენ და განადიდებ.

მ ე ფ ე

მე ეს არ ძალმიძს. ამ მტრტვინავს დროში
სწორედ სხვაგვარი მმართველი უნდა.
მშვიდი დრო იყოს, სხვა იქნებოდა,
არ მოგვხვდებოდა ჩვენც ქვა და გუნდა
ველურებისგან ჩვენთვის ნასროლი.
მაგრამ მე ძმებზე ხმალს ვერ ვიხმარებ,
მათის დატანჯვით ვერ გავიხარებ...

ა გ ნ ე ს ა

ბრბო მუდამ ბრმაა, მეფევ, ხომ იცი,
დღევანდელი დღე ამას გვიმტკიცებს.
ხალხი ბნელშია, ჯერ ისევ სძინავს,
ერთხელც იქნება კი გაიღვიძებს.
გაიღვიძებენ ერში გრძნობები
უცხოელთადმი სიძულვილისა.
თვალეbs აახელს გრძნობა მძინარე
თვის მეფისადმი სიყვარულისა,
ვაი მტერს მაშინ, როსც ეს მოხდება.
შენ ნუ გასწირავ ნურც როს ბრძოლის ველს.



ერთს ფეხის დადგმას თავის მიწისას,
ვით თვის სიცოცხლეს, ნუ დაუთმობ მტერს.
ესწრაფე ჩქარა ხიდები დასწვა,
რაც მტრისათვისა არს ხელსაყრელი,
ეგები ჩვენაც ნამუსქვეშ დავრჩეთ:
გზა დაგვეკეტოს შორს წასასვლელი.

მ ე ფ ე

თქვენი ნებაა, რაც გსურსთ, ისა სთქვით,
რაც კი შემეძლო, მე ყველა ვქენი,
როგორც რაინდმა გამოვითხოვე
ხმალშია ჩემის გვირგვინის მტერი, —
მაგრამ უარი შემომითვალა
და მეც ამაოდ დღეს ხალხსა ვქლევთავ.
იმ გულქვა დედას მე დავემსგავსე,
ვინაც წყალში ჰყრის თავის შვილებსა.
მარტოს მე მევენოს, ის სჯობს ბევრითა,
ვიდრე მხედრობას და ჩვენს გმირებსა.

დ ი უ ნ უ ა

ოჰ, ღმერთო! ნუთუ ამ ლაჩრულს სიტყვებს
წარმოსთქვამს მეფე, მისი ბაგენი?!
მაშ უბრძოლველად უნდა დაუთმოთ
ვიღაცა ღლაპსა გვირგვინი თქვენი?!
უკანასკნელსა მონას არ ჰშვენის
მაგგვარი რჩევა და ეგ თათბირი.
არც მეგულემა მე ფრანგთაგანი
ისე საწყალი, ბუნებამწირი,
რომ თვის სიცოცხლეს არ შესწირავდეს
თავის აზრს, ნამუსს, როგორაც გმირი.
ამ ომის დროსა ყველა ერთდება
განურჩევლად ერი თუ მღვდელი.
მოხუცი, ბალღი, ყველა ხმაღს ჰლესავს
და გუთანს სტოვებს მიწისა მხვნელი,
მოქალაქენი ქალაქებს სწვავენ,
მიწის მუშები — თავიანთ ყანებს.
ხმაღს რომ იქნევენ, მასაც შვრებიან,
რაც იმათ სურვილს არაფერს ავნებს.

რომ არ შესწიროს თავი კერპს ან ღმერთს
არვინ დაიხვეს, როს დრო თხოულობს,
მაგ ნაზს გრძნობებზე ხელი აიღე,
დღეს დრო როდია სიბრალულისა,
არ შეენის მეფეს, რადგან დღეს დღეა
მარტოკა მტერთა სიძულვილისა.
ომმა და მხოლოდ ბრძოლამ და ომმა
უნდა ჩააქროს აღმგზნარი ცეცხლი.
კარგი, რომ იგი შენ არ აანთე.
და ერმაც უნდა აღმართოს ხელი
ტახტის და ქვეყნის დასაცველადა.
კანონი არის ეს ბუნებისა,
არ მოვიგონეთ ჩვენ ხომ ჩვენადა.
და ჩვენ ფრანგები აქ უნდა დავსდგეთ
თავის სახელის დასაცველადა.
სცხვენოდეს იმ ერს, ვინც თვის სახელსა
სხვას გადაუგდებს სათრეველადა!..

მ ე ფ ე (მოხელეთ)

წადით, უფალი გყვანდესთ მფარველი,
მე არაფერი არ შემძლიან.

დ ი უ ნ უ ა

ღმერთმა ნურადროს ნუ გაგიმარჯოს,
რაკი ქვეყნისთვის არ გინდა იგი.
როს თავის თავზე აიღე ხელი,
ჩვენის გაყრისაც მოვიდა რიგი.
განა ინგლისმა და ბურგუნდელმა
ჩამოგაბძანეს შენ ტახტიდანა?
არა, სილაჩრის შენის ბრალია,
არც რა ქვეყნიდან და არც ციდანა.
საკვირველია, ფრანგთა მეფენი
ნათქვამებია გმირად, მამაცად.
არ ვიცი, შენ კი საიდან გასჩნდი,
სით მოგვევლინე ბეჩავ დიაცად.
(მოხელეებს)

ამიერიდან მეფე აღარ გყავთ,
წავიდეთ მარტო, მე მოვალ თქვენთან.

არც დავბრუნდები იქით ცოცხალი,
მეც იქ თავს დავდებ ჩემს ორღეანთან.
მის ნანგრევებმა, დაე, დაფარონ
მისი მცველისა ცოდვილი გვამი,
სიკვდილს მაშინ მე სიცოცხლედ ვიგრძნობ,
ძვირფასად მიღირს მე იგი წამი.
(წასასვლელად ემზადება)

ა გ ნ ე ს ა

ხელმწიფევ ჩემო! გთხოვთ არ გაუშვა.
სიტყვით სასტიკობს, გულით ერთგული.
ოქროა შენთვის, მაგას უყვარხარ,
ამოიწვადოს შენთვისა სული
მუდამ მზად არის, მე არა ვეჭვობ.
მხოლოდ გამოტყდი, გმირო რაინდო,
კეთილშობილმა შენმა წადილმა
დაგახარჯვინა სიტყვები უნდო.
ცოტა მეტი სთქვი და შენც, მეფეო,
გთხოვ აპატიო, ვით სასტიკს ძმასა.
მომეცით ნება, რომ შეგარიგოთ,
მანამდე ცეცხლი აუშვებს აღსა
თქვენში მტრობისას.

(დიუნუა უცქერის მეფეს და ელის პასუხს)

მ ე ფ ე (დიუ შატელს)

ჩვენ ლაურასა გადავალთ როდის?
უბრძანე, ჩქარა, გემებში ბარგი,
რაც საჭიროა, რომ ჩაალაგონ.

დ ი უ ნ უ ა (აგნესას)


მშვიდობით! (მიდის მოხელეებთან ერთად)

ა გ ნ ე ს ა

დიუნუა! შედეგი ცოტა. ეგრეა განა?!
უმწეოდ გვტოვებ?
მიჰყე, ლიაგირ, გული მოუღბე.

გამოსვლა შეექვსე

მეფე, აგნესა, დიუ შატელი



მეფე

ბედნიერება უგნურთ ჰგონიათ
მხოლოდ მეფობა და სხვა არაა.
ის არ უწყიან უგუნურებმა,
რომ მე სიცოცხლე მან ჩამამწარა.
სამასხაროდ ხარ კაცი გამხდარი
თავხედ და ამაყ ვასალთა ხელში,
უნდა უყურო იმათ ბეჯითად,
რა იამებათ, ან რა სწყინთ ფერში.
უბედურება მეტი იქნება,
რა ძალა მადგა, რადა, რისთვისა?..
ის არ სჯობია, რომ კაცი იყოს
განშორებითა და თავისთვისა?..

(დიუ შატელს)

უნდა ასრულდეს ჩემი ბრძანება!

დიუ შატელი (იჩოქებს)

ჩემო ხელმწიფევ!

მეფე

ხმა!.. კრინტი!.. გასწი!..

დიუ შატელი

არა, მეფეო, არა და არა.
სხვა ხსნა არ არის,
გთხოვ, შეურიგდე ძმას ფილიპესა.

მეფე

ის თუ არ იცი, მაგას რომ მირჩევ,
რომ შენს თავსა მთხოვს,
ვით თავის მსხვერპლსა.

დიუ შატელი

მე მზად გახლავარ. ჰა, ჩემი თავი!

შენთვის ომებში მრავალჯერ ვზიდე.
შენის გულისთვის ეხლაც მზადა ვარ
სახრჩობელაზე, ცეცხლში წავიდე.
ჩარა არ არის, მიმეცი პირში
შეუწყნარებელს ბოროტებასა,
ეგებ მტრობისგან დამშვიდდეს გული,
მივეცე მყუდრო მოსვენებასა.

მ ე ფ ე (მწუხარედ)

როგორ? რას ამბობ? ნუ გამაგონებ!
საქმე მივიდა იქამდის განა?
რომ მეგობრები მტერს ხელში მივცე,
მეფემ საქმე ვქნა მე მაგისტანა?
ჰყურობთ მეგობრებს, ვისც ჩემი გული
სარკესავითა გადავუშაღე,
რა გზა მასწავლეს საცხონებელი?
— იგი, რომლითაც წავწყდები მალე,
სრული სისაწყლუ და სიბეჩავე
თავის თავისა დღესღა გავიგე.
ჩემს სასახელოდ და სადიდებლად
ნდობა ერისა სრულად დავკარგე.

დ ი უ შ ა ტ ე ლ ი

არა! ნუ ბრძანებ!..

ა გ ნ ე ს ა

ძლევა მტერისა მშვენიერია,
უკეთუ მოაქვს ნაყოფი ცისა,
თანხმობისა და სიყვარულისა.

მ ე ფ ე

სუ, ჩუმად იყავ! გულს ნუ მიბრაზებ,
თუნდა დავკარგო ასი სამეფო,
ერთის მეგობრის მე დალუპვითა,
კარგად იცოდე, არ დავიბრუნებ.
შენ აასრულე, რაც მე გიბძანე,
უთხარ, ყველანი გემებზე დასხდენ.



დიუ შატელი

გიახლებით.

გამოსვლა მეშვიდე

მეფე და აგნესა

მეფე

ნუ დაჰლონდები, ჩემო აგნესავ,
ლაურის გაღმაც საფრანგეთს ვპოვებთ.
ტურფა ჰაერზე, მოწმენდილ ცის ქვეშ
მოსვენებით იქ უფრო ვიცხოვრებთ.
იქ გულუბრყვილო ხალხი დაგვხვდება.
იქ არაფერი დაგვიშავდება.
სიცოცხლის ყნოსვა და სიყვარული
იმ არემარეს ფრიად უხდება.

აგნესა

ეს რა დღეში ვართ, ღმერთო, მაღალო!
მეფე დევნილი თავის სახლს სწირავს,
საკუთარს აკვანს, საკუთარს სახლ-კარს.
სადღა ვიპოვით ჩვენ ამ გვარს ბინას?
ჰოი, სამშობლოვ, ტურფავ, მშვიდობით
საუკუნოდა, ეგ არის, გწირავთ!

გამოსვლა მერვე

იგინივე, ლიაგირი

აგნესა

ლიაგირ, აქ ხარ, დიუნუალა? (უცქერის დაკვირვებით)
სახე გიბრწყინავს, რატომ არ აძბობ,
კიდევ შეგვემთხვა უბედურება?

ლიაგირი

ღმერთმა დაგვიხსნას უბედობისგან,
უბედურება წავიდა, მორჩა.
ცამ მოიხედა და კვალად გახსნა
მოწყალებისა ჩვენთვისა ბოღჩა.

სტყუი, თუ მართლა?!

ლიაგირი (მეფეს)

მეფე, უბრძანე, ჩქარა დაბრუნდნენ
ორლეანელი მოხელეები.

მეფე

რადა, რისათვის, რა ამბავია?

ლიაგირი

ღმერთი ომისა ჩვენი შემწეა:
მტერს შევებრძოლეთ და გავიმარჯვეთ.
ტურფავ აგნესავ! დღეს გამარჯვება
ჩვენია, ჩვენი!

მეფე

ლიაგირ, სტყუი. მე არა მჯერა,
გინდა ტყუილით ნუგეშინი მცე.

ლიაგირი

მალე ირწმუნებ საკვირველ ამბავს,
აგერა, მოდის თვით მღვდელმთავარი
და მასთან ერთად დიუნუაცა.

გამოსვლა მეცხრე

იგინივე, მღვდელმთავარი, დიუნუა, რაული

მღვდელმთავარი

გრაფო და მეფევ, მე გთხოვთ შერიგდეთ
და დაივიწყეთ ერთურთში წყენა.
რა დროს ჩხუბია, ჩვენთან არს ზენა.

(მეფე და დიუნუა მოეხვევიან ერთმანერთს)

გთხოვთ, მეგობრებო, კიდევ ეჭვში ვარ.
 მრწამს და რწმენისაც თვით მეშინიან.
 როდის ან რისგან ასე უეცრად
 ციური ძალა ჩვენ შეგვეწია?

მ ღ ვ დ ე ლ მ თ ა ვ ა რ ი (რაულის)

თავიდან მოჰყე!

რ ა უ ლ ი

თექვსმეტის დროშით ჩვენ მოვდიოდით,
 შევერთებოდით თქვენსა ლაშქარსა.
 ეს ფიქრი ჰქონდა რაინდს ბორდიკურს,
 მამაცს მეომარს ვოჭულერელსა.
 იგია ჩვენის ჯარის ბელადი.
 რა გადმოვლახეთ ფერმონტის ქედი,
 ჩამოვეშვენით იონის ველსა
 და უცბად, როგორც კალიის გუნდი,
 ვხედავთ გარშემო შემორტყმულს მტერსა.
 უკან დახევა შეუძლო იყო
 და წინ გაწევაც საშიში ფრიად,
 მხედარნი შიშის ზარმა შეიპყრო,
 მუხლთ ეკვეთებათ შემკრთალთა დიად
 ჯარის უფროსთა გამართეს რჩევა:
 ხსნისა ეპოვათ რამე სახსარი.
 ერთმა ერთი სთქვა, ასმა კიდევ სხვა,
 აბა, საშველი არსაით არი!
 და სწორედ ამ დროს ხშირის ჭალიდან,
 როგორაც მთვარე, გამოჩნდა ქალი
 ლამაზი ძლიერ, თან საშინელიც,
 არ მოჰშორდება კაცისგან თვალი,
 თავზედ უბრწყინავს მას მუზარადი,
 ტანზე აცვია ჯაჭვი და რვალი...
 მოდის მამაცად, თმებს აფრიალებს,
 შეუპოვარად, იგი ფეხმალი.
 მოვიდა, დადგა. უცებ მის შუბლსა
 გადაეფინა შარავანდედი

და დაიძახა: „ფრანგო, რას უცდით,
დღეს გადასწყდება სამშობლოს ბედი,
ღმერთიც თქვენთან არს და ღვთისმშობელიც,
არა გინდათ რა თქვენ ბრძოლის მეტი.
დაჰკარით მტერსა, ნულარ სტორტმანობთ,
რას დაგიზრიათ მონურად ქედი!“
სთქვა რა ეს, უცბად ბაირახტარსა
წაჰგლიჯა დროშა და წადგა წინა.
როგორაც დევი, წინ მიგვიძღვება,
შეუპოვარი, გულითა რკინა.
ძალაუნებურ კრინტს არვინა სძრავს,
ჩვენს ახალს ბელადს მივყევით თანა.
მიგვიძღვის, მივდევთ ქალსა ბელადსა,
ვით ქარიშხალი მტერს დავეცენით.
მოულოდნელმა ამა სურათმა
მტერი შეაკრთო უთქმელად ენით.
სასწაულადა მან ეს მიიღო,
დაბლა ვარდება, ვინც იყო ცხენით.
დაფთხა მტრის ჯარი, ჰყრის იარაღსა,
ისე გარბიან, ვერ მოჰკრავ თვალსა.
დავთრებდაბნეულთ აღარ ესმოდათ
ხმა უფროსების, ვინ სჩადის რასა.
სწორედ ის მოხდა: რომ დაეჯახოს
გაღმითური მთა გამოღმა მთასა.
თავზარდაცემულს ჩვენ მტერსა მივდევთ,
მხოლოდ ხმლებს ვიქნევთ, ვკუწავთ და ვკაფავთ,
ზურგებსა ვხედავთ, თვალებს კი არა,
საკლავის მხოცველ ყასბებსა ვბაძავთ.
ფეხით სთელავდა ერთი მეორეს,
ზოგნი ცვიოდენ მდინარეს, წყალსა.
სწორედ ის მოხდა, როცა უმწყემსოს
მგელი ჩაუვა ფარეხში ცხვარსა...
ორი ათასი იმათი დაწვა,
ჩვენს ვერ იპოვი ერთს მხედარს მკვდარსა.

მ ე ფ ე

არ გაგონილა, საკვირველია!

ა გ ნ ე ს ა

ვინ არს ის ქალი?

რ ა უ ლ ი

მაგ საიდუმლოს მეფე შეიტყობს.
წინასწარმეტყველს ღვთისგან მოვლენილს, —
იგი თავის თავს ასე უწოდებს.
და, ვიდრე მთვარე შეივსებაო,
მტრისა განდევნას იგი ჰქადაგებს.
ჯარი რა უსმენს და იმას ჰხედავს,
დამშეულია ბრძოლისათვისა.
მალე თითონაც აქ მოვა ისა.
(ისმის ზარების რეკა, ხმაურობა სცენის იქით)
ხომ გესმის, გარეთ რა ამბავია?
იგია სწორედ!

მ ე ფ ე (დიუ შატელს)

ქალი აქ მოიყვანეთ! (მღვდელმთავარს)
რაღა სთქვას კაცმა და რა ვიფიქრო?
ქალისაგან ვართ გამარჯვებულნი,
ისიც ისეთს დროს, როს ჩვენი ყოფნა
სათუო იყო, თუ არ გამჩენი.
ბუნებრივია? და ან სად არის
ნეტავ კანონი ის ბუნებისა?
სჭრის ჩემთვის რწმენა სასწაულისა...
(ხალხის ძახილი სცენის გარეთ)
„გაუმარჯოს მხსნელ ქალს, გაუმარჯოს!“

მ ე ფ ე (დიუნუას)

ცოტა ხნობითა ადი ჩემს ტახტზე,
ერთი გავიგოთ, გიცნობს თუ არა?
მალე გაიგებს, ვინც არის მეფე,
თუკი არ არის ის მატყუარა.

გამოსვლა მეათე


წინანდებლები. იო ა ნ ა, მოსდევენ თან: მ ო ხ ე ლ ე ნ ი და ო რ ლ ე ა ნ ე ლ ნ ი,
მ რ ა ვ ა ლ ნ ი რ ა ი ნ დ ნ ი, რომელნიც დაიქერენ მთელის სცენის შუაგულს,
იო ა ნ ა მედიდურად წამოდგება წინ და ყველას სათითაოდ ათვალიერებს.

დ ი უ ნ უ ა (მედიდურად)

შენა ხარ ქალი ის საკვირველი?

იოანა (აწყვეტინებს სიტყვას)

რაღა სცდი ღმერთსა, შენ დიუნუა,
ან რად გიპყრია უღირსსა ტახტი?
აი, ის, ვისთვისც მომგზავნა ცამა.



(გაბედულად მიუახლოვდება მეფეს, მის წინ მუხლს მოიყრის, მერე აღგება და რამდენიმე ნაბიჯს უკან გადასდგამს. დიუნუა ტახტიდან ჩამოდის. მეფე მარტოკა რჩება სცენის შუაგულში.)

მეფე

პირველად მხედავ და სიდგან იცი,
რომ მართლა მე ვარ ფრანგების მეფე?

იოანა

მე შენ იქ გნახე, მხოლოდ იქ, სადაც
სხვა გარდა ღვთისა არვინ გხედავდა.
(მიუახლოვდება და განცვიფრებული ეუბნება)
მე ისიც ვიცი, რაც წუხელ მოხდა,
როცა ყველანი ღრმა ძილში იყვნენ,
შენ ლოგინიდან მაშინ ადექი
და დაიჩოქე მაცხოვრის წინა,
თუ რომ დაითხოვ აქა ბძანებულთ,
შენს ლოცვას გეტყვი მხოლოდ მაშინა.

მეფე

მე დასამალი არაფერი მაქვს,
ხალხმაც იცოდეს, რაც ვსთხოვე ღმერთსა,
თუ ლოცვას მეტყვი, შენს სიწმინდეში
აღარ შევიტანთ ჩვენ მაშინ ეჭვსა.

იოანა

რაკი მცდი, მეფევ, და არც გეკრძალვის
ხალხის წინაშე ვსთქვა მე ყოველი,
გეტყვი კიდევაც თუ ღვთისათვისა
რისა იყავი წუხელ მთხოვნელი.
პირველად როცა ხელი აღაპყრე,
სთხოვე ცოდვები პირად შენ გეზლო,

რაც სამეფო ტახტს მამა-პაპისგან
საშვილიშვილოდ ცოდვად დაედო.
იმ ცოდვებისგან მტარვალთაგანა
შენ ერს რბევა და ტყვევნა მიერგო.
გულმტკიცედ სთხოვდი: მსხვერპლად მიმიღე,
ხოლო, უფალო, ერი იხსენი.
პირველი ლოცვა ეს იყო შენი.

მ ე ფ ე (შემკრთალი უკან დაიხევს)

ღმერთო, რას ვხედავ? საიდანა ხარ?
მხევალო ღვთისა შენ საკვირველო?
(ყველანი გაოცდებიან)

იოანა

მეორე ლოცვა: თუ ტახტს დავკარგავ,
წამერთმის ყველა პაპეულიო,
სამი სიკეთე შემანარჩუნე:
წრფელი გუნება, მშვიდი სულიო
და მეგობრები ყველა, ვინც მყვანან,
და აგნესასი სიყვარულიო.

(მეფე თვალებზე ხელს იფარებს და ტირის. ხალხი გაოცებული ლოცავს.
იოანა ცოტახანს გაჩუმდება. მერე განაგრძობს)

გითხრა კვლავ ლოცვა უკანასკნელი?

მ ე ფ ე

საკმარისია, თავს ნუ იწუხებ.
შენის ბაგითა ღმერთია მოქმელი.

მ ღ ვ დ ე ლ მ თ ა ვ ა რ ი

რატომ არ გვეტყვი, მხევალო ღვთისავ,
საიდანა ხარ, რომელი მხრიდან?
გყავს ან დედ-მამა, რას გეძახიან,
ან მოგვევლინე ჩვენ მხსნელად სიდან?

იოანა

წმინდავ, მამაო, მე ჟანა მქვიან,
ქალიშვილი ვარ ვინმე გლეხისა.

ჩვენც იქ გვაქვს ბინა, სადც მოსახლობენ
ყველა მცხოვრებნი იმ დომ-რემისა.
იქ გავიზარდე და სიყრმიდანვე
ვმწყსე ცხვრისა ფარა მამიჩემისა.
დიდებისაგან ხშირად მესმოდა
გულსაკლავი ხმა ჯერ ისევ ყრმასა,
რომ კუნძულელნი არ გვასვენებენ
და ასაკლებად გვესხმიან თავსა.
ჩვენს დასაპყრობად, დასამონებლად
იგინი მუდამ არიან მზადა.
ჰსურთ საფრანგეთის დასაკუთრება
და თავის მეფის დასმა ტახტზედა,
რომელთც ფრანგი სძულთ და ამის გამო
მე მოვდიოდი მუდამ ბრაზზედა
და ვდუდუნებდი უძღურის ენით:
„როგორ იქნება? რისთვის, რაზედა?“
დედა ღვთისმშობელს, როს დავწვებოდი,
ვევედრებოდი თვალცრემლიანი, —
რომ დაეთარა ჩვენი ქვეყანა
და არ მიეცა მისთვის ზიანი,
შაენარჩუნა ჩვენთვისა მეფე,
ჩვენის ტომისა, გვირგვინოსანი.
ჩვენსა სოფელში ჩვენს სახლზე ახლოს
ერთგან ნიშია ღვთისმშობელისა.
იქ მოდის მუდამ გუნდი და გუნდი
ყოველი მხრიდან მლოცავეებისა.
იქვე მუხა დგას ტოტებგართხმული,
მაღალი, სქელი, ათასწლოვანი.
მის სიწმინდეზე მრავალს ამბობენ —
ნახულს, გაგონილს კაცნი მხცოვანნი.
მიყვარდა ფრიად მე მის ქვეშ ყოფნა,
მისკენ მიმწევდა მუდამეჟამს გული
და მის წყალობით რამდენჯერ ვპოვე
მთაში ბატკანი მე დაკარგული.
დავიძინებდი, მესიზმრებოდა —
რა მხარეს იყო ცხვარი წასული.
ერთს ღამეს ლოცვით გატაცებულსა
არ მომეკარა მე თვალზე ლული.
გამომეცხადა თვით ღვთისმშობელი,

ხელში ეჭირა დროშა და ხმალი.
ტანისამოსი უბრალო ეცვა
და თვითაც ვისმე მწყემს ქალსა ჰგავდა.
მითხრა: „მიცანი, აბა, ვინა ვარ?
უფალი მიტომ აქამდის გცავდა,
რომ სხვა საქმისთვის შენ გამზადებდა
და მიტომ უნდა ხელთ იპყრო დროშა,
ეს ხმალი უნდა წელთ შემოირტყა
და მითი მტერი შენ უნდა მოჰსრა.
ჩემის ერისა მირონის ცხება
რეიმსში უნდა დააგვირგვინო
და დანგრეული მისი სამეფო
კვლავ განადიდო და აღადგინო“.
მე ვუპასუხე: „დედავ ღვთისაო,
უცოდინარსა ერთს ბეჩავს ქალსა
სით შემოძლიან მე მტერს ვეომო,
სიდან მოვიკრებ მე იმდენს ძალსა?“
„უნდა გაჰბედო, — კვლავად მიბრძანა, —
უარობისა ნუ მასმენ ხმასა,
მით რომ არარა გაუჭირდება
თავშენახულსა, ქალწულსა ქალსა.
მე ქალწულობით უფალი ვშობე
და მაგალითად მოგივლენ თავსა“.
მაშინ ჩემს თვალებს ხელით შეეხო
და მეც თვალები მივაპყარ ცაში
და დავინახე ტკბილ-მაგლობელნი
ანგელოზთ გუნდი ბრწყინვალე მაში.
ყვავილთა კონა სუნნელოვანი
თვითეულადა მათ ეპყრათ ხელში.
ასე სამ ღამეს განუწყვეტელად
მეცხადებოდა მოწყალე დედა.
ჩამჩურჩულებდა ხმით სათნოითა
დაჟინებითა და ზედიზედა:
„ღმერთი გიწოდებს დიდი საქმისთვის,
ფეხს უკან ნუ სდგამ, უნდა გაბედვა!“
მესამე ღამეს უკვე გამწყრალი,
განრისხებული გამომეცხადა.
ბრძანებით მითხრა, შუბლშეჭმუხნულმა:

„აბა, რას ჰფიქრობ, არა ხარ მზადა?!
ქალთა ხვედრია დიდი მოთმენა,
აიღე ჯვარი, უსმინე ცასა —
ქვეყნიურ ტანჯვაგამწმენდელია,
ცისავე იკვლევს ცხონების გზასა!“
მყის გადაიძრო მწირი სამოსი,
სრულის დიდებით დამიდგა წინა.
სათნოიანის თვალთ ბრწყინვალეებას,
მისი სიტუროფე კვლავ განებრწყინა
და თეთრ ღრუბლებზე ცაში ამაღლდა,
პირქვე დავემხე, რა შამეშინა...

(ეს სიტყვები ყველას გულსა ჰხვდება. აგნესა ტირის
და პირზე ხელებს იფარებს)

მ ღ ვ დ ე ლ მ თ ა ვ ა რ ი

(დიდი სიჩუმის შემდეგ)

უნდა გაჩუმდეს ეჭვები სიბრძნის,
რასც ეს სოფელი ჩვეული არი.
მაშინ, როდესაც თვით ზეცა ბრძანებს,
მოგვევლინება იმისი მსჯავრი.
საქმე ჰღალადებს თვით უტყუარად,
მოწმე საჭირო სხვა აქ არ არი.
და მის თვალების უმანკოება
და შუბლის ჯვარი სიწმინდით მცხრალი
უფრო მარწმუნებს მის სიწმინდეში,
ვიდრე თვით საქმე უკვე მომხდარი.


მ ე ფ ე

მაგ მოწყალების განა ღირსი ვართ,
ჩემი კაცობა სული და გული —
იმის ცოდვისა ჭუჭყიანს ფურცლებს
რომ კითხულობდეს წმინდა ასული.

ი ო ა ნ ა

ნეტარ არიან სულით გლახაკნი,
რამეთუ ღმერთი იმათა სწუნობს.

შენც რომ დაჰდაბლდი, ღმერთს მიტომ ჰნებავს,
რომ განგადიდოს და აგამაღლოს.



მ ე ფ ე

მაშ შემიძლია ბრძოლა მტრებთანა.

ი ო ა ნ ა

მუდამაც, როცა ღმერთი შენთანა.
უნდა გადმოგცა შენი ქვეყანა.

მ ე ფ ე

მაშ ორლენსაც ვერ დაიპყრობენ?

ი ო ა ნ ა

ჩქარა ლაურა აღმისკენ იდენს!

მ ე ფ ე

მაშ თქვენი მეფე რეიმს დაიჭერს?..

ი ო ა ნ ა

მტრებისა გვამებს ფეხით სთელავდე,
რეიმში უნდა ისე გატარო.

(იქ მყოფნი რაინდნი გამამაცებულნი შუბის ტარებსა
დაბლა სცემენ, აბჯარს აელერებენ)

დ ი უ ნ უ ა

უბრძანე, მეფევ, წინ თვით გაგვიძღვეს.
ცეცხლში ჩაგვყაროს, აღარ დავიხვეთ.
ბელადად გვექმნეს ქალის იღბალი,
მის ერდგულ მცველად ეს ჩემი ხმალი.

ლ ი ა გ ი რ ი

მთელი ქვეყანა თუნდ რომ დაგვეცეს,
წარბს არ შევიხრით, თუ ეს წინ არი.
მენატრის ბრძოლა. გთხოვთ წაგვიყვანო!
სადაც შენა ხარ, ღმერთიც იქ არი.

მ ე ფ ე



ძალიან კარგი, ჩემს ჯარს შენ განდობ,
მისნი სარდალნი შენა გმონებდენ.
ამ ხმალსაც გიძღვნი უფლების ნიშნად,
რომ მთავარსარდლად ჩემ მიერ გცნობდენ.
ეს დამიტოვა ჯარის უფროსმა,
რადგან აჩქარდა და ითავხედა.
მაინც ღირსეულს ხელში ჩავარდა,
კარგია, ხმალსა არ უნდა ქება.

ი ო ა ნ ა

მოიცა, მეფევ, რა მოგახსენო
პასუხად თქვენის ყურადღებისა:
ნიშანი ქვეყნურ ძლიერებისა
არ არს წამალი გამარჯვებისა.
სულ სხვა ხმალია ღვთისგან რჩეული
ჩვენგან მტარვალთა დამარცხებისა.
მე სიზმრით ვიცი, სადც ის ხმალია,
თვით სასწაული მას აღმოაჩენს.

მ ე ფ ე

სად არის იგი?

ი ო ა ნ ა

ძველისძველ ქალაქ ფიერბუაში,
ეკატერინე სადაც ჰმარხია,
წმინდად ცნობილი, ძველს საფლავებზე
მიშლილ-მოშლილი ძველი სახლია.
ნადავლი ჩვენთა მამა-პაპათი —
იქ შუბიც ბევრი, ბევრი ხმალია.
და ხმალიც ღვთისგან ჩემთვის აღთქმული
იმ საჭურჭლეში დამალულია.
ხმლისა ნიშნებსაც ეხლავე გეტყვით:
პირზე სამი აქვს ოქროს ბეჭედი.
იგი მიშოვეთ, რადგანაც ვიცი,
არა გვიშველის ჩვენ იმის მეტი.



მ ე ფ ე

დიუ შატელ, ეხლავ ასრულდეს,
მოძებნე ხმალი.

იოანა

და დროშაც მინდა რომ თეთრი მქონდეს
წითელ არშია შემოვლებული
და ღვთისმშობელი ყმა იესეთი
უნდა ზედ იყოს გამოხატული,
მის ქვეშა ბურთი მსოფლიოს სახედ
ღვთისმშობელს ეპყრას ხელთ აღმართული.

მ ე ფ ე

ყველაფერი ასრულებულ იქნება.

იოანა (მღვდელმთავარს)

მამაო წმინდავ, გთხოვთ გულით წრფელით
მაკურთხოთ, თავზე შემეხოთ ხელით.

(დაიჩოქებს)

მ ღ ვ დ ე ლ მ თ ა ვ ა რ ი

ჩვენ რა ღირსნი ვართ, რომ შენ გაკურთხოთ,
რადგან კურთხევა შენ მოგვივლინე.
ღმერთმა გაკურთხოს, ღმერთი გიძლოდეს,
სიბრძნეა დიდი შენი სიმშვიდე.
ხოლო ჩვენ ბრმეები ვართ, დიალ, ბრმეები.

პ ა ე ი

სალისბურისა ჰეროლდი გახლავთ.

იოანა

მოიყვა! თვით ღმერთს მოჰყავს ჩვენთანა.

გამოსვლა მეთერთმეტე
იგინივე და ჰეროლდი



მ ე ფ ე

ვინ გამოგზავნა? ან რა ამბავი
შენ მოგვიტანე?

ჰ ე რ ო ლ დ ი

ვინ გახლავთ აქა კარლი ვალუა?

დ ი უ ნ უ ა

ბედკრულო, მონავ, როგორა ჰბედავ,
რომ საფრანგეთში
კანონიერი მეფე არ გწამდეს?
თვის სამშობლოში, თავის მიწაზე,
ვინ გინდა ვისგან მასხარად გახდეს?
შეგანანებდი მაგ უზრდელობას,
შენი ღირსება რომ არა გცავდეს.

ჰ ე რ ო ლ დ ი

კანონიერი მეფე ფრანგებსა
მხოლოდ ერთი ჰყავთ, ისიც ბრიტანელთ
ბანაკში არის.

მ ე ფ ე (დიუნუას)

დამშვიდდი, მეგობარო, შენ სთქვი
ჰეროლდო!

ჰ ე რ ო ლ დ ი

ჯარის უფროსმა ჩვენმა მომგზავნა,
ხმალიც ქარქაშში უკვე ჩააგო
და ორლენსაც ხელს აღარ ახლებს.
გთხოვთ, რომ სისხლის ღვრამ რომ არა გვარგო,
ამიტომ მას ჰსურს რომ ზავი დასდოთ.

მ ე ფ ე

რაზედა ზავი?

იოანა

მე გთხოვთ მეფეო, ნება მიბოძო,
რომ თქვენს მაგივრად პასუხი გავცე.

მეფე

სთქვი!
ამიერიდან შენი ნებაა
ომი და ზავი.

იოანა

ვინ ლაპარაკობს, ნეტავ, ჰეროლდო,
შენის ენითა?

ჰეროლდი

ბრიტანელების მხედართმთავარი —
სალისბიური.

იოანა

სტყუი, ჰეროლდო, რადგანაც ვიცი —
მხოლოდ ცოცხალნი ლაპარაკობენ.

ჰეროლდი

ჩვენი ბელადი დღესნამდი ცოცხლობს,
სიცოცხლითა და ჯანით სავსეა,
მტერთ შესამუსრად, გასამტვერებლად.

იოანა

გუშინდელს ამბობ და დღეს დილითა
ორღეანიდან ის თოფით მოჰკლეს,
როს ლიატურნელ კოშკზედა იდგა.
ჩემი სიტყვები ტყვილად სიცილს გგვრის,
როცა თვალითა მას მკვდარსა ჰნახავ,
მაშინა, ვგონებ, რომ დაიჯერებ.
და როცა ჰნახავ ბანაკში გლოვას,

ჩემს ნათქვამს, ვგონებ, არ გაიკვირვებ.
ეხლა გვითხარი, რა ფიქრზე ჰსდგებარ?

ჰ ე რ ო ლ დ ი

როცა შენ ყველა უთქმელად იცი,
ჩემი ფიქრებიც გეცოდინება.

ი ო ა ნ ა

ვიცი კიდევაც, არ მინდა ცოდნა
მხოლოდ, ჰეროლდო, ყური დამიგდე.
ისწავლე ესა, სიტყვასიტყვითა
თქვენს წინამძღვართა ყურად ჩაუგდე:
ინგლისის მეფევ, ამაყო გლოსტერ,
და შენ, ბედფორდო — ჯალათნო ფრანგთა,
აღსასრულის დღე მოგიახლოვდათ,
სასიკვდილოდა იყავით მზადა.
მოემზადენით პასუხი მოგცეთ:
რაც თქვენ უბიწო სისხლი დაჰღვარეთ.
გასაღებები აქ მოგვიტანოთ,
ძალით წართმეულ ჩვენთა ქალაქთა.
ღვთისგან რჩეული მხევალი ესა
გაძლევთ თუნდ ზავსა, თუნდა შემუსვრას,
ამოარჩიეთ, რომელიც მოგწონთ.
ამოგაშხამებთ ჩვენზე აღჭურვას.
ახლავე გეტყვით, ყველა უწყიდეთ,
წმინდა საფრანგეთს ვერ წარიტაცებთ,
მეფედ ფრანგებსა კარლი ექმნება
და თქვენც ამაოდ აქ თავსა დასდებთ.
თქვენ ღვთის განაჩენს არაფრად აგდებთ.
ეხლა, ჰეროლდო, წადი და უთხარ
თქვენს ბელადებსა, მაგრამ კი ჩქარა,
ვიდრე მიაღწევ, ორლუანს იხსნის
ჩვენი ხმალი და ჩვენი მუქარა.
(მიდის, ყველანი თან მისდევენ)



მოქმედება მეორე

გამოსვლა პირველი

(ადგილი კლდეებით შემოზღუდულია. ღამეა)
ტალობოტი, ლიონელი, ჰერცოგი ბურგუნდიისა,
ფასტოლფი, შატილიონი, მხედარნი

ტალობოტი

აქ შეგვიძლიან ბანაკი დავდგათ,
უშიშარია ესე ადგილი.
ეს კლდენი კარგად დაგვიფარავენ
ციხე-კოშკებად ცაში აწვდილი.
დამფთხალი შიშით მოულოდნელით
შემოვიკრიბოთ გარსა ლაშქარი.
მალლობებზედა ყარაულები
ჩვენ დავუყენოთ. გითხრა მართალი,
ამ ღამით დევნას არ დაგვიწყებენ.
თუნდ ფრთები ესხათ, ვერ დაგვწვდებიან.
მაინცდამაინც სიფრთხილე გვმართებს,
რა გაიმარჯვეს, გამხნევდებიან.

(ფასტოლფი მიდის, მიჰყავს მხედარნი)

ლიონელი

დავმარცხდით. ბედმა ახში გვიმტყუნა,
ან შესაძლოა ასე ხდებოდეს:
ჩვენ წინ გავრბოდეთ დამარცხებულნი,
ფრანგების ჯარი უკან მოგვდევდეს?
ეს სულ დაგვლუპა ჩვენ ორღეანმა, —
ჩვენი სახელი სამარედ გახდა, —
სრულად დავკარგეთ პატივისცემა,
ჩვენი სახელი სამუდმოდ წახდა.
შესაძლო არის ეგრე გაქცევა,
ან ვით ირწმუნონ მომავალს დროში,
რომ დედაკაცმა ჩვენ დაგვიფრინა
პუატე, კრეკში, აზინკურეში?

ჰერცოგი

ნუ გწყინს ძალიან. ძალამ არ გვძლია,
არამედ ჯადომ ჯადოქარისამ.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

ჩვენს უგნურებას უნდა ვაბრალოთ,
შენც გწამს, ჰერცოგო, მაგისტანები?
ცრურწმუნებითა როგორ იმართლოს
თავი ლაჩარმა, ესხდეს თვალები,
უკუიქეცი პირველი და თან
შენებიც მოგყვენ, ვითა ქალები.

ჰ ე რ ც ო გ ი

ვინლა გამაგრდით? ყველაც გაპრბოდით.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

არა, პირველად თქვენ გაიქეციით
და თავს გოდებით ჩვენ დაგვეცენით.
„ჯოჯოხეთია ფრანგების მხარე,
დავიღუპეთო!“ — ჰყვიროდით ქშენით.
მხოლოდ, რა გვექნა, ვერც ჩვენ გავმაგრდით
და ჩვენცა მაშინ ავირიენით.

ლ ი ო ნ ე ლ ი

თქვენ გაიქეციით წინდაწინ, თქვენა.

ჰ ე რ ც ო გ ი

ჯერ ჩვენ დაგვეცა, მაშ რას ვიზამდით?

ტ ა ლ ბ ო ტ ი

იმან შეგატყოთ სილაჩრე და სთქვა:
მხდალნი მამაცთაც გაიყოლებენ.

ჰ ე რ ც ო გ ი

მაშ მე ვყოფილვარ მიზეზი ჩვენი
დამარცხებისა?



ლიონელი

ღმერთია მოწმე, რომ, თუ თქვენ არა,
ჩვენ

.
.
.

ჰერცოგი

.
თქვენ ვინ გასწავლათ საფრანგეთის გზა,
ვინ მოგცათ ხელი მფარველობისა,
ვინ აგვირგვინა ჰენრიხი პარიეს
სამტრო ადგილში უმაღლეს მოსვლისა?
თუ არა ჩემი მძლავრი მარჯვენა,
შეიყვარებდნენ იმასა ფრანგნი?
თქვენ თქვენის სარდლით ბოლს ვერ ჰნახავდით,
რითაც იმოსვის ფრანგთა სახლთ ბანი.

ლიონელი

მაშ ეგრე არის, მხოლოდ სიტყვებით
შენ დაიპყრობდი მარტო ამ მხარეს?

ჰერცოგი

რომ გწყინსთ დაკარგვა ორლენისა,
წყენის ნაღველსა ჩემზე რად ანთხევთ?
თქვენს ერთგულს ძმასა და მოკავშირეს
რატომ არ ჰფიქრობთ, რისათვის აწყენთ?
სთქვით, ვინ წაგართვათ მაშ ორლენი,
ის ხომ მზად იყო დაგვმონებოდა?
რომ ანგარება, წყეული შური
ერთმანერთისა არ გვქონებოდა.

ტალბოტი

განა შენთვისა ჩვენ მას ვლაშქრავდით?

ჰერცოგი

რომ მეღალატნა, თქვენ რას იზამდით?

ლიონელი

მასვე ვიზამდით, აზინკურეში
ფრანგებთან ერთად რაც დღე დაგმართეთ,
შენი ლაშქარიც იმათა ჰშველდა,
მაგრამ ორივე ჩვენ დაგამარცხეთ.

ჰერცოგი

ჩემი კავშირი, აღარ თუ გახსოვთ,
როგორ თქვენს რეგენტს ძვირად დაუჯდა.

ტალბოტი

ეხლა ჩვენ უფრო ძვირადაც გვიღირს,
რადგან მის გამო დღესაცა ვსტირით.

ჰერცოგი

გაჩუმდი, ტალბოტი! თორემ ინანებ!
აგრე აფასებთ ჩემს ერთგულებას?
თქვენთვის უარვყავ ჩემი სამშობლო
და სახელს ვზიდავ მოლალატისას.
მემართლებით კი, რომ კიდევ მლანძღავთ
საიდან სადა გადმოკარგულთა.

.
.
.

ტალბოტი

ჩვენ კარგად ვიცით, შენს კარლს ემხრობი,
მაგრამ უწყიდე, ლალატისაგან,
როგორც იქნება, ჩვენ თავს დავიცავთ.

ჰერცოგი

ღმერთო მართალო, ეს რა დღეში ვარ!
შატილიონო, შეჰყარე ჯარი,
მოკავშირეთა მსურს გავეყარო.
(შატილიონი მიდის)

ლიონელი

მიბრძანდი, ჩვენთვის საჭირო არ ხარ.
და ბრიტანიას მაშინ აქვს ძალა,
როს მარტო იბრძვის და თავი თვისი
ფლიდს მოკავშირეს არ შეაბრალა.
ყველამ ვიბრძოლოთ თავ-თავისათვის,
რომ კიდევცა ვსცნათ თეთრი და შავი.
როგორ მოვტყუვდით — სისხლმა ფრანგისამ
ინგლისელისას ვით უყოს ზავი?

გამოსვლა მეორე

იგინივე, დედოფალი იზაბელა.

დედოფალი

ჯარის უფროსნო თქვენგან რა მესმის,
შესაძლოა დღეს ამ გვარი ქცევა?
თავის თავისვე დასაღუპავად
ერთმანერთისთვის ზურგის შექცევა?
დღევანდელს დღესა ჩვენი მეშველი
სხვა არ არის თუ არ მშვიდობა,
თქვენ გამსჭვალულთა უთანხმოებით
შეგყრიათ მტრობა და გულდიდობა.
შენ გთხოვთ, ფილიპე, უბრძანე ჯარსა —
რომ არ წავიდენ ჩვენ შესარცხვენად.
ლიონელ, ვინძლო, სიტყვა დაჰხარჯო
ჯარის უფროსთა შესათანხმებლად.

ლიონელი

მე ძალა არ მაქვს და ასეცა ვსჯი,
რომ განშორება მათი სჯობია:
რაც ერთმანერთსა არ ეკერება,
არც მუდარებით მისაკრობია.

დედოფალი

როგორცა ვხედავთ, ვით ბრძოლის ველზე,
აქაც ჯოჯოხეთს ფესვი გაუდგამს.

ერთხელ ჩვენაცა ღმერთი ვახსენოთ,
ნუ ვემონებით ბოროტ სულს მუდამ.
ნეტა ვიცოდე, ვინ არს მიზეზი?
ტალბოტ, უეჭვოდ იქნები შენა.
თვის სამავნებლოდ, დასალუპავად
მოკავშირისა რად გინდა წყენა?
რის იმედი გაქვს? ნუთუ არ იცი,
რომ თქვენი მეფე მან გაგვიმეფა
და სადაც მარწყვს ჰკრეფს ბურგუნდიელი,
იქ შეუძლიან ეკლისაც კრეფა.
მალევე აჰხდის თავიდან გვირგვინს,
რომლითაც იმას უმშვენა კეფა.
რატომ არ იცი, თუ ფრანგთ თანხმობა
და ერთი პირი ამ დროს ექნება,
მთელს ბრიტანიას პასუხს მისცემენ,
ფრანგთ ფრანგებისგან მხოლოდ ევენება.

ტ ა ლ ბ ო ტ ი

მე მოკავშირე სხვაგვარი მიყვარს,
არა გამცემი და მოღალატე.

ჰ ე რ ც ო გ ი

ვინც მადლის მქნელსა არ დაუმაღლებს,
იმას ტყუილიც ეადვილება.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

როგორ, ჰერცოგო, ნუთუ მავნებლად,
თვის დამცირებად არ უნდა სთვლიდე
და სისხლიანს ხელს მკვლელს მამიშენის
შენ მეგობრულად უნდა ართმევდე?
ვით დავიჯერო, კარლი დღედაღამ
შენს დასალუპად განმზადებული,
რომ გულწრფელადა შენ შეგირიგდეს
და მოიბრუნოს კვლავ მტერზე გული.
რაც ააშენე, იმასვე ანგრევ
შენისვე ხელით უდიერადა.
შენ მეგობრები მხოლოდ აქ გყვანან,
ჩვენთან დარჩენა გიჯობს ბევრადა.



ჰერცოგი

კარლს შეურიგდე სულაც არ ვფიქრობ,
მხოლოდ ესა მწყინს, ეს მიკლავს გულსა,
ვით ვაპატიო უდიერობა,
კვეხნა-ტრაბახი ვიღაც უცხოსა.

დედოფალი

ნუ გავამტყუნებთ, სიფიცხით მოსდის,
გამარჯვებითა მოტყუებულსა.
უბედურება უსამართლოდ გვხდის,
ესეც ბრაზობით იქარვებს წყლულსა
და ვიდრე მტრობა გაიზრდებოდეს,
მოდის, ნუ მოჰშლით სიყვარულს ძმურსა.

ტალბოტი

რას იტყვი, ჰერცოგ? გულით ალაღსა
ეადვილება დასთანხმდეს ჰკუას.
და დედოფალის რჩევის თანახმად,
ხელი მომეცი მე ვითა მტყუანს,
ვგრძნობ, გაწყენინე გულფიცხოვითა,
მეგობრობაზე ნუ მეტყვი უარს.

ჰერცოგი

მეც თანახმა ვარ, ჰა ჩემი ხელი,
გარემოება დღეს მაიძულებს
სამართლიანი წყრომა გულისა
დავსთრგუნო, რადგან იგი არ გვარგებს.
(ხელს ართმევენ ერთმანერთს)

ლიონელი (უყურებს-რა იმათ, თავისთვის)

ზავი არს ეგე დაურღვეველი,
ხელმოწერილი თვით მეგერასგან.

დედოფალი

თუმცა, სარდალნო, ბედი არ გვწყალობს
და რამდენჯერმე ჩვენ ვიძლიენით,

უარესობას უნდა ველოდეთ,
 თუკი სულ-გულით დავითრგუნენით.
 მტრის გამარჯვებამ, უნდა უწყიდეთ,
 არ უნდა მოკლას ჩვენი მხნეობა.
 ძლეულნი სწორედ მაშინ ვიქნებით,
 თუ არ შეგვრჩება მტკიცე ზნეობა.
 სასომიხდილი ღმერთზე კარლოსი
 ჯოჯოხეთს იწვევს თვის მეშველადა.
 სულს ტყუილად ჰლუბავს, მაცდურთან ძმობა
 მუდამ ჩაუვლის იმას ცუდადა.
 დღეს გამარჯვებას, ჩვენთვის წართმეულს,
 ბოლო დროს გვიზღავს ერთი ხუთადა.
 დაე, მას ჰყავდეს ბელადად ქალი,
 თქვენთვის გამწყრალი მის დედა არი.

ლიონელი

თქვენ, დედოფალო, პარიჟს წაბძანდით,
 უდედაკაცოდ იოლას წავალთ.

ტალბოტი

გულახდით ვიტყვი, მე, დედოფალო,
 ან ვით დავმალო ყველასთვის ცხადი,
 რაც ჩვენს ბანაკში ჩაჰსდგით თქვენ ფეხი,
 ინგლისის დროშავ, მაშინვე წაჰხდი.
 არც ღმერთი გვწყალობს და აღარც ხატი.

ჰერცოგი

მეც ვერ დავცადე კარგად აქ ყოფნა,
 ბევრად აჯობებს, უკანვე წადი.
 მე, როგორც ვხედავ, ჩვენს მხედრობასა —
 ზიზღით გიცქერის თვალები მათი.

დედოფალი

(ყველას განცვიფრებით უცქერის)
 წენაც მღალატობ, ნუთუ, ფილიპე,
 უკმაყოფილოთ შენაც მხარს უჭერ
 და დედოფალს კი მასხარად იჭერ?!
 !



ჰერცოგი

რაც მართალია, მე იმას ვამბობ,
თქვენ გამო ჯარი მხნეობას ჰკარგავს,
თქვენის გულისთვის სისხლს არა ჰღვრიან
და მათი ბრძოლაც ბრძოლას როდი ჰგავს!

დედოფალი

ერთი უყურეთ. ძლივს შეგარიგეთ
და თქვენ, ჰო ღმერთო, იმასა ჰფიქრობთ —
განზე გამიდგეთ, ზურგი მაქციოთ?
რაკი ეგრეა, ეს მაცოდინეთ:
არის თუ არა ჩვენი კავშირი
ერთი საქმისთვის სისხლისა მღვრელი,
გვაქვს, თუ აღარ გვაქვს ჩვენ ერთი პირი?

ტალბოტი

არა. ჩვენ ვიცავთ ინგლისის სახელს,
მის უფლებასა, ვითა რაინდნი.

ჰერცოგი

მე კიდევ, მამისჩემის სისხლს ვიძევ
და ვითა შვილი მოკლულის მამის,
მკვლევლებისავე ხმლით გზასა ვიკვლევ.

ტალბოტი

სიმართლე რომ ვსთქვათ, თქვენს ყოფაქცევას
და შვილთან ეგრეთს მძვინვარე მტრობას
კაცნი და ღმერთი ზიზღით უცქერენ.

დედოფალი

წყეული იყოს ის შვილთა შორის,
თვის მშობელს დედას პატივს არა სცემს.

ჰერცოგი

ჯავრს იყრის იგი და სახელს იცავს
მეუღლურსა და თავის მამისას.

მიწამ შემკამოს ის მირჩევნია,
ვიდრე შეუნდო მე შვილს ცოდვები.
მე მიმისაჯა აქით განდევნა,
ვიდრე შეუნდობ, მინამ მოვკვდები.
ჩემს ყოფაქცევათ იგი მსჯავრსა სდებს,
ის ტახტზე ვნახო, ცოცხლად დავრჩები?

ტ ა ლ ბ ო ტ ი

თქვენ თქვენს სახელსა ფეხითა სთელავთ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

თქვენ, ჰე, კაცებო, რასა ჰგულჩვილობთ,
იცნობთ ვითომა დედისა გულსა?
ვისგანც არ ველი, თუ მაწყენინებს,
უჭირესს ჭირზე მეტადა მძულსა.
აწ რა გაჰკურნებს, რა დააამებს
შვილისგან გულზე დაჩნეულს წყლულსა?!
როცა დასწყევლა მან დედის მკერდი,
რომელმაც იმას ძუძუ აწოვა,
ჰგმირავს დანითა, ეშმაკის კერძი,
მისი სიკვდილი უფალსა სთხოვა.
ნება აქვს დედას, როს სურს წაართოს
სიცოცხლე, რადგან მისგანა ჰპოვა.
სთქვით: თქვენ რაღა გრჯისთ, რომ ძალმომრეობთ,
თქვენ რილასთვისა უტეხთ მას ომსა?..
რა უფლება გაქვთ, რა გაწყენინათ,
რომ ეტანებით და ართმევთ ტახტსა?
ვერ მომატყუებთ, ანგარეება
და მასთან შური თქვენ გატანთ ძალსა.
დედას ნაშობი თვის შვილი სძულდეს
ამისთვის იმას ვინ გასცემს ხმასა?

ტ ა ლ ბ ო ტ ი

შურისძიებით, მხოლოდ მტრობითა
დღეს თულა იცნობს ის მშობელს თვისსა.



დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჰაი, თქვე ფლიდნო, გაუტანელნო,
 სცდილობთ, რომ დაჰხშოთ ბნელით ნათელი,
 მაგრამ სიმართლეს თქვენ ვერ დასჩრდილავთ,
 რადგან ანათებს, როგორც სანთელი.
 საფრანგეთსა სწეწთ, ვით ყორანი ლეშს,
 მაგას რად ჰშვრებით? არვინ გყავთ მთქმელი,
 ერთს გოჯს მიწაზე, თქვე მტაცებელნო,
 თუ მათქმევინებთ, არა გაქვსთ ხელი...
 და შენ, ჰერცოგო ბურგუნდიისავ,
 სხვა რომ დაჰკარგე ყველა სახელი
 გულკეთილობა დაგრჩა ღირსებად,
 ერსაც ესლა აქვს შენზე სათქმელი.
 შენ არ ბძანებდი უცხოელებზე
 თავის სამშობლოს კვლავ გამყიდველი?
 მამა-პაპათა ნაანდერძევი
 მიწა და წყალი რაც კი რამ იყო,
 შენ წილი, ბეჩავ, არავინ მოგცა,
 მარტოკა მტერმა შუა გაიყო.
 ფარისეველნო, მუდამ მას ჰყვირის
 ეგ თქვენი ხახა და თქვენი ენა:
 „სიმართლე გვიყვარს, მხოლოდ სიმართლე!“
 სცრუობთ და უნდა გაგიწყრესთ ზენა,
 როგორა მძულხართ! მე უმზაკვრო ვარ
 და არაფერში არ გგევართ თქვენა.
 მივდივარ. ერმა გაგვასამართლოს
 თვისის მსჯავრითა ყველანი ჩვენა.
 (მიდის)

გამოსვლა მესამე

ტ ა ლ ბ ო ტ ი, ჰ ე რ ც ო გ ი, ლ ი ო ნ ე ლ ი

ტ ა ლ ბ ო ტ ი

აი, ის ქალი!

ლ ი ო ნ ე ლ ი

რა ვქნათ, სარდალნო, განსაჯეთ კარგა,
 მოდი, თუ იტყვით, ვეკვეთნეთ მტერსა

და დაუბრუნოთ კვალად სიცოცხლე
თავგამოდებით ჩვენს მკვდარს სახელსა.



ჰერცოგი

არვინ გაჰბედავს, მთელს მხედრობასა
მხოლოდ შიში და კანკალი იტანს.
ორი და სამი კაცი რას იზამს?!

ტალბოტი

ჩვენ დაგვამარცხა ჩვენმავე შიშმა
და არა მართლა ძალამ მტრისამა
და სისწრაფემა მის მოსვლისამა.
მაგრამ, თუ ლანდი ახლოსა ვნახეთ,
მე ვიმედოვნებ, რომ აღარ წავხდეთ
და ამას ვფიქრობ, განთიადისას
ჩვენი ჯარითა წყალგაღმა გავჩნდეთ
და პირისპირად მტრის წინა დავდგეთ.

ჰერცოგი

იფიქრეთ!..

ლიონელი

ჰერცოგო, ფიქრი აქ რა დროსია,
ჩვენ თითო წამი ძვირფასად გვიღირს
და რომ თუ მტერსა მამაცად დავკრავთ,
ჩვენის სახელის აღდგენა ითქმის
და გავიმარჯვებთ, ნურავის გიკვირს.

ტალბოტი

ძალიან კარგი, მაშ ხვალ მტერთანა
ბრძოლა გვექნება უცილობელი.
ეგებ გავაქროთ ჯარში ოცნება
იმედმიხდილი, შიშის მგრძნობელი.
უყურეთ ერთი ტალბოტის ხმალსა,
როგორ ააცდენს გრძნეულსა ჯადო.
ვგონებ გავაპო ერთის შემოკვრით,
გამოვითხოვო ასპარეზს, ვცადო.

ვგონებ შეშინდეს, არ შემებრძოლოს...
კვლავ შიში მისი ჩვენში ვერ ვნახო.
მის გრძნეულება მხედართა თვალში,
ვფიქრობ, ამითი მე დავამარცხო.

ლიონელი

მომეცი ნება, მე შევებრძოლო
უიარაღოდ ლაშქრის წინ ვცადო.
ქორმა წიწილა, ისე შევიპყრო
და ჩვენს ბანაკში გამოვიტაცო.

ჰერცოგი

ლიონელ, ნუ ჰკვებ, ძნელად საქნელსა,
ნურც გაქვს იმედი თავის თავისა.

ტალბოტი

თუ შევხვდი მართლა, მას ხელს თავზედა
როდი გადუსვამ ალერსიანად...
სჯობს მოვისვენოთ დალილ-დაქანცულთ
ხვალ რომ მტერს შევხვდეთ დამაზიანად.

გამოსვლა მეოთხე

ბნელი ღამეა. შორს გამოჩნდება იოანა თავმუზარადიანი, ტანზე ჯაჭვით.
ხელში უპყრია ბაირალი. მას თან მოსდევენ დიუნუა, ლიაგირი,
მრავალნი რაინდნი და მხედრობა. ისინი ჯერ მალლობებზე
გამოჩნდებიან და შემდეგ ფრთხილად კლდის ნაპრალებში მოიპარებიან
და ჩამოვლენ სცენაზე.

იოანა

(გარსშემორტყმულ რაინდებს)

ამ დროს ჯარი ემატება თანდათან და მთელის სცენის შუაგულს
დაიჭერს.

ჩვენ ყარაულებს გამოვეპარეთ
და ეხლა მტრისა ბანაკშია ვართ.
ღამის სიბნელემ ბევრად გვიშველა.
ჩვენის აქ ყოფნის ხმაცა გავტეხით
და ღვთისა რისხვა თავს დავატეხით.

როცა ჩვენს მტერსა სწრაფად შევუტევთ,
ღმერთი და ქალი უნდა დასძახოთ.



მ ხ ე დ ა რ ნ ი (აბჯარს აელარუნებენ)
ღმერთი და ქალი!

ყ ა რ ა უ ლ ნ ი (სცენის გარეთ)
იარაღი აიღეთ, იარაღი!

ი ო ა ნ ა

სუყველა დაწვით! დაწვით ქოხები!
რომ ცეცხლის აღმა თავზარი დასცეთ.
ხმალი ხელთ იპყართ, ჰელიტეთ და ჰკვეთეთ!

(ყველა მხედარნი ხმლებს იძრობენ და სცენის გარეთ მირბიან,
იონას უნდა უკან გაჰყვეს)

დ ი უ ნ უ ა (იჭერს)

იონა, შენ შესდეგ, ნუ ასჩქარდები,
რაც საჭიროა ხომ გააკეთე?
მტრის შეუმჩნევლად შენ მოახერხე
და მის ბანაკში ჩვენ შემოგვრეკე.
მე გთხოვ, ხმლის ქნევას თავი ანებო
და მტრისა ჟღერა ჩვენ დაგვანებო.

ლ ი ა გ ი რ ი

მაგრე, შენ დროშა ხელში აღიპყარ
და გაუძეხი მსოლოდ ჯარს წინა.
ხელს ნუ გაანძრევ, ხმლით ნუ იომებ
და, თუ მოიცილი თვითონ ხმლისთვინა,
ღმერთი ომისა უწყალო არი,
ერთია მისთვის — ცოცხალი, მკვდარი.

ი ო ა ნ ა

ვინაა ისა, მე გზა შემიკრას
და შემიჩეროს სულისა სწრაფვა?

თქვენ იმედი გაქვსთ თავიანთ მკლავის,
მე კი არ ძალმიძს მტრებისა კაფვა?!
ისარს ხვეწნითა ვერ შეაჩერებ,
იქ წავა, მშვილდმა სად იგი სტყორცნა
და იოანაც იქ უნდა იყოს,
სადც სიკვდილია და მტრისა ხოცვა.
მე ვერ მომკლავენ, ნუ გეფიქრებათ,
ვიდრე არ ვნახო გვირგვინით მეფე,
ვერას დამაკლებს თავის ხმლებითა
ათი ათასი სისხლისა მჩქეფე.
არ ასრულდება ვიდრე ნათქვამი,
ჩემზე შორსაა სიკვდილის წამი.
(მიდის)

ლი ა გ ი რ ი

ძმაო დიუნუა, მივყვეთ ჩვენც თანა
და ჩვენის მკერდით დავიცვათ ჟანა!
(მიდიან)

გამოსვლა მეხუთე

ინგლისელების მხედრობა გარბის სცენაზე. შემდეგ ტ ა ლ ბ ო ტ ი

ე რ თ ი მ ხ ე დ ა რ ი

ქალია!.. ქალი!

მ ე ო რ ე

ვინა, ვინ არი?

პ ი რ ვ ე ლ ი

ქალია ჩვენს ბანაკში!

მ ე ო რ ე

არ შეიძლება, ვინ მოიყვანა
იგი ბანაკში?

მ ე ს ა მ ე

ღრუბლით მოვიდა ანაზღუულად,
თან გუნდი მოჰყვა ეშმაკებისა.
(მრავალნი შეშინებულნი გარბიან სცენაზე,
უშველეთ თავსა!.. დავილუბეთ! მორჩენილია ჩვენი საქმე!

ტ ა ლ ბ ო ტ ი (მისძახის)

ცხვრებო, საითა, საით გარბიხართ?!
შედევით, შეგრცხვესთ! ყურს არ მიგდებენ,
ისე შეიპყრო შიშმა და ძრწოლამ,
ჩემს ნათქვამს სიტყვასც ველარ იგებენ.
მხდალნო დიაცნო, ფარ-ხმლის არ გრცხვენისთ?
შეგირცხვათ თქვენა წვერი, ულვაში.
არ ესმით, ყველას — მამაცს და მხდალსა, —
ეშმაკები ჰყავს ჩამჯდარი თავში.
გარბიან მაინც, ხელს ვერ უქცევენ
იმათ, ვისაცა თხებივით ჰრეკდენ.
განა თუ ერთხელ, ასჯერ, ათასჯერ
ბურნუთივითა ხელშია ჰფშვნეტდენ,
იმავე ლაჩრებს დღეს ვით უფროთხიან
უგუნურებით შეპყრობილები...
ვინ არს ეგ ქალი, ხელთ რომ უპყრია
ომის ბედისა მტკიცედ ძაფები?
რომ ლომებრივის იგი ძალითა
ეგრე ერთბაშად სწყვეტს ბედს ბრძოლისას
და ლაჩართ მხოლოდ ხმის გაგონებით
აძლევს მხნეობას და გულს ლომისას?
ნაცარქექია თუ ვინმე არის
გმირთა გმირადა თავის მჩენელი?
ვაი, სირცხვილო, ვილაც დიაცმა
უნდა წამართოს ძალით სახელი!..

მ ხ ე დ ა რ ი (მირბის სცენაზე)

გაიქე შენცა, ჩვენო სარდალო!
(ტალბოტი გამოუდგება უკან ხმლით და ჰკლავს)
ოჰ, უგუნურო, ირბინე ეხლა!
ვინც გაიქცევით, ეგრე გაგაქცევთ,
აქვე გაგაქრობთ! აქვე წაგაქცევთ!
ფეხს ნუ მოიცვლით, მე გეუბნებით.

სცენა გაიხსნება. მალღობებზე მოსიანს ცეცხლშემორტყმული ინგლისელთა ბანაკი. გარბიან და მისდევენ. იარაღის ჟღერა და დაფის ცემა გახშირებული. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდება მონგომერი.

მონგომერი

სადლა გავიქცე? გასაქცევი გზა
ყოველ მხრიდანა დაკეტილია.
უკან მტერი მდევს გამძვინვებული,
წინ სარდალი სდგას ხმალმოწვდილია.
არ გვიშვებს, კაცმა თავსა უშველოს,
არ ფიქრობს იმას: სული ტკბილია.
არსადა ჯაგი, არც კლდისა ეხი,
არც თავის სორო, თავის საფარად.
რად გადმოვცურე ზღვა უბედურმა,
თვის სიცოცხლისა აწ გასამწარად?
იმედი მქონდა, იგიც გაცრუვდა,
რომ მომეხვეჭა გმირის სახელი
და რასა ვხედავ? რა უნდა ვპოვო?
მხოლოდ სიკვდილი ჩვენი მსახვრელი.
სხვა რა ვიფიქრო? ეს მწერებია,
უბედო ბედმა აქ მომიყვანა.
რატომ სავერნის ნაპირზე არ ვარ,
რა გამიჭირდა მე იმისთანა,
რომ თავს ვილუბავ. მშობელი სახლი,
დედა და ცოლი მე იქ დავსტოვე
მგლოვიარენი და აქაც რა ჩანს,
თუმც არ მეგონა, სიკვდილი ვპოვე.

(იონა გამოჩნდება მოშორებით კლდის წვერზე ცეცხლის
ალით განათებული)

საკვირველია! ღმერთო, რას ვხედავ?
აგერა, მოდის ის ჯადოქარი,
ცეცხლიდან იშვა მრისხანე სახით
მალლა ავარდა, როგორაც ქარი.
საშინელება ჯოჯოხეთისა,
სად წავალ? სადლა დავემალევი? —
მომდევს, შემნიშნა, მოესწრაფება,
ცეცხლს აკვესებენ მისი თვალები.
მუხლთ მეკვეთება, ველარ ვინძრევი,
გრძნეულის ჯაჭვით უკვე დავები.

სით გავეხვეწო, თავის თვალთ ბადე
შორიდან მტყორცნა, მეც შიგ გავები.
გულს როდი უნდა, მომაკვდინები
არ მინდა ვსჭვრიტო იმისი სახე.
მომაჯადოვა, ვერაფერს ვსჩადი,
იმავე წუთში, როდესაც ვნახე.

(იოანა გადმოსდგამს რამდენიმე ნაბიჯს და მერე შესდგება)

მომიახლოვდა, უნდა ვუცადო
ვიდრე პირისპირ ჩემთან არ მოვა
და მაშინ უნდა მუხლთ მოვეხვიო,
კალთებზე ვკოცნო, დაუწყო თხოვა.
ეგებ არ მომკლას, ვევედრო ცრემლით, —
რაც უნდა იყოს, ქალია გულით.

(პსურს წინ მიეგებოს. თვით იოანა ჩქარის ნაბიჯით მიუახლოვდება)

გამოსვლა მეშვიდე

მონგომერი, იოანა

იოანა

შედექი!.. მოკვდი!
ბრიტანიელის ქალის შობილო.

მონგომერი

(დაემხოვა მუხლებზე მის წინაშე)

გთხოვ, მომითმინო პატარა ხანი,
მრისხანევ, ჩემზე არ სცადო ძალი.
მე უმწეო ვარ, მით რომ გნებდები,
გადამიყრია ფარი და ხმალი.
ამას გევედრი, გემუდარები,
თვალთაგან ცრემლი მომდის, ვით წყალი,
ახალგაზდა ვარ, მდიდარი ფრიად
და ძვირად მიღირს სიცოცხლის წამი.
ვალის მხარეს ჩემსა მშობლებსა
თვალგადუწვდენი აქვს ტყე-მინდვრები,
პური მრავალი, ოქრო და ვერცხლი.
უფალსა ვფიცავ, შენ აივსები,
რა გაიგებენ ჩემს ტყვეობასა,
არ შეილახვენ თვის ზნეობასა,

ღედისერთა ვარ, შვილის სახსნარადა
შენ დაგიტომობენ მთელს ქონებასა.

იოანა

ამაო არის შენი ვედრება,
რაკი ჩაჰვარდი შენ ქალის ხელში,
არ შეგიწყნარებს არც სასყიდელით
და არც ხვეწნითა ის თავის ღღეში.
ნიანგი იქნებ შეგიწყნარებდა,
რომ ჩაჰვარდნიყავ შენ იმას ყბაში,
ლომისთვის ლეკვნი რომ გაგეწყვიტა,
არა გიშავდა იქნებ მის კლანჭში,
ჩემთან შეხვედრა სულ სხვა საქმეა,
ჩემი მმართველი ბრძანდება ცაში.
იგი მიბრძანებს, რომ არ გაცოცხლოთ,
ვინაც შემხვდებით ბრძოლის დროს გზაში.

მონგომერი

სიტყვები შენი მრისხანე არის,
ხოლო სახე გაქვს ნაზი და მშვიდი.
ახლოდან ისე აღარ მაშინებ,
როგორც შორიდან შენ სჩანხარ დიდი.
სახისა შენის საამურობამ
მიილტო სული და გული ჩემი.
შენის ქალობის, სიტურფის მზესა.
გებრალეობდეს კვლავ სიყრმე ჩემი.

იოანა

ჩემის ქალობის იმედი ნუ გაქვს
და ნურც მეძახი მე დედაკაცსა,
რადგან ეს მკერდი სახორცივლოდა
არ შეჰხებია ჯერ მამაკაცსა,
— სული უხორცო გაგიგონია?
ამ მკერდში გული შენ ნუ გგონია!

მონგომერი

თუ გწამს შენ წმინდა გულთა მფლობელი,
წმინდა კანონი სიყვარულისა, —

სამშობლოშია მეუღლე მელის
დამტყვევებელი ჩემის გულისა.
ეგრეთი ტურფა, როგორაც შენა,
სულ ახალგაზდა, ვარდი ფურჩქვნილი.
დღედაღამ იგი ჩემს მისვლას ელის,
არ აძლევს შვებას ჩემზე წუხილი.
შენ რომ იცნობდე მართლა სიყვარულს,
ან ელი მისგან მოწყალებასა...
ნუ მოაშორებ ერთსა მეორეს
ტრფობით გადაბმულს გულს და გრძნობასა.

იოანა

შენ ასახელებ ქვეყნიურ ღმერთებს,
რომლებიც არ მწამს, არც როს ვიწამებ.
სიყვარულისა არა ვიცი რა,
მანამ ცოცხალ ვარ, არც მივიკარებ.
ვინც მას მაგონებს, ამაოდ სცდება
და შენი ბედიც დღეს გადასწყდება.
თუ ვაჟკაცი ხარ, ჰა, მოემზადე,
საბრძოლად ქალთან ბიჭობა სცადე.

მონგომერი

ოჰ, ღმერთო ჩემო, ერთის შვილისა
ჩემი მშობლები არ გებრალება
მომლოდინენი? თავზე იფიქრე,
ვიცი, დედ-მამა შენც გეყოლება?

იოანა

შე უბედურო! კიდევ მანდა ვარ,
შენ მომაგონე ჩვენი დედები.
თქვენგან რამდენი დარჩა უძეოდ,
ან რამდენია ქვრივი, ობლები.
ან დანიშნული რამდენს დააკლდა,
რომ არ ეღირსა მათ შეუღლება.
ნუთუ თქვენა გაქვსთ ჩვენის ქლეტისა,
ჩვენ კი აღარ გვაქვს თქვენზე უფლება?!

ვაიგონ ერთი თქვენმა დედებმაც,
როგორ ტკბილია შვილების კარგვა,
თავის სიცოცხლის სასოებისა
თავზე იწვნიონ რას ჰქვიან ჩაგვრა.

მონგომერი

ვაჰ, ჩემო დედავ, მაშ უნდა მოვკვდე
უცხოეთშია დაუტირებლად?

იოანა

ვინ მოგიწოდათ სხვის ქვეყანაში
საცარცვავადა, ხალხის საუღეტად,
რომ სახლიდანაც კი გვერეკებით,
ჩვენის ყანების სანადგურებლად,
მდიდარ ქალაქთა მყუდროებისა
და მშვიდობისა თქვენ დასარღვევლად?
ჰფიქრობდით განა, რომ ფრანგებისთვის
ამოგეწვადათ მათ ლაღი სული
და საფრანგეთიც თავის გემისთვის
წაგეთრეინათ, ვითა სათრული.
თქვენს ამაყს გემსა მოუხდებოდა
ასეთი დავლა კუდზე მობმული.
მაგრამ მოსტყუვდით, უგუნურებო,
რატომ არ იცით, იმდენად სცდებით,
რომ თვით მეუფის ტახტსა ამშვენებს
საფრანგეთისა სამეფო ღერბი.
ადვილი არის ბევრად თქვენთვისა
ვარსკვლავებისა ციდან მოწყვეტა,
ვიდრე ერთსრულის საფრანგეთისთვის
ერთის ბეჩავის ქოხის მოკვეთა.
ჟამი მოვიდა შურისძიების,
თქვენთვის აქ მზად გვაქვს საფლავ-სამარი,
ვერ დაბრუნდებით ერთიც ცოცხალი,
უნდა შეგასვათ სასმელი მწარი
ისე, რომ ღვთისგან ჩვენ და თქვენ შორის
ვერ გადაჰლახოთ დებული მზღვარი.

მონგომერი (ხელს უშვებს)
მაშ უნდა მოვკვდე, სიკვდილი ვნახო?..

იოანა

მოკვდი, ძამიავ! მხდალი ჰყოფილხარ,
როგორ გაშინებს მაგრე სიკვდილი.
იმას ვერავინ ვერ გაექცევა,
ყველასთვის არის უცილობელი.
მე ხომ მიუტრებ ამ საწყალს ქალსა,
გლეხის შვილი ვარ, მხოლოდ ცხვარს ვმწყსიდი,
ხმალ-აბჯარისა მე რა ვიცოდი,
ხმლის ნაცვლად მეპყრა კომბალი დიდი,
მაგრამ დროებამ გამომიწვია,
ერთ წუთს დავტოვე ცხოვრება მშვიდი,
გამოვეთხოვე დედ-მამას, დებსა,
მინდვრებს, სადაცა ყანასა ვმკიდი.
ეხლა აქა ვარ, ხელში ხმალითა
თქვენდა მმუსრავად ცამ მომავლინა.
სიკვდილი ვთესო, უწყალო ვიყო,
ეს დარიგება მესმა ციდანა.
თქვენაც შეგმუსროთ და ბოლოს თვითაც
უნდა აქ მოვკვდე ბრძოლის ველზედა,
რომ არ ველირსო თვის ნათესავებს,
შემოვეხვიო მაგრა ყელზედა.
ჯერ კი ადრეა, ჯერ ბევრის სისხლი
ასაღები მაქვს, უნდა ავიღო.
ბევრი დაქვრივდეს თქვენი დედებიც,
ჯერ ბევრი უნდა ვალად გავიღო.
და ისე მოვკვდე, საიქიოსა
წყლული გულისა აღარ წავიღო.
მე ავასრულებ ბედის განაჩენს,
შენც აასრულე რაცა გაქვს წესად —
ხმალს ხელი იკარ, ბრძოლა დავიწყოთ,
უნდა აქ მოვკვდეთ ერთ-ერთი ჩვენა.

მონგომერი (წამოდგება)

თუ მართლა შენაც მომაკვდავი ხარ
და ხმალსაც შენზე აქვს გაჭრის ნება,

ბრიტანიისა ესრეთ შერცხვენა
 შენ გაზღვეინო, ღმერთს ჰსურს იქნება?!
 შენ დაუძახე მთელს ჯოჯოხეთსა,
 მე ჩემს ბედსა ვხვევ უფლის კალთაში.
 ვნახოთ, ვის უფრო მეტი ძალა აქვს...
 ეშმაკეულო, გამოდი ხმალში!

(იღებს ფარ-ხმალს და მიეტევება იოანას. შორს ისმის სამხედრო საკრავების ხმა. რამდენიმე წამის განმავლობაში მონგომერი მკვდარი დაეცემა.)

იოანა

უბედურებამ ჩემს თავს შეგყარა...
 გთხოვ მომიტევეო, შე უბედურო!
 (გადგება განზე, სდგას დაფიქრებული)
 ოჰ, ღვთისმშობელო, გზა-კვალს რად მირევ?
 რამდენს ცოდვებსა ჩამადენინებ?
 ამ ჩემს საწყალსა, უძლურსა მკლავსა
 დევურის ძალით ხმალს აქნევიანებ.
 როს მევედრიან შებრალებასა,
 მეც შეწყალება მესახვის გულში,
 ხელიც კანკალებს ხმალამართული,
 კაცს რომ ვუმატებ წყლულებსა წყლულში,
 ასე მგონია, ღვთის ტაძარს ვანგრევ,
 არ მინდა ვნახო ხმლის ელვარება,
 შეუბრალებლად როცა სისხლსა ჰღვრის,
 მისი დანახვა შემეზარება.
 მაგრამ, თავს როცა მოვალედ ვიგრძნობ,
 რომ უნდა ჩვენი მყლეთელნი ვყლიტო,
 ხმლის უხილავი ძალა მეძლევა,
 ცხენი და კაცი შუა გავწყვიტო.

გამოსვლა მერვე

იოანა, პირზე ჩაფხუტჩამოფარებული რაინდი

რაინდი

ეშმაკის კერძო, კარგია შეგხვდი,
 მინდოდა ნახვა და კიდევ გნახე.
 დღეს დრო მოვიდა, რომ უნდა გაქრეს
 ეშმაკისგანო ეგ შენი სახე.

ვინ ხარ? რომელმა ბოროტმა სულმა
ჩემს შესახვედრად შენ მოგავლინა.
სახით არ ჰგევხარ უბრალო მხედარს,
ბრიტანიაშიც არა გაქვს ბინა.
ბურგუნდიის ღერბს შენს ფარზე ვხედავ
და ხმალიც ჩემი თავს სდრეკს შენს წინა.

რაინდი

წყეულო! მოჰკვდე განა ღირსი ხარ
კეთილშობილის კაცის ხელითა,
ისიც ბურგუნდის ჰერცოგის მიერ
პატიოსნურად, ნაკურთხის ხმლითა?!
შენ უნდა კისერს ჯალათი გჭრიდეს
დაუანგებულის მძიმე ცულითა...

იოანა

ეგრეა საქმე, მაშ ჰერცოგი ხარ?

რაინდი (ჩაფხუტს აიხდის პირიდან)

სწორედ ისა ვარ და მიტომ კიდევც
გაუწყებ, მოჰკვდე შენ დღესვე უნდა.
ვერაფერს გიშველს ჩემს ხელში მოსულს
ჯადოქარობით აღსავსე გუდა.
შენ აქამომდი იმათა სძლიე,
საწყლები ვინცა, ლაჩარი, ცუდა.
თუ შეგიძლიან იმას ებრძოლე,
ვინც ზურგს არ გაქცევს, არ გაგიბრუნდა.

გამოსვლა მე(აზრე)

იგინივე, დიუნუა, ლიაგირი.

დიუნუა

ფილიპე, შესდევ, ცოტა მოიცა,
ქალებთან ომი ეგ რა წესია,
რაინდი რაინდს უნდა ეომოს,
ორივეს ხმალი გაულესია.

ლიაგირი

ჩვენ ქალის მცველად ერთურთს შევფიცეთ,
უნდა პირობა დავიცვათ მტკიცედ,
ვიდრე ქალისას, ჩვენს სიკვდილს ვირჩევთ.

ჰერცოგი

მე ჯადოქრობა როდი მაშინებს,
არც მაშინებენ მისი მონები,
ორთავ გცხვენოდესთ, რაინდთა წესრიგს
რომა ჰლალატობთ, დაჰხდით ქონები,
თანამდებობით ჯარის სარდალნი
ჯადოქრის ქალის დაჰხდით ჩაფრები.
გელით, ვიბრძოლოთ, მე ღვთის ძალითა,
თქვენ ეშმაკის და თქვენის ქალითა.
(ხმლებს გაიძრობენ)

იოანა (ჩაუღვება შუაში)

შედეგით!

ჰერცოგი

გასწი აქედან!

იოანა

ლიაგირ, შეაჩერე... არ შეიძლება,
აქ იღვრებოდეს სისხლი ფრანგისა.
ჩხუბითა საქმე არ გაკეთდება,
უნდა დაჩლუნგდეს აქ ფხა ხმალისა.
სხვას ბრძანებს ღმერთი ჩემის პირითა,
გთხოვთ, შეისმინოთ რჩევა ქალისა.

დიუნუა

ხელს რისთვის მიჭერ, ხომ ჰხედავ კარგად,
სისხლით სწადიან გათავდეს საქმე.
ეგ რომ არ გვინდობს, ჩვენ რად დავინდოთ
ქვეყნის ორგული? მეც ნება მამე.

სუ, დიუნუა, ჩუმად, ლიაგირ.
მსურს, ვესაუბრო ბურგუნდის მთავარს.
(ყველანი გაჩუმდებიან)

ნეტავ ვიცოდე, ჩვენო ფილიპე,
რად აგერია მაგრე გზა-კვალი,
ვიზე აღმართე, იმას არ ჰფიქრობ,
მოსაკლავადა ეგ შენი ხმალი?
ეს დიუნუა თვითონ ფრანგია,
როგორც შენ შვილი საფრანგეთისა
და ეს ვაჟკაციც შენობილია.
მეც ხომ ვარ თქვენის სამშობლოს ქალი,
მაშ რისთვის ვიბრძვით, ერთმანერთისა
გამაგებინეთ, რა გვმართებს ვალი?
ყველა შენი ვართ, შენი შვილები,
მზად ვართ შენს წინა ვიდგეთ ჩოქითა,
ჩვენ ხმალს ვერ დაგკრავთ თუნდა დაგვხოცო,
ხელს ვერ გიბრუნებთ ვერცა ჯოხითა.
მაგ მუზარადს ქვეშ, სამტროდ რომ ბზინავს,
ჩვენ საყვარელსა მეფესა სძინავს.

ჰერცოგი

შენ კუდიანო, ტკბილის სიტყვებით
მოსაღორებელს საკენკსა მიყრი,
მაგრამ მაგ რჩევის გაგონებისთვის
დაზღვეულია კვლავ ჩემი ყური.
შენის თვალების მკვეთრი ისრები
ვერ გასტეხს ბეგთარს, გულს რომ მიფარავს,
ჰა, დიუნუა, რასა ჰგვიანობ?
ლაყბობა მხოლოდ დროსა იპარავს.
უნდა ვიომოთ ვაჟკაცთ ხმლებითა,
არა ლიტონის ჩვენ სიტყვებითა.

დიუნუა

ჯერ სიტყვები და მას შემდეგ ხმალი.
რისთვის გაშინებს სიტყვების ძალი?..
იმას სიტყვები ვერ შეაშინებს,
ვინც არი წმინდა, ვინც არს მართალი...

ჩვენ გაჭირვებამ არ გვაიძულა,
რომ ამდენსა გთხოვთ, გემუდარებით.
მიმოიხედე გარემო თვისსა,
გაჩხრიკე ყველა თავის თვალებით.
სად ბრიტანელთა ბანაკი იყო,
იქ ეხლა ტბა სდგას მათვე სისხლისა,
ის ტბაც არ იტევს ინგლისელ მკვდრებსა.
გესმის ხმა ფრანგთა გამარჯვებისა?!
დღეს მხოლოდ ფრანგთა საყვირი გრგვინავს,
ძღვევა ჩვენია! ხმა იყო ცისა
და ჩვენაც ეხლა მხოლოდ ეს გვინდა,
გერგოს ყვავილი ამ გვირგვინისა.
სად სიმართლე და გამარჯვებაა,
იქ ვნახოთ სახე ჩვენივე ძმისა.
ღმერთიც ჩვენთანა, ანგელოზთ გუნდიც,
თავი და ბოლო გათავდა მტრისა.
საფრანგეთისთვის თვითა ომობენ,
გვირგვინი ჰხურავთ ყვავილებისა.
სითეთრითა და სისპეტაკითა
ფრანგების საქმე ამ დროშასა ჰგავს,
როგორც სიმბოლო, ხელის მმართველი
ღვთიური ქალი განუყრელად ჰყავ.

ჰერცოგი

ღიად, მაცდურის ენით მიაგობს
სიცრუეს იგი ყრმისა ენითა
და ვითომ ღვთიურს ხმასაცა ჰბაძავს, —
უმანკოების მოგონებითა.
ხმაღს უნდა ვკითხო? მე დავიღალე
მაგ ჯადოქარის სიტყვის სმენითა.
სჩანს, ჩემი სმენა მკლავზე სუსტია
და მიტომაა ის მოწყენითა.

იოანა

შენა გგონივარ მე კუდიანი,
ეშმაკებთან მაქვს ვითომ კავშირი?

ეშმაკთ ბუნებას შეეფერება
 ქმნა კეთილისა და ძმური პირი?
 (რაზეც თავს ვიკლავ, რისთვისაც ვყვირი).
 მითხარი ერთი, დამისახელე
 უღიადესი და ტურფა მაზედ,
 როცა მამულის დასაცველადა
 ვაუკაცი იბრძვის, ხელს იღებს ხმალზედ.
 ვგონებ, კანონი ბუნებისაა,
 თვით ბუნებაში ამრიგად ხდება:
 კეთილი ებრძვის მუდამ ბოროტსა,
 ერთი იმარჯვებს, მეორე კვდება.
 თუ მე რაცა ვსთქვი, მოსაწონია,
 ვინ ჩამაგონა, თუ არა ცამა?..
 შეცნიერებას მინდვრად რა უნდა?!
 არა, განმსწავლა ციურმა ხმამა.
 მე არ აღვზრდილვარ მეფეთ სრა-სახლში,
 მესწავლა ზრდილი სიტყვა-პასუხი.
 ამითი მაინც რა დაშავდება?
 კეთილისათვის გული მაქვს უხვი.
 იმიტომ ვბედავ, მსურს დაგაჯერო,
 ნათლის გონებით ვცნობ ყველაფერსა,
 ბედი მეფეთა, სამეფოების,
 ესმის ყველა ეს ჩემს ბავშვურს სულსა
 და სიტყვაც ჩემი იმიტომ ჰქუხსა!

პ ე რ ც ო გ ი

(უცქერის იოანას განცვიფრებული)

რა მემართება, ღმერთო, არ ვიცი,
 აღარა მჯერა, ეს მე ვარ მართლა?
 ასე უეცრად რომ დამამშვიდა,
 სიდან მოვიდა ნეტავ ეს ძალა?
 ხომ არ მატყუებს მიმზიდველობით
 იმისი სახე, მისი სიტყვები.
 რომ ის ვსთქვა, ღმერთი არ აუბნებსო,
 მაშინ, უეჭვოდ, გიჟი ვიქნები.

ი ო ა ნ ა

მშვიდდება... დიალ, სწორედ დამშვიდდა
 და არც ამაოდ ამას ვცდილობდი.

სახემ იმისამ წყრომა დაკარგა,
თვალთ მეტყველება იმას აქვს მშვიდი!
ხმლებს ხელი უშვით,
და პირიპირსა...
სრულად დამშვიდდა,
კიდევაც სტირსა.
მორჩა, ჩვენია სამუდამოდა!

(ხმალი და დროშა დაჰვარდება ხელიდან, მირბის ჰერცოგთან, ეხვევა
ალტაცებიო. ლიაგირი და დიუნუაც დაჰყრიან ხმლებს და მიისწრაფიან
ჰერცოგთან მოსახვევნელად)

მოქმედება მესამე

გამოსვლა პირველი

სრა-სახლი კარლისა შალონში მარნაზე

დიუნუა, ლიაგირი

დიუნუა

მეგობარნო და თანამშრომელნო,
ჩვენ ყველა ერთის საქმისთვის ვიბრძვით,
სიკვდილისა და გაჭირვების დროს
ერთმანერთს ვყავდით მუდამყამს გვერდით
და დღეს გრძნობამა სიყვარულისამ
არ წაგვახდინოს, მე ამას გვედრით.

ლიაგირი

გთხოვ, სეფეშულო, ყური დამიგდო.

დიუნუა

შენ, ლიაგირო, რომ ჟანა გიყვარს,
თუმც არ ამჟღავნებ, არ უნდა ფიცი.
და რომ მეფესა გსურს ჟანა სთხოვოთ,
მისთვის მოხვედი, ესეც ხომ ვიცი.
ვფიქრობ კიდევაც ამ საჩუქარზე,
რადგან ღირსი ხარ, უარს ვერ გეტყვის
მეფე, მაგრამა ჯერ აქ მე მკითხე,
ვიდრე ჟანასა შენობა ეთქმის.



ლი ა გ ი რ ი

დამშვიდდი, დიუნუა.

დიუნუა

მე, როგორც ჭაბუკს სისხლადუღებულს,
გარეგანობა როდი მიტაცებს
და ჩემს ურჩს გულსა დღეს-აქამომდე,
ტრფობა აჩნევდა ვერადროს დაღებს,
მაგრამ დღეს მხსნელმა საფრანგეთისამ,
თვით ღვთისაგანა რჩეულმა ქალმა
დამამონავა სულით და გულით
და ვერც წამართვას იგი სხვის ძალმა.
როგორც ვაჟკაცმა, მეუღლედ თვისად
მე ავირჩიე ქალიც საფერი,
მინდა კიდევაც მკერდს შეუდრკელსა,
რომ შეეწებოს მკერდი ძლიერი.

ლი ა გ ი რ ი

ჩემის ღირსებით სად შეგედრება,
ჩემი სახელი შენს დიდ სახელსა?
ან ვინ იქნება შენ შაგებრძოლოს
და გაუმაგრდეს შენს მძლავრსა ხელსა.
მაგრამ იფიქრე ის ვინ, ან შენ ვინ,
გსურს დაემოყვრო შენ მიწის მხვნელსა?!
ვით შეერიოს მეფისა სისხლი
მწყემსის ქალისა, ფრიად მწყინს ესა...

დიუნუა

ასული არის იგი ბუნების,
ცით მოვლენილი, როგორც თვით მეცა...
ჩვენ გვაროვნობით თანასწორნი ვართ,
უცილობელად, ჰმოწმობს თვით ზეცა.
ნუთუ სეფეწულს არ ეკადრება
ცოლად უმანკო ანგელოზთ სძალი?
ან ჰფიქრობ, მეფის გვირგვინს არა სჯობს,
რაც მას ამშვენებს — ღვთაური ძალი?..

დიდებულება ამა ქვეყნისა
მის დიდებასთან სათქმელი არი?
ასი ათასი ტახტი რომ დასდგა
მეფეებისა ერთი სხვაზედა
ოქრო-ვერცხლისა, ლალ-იაგუნდის,
ებჯინებოდეს წვერით ცაზედა,
რა სიმაღლეზედც იგი ქალი სდგას,
მალლა ვერ წახვალთ მაინც მაზედა...

ლი ა გ ი რ ი

მაშ გადასწყვიტოს თვით მეფემ საქმე.

დი უ ნ უ ა

არა! თვით ქალმა უნდა განსაჯოს,
ჩვენ იმან მოგვცა თავისუფლება.
თავისუფლება იმას წავართვათ,
ნუთუ ჩვენა გვაქვს ამისი ნება?!

გამოსვლა მეორე

ი გ ი ნ ი ვ ე, მ ე ფ ე, დ ი უ შ ა ტ ე ლ, შ ა ტ ი ლ ი ო ნ ი, ა გ ნ ე ს ა

ლი ა გ ი რ ი

აგერ თვით მეფეც.

მ ე ფ ე (შატილიონს)

იგი თვით მოვა? და მზადაც არის
ქვეშევრდომობის მოგვცეს პირობა?

შ ა ტ ი ლ ი ო ნ ი

ეგრეა, მეფევ. თვით მე მიბრძანა,
რომ მომელოცნა თქვენთვის მეფობა.
თვითონ ფილიპეც მზად არს შალონში
საჯაროდ გთხოვოსთ ცოდვათ შენდობა.
თქვენ ფერხთ წინაშე იგი დაემხოს,
მით დაგიმტკიცოსთ თვის მორჩილება.
მახარობლადა წინ გამომგზავნა,
თითონაც ჩქარა აქ გაახლება.



ა გ ნ ე ს ა

მადლობა შენთვის, ღმერთო მაღალო!
იკურთხოს ეს დღე თანხმობის, ძმობის!

შ ა ტ ი ლ ი ო ნ ი

ორასზე მეტი რაინდი ახლავს,
ჰსურს დაიჩოქოს წინაშე თქვენსა.
თან მასაც ფიქრობს, არ მისცემ ნებას,
შემოეჭდობი ძმას ძმურად ყელსა.

მ ე ფ ე

თვით ჩემი სული მისკენ ისწრაფვის.

შ ა ტ ი ლ ი ო ნ ი

არა ჰსურს იმას პირველ შეყრაზე,
რომ გაუმეღავნოთ მტრობისა რამე.

მ ე ფ ე

რაც მოხდა, იგი საუკუნოდა მე დავივიწყე
მომავლის ბედით ნუგეშცემულმა.

შ ა ტ ი ლ ი ო ნ ი

თავისებისთვის პატიებას გთხოვთ
ჰერცოგი, მეფევ, განურჩეველად.

მ ე ფ ე

ყველას, ყველასა!.. დიდს და პატარას,
ჩემის ოჯახის წევრნი არიან!

შ ა ტ ი ლ ი ო ნ ი

არ გამოსწიროთ, გთხოვსთ, დედოფალი,
თუ იგი მასზე თანახმა არი.

მ ე ფ ე

მე ხომ არ ვებრძვი, თვით იგი მებრძვის,
მუდამ მზადა ვარ დაუღვა ზავი.

შ ა ტ ი ლ ი ო ნ ი

თორმეტს რაინდსა გაძლევთ მძევლად.

მ ე ფ ე

სიტყვათა კმარა ზავის მცველად.

შ ა ტ ი ლ ი ო ნ ი

კარგი იქნება,
რომ ჩვენს კავშირსა ჩვენივე ფიცით
დაამტკიცებდეს დღეს მღვდელმთავარი...
(შეჰხედავს-რა დიუ შატელს)

ერთი ვინმეა აქ დღეს ისეთი,
ვინც გაამწარებს შეყრის სიამეს.
(დიუ შატელი ხმაამოუღებლად მიდის)

მ ე ფ ე

გთხოვ, მეგობარო, ცოტა ხნობითა,
ვიდრე ფილიპე გულს მოიბრუნებს,
რომ მოერიდო.

(მისცქერის კვალდაკვალ. შემდეგ დაედევნება, მოეხვევა და ჰკოცნის)

ოჰ, მეგობარო,
ამაზე მეტის მსხვერპლის შეწირვა
ჩემის გულისთვის წინაღ გეწადა.

შ ა ტ ი ლ ი ო ნ ი (აძლევს ბოღჩას)

აქ სხვა მუხლებიც აღნიშნულია.

მ ე ფ ე

თანასწრობითვე ყველას ვამტკიცებ.
მეგობარზედა ძვირფასი რა არს?
დიუნუა, გთხოვ ასი რაინდი
საუკეთესო თან გაიყოლო,
ყველა მხედარსა მწვანე გვირგვინი
ძმათ შეყრის ნიშნად თავს ედგას მხოლოდ.
და მიეგებო ბურგუნდის ჰერცოგს,
ქალაქიც მოჰრთოთ სამხიარულოდ,
ზარების რეკით ეუწყოს ყველას,

რომ საფრანგეთი და ბურგუნდია
ზავით შეიკრენ აწ საძულამოდ.
უკვე მოისმის საკრავების ხმა.

(ნალარის ხმა)

პ ა უ ი (შემორბის აჩქარებით)

ჰერცოგი უკვე ქალაქში არის.

დ ი უ ნ უ ა

რაინდნო, ყველა წინ მივეგებოთ!
(მიდის ლიაგირთან და შატლიონთან ერთად)

მ ე ფ ე

აგნესა სტირის? და თვითონ მეცა
აღარ მაქვს ძალა მოთმინებისა,
იმდნად საამო არის ეს წამი,
ბოლოს დროს ძმების შერიგებისა.
ტყუილად რამდენი სისხლი დავღვარეთ,
ვიდრე ერთმანერთს ძმურად ვნახავდით...
მადლობა ღმერთსა, თუ ბოლოს მაინც
ქვეყნის იღბლადა ძმებივე გავხდით.
ჩვენსა თავზედა ცამ მოიდარა
და გაგვითენდა კვლავ ღამე ბნელი.
ამიერიდან იქნება ღმერთმა
აღარ აიღოს ჩვენზედა ხელი.

მ ღ ვ დ ე ლ მ თ ა ვ ა რ ი

(გაიყურება სარკმელში)

ბრბო გარს ეხვევა, გზას არ აძლევენ,
ხელდახელ მოჰყავთ, ცხენზეც არ ჰსვამენ.
ტანისამოსსაც კი უკოცნიან,
კაცი იფიქრებს ცოცხალსა სვამენ.

მ ე ფ ე

ოჰ, ჩემო ერო!.. ყოველი გრძნობა
იმისი მუდამ უსაზღვრო არი.

სიყვარულია თუ გინდა მტრობა
ფრანგების გულში არა აქვს მზღვარი,
მტერზე მალევე გულს მოიბრუნებს,
თუკი საამოდ დაჰბერავს ქარი.
ჰყურობთ, რა ჩქარა მან მიუტევა,
რაკი გაიგო, ჰერცოგს ჰსურს ზავი.
სულ დაივიწყა ერმა ერთბაშად,
რაც დაგვაყენა იმან დღე შავი.
მთელი სიცოცხლე და ერთი წამი!
აგნესავ! ფრიად აღტაცებულად
მე იმასა გთხოვ, რომ არ ეჩვენო,
რადგან ვიცი, რომ არ იამება.
ხომ იცი, არ მსურს მას ვაწყენინო

გამოსვლა მესამე

ჰერცოგი ბურგუნდიისა, დიუნუა, ლიაგირი, შატილი-
ონი, ორი რაინდი ჰერცოგის ამალიდან და წინანდელი. ჰერცოგი
კარებში გაჩერდება. მეფეს ჰსურს იმასთან მისვლა, მაგრამ თვით ჰერცოგი მიის-
წრათის მისკენ; ჰსურს მის წინ მუხლი მოიდრიკოს, მაგრამ მეფე მოეხვევა,
არ მისცემს ნებას.

მეფე

შენ დაგვასწარი. ჩვენა ვცდილობდით
მოგგებებოდით...
ცხენებზე არა, ფრინველებზე ჰმსხდარხართ.

ჰერცოგი

კიდევაც. განა მათ არ იცოდნენ,
რომ ჩემის მეფის ფერხთა წინაშე
მე დასამხობლად ვესწრათებოდი?
(აგნესას დაინახავს)

ტურფა აგნესავ! შენც აქა გხედავ,
მომეცით ნება, რომ ჩვეულება
პასართა ჩვენი მე შევასრულო,
ჩვენში ქალებს ეს არ ეწყინება.
(შუბლში ჰკოცნის)



მ ე ფ ე

შენი სრა-სახლი, როგორაც მესმის,
თურმე ზრდილობით ტურფადა ჰყვავის
და თვით სატახტო შენი ქალაქიც
სიტურფის, ტრფობის სამშობლო არის.

ჰ ე რ ც ო გ ი

თქვენთვის, მეფეო, მართალი უთქვამთ,
სწორედ ეგრეა, როგორც გსმენიათ.

მ ე ფ ე

შენზედ პირადად მასაც ამბობენ,
რომ სიყვარულში არა ხარ მტკიცე
და არც გწამს ქალის შენ ერთგულება.

ჰ ე რ ც ო გ ი

დაუნდობლობით დაუნდო თავს სჯის
და თქვენ აღრევე ვითხრათ გულისტქმამ,
მშფოთარ ცხოვრებამ რაც აწ მაუწყა.

(დაინახავს რა მღვდელმთავარს)

მამაო, თქვენაც აქა ბრძანდებით?
თქვენ მაინც მუდამ იქ გიყვარსთ ყოფნა —
კეთილთან ახლო. გვაკურთხეთ, მამა,
და, ვისც ჰსურს თქვენი არ აკლდეს ლოცვა,
უნდა ბილწით ზრახვათ გულით აღხოცვა.

მ ღ ვ დ ე ლ მ თ ა ვ ა რ ი

ვმადლობ მეუფეს! ბედნიერი ვარ,
თუნდ მოვკვდე ზვალვე, აღარ ვინანი
ამ ბედნიერ დღეს რა მოვესწარი.

ჰ ე რ ც ო გ ი (აგნესას)

ჩვენთანამდისა ხმამ მოაღწია,
რომ თქვენ რაც გქონდათ ძვირფასი თვლები,
გადასდეთ იმ ხმლის მოსაპოვებლად,
რითც დაგენაცრათ თქვენ ჩემი ძვლები.

ან რას გარგებდათ ჩემი დაღუპვა?
ჩვენ შორის მორჩა ყოველი დავა.
და რაც ამ დავით ჩვენ დავკარგევეთ,
ყველა ვიპოვეთ, ჩვენგნით არ წავა!
თქვენნი თვლებიცა, აი მიირთვით,
ნიშნად, რომ გული გულს დაეწევა...
(ართმევს ყულაბას ერთს მხლებელთაგანს და აძლევს
აგნესას. აგნესა განცვიფრებით შესჩერებია მეფეს)
აიღე, ეგ მე ძვირფასად მიღირს,
როგორც გირაო სიყვარულისა.

(აგნესა ტირის; მეფეც აღელვებულია; ყველანი
თანაგრძნობით უცქერიან)

(ჰერცოგი გადაავლებს რა თვალს ყველას, მოეხვევა მეფეს)

ოჰ, მეფეე!

(ამ დროს სამი ბურგუნდიელი რაინდი მირბიან დიუნუასთან, ლიაგირთან,
მღვდელმთავართან და ჰკოცნიან; ჰერცოგი და მეფე რამდენიმე ხანს არიან
ყელ-ყელს გადაჭდობილნი)

თქვენ გიღალატეთ და თქვენა გმტრობდით!

მ ე ფ ე

სუ, ჩუ! ხმა, კრინტი!

ჰ ე რ ც ო გ ი

და ამ სულელმა რა ჩავიდინე?
თვის მეფის ჯილით სხვა ვაგვირგვინე,
უცხოელს მივეც მონობის აღთქმა,
საკუთარს მეფეს უფსკრულში დანთქმა.


მ ე ფ ე

დამშვილდი! ახლა მაგეებს მოვყვეთ —
ეს წამი იმდნად მადლიანია,
ასჯერ მეტს ცოდვას გამოისყიდის,
რაც მოხდა, ავის ქარის ბრალია.

ჰ ე რ ც ო გ ი

უნდა ცოდვები გამოვისყიდო,
ვეცდები ყოვლის ძალით, ღონითა,

მთელ საფრანგეთს თქვენ დაგიმორჩილებთ
თვის ქალაქებით და სოფლებითა.



მ ე ფ ე

როცა შევირგდით, ვინ რას დაგვაკლებს?

ჰ ე რ ც ო გ ი

განა სვინდისი არა მქენჯნიდა,
თქვენს წინააღმდეგ როცა ვიბრძოდი?!
მე ეს მაკვირვებს, მოსაბირები
ჩემი შენ ხერხი რად არ იცოდი?
(უჩვენებს აგნესაზე)

ჩემთან აგნესა რომ მოგეგზავნა,
ვის არ მოსდრეკდა მისი ცრემლები?
მორჩა ყოველი, ჯოჯოხეთისაც
თუნდა ეცადნენ ყველა ძალები,
ველარ გაგვყრიან, რაკი ერთმანერთს
ჩვენ გადავხვიეთ ძმურად მკლავები.
მრ.ელო ბოლო დღეს ჩემს ტანტალსაც,
თავის ბაგაზე დღეს ძლივს დავები.

მ ღ ვ დ ე ლ მ თ ა ვ ა რ ი

უწყიდეთ კარგად, თქვენ რა შევირგდით,
საფრანგეთიცა მკვდრეთით აღდგება,
ვითა ფენიქსი თავის ფერფლისგან,
კვლავ გაიღვიძებს, კვლავ განახლდება.
ვერანად ქმნილი დაბა-სოფლები
კვლავ დაიწყებენ სიცოცხლით სუნთქვას.
აბიბინდება მინდვრებზე ყანა,
ხალხიც გაიშლის ლხენისა სუფრას.
მხოლოდ ესაა, უთანხმოების
შედევსა კაცმა რა უნდა უთხრას?!
ცრემლი და სისხლი რაც დაიღვარა,
სასინანულოდ ბოლოს დროს გვრჩება, —
ვინც დაიხოცნენ ამ მტრობის გამო,
შვილთ სასარგებლოდ ველარ აღგება.
ამიტომ მეფეთ გულს აღბეჭდილად
უნდა ეს ჰქონდესთ სამუდამოდა:

უთანხმოება დამლუპველია,
მოქიშპეთა ჰხდის სასუდაროდა.
ხმლის ძლიერებას ნუ მიენდობით,
რადგან მახვილი ბევრჯელ პატრონს ჰკლავს,
პატრონის ძახილს არ გაიგონებს,
ბევრჯელ გაფრენულს შავარდენსა ჰგავს.
არც თავის დროზე ხვეწნით მუდამა
შეება გვეზღვრევა კაცთა ღვთიდგანა.

ჰერცოგი

თქვენ ანგელოზი გყავსთ თან მფარველი,
რად იგვიანებს, სად არის ქალი?

მეფე

თვით შემოქმედი ბედნიერების
რას იმალება? სად არის ჟანა?
ის არ ჰხედავდეს ამ ბედნიერს წამს,
შეტილა ცოდვა იქნება განა?

მღვდელმთავარი

განა არ უწყით, მეფევ, იმას სძულს
დიდი ამბავი და ფუფუნება,
გაურბის იგი ხალხთ გროვას ყოფნას,
თუ ხმა ციური არ ეუბნება.
როცა არა აქვს მას საზრუნავი
რამე კეთილი სამშობლოზედა,
ღმერთთან საუბრობს განმარტოებით,
მოწყალებას სთხოვს ჩვენთვის ჩუმადა.

გამოსვლა მეოთხე

წინანდელი, იოანა ტანზე ჯაქვით,
უმუზარადოდ, თავზე გვირგვინი ადგია
თეთრი ვარდისა.

მეფე

იოანა, მაკურთხებელად შენ მოევლინე
დამტკიცებულსა შენ მიერ კავშირს.



ჰერცოგი

შენ საშინელი იყავ ბრძოლის დროს,
სასურველი ხარ მშვიდის სახითა.
კმაყოფილი ხარ, რომ, იოანა,
მე მტკიცედა ვარ ჩემის აღთქმითა?

იოანა

სითავდაბლემა კვლავ აღვამადლა.
ფილიპე, დღემდე ჩვენს მწველსა ცეცხლში
კუდიანს ვარსკვლავს ემსგავსებოდი,
დღეს ცისკარს ჰგავხარ მნათობსა ცაში.

(გარეშამო ავლებს თვალსა)

ყველა რაინდთა მხიარულებით
და სილაღითა უბრწყინავთ სახე,
ბედნიერთ შორის დაღონებული
და უბედური მე ერთი ვნახე.

ჰერცოგი

ვინაა იგი? ან რა ცოდვა აქვს,
რომ არ ელოდეს მიტევებასა?..

იოანა

თუ მისცემ ნებას მოგიახლოვდეს?..
სთქვი, რომ ეხლავე შენს წინ დაემხოს.
მადლსა და საქმეს სახელოვანსა
სჯობს, რომ მარილიც ზედვე დაერთოს..
შერიგებასა შნო მაშინა აქვს,
ღარდილი, მური გულს აღარ ეცხოს,
თვით ნექტარიცა შხამად იქცევა,
თუნდ ერთი წვეთიც ჩავაგდოთ შხამის.
სრულსაყოფელად დაზავებისა
სიმძულვარისა განგდება არის
გულიდან. მისი ნატამალიცა
ვისიმე გულსა ჟანგად არ ეხლოს.
ვფიქრობ, დიდისა დანაშაულის,
რომ პატიება დღეს არ შეგეძლოს...

ჰერცოგი

გავიგე, მესმის.

იოანა

ვინც პურადია, ყველასთვის იმას
მუდამ ღია აქვს თვის სახლის კარი —
მოწყალე გულიც მტერ-მოკეთისთვის
ისეთი უნდა, ვითარცა არი
ხმელეთისათვის და როგორც მზეა
ყველას მხედვარი ერთის სხივითა —
არ აბედენებს ვარდთან ჭინჭარსა,
ჭინჭარიც იმ განზრახვითა.
ხომ ვხედავთ, ზეცა დაგვალულს მიწას
ვით ანოყიერებს წვიმის ცვარითა,
ეგრევე ქმნა კარგის ხელსაყრელადა
ჩვენ გვევლინება ციდან, მალლითა.

ჰერცოგი

არ, ძალმიძს ქალსა უარი უთხრა,
ჩემს გულს და გრძნობას იგი განაგებს.
მო, დიუ შატელ... მშობლისა სულო,
შემინდე, რომ ხელს შენს მკვლელსა ვაძლევ,
ვინაც მოგისპო სიცოცხლე შენა.
და, თქვენც, ღმერთებო სისხლის ძიების,
ნუ გამიწყრებით, რომ დიდს ფიცსა ვტებ,
რა ვქნა, გადამხდეს, რაც გადამხდების.
თქვენ მშვიდად გძინავთ მყუდრო საღვთრში,
არ გიდუღსთ სისხლი, არ გიძგერსთ გული.
სადც კაცი ცხოვრობს მზის შემცქირალი,
თქვენ როდი გესმისთ იმ ქვეყნის რჯული.
ერთის შემთხვევით სწყდება აქ ხშირად
ადამიანის სვე-ბედი სრული.

მეფე (იოანას)

ოჰ, აღარ ვიცი თუ, იოანა,
გადაგიხადო მადლობა რითა?

მკვდარი გავცოცხლდი, ბედნიერებით
 მე შევიმოსე ყოველი მხრითა
 მხოლოდ შენგანა. მეგობრებიცა,
 ვისაც ეწადა ჩემი დამხობა,
 მე შემირიგდენ, ქედებს იღრეკენ,
 გახქრა მათ გულში სამუდმოდ მტრობა,
 გალალეებული მტერიც დაემხო,
 მიწებიც ჩემი წაერთო მასა.
 ამდენ შრომის და სამსახურისთვის
 საჩუქრად, მითხარ, სთხოულობ რასა?

იოანა

სხვას არაფერსა, მხოლოდ ამას გთხოვ
 და საჩუქარიც ჩემი არს ესა:
 როგორც აქამდე გიყვარდა ღმერთი,
 ნუ დაივიწყებ კიდევაც ღმერთსა.
 უბედურ დროსა თუ კაცად დაჰრჩი,
 ბედში ყოფნის დროსც იყავი კაცი,
 დაჩაგრულების იყავ პატრონი,
 შეზღუდე იმათ სილალის მტაცი.
 მოწყალების თვალს ნუ მოარიდებ,
 გიყვარდეს გლეხის ქოხი და ფაცხა,
 რადგანაც შენი მხსნელი და მცველი
 უფალმა სწორედ იქ დაგისახა.
 ქოხში გაზდილის მეოხებითა
 დღეს საფრანგეთმა მეფედა გნახა.
 დავრდომილს მოყვასს აღუჩნდი მხსნელად,
 წამოაყენე, მიეცი ხელი,
 ხომ სცადე თავზე დავრდომილობის
 ძალა გულისა როგორ არს მწველი.
 შთამომავალნი შენნი დიდებით
 შენთ წინაპართა დასჩრდილვენ სახელს,
 აყვავებული გვარი გექნება,
 ვიდრე სიყვარულს გულში ატარებს
 თავის ერისას და დაემხობა,
 როს მათ შეიპყრობს გულზვიადობა.
 დღეს შენს აღმდგენელს საწყალსა ქოხში
 იმაღვის მათთვის დამლუპველობა.



გულთამხილავო, ცით მოვლენილო,
მომავალ ბედის ხელთ იპყრობ საღებს,
ჩემის გვარისა, შემატყობინე,
ბედნიერება ხანს გასტანს რამდენს?

იოანა

ფილიპე, გხედავ გაბრწყინვალეებულს
სამეფო ტახტის ახლოსა სდგებარ,
თითქოს არ გიყვარს შენ ღაბლა ყოფნა,
ხასიათითა ფრინველსა ჰგეგვარ
და შენი სული იმას ისწრაფის —
ადრინდეს მალლა, თვით ღრუბლებს ასცდეს.
იქ ჰსურს აიგოს იმას სრა-სახლი
და დედამიწას ციდან დასცქერდეს.
მაგრამ შენობას ამპარტავნების
იქ შეაჩერებს ძლიერი ხელი.
ნუ გეშინიან, შენი ოჯახი
არ დაიქცევა, იქნება მთელი.
საწყალის ქალის სამახსოვროდა
საშვილიშვილოდ შეინახება.
ბევრი მმართველი დიდ ერებისა
იქ მეფეები დაიბადება.
და მფლობელები ორის ტახტისა
კანონს მისცემენ მთელსა ხმელეთსა:
ჩვენგან ცნობილსა და ზღვას გაღმითურს,
ღვთისგან დაფარულს, ჯერ უცნობელსა

მეფე

მეფე (ლორეანის ანტიკური მუსეუმი)

რაკი ღვთის პირით გვესაუბრები,
შეგვატყობინე ბარემ ესეცა:
რამდენს ხანს გასტანს ჩვენი კავშირი,
დიდხანს გვექნება მწყალობლად ზეცა?

იოანა (ცოტა სიხუმის შემდეგ)

ქვეყნის მმართველნო, უთანხმოებას
ისე ერიდეთ, როგორაც ჭირსა.

პატარა მტრობა დიდსაც დაჰბადავს
და შეჰქმნის მტრობას ძნელს, გასაჭირსა.
შთამამავლობა ცოტა რამეზე
სისხლის ღვრისასა დაანთებს ცეცხლსა.
აღარას ვიტყვი, გულდამშვიდებით
დაეშურენით დღევანდელს ბედსა,
მომავალზედა ნურაფერს მკითხავთ,
იგი მივანდოთ შემოქმედს ღმერთსა.

ა გ ნ ე ს ა

იოანა, შენ, ეჭვი არ არის,
გულის პასუხი ყველასი იცი.
მიყვარს დიდება ამ ქვეყნიური —
გამაგებინე, რატომ არ იტყვი?..

იოანა

ზეციური ხმა მხოლოდ მაუწყებს
მთელი მსოფლიოს სვესა და ბედსა,
შენი ბედი კი შენს ხელში არის
და აფარია იგი შენ მკერდსა.

დიუნუა

ღმერთმა შენ თვითა რაღა აღგიტქვა,
შეგვატყობინე ამ ცოდვილს ხალხსა,
სიმშვიდისა და თავმდაბლობისთვის
უნდა ელოდე საჩუქარს კარგსა?

იოანა

(ცისკენ იცქირება მშვიდის თვალებით)

ბედნიერება ღვთის კუთვნილია.

მეფე

ნუ დაუმაღავ თავის მეფესა,
შემატყობინე, მითხარ ყოველი.
შენს სახელს უნდა პატივსა სცემდეს
ჩვენი სამშობლო დიდადა მთელი
და შთამოეხად შენთა საქმეთა

განცვიფრებითა იქნება მთქმელი.
 რისაც ღირსი ხარ, უნდა ჩემგანა
 მიიღო, ქალო, ის სასუიდელო.
 მუხლთ მოიდრიკე, ქვეყანამ გნახოს,
 რომ თვისმა მეფემ ხმალი შეგახოს.
 (იოანა დაიხოჭებს. მეფე ამოიღებს ხმალს და შეახებს მას).
 ამ ხმლის შეხებით შენ, იოანა,
 მეფე განიჭებს თავადობასა.
 ადექი, ნეშტი შენთ წინაპართა
 მიიღებს იქა ამა ცნობასა,
 განდიდდა მათიც ხსენება ქვეყნად.
 ეს საფრანგეთმა მთელმა იცოდეს,
 შენსა სახელსა შთამომავლობა
 უდიდებულესთ ტოლადა სცნობდეს:
 და შენ, ვისაცა მეუღლედ გაჰყვე,
 უპირველესმა ჩვენის მხრისამა
 უდიდეს ჯილდოდ უნდა მიიღოს
 ეს საჩუქარი მკლავმა მისამა.
 მხოლოდ მიანდე დაასახელოს
 საქმრო შენთვისა ხმამ მეფისამა.

ღ ი უ ნ უ ა

ქალი ჩემია. არა იმიტომ —
 კეთილშობილად ეგ შეირიცხა.
 თუნდ დამრჩეს მწყემსად, მაგას არ დავდეგ,
 ჩემს კისერს იყოს ქვეყნისა კიცხვა.
 ვუცხადებ ამას ჩემსა მეფესა
 და ჩვენს სულიერ წმიდასა მამას,
 თუ თვით ინებებს, თუმც თავადი ვარ,
 ხელს მეუღლისას მე ვაძლევ ამას.

მ ე ფ ე

საკვირველია. შენ, იოანა,
 სასწაულებსა სხვა მეტი დაჰრთე,
 მიკვირს მის ამაყს, შეუდრკელს მკერდში
 ტრფობისა ცეცხლი როგორ დაანთე.
 მის გული ტრფობამ დღეძდე ვერ სძლია.
 ეწლა ვუცქერი, ფერი შესცვლია...



იოანასი შნო და შვენება
 ყველაზე მეტი არს მის სიმშვიდე.
 იმას არ უყვარს ჩირთი-ფურთები,
 გაბრწყინვებული სძულს მას სიდიდე.
 ბეჩავის ბედით, საწყალის გულით
 მეცა მწადიან მეუღლედ ვხვადე.

მ ე ფ ე

შენც, ლიაგირო? ორი ვაჟკაცი
 მთელს საფრანგეთში უსწორ-უტოლო,
 გეხვეწებიან, ეხლა შენ იცი —
 რომელს აირჩევ, რომელს ეცოლო.
 რამდენი დასდე ჩემზე ამაგი,
 მოსისხლე მტრები დამიმეგობრე,
 ნუთუ ერთგულნი სულით და გულით
 გახდნენ ჩემთვისა თული, მეკობრე?..
 ეს ორივენი სწორნი არიან,
 რომელიც მოგწონს, მას ემეგობრე.

ა გ ნ ე ს ა

ძნელად სათქმელი უცბად უთხარით,
 შეჰრცხვა, ხომ ჰხედავთ, როგორ წითლდება?
 აცადე ცოტა, გულს დაეკითხოს,
 პასუხი მოგცესთ მაშინ იქნება.
 როგორც და დასა, მსუოს დავეკითხო
 შინაურულად, მომეცით ნება.
 გულის პასუხსა ქალი ქალს ეტყვის
 მისთვის, რომ მასთან არ ერცხვინება.
 ამიტომ მინდა ჩვენ, როგორც დებმა,
 ჩვენთვის განვსაჯოთ საქმე საქალო
 და კიდევაც გთხოვთ ცოტა ხნობითა,
 რომ ცალკე ყოფნა ჩვენ დაგვაცალოთ.

მ ე ფ ე

მაშ ჩვენ წავიდეთ.

დღეს იმისაგან სხვა ფიქრზე ვდგევარ,
სხვასა გრძნობს გული, სხვა მეზმანება:
მეფეს გვირგვინი ჯერ თავს არ ადგა,
ნელსაცხებელი შუბლს არ სცხებია,
საქმე მაქვს ჯერა დასასრულები,
რაც ჩემთვის ღვთისგან ნაბძანებია.

მ ე ფ ე

ჯერჯერობით ხომ რეიმსისაკენ
არა ვბრკოლდებით, სწორედ მივდივართ.

ი ო ა ნ ა

დაგვიანება ხელს როდი მოგვცემს,
ჯერ გარეშემო გვარტყია მტრები.
უვნებელადა შიგ გაგატარებ,
თუმცა ცდილობენ შეგვიკრან გზები.

დ ი უ ნ უ ა

მაშ, იოანა, როცა რეიმსში
შევალთ მეფითურთ ძლევამოსილნი,
მაშინ მაინცა, იმედი მქონდეს
გული გექნება ჩემთვის მოცლილი?
თუ ღმერთმა ბრძანა, მტერი დამარცხდა
და თუ მეც მოვკვდი, ყველა მორჩება,
ცოცხალი დავრჩი, მაშინ მაინცა
ბინა სრა-სახლში მე არ მექნება.

მ ე ფ ე (დაუჭერს ხელს ხელით)

დღესდღეობითა ღვთისგან აღგზნებულს
შენს სულს მაღალი ფიქრი იტაცებს,
სატრფიალოდა გულს არ სცალიან,
რა ანგელოზთ გუნდს ის შეჰლაღადებს.
მაგრამ გაივლის ეს დრო ტანჯვისა,
თვის კალაპოტში გრძნობა ჩადგება,
მიძინებული მაშინ შენს გულში
სიყვარულისა გრძნობა აღსდგება.

სხვისთვის მხვეჭელი ბედნიერების
თავისათვისაც დაიწყებ ძებნას
და ნეტავი შენ თუ საფერს შეჰხვდი,
ნეტავი შენს გულს, შენს ნეტარებას!

იოანა

(უცქერის მას მწუხარე თვალებით, რომელნიც
მძულვარებას ჰხატავენ)

ნუთუ კეთილი იმდენი ვქმენი,
სასწაულებიც ბევრი გაჩვენე,
დაგღალა თვალთ იმის სინჯვამა
და გათხოვება მით გამიხსენე?!
უფლის წადილთა მღალადებელი
ამაოების მსახური გავხდე?!
თქვე ურწმუნონო! გულითა ბრმანო!
სასწაულებში თავი არ გიჩანსთ.
რითაც ღმერთსა ვგმობ, ისეთს მთხოვთ საქმეს
იმაზე სდგებართ, რასაც ავს მიზამთ.
სად გაგონილა ქალს ხმალი ერთყას,
ჯარს ბელადობდეს, მტერსა ჰმუსრავდეს,
თუკი განგების ძალა არ იყოს
და უფლის ნება არ არს ყველა ეს?!
დღესავე მოვკვდე, ის მირჩევნია,
ვიდრე გავტეხო უფლისა მცნება.
შურისძიების დროშა დავტოვო,
გულში შეუშვა მე ტრფიალება?
გთხოვთ ნულარ მეტყვით მაგგვარსა სიტყვებს,
ნუ განარისხებთ ჩემს მფლობელს სულსა,
ბორციელთ ნდომით ვაუკაცის ცქერაც
მე მეზიზღება, ფრიადა მძულსა.

მეფე

გაჩუმდით ყველა. არ ჰსურს, არ უნდა.

იოანა

უბრძანე, მეფევე, ნალარა დაჰკრან,
მომწყინდა ასე უქმადა გდება.
რად აგვიანებ დაწყებულ საქმეს? —
ხმა მესმის ციდან, უფალი სწყრება.

გამოსვლა მეხუთე
იგინივე. რაინდი შემორბის აჩქარებით.

რა ამბავია?

რაინდი

მარენის ახლო მტერი გროვდება
და საომრად კვლავ ემზადება.

იოანა (აღზნებით)

ბრძოლა, ბრძოლა!

განთავისუფლდა ტყვეობით სული,
ჩმალი აიღეთ, ვის გერჩისტ გული.
მე კიდევ წავალ, გავაწყობ ჯარსა.

მეფე (ლიაგირს)

გაჰყევი თანა. ვუწყებ მე მტრისა
მისწრაფება და გულის ღიტიანი:
მას ჰსურს რეიმსის გალავნის წინა
მომხადოს თავით მეფის გვირგვინი.

ღიუნუა

მტერს ვაყვაცობა როდი ამხნევებს,
ეგ მომაკვდავის არის ქშიტინი.

მეფე (ჰერცოგს)

მე შენ, ფილიპე, არ გიხმობ, მხოლოდ —
დანაკარგისა პოვნის დრო დადგა.

ჰერცოგი

ღღესვე ვიპოვო იმდნად ვეცდები,
შენც მადლობელი დიდად მექმნები.

მეფე

მე თავად უნდა ჯარს წინ გაუძღვე,
დავიმსახურო გვირგვინი ბრძოლით!



დამგვირგვინებელ რეიმსის წინა
საკუთარის ხმლით, საკუთარ შრომით.
ჩემო აგნესავ, ნუ შესწუხდები,
მალევე გნახავ, იყავ მშვიდობით!

აგნესა (ხელს აძლევს)

მე არა ვტირი. სული დამშვიდდა,
ჩემი იმედი მივანდე ღმერთსა.

ამდენს ნიშნებსა ბედნიერების
ბოლო დროს ღმერთი შეუცვლის ფერსა?
გული მაუწყებს, მტერი იძლევა
და დაჰბრუნდები შენ გამარჯვებით.
და ჩვენც ერთად ქალაქ რეიმსში
ერთმანერთს ვნახავთ, იქ შევიყრებით.

(ყველანი ვადიან. სცენა იცვლება; მოსჩანს გაშლილი მინდორი, მაზე მოსჩანს
გაფანტული ჯგუფ-ჯგუფად ხეები. სცენის გარეთ საომარი საკრავების ხმა
მოასმის, თოფის სროლა, ეღერა აბჯრისა. მებრძოლნი გარბიან სცენაზე. ბოლო
დროს სიმშვიდეა. სცენა დაცარიელდება)

გამოსვლა მეექვსე

ტალბოტი შემოდის დაქრილი, დაყრდნობილია
ფასტოლფზე, მას მოსდევენ მხედარნი, ჩქარა
გაჩნდება ლიონელიც.

ტალბოტი

ძმებო, სჯობია მე აქ დამტოვოთ,
ამ ხეთა ძირსა სული დავლიო.

წადით, უშველეთ თანვიანთ ძმებსა,
ვინძლო მხნედა და მედგრად იბრძოლოთ
მე უთქვენოდაც კარგად მოვკვდები,
ვინძლო მტრის ჯავრი არ გამაყოლოთ.

ფასტოლფი

დღევ უბედურო! მუხთალო ბედო!
(ლიონელს)

შენ რაღად მოხველქ, ლიონელო?
ჭრილობით კვდება გმირი სარდალი,
შენ დაიფარე, უფალო, მხსნელო!



ლიონელი

ღმერთო, გვიხსენი! ადექი, ტალბოტი,
განა გეჭირვა ისეთი წყლული,
რომ ვერა სძლიო შენ მის სიმკაცრეს
და დაანებო სიკვდილსა სული?!

ტალბოტი

სულ ტყუილია. განგებამ ბრძანა:
საფრანგეთს გაქოეს ჩვენი მეფობა.
ვეურჩე იმას, სიცოცხლე მივეც,
ვერაფერს გახდა ჩემი მხნეობა.
რეიმსი გვერთმის, პარიზს უშველეთ,
თუ ვისმე შეგრჩათ ვაუკაცო ზნეობა.

ლიონელი

ჩვენთვის პარიზი აღარ არსებობს,
იგი დოფინსა ზავით შეეკრა.

ტალბოტი

(იძრობს წყლულიდან სახვევს)

რად მინდა წყლულის მოსახვევები,
იღინე, სისხლო, რაც შეგიძლია!
აღარ მწადიან მზესა ვხედავდე,
რაც მალე მოვკვდე, ის მირჩევნია.

ლიონელი

ფასტოლფ, აქ ყოფნა მე ხელს არ მომცემს,
მით უმეტესად, როგორც სარდალსა.
შეგვავიწროეს ყოველი მხრიდან,
ყველგან იღებენ ჩვენსა სანგარსა.
როგორც ცხვარი თხას, ქალს უკან სდევენ,
დაჰმსგავსებიან მთის ნიაველვარსა.

ტალბოტი

უგუნურებავ, შენ გაიმარჯვე
და მე კი აქა უშნოდა ვკვდები.

შენს ძლიერებას, როგორც დავრწმუნდი,
ვერ გაუძლებენ თითონ ღმერთები.
ამაყო ჭკუავ, სიბრძნისა ძეო,
კაცთა სიცოცხლის ლიბოვ და ბურჯო,
ქვეყნის მმართველო, გამბრწყინვებელო,
უგუნურება, ვით გჯაბნის, უჭკო?!
მას ვერ აჰლაგმავ და ორივენი
მაღალი კლდიდან უფსკრულში სცვივით.
წყეული იყოს დიდ განზრახვათა
სიცოცხლეს სწირავს ვინცა გიყივით
და ისიც, ვინცა სწორე გზას ირჩევს,
უეკლოს, მართალს, ყველასგან ქებულს.
ორივეს ვსწყევლი, რადგან ქვეყანა
ეკუთნის მხოლოდ უგუნურთ კრებულს.

ლიონელი

ცოტა დრო დაგრჩა სასინანულოდ,
ტალბოტ, ღმერთს რატომ არ მოიგონებ?

ტალბოტი

რომ მამაც მტრისგან დავჯაბნილიყავთ,
როგორც მამაცნი მამაცთაგანა,
სხვა რა მეთქმოდა გარდა იმისა,
ეს, მოხდა-მეთქი ბედისაგანა.
მაგრამ ჩვენ მტრად ჩვენი თავი გვყავს,
გავცუდდით მჩატე ოცნებისგანა.
ღირსი არ იყო ნუთუ ჩვენი ცდა
მოწყალებისა მეუფისგანა?!

ლიონელი

მშვიდობით, ტალბოტ! ვით მეგობარი,
ცრემლს, თუ არ მოგკვდი, კვლავ შემოგწირავ,
ისევ ბრძოლისკე მიმეჩქარება,
თუმც მენანება, რომ ეგრე გწირავ,
ჯერ განაჩენი ბედისწერისა
არ წაკითხულა, არა გვსმენია.
საიქიოსაც ვნახავთ ერთმანერთს,
დიღხან სიცოცხლე არ დამრჩენია.



დიდის ხნის ძმობა ერთს წუთში წყდება,
წუთისოფელი სულ ასე შვრება.
(მილის)

ტ ა ლ ბ ო ტ ი

ერთი წამი და ჩემი სიცოცხლე
მერე ხარკს მივცემ მიწას და მზესა,
ავსა თუ კარგსა ჩემს არსებისას,
ხელთ მივაჩეჩებ ვით ჩალა-ბზესა.
ქვეყნად განთქმულის, გმირის ტალბოტის, —
ვის ვერ უძლებდა ვერც ერთი მტერი, —
იმის კაცობის ერთი შებერვა
აჩ ქვეყნად რჩება მხოლოდღა მტვერი.
ცხოვრებისაგან გვემულ-ტანჯულთა
სიკვდილი ბრჯღალსა ჩაგვჭიდებს როსა,
სამასხროდ ხდება, რასც შევნატროდით,
რაც დიდად გვიჩნდა სიცოცხლის დროსა.

გამოსვლა მეშვიდე

მ ე ფ ე, ჰ ე რ ც ო გ ი, დ ი ტ უ ნ უ ა დ ო უ შ ა ტ ე ლ ი
და მ ხ ე დ ა რ ნ ი (შემოვლენ)

ჰ ე რ ც ო გ ი

ბრძოლა გათავდა. მხედარნი იხილნენ-თქმონ
დ ი ტ უ ნ უ ა დ ო უ შ ა ტ ე ლ ი

ჩვენ გავიმარჯვეთ.

მ ე ფ ე (შეჰნიშნავს რა ტალბოტს)

ის ვინ წევს იქა მიტოვებული,
სულს ჰლევეს, არა ჰგავს უბრალო მხედარს,
ეს მას ემჩნევა ჯაჭვ-აბჯარზედა,
უშველეთ, ვიდრე მზეს თვალით ჰხედავს.
(მხედარნი მიუახლოვდებიან ტალბოტს)

ფ ა ს ტ ო ლ ფ ი

ახლოს ნუ მოხვალთ! განზე დადგით,
პატივისცემა გმართებსთ იმ მკვდრისა,



პირისპირ მისულთ ხელჩართულს ომში,
ვისიც გზარავდათ პრიალი ხმლისა!

ჰერცოგი

რას ვხედავ ამას? მოკლულს ტალბოტსა!
(მიუახლოვდება. ტალბოტი შეჰხედავს რა მას, სწრაფადა კვდება)

ფასტოლფი

ახლოს ნუ მოხვალ, შორს, მოღალატე,
რომ საზიზღრობა გმირმა არ ნახოს,
აფსუსი არის იმისი სახე
განსვენების დროს რომ დაიჩმახოს.

ჰა, გადი, ტალბოტ, უძლევეო გმირო,
შენ არ იკმარე მთლად საფრანგეთი
და ახლა ჰხედავ რომ მეტიც მოგდის
მიწის ნაჭერი, პატარა, ერთი.

(ხმალს მოდრეკს წინაშე მეფისა)

მხოლოდ მეფობას ეხლა გილოცავ;
რაკი ამ გვამსა სული განშორდა,
ვიდრე ტალბოტი ცოცხალი იყო,
შენს თავზე მეფის გვირგვინი თრთოდა.

მეფე

(შეჰხედავს რა მიცვალებულის გვამს)

ზეცის ბრალია ამის სიკვდილი,
ჩვენის ხელითა არ არს მოკლული,
ხმალი და ფარი არ გაუცია,
დაუღევია იმათთან სული.
მომკვდარა ისე, ვით გმირსა ჰშვენი, ანტონს
ამას სცოდნია მამაცთა რჯული.
(მხედართ)

წაასვენეთ და კარგად დამარხეთ,
პატივისცემით, ვაჟკაცი სრული!
(გვამი ტალბოტისა მიაქვთ)
ღმერთმა აცხონოს! გმირთ ქვეყანაში

აწ განისვენოს გვამმა გმირისა,
ძეგლად ეყოფა, რომ შუაგულში
საფრანგეთისა არს ნეშტი მისა.
ჯერ ამ მიჯნამდე არ მოღრწეულა
და არც დადგმულა ფეხი სხვა მტრისა,
საუკეთესო ძეგლია მისთვის
მოსაგონებლად შვილიშვილისა.

ფ ა ს ტ ო ლ ფ ი

(აძლევს ხმალს მეფეს)

მე ტყვე ვარ თქვენი.

მ ე ფ ე (უკანვე უბრუნებს ხმალს)

არა, რაინდო! რაკი ბრძოლა გვაქვს,
განა ზნეობით ისე გავფუჭდეთ, —
რომ ვინაც თავის სარდალსა იცავს
ვაეკაცურადა, — იარაღს ვყრიდეთ?!
ჰო, დიუ შატელ, მართლა, აგნესა
ჩემი, ვინ იცის, იწვება შიშით.
წადი, უთხარი, რომ გავიმარჯვებთ
და საგვირგვინოდ რეიმსში ვუცდით.
(დიუ შატელი მიდის)

გამოსვლა მერვე

ი გ ი ნ ი ვ ე, ლ ი ა გ ი რ ი

დ ი უ ნ უ ა

აქ ხარ, ლიაგირ? ჟანა სადღაა?

ლ ი ა გ ი რ ი

როგორ? მე იგი თქვენთან მგონია,
ქარმა ბრძოლისამ შორს გამიტაცა,
ქალი მაშინა თქვენს ახლო დარჩა.

დ ი უ ნ უ ა

მე შენზე ადრე მეფის საშველად
ხმალამოწვდილი ვეშურებოდი,

იმ იმედითა, რომ იოანას
მარტოდმარტოსა არ დასტოვებდი.

ჰერცოგი

ამას წინადა მე თითონ ვნახე,
რომ მტრის გროვასა შუაზე ჰხევდა,
ხელში ეჭირა დროშა თავისა
და მიდამოსა თეთრს ფერსა სდებდა.

დიუნუა

ღმერთო! ავჩქარდეთ, ვინ იცის ბრძოლამ
უბედურება რამ შეამთხვია?..
მარტოკა იბრძვის, მეშველი არ ჰყავს
და მტრის რაზმები გარს ახვევია.

მეფე

უშველეთ, ჩქარა!

დიუნუა

მე კი მივრბივარ.

ლიაგირი

და მეც შენთანა.

ჰერცოგი

ყველანიც ერთად.
(ყველანი აჩქარებით მიდიან).

გამოსვლა მეცხრე

უცხო ადგილია ბრძოლის ველზე. კლდიანი, ხეები მოსჩანს. შორს კოშკები
მოსჩანს რეიმსისა, ჩამავალი მზის სხივით გაბრწყინებული, რაინდი შავს ჯაჭვ-
მუზარადში, ჩაფხუტჩამოფარებული. იოანა მისდევს მას. იგი შედგება.

იოანა

ფლიდო, გაგიგე შენ ეშმაკობა,
ცხარე ბრძოლიდან გამომიტყუე,



ვითომ შეჰშინდი და გამეჭეცი,
გაგივე ფიქრი, რისთვისც იცრუვე.
გინდა, რომ ძმები გადაარჩინო
და მოარიდო ჩემის ხმლის ცვეთას.
შენ თანამოდმეთ ჯავრს შენზე ვიყრი
და დაგიბნელებ მზის თვალით ხედვას.

შ ა ვ ი რ ა ი ნ დ ი

საკვირველია, განმძვინვებული
რისათვის მომდევ, რა გინდა ჩემგან?
ტყუილად სცდები, მე კარგად ვიცი,
რომ არ მოვკვდები არა დროს შენგან.

შავო და ბნელო, წყვდიადის მსგავსო,
მძულხარ, როგორაც ღამის სიბნელე.
მსურს დაგამიწო ამავე წუთშიც
და არც მაწუხებს ფიქრის სიძნელე.
რატომ არ მეტყვი, ვინ რაინდი ხარ,
აბა, აიძრე პირით ჩაფხუტი.
რომ არ მომეკლა ჩემის ხელითა,
ვიტყოდნი მართლა შენ ხარ ტალბოტი...

შ ა ვ ი რ ა ი ნ დ ი

წინასწარმეტყველს ნიჭი აღარ გაქვს?
თითქოს აქამდის ყველასა სცნობდი?..

ი რ ა ნ ა

არა, იგივე მე მას მნიჭადის,
მაღალის ხმითა მეჩურჩულება,
რომ უბედობას შენსას ჩემიცა
უცილობებლად შედ დაერთობა.

შ ა ვ ი რ ა ი ნ დ ი

ჟანა დარკ, გირჩევ, დღეს-აქამომდე
ლაშქრობის ღმერთი შენა გწყალობდა,

რეიმსამდენა შენ გაიმარჯვე,
იხსენ, ვინაც კი ჩვენგან წვალობდა.
ბედი გაგიხდა ყურმოჭრილ ყმადა, —
შენზე ეჭირა თვალი და ყური.
მოდრი იკმარე, რაც სახელი ჰქმენ,
ვიდრე შეიპყრობს ბედის გულს შური,
ბოლომდე იგი არავის წყალობს,
რაც უნდ მხნე იყავ, რაც უნდ ერთგული.

იოანა

შენ ვინა გკითხავს ჩემის ბედისას?
რად გწადის ავცდე არჩეულს გზასა?
ვიდრე აღთქმასა არ ავასრულებ,
საბრძოლველად მუდამ ვარ მზასა.

შავი რაინდი

ძლიერო ქალო, ყურს არვის უგდებ,
ვიდრე შენს ხმალსა წინ უძღვის ძლევა,
გაგახალისა მჭრელმა მახვილმა,
მაგრამ დღეს გიჯობს უკან დახევა.

იოანა

ხმალს არ გავუშვებ, ვიდრე თქვენ გხედავთ
და სათითაოდ სულ არ გაგწყვეტავთ.

შავი რაინდი

აბა, უცქირე, რეიმსის კოშკებს
და საყდრის გუმბათს გაბრწყინებულსა.
შენ იქ მეფითურთ დიდებით შეხვალ,
გვირგვინს დაადგამ განდიდებულსა.
მხოლოდ საყდარში ფეხი არ შესდგა,
თორემ იცოდე წასწყმედავ სულსა.

იოანა

რატომ არ მეტყვი, ვინ ხარ? საიდან?
გსურს შემაშინო მლიქვნელო ენით,

გსურს ამირიო ქალსა გზა-კვალი
ცრუ-მკითხაობის შენისა სმენით.
(შავს რაინდს წასვლა სწადიან, იოანა წინ გადაეღობება)
პასუხი მომეც! შედეგ, ან მოკვდი.
(ხმაღს ასწევს, უნდა დაჰკრას)

შ ა ვ ი რ ა ი ნ დ ი
(ხელს შეახებს, იოანა აღარ ინძრევა)

მომკალი, ვითომ სიკვდილი რაა?
(ცეკა-ქუხილი ისმის. რაინდი მიიმალება)

ი ო ა ნ ა

(დიდხანს გაჩუმებულია, განცვიფრებაშია. მერე
თითქოს გონებაზე მოდის და ამბობს)

იგი არ იყო ამქვეყნიური,
სწორედ, ნამდვილად ზმანება იყო,
ბოროტი სული ჯოჯოხეთისა,
რომ ჩემი რწმენა რჩევით დაემხო.
მაგრამ ვიდრე მაქვს ხმალი ხელშია,
ჩემის მეუფის მახვილი მჭრელი,
ვინ დამიდგება წინ რომ შემდრიკოს,
რაც უნდა იყოს ის საშინელი.
რასა ვტორტმანობ, ბრძოლა მეძახის,
მტერი სრულიად შევმუსრო უნდა,
ვდრე ღმერთია ჩემი მფარველი,
თვით ჯოჯოხეთიც მობრძანდეს თუნდა!

გამოსვლა მეათე

ი ო ა ნ ა, ლ ი ო ნ ე ლ ი

ლ ი ო ნ ე ლ ი

შენ, ჯადოქარო, მე შემებრძოლე,
ერთი ჩვენგანი აქ უნდა მოკვდეს.
გმირი ტალბოტიც შენგან დაჭრილი
მე დავამკაცრე, სულს ჰლევედა ოდეს.

და სხვა რამდენი გმირი მოიღწე,
მსურს გაზღვეინო ვაჟკაცთა სისხლი,
აჲ უნდა თვითაც იმათებრ მოვკვდე,
გულში მეც ეს მაქვს გადაწყვეტილი.
ვიდრე ჩვენგანი ერთი მოკვდება,
ბარემ გაიგე ვისთან გაქვს საქმე.
ბრიტანელის ვარ ჯარის სარდალი,
სახელად მქვიან მე ლიონელი,
არავისაგან ჯერ არ ძლევული.

(მიიწევს ხმალდახმალ. ერთს წამს შემდეგ იონა
ხმალს ართმევს ხელიდან)

ჰა, კიდევ ბედი!

(ხელდახელ ჰიდაობენ. ჰიდაობის დროს იონა
მუზარადს მოაგლეჯს თავიდან, ლიონელი თავშიშველა
რჩება... იონა ხმალს ასწევს დასაკვრელად,
თან ეტყვის:)

იონა

თვით ღვთისმშობელი ჩემის ხელითა
რომ მოჰკვდე, სწორედ ამასა ბრძანებს.
(ამ დროს იონას თვალები ლიონელისას შეეყრება და
ხელიც მისი დაეშვება დაბლა)

ლიონელი

რადას ჰგვიანობ? დამკარი რაღა?
მომკალი ბარემ, რომ სირცხვილს მოვრჩე.
რისთვისღა მინდა უშნოდ ვიცოცხლო,
თუნდა ათასს წელს ცოცხალი დავრჩე.
(იონა ხელით ანიშნებს, გაიქეციო)

ვერ გავიქცევი, თავს ვერა ვკადრებ
და სიცოცხლეში ნამუსს ვერ მივცემ.
ნუღარ ჰგვიანობ, მომკალი ბარემ.

იონა (არიღებს თვალებს)

იმას არ დავდეგ — შენი სიცოცხლე,
თუ ჩემს ხელშია ოდესმე იყო.



ლიონელი

შენც მეჯავრები, შენი ძღვენიცა,
არ ველი შენგან შეწყალებასა,
მოკალი იგი, ვინც შენა გკლავდა,
არ იშურებდა შენთვის ვნებასა.

იოანა

შენ მომკალ თუნდა და ისე წადი!

ლიონელი

ეს რაღა მესმის?

იოანა (თვლებზე ხელს იფარებს)

ვაჰ, უბედურო, შენ, ჩემო თავო!

ლიონელი (მიუახლოვდება მას)

ვითომ ხმა დადის, ბრიტანელთაგანს,
რომ არავისაც არა ჰზოგავდი.
მე რადღა მზოგავ, და მეც არ მომკლავ?

იოანა

(თავს ძალას ატანს, აიმაღლებს ხმალს, რომ დაარტყას,
მაგრამ შეჰხედავს რა იმას, ხმალს დაუშვებს)

ოჰ, ღვთისმშობელო!

ლიონელი

წმინდანთა კრებულს ამაოდ უხმობ,
დიდი ხანია უარგუო ცამა.

იოანა (მეტისმეტად განრისხებული)

გამიწყრა ღმერთი! ვაი ჩემს თავსა!
რა ღამემართა ამ უბედურსა?
ჩემს აღთქმაზედა ავიღე ხელი.
სჩანს, ანგელოზი შემომწყრა მცველი.

ლიონელი (შეეცოდება და მიდის ახლო)

როგორ მებრალები, შე უბედურო,
მხოლოდ სულგრძელად მე მომეპყარი
და ჩემი გულიც შენსკენ მოილტვის,
მხოლოდ შენთვისა იგი არს მკვდარი.
რატომ არ მეტყვი სადაური ხარ?
შენი სამშობლო საითკენ არი?

იოანა

წადი! გამშორდი!

ლიონელი

მით მებრალები, ახალგაზრდა ხარ,
და სიტურფითა ვარდივით ჰყვავი,
შენის სახისა მეტყველებამა
აღმიგზნო გულში გრძნობები მწვავი.
მინდა გიშველო, მოდი გამომყევ,
დასტოვე, მოდი ეშმაკთან ზავი.
დასტოვე ხმალიც ბრიტანელების
შეუწყალებლად, უღმერთოდ მსრავი.

იოანა

ვაჰხმე უბედურს! აღარ ვარ ღირსი ვატარო იგი.

ლიონელი

მაშ გადააგდე; ჩემთან წამოდი.

იოანა (შეშინებული)

შენთან? ოჰ, ღმერთო, ღმერთო!

ლიონელი

წამოდი ჩემთან! ჯერ კიდევ დროა
და იმეღია, რომ გეშველება.
შენს გამო ჩემსა გულ-გონებასა
გაუგებარი სჭირს მკუმუნვარება.

შენ კი გიშველი, სული ისწრაფვის,
რაც უნდა ვნახო მე მწუხარება.
(ხელს დაუჭერს. შორს გამოჩნდებიან დიუნუა და ლიაგირი)



იოანა

ოჰ, ღმერთო! აგერ თვით დიუნუა.
ახლოს არიან, უშველე თავსა!

ლიონელი

მე გყვარ მცველად.

იოანა

არა და არა! წადი, გაიქე! თორემ თუ მოგკლეს,
თვით მეც მოვკვდები...

ლიონელი

ნუთუ ეგრეცა ძლიერ გიყვარვარ?

იოანა

ოჰ, ღვთისმშობელო!...

ლიონელი

ვნახავთ ოდესმე კიდევ ერთმანერთს?
გავიგებ რასმე კიდევ შენზედა?

იოანა

არადროს, არა, სრულ ვერაფერსა.

ლიონელი

ეს ხმალი მქონდეს მე გირაოდა,
რომ კიდევ მნახო ერთხელ როდისმე.
(ართმევს ხელიდან ხმალსა)

იოანა

რას შვრები მაგას, შე უგუნურო?

ლიონელი

მე ეხლა ძალას ვემორჩილები.
ერთმანერთს ვნახავთ ერთხელც იქნება.
(მიდის აჩქარებით)



გამოსვლა მეთერთმეტე

დიუნუა, ლიაგირი, იოანა

ლიაგირი

აგერა ქალი!

დიუნუა

აწ, იოანა, ნუ გეშინია,
ჩვენ აქა გყევართ.

ლიაგირი

ლიონელი არაა, აგერ რომ მირბის?

დიუნუა

მოშორდი... ეანა, ბრძოლა გათავდა,
რეიმსის კარი უკვე გაიღო.
მოქალაქეთა და მთელმა ხალხმა
დიდის დიდებით მეფე მიიღო.

ლიაგირი

რა ემართება? ქალს ველარა ვცნობ,
ფერი წაჰსვლია, კიდევც ირყევა.

დიუნუა

დაჭრილი ხარ თუ? (იოანა იმათ ხელზე წაიქცევა)
გავხადოთ ჯაჭვი. მხარში დაჭრილა,
მხოლოდ მსუბუქად...

ლიაგირი

რომ სისხლი მოსდის.

ეგრე სჯობია. ვიდრე ცოცხალ ვარ,
სისხლიც მდიოდეს.
(გრძნობასა ჰკარგავს)

მოქმედება მეოთხე

გამოსვლა პირველი

მდიდრად მორთული სასტუმრო ოთახი. სვეტები აღარა სჩანს გარს შემოხვეულ
ყვავილებში. შორიდან მოისმის ფლეიტის და დაბდაბის ხმა. ეს ხმა არ
შესწყდება პირველ სცენის განმავლობამდე.

იოანა

(სდგას დაფიქრებული და ყურს უგდებს. შემდეგ ამბობს:)

რაც აღთქმა მქონდა, ღვთით, შევასრულე:
გათავდა ომი, გათავდა ბრძოლა.
სოფელ-ქალაქთა თავი აიღეს,
ყველას ალაღებს თვის მეფის ყოლა.
ლომად ქმნილია ფრანგების გული,
წარბს ვერ შეუხრის მათ მტრისა რჩოლა.
მეფეს დაედგმის თავზე გვირგვინი,
წელს დაუმშვენებს წინაპართ ხმალი.
მას შეჰფოფინებს აღტაცებული
საფრანგეთისა გული და თვალი.
დიდის საქმისა შესასრულებლად
აყვავებულა მთელი ტაძარი.
დღეს ისე უჩანს ფრანგებს სამშობლო,
ვით შვილს მშობელი მკვდრეთით ამდგარი.
დიდთა, მცირეთა გულს აღფრთოვანებს
გრძნობა ბრწყინვალე მზის შესადარი.
და მე კი, ვინაც გახდა მიზეზი
მშობელი ქვეყნის განახლებისა,
უნდა ვიმალო, ვითა იუდა,
ჭირად მესახვის ლხენა სხვებისა.
ოცნება მაფრენს ინგლისელთ შორის,
იქ არს მიზეზი ჩემის ვნებისა.

მეგობრებისა სახე მაშინებს,
გავხდი ერთგული ჩვენის მტრებისა.
იმიტომ ვცდილობ ნაკლის სამალად
ვიყო მუდამყამს მარტოდმარტოდა,
რომ წამწყმედელი ეს ჩემი ვნება
არ მქრავნდებოდეს ხალხთ შესატყოდა.
როგორ? განა მე ღვთის ფიცს გადვიდე
და გული მივცე დაბალს გრძნობასა?..
ბედნიერების ქვეყნად მთესველმა
და არ მოვიდე იმუნად ცნობასა.
მიყვარდეს შვილი სამშობლოს მტრისა,
ვინაც ცდილობდა ჩვენს დამხობასა?
გულმა ვით გასძლოს? სვინდისის ქენჯნა?
როგორღა ვნახო დღისა ნათელი?
ტრფობის მტვირთველი სირცხვილისაგან
ისე დავიწვი, როგორც სანთელი.

(ხმა საკრავებისა სცენის გარეთ შეერთდება ერთს
ტკბილ და ნაზ ჰანგად)

ოჰ, რა ტკბილია.
რა ტკბილი ჰანგი!
მე კი გულზედა
მედება ჟანგი.
თვალთ მეღანდება
სახე საამო
და საამური მისი ხმა მესმის,
ასტყდეს, ნეტავი,
ისევაც ბრძოლა,
ხმლისა ტრიალი,
და თოფის სროლა,
რაზმი რაზმს მიჰყვეს
საბრძოლველადა,
ჩემის კაეშნის დასაწველადა.
ნეტავი მისწყდეს ეგ ტკბილი ხმები —
სულს რომ მირყვნიან ნეტარებითა!
ვეგზნები, ჰყურობთ? სატირელი ვარ,
რაც ვიყავ მასთან შედარებითა.
(დაჩუმდება. შემდეგ გამძვინვარებით.)
მე არ შემეძლო განა მის მოკვლა?

მაგრამ, მითხარით, როგორ მოვკლავდი,
 რომ შემეცოდა, მაჯა მოღუნდა,
 როცა მის ტურფას სახეს ვხედავდი.
 განა ცოდვა ვქმენ რომ შევიბრალებ?..
 ლამაზის მოკვლას ვით გავბედავდი?
 ჰაი, ცბიერო, წუწკო, დიაცო,
 როგორ ატყუებ კაცსა და ღმერთსა?
 თუ სიბრაღით ხელმძღვანელობდი,
 რად არ ჰზოგავდი ბრძოლაში სხვებსა?!
 რამდენს გევედრა ცრემლის ფრქვევითა:
 შემიბრალებო, ყრმა ვალიელი?
 მისი გოდება შენის სმენისთვის
 იყო ვით ქარი, ხმა ცარიელი.
 არა, სიბრაღულს ნუ დააბრალებ,
 სხვას გიბრძანებდა გრძნობა ძრიელი.
 ამ უბედურმა როგორ გავბედე
 ლამაზი მისი სახის დანახვა.
 გულმა სხვა გვარად დამიწყო ძგერა,
 მყის ჩამესახა სულ სხვა განზრახვა.
 ვინაც ბრძანებას უფლისას მისდევს,
 იგი დაბრმავდეს უნდა თვალებით,
 სხვა ყველა გრძნობა გულში დაიხშოს
 და ის აკეთოს მხოლოდ მკლავებით.
 მე ნება მივეც თვალთა ხედვასა,
 გავინაწყრომე მიტომ უფალი.
 უმფარველოდა დატოვებულსა
 ბოროტმა სულმა ჩამჭიდა ბრჯღალი.
 (ჩაფიქრდება. საკრავებს ყურს დაუგდებს. შემდეგ ამბობს:)
 მეცხვარის ჯოხი ამ უბედურმა
 რისთვის გავცვალე სისხლისმღვრელ ხმაღზე?
 საკვირველებით მოსილო მუხავ,
 რისთვის მიყვარდი შენც აგრე ძალზე?
 ანგელოზების შორის ვცხოვრობდი,
 მეხატებოდა ცის ბრწყინვალება,
 დღეს სხვა სურვილით გატაცებულსა
 ცისკე ახედვაც კი მეზარება.
 დიდებულ ძალის დიდი წადილი
 რომ ავასრულო რით შემიძლიან?
 მტრობას ეს გული აღარა ჰგუობს,
 როს სიყვარული იმას სწყურიან.

ცოდვილის მიწის ალბათ წესია,
აღამიანი იმიტომ მქვიან.
დღევ ღვთისაო, ღირსი გამხალე
მეხილა შენი ბრწყინვალე სახე.
შენგან გვირგვინი აღარ მეკუთვნის,
რაკი მაცდურმა დამიგო მახე.
მე ვერ შევიძელ, ყოვლად მოწყალევ,
რომ ამესრულა შენი ბრძანება.
ცით მოვუწოდე სულნი წმინდანნი,
ვისც არ აწუხებთ არც ერთი ვნება,
ვისაც არ უღუღს სისხლი ძარღვებში,
შენ მსახურადა ის გამოდგება.
რა გავიმსჭვალე ცოდვილის ფიქრით,
შენს ახლო ყოფნა აღარ მიხდება.
ვილაცა მწყემსი და დიდი საქმე,
ლაშქრის სარდლობა საიდან სადა?..
მეფეთა ბედსა მე განვაგებდე?
თავის სამწყემსო დავტოვე რადა?..
გზა ეკლიანი მე მომიჩინე,
გზა დამლუბველი ზედ სავალადა.

გამოსვლა მეორე

ა გ ნ ე ს ა, ი ო ა ნ ა

ა გ ნ ე ს ა

(მიდის დიდად აღელვებული იოანასთან. უნდა ყელზე შემოეჭდოს,
დაფიქრდება რა, დაემხობა მის წინაშე მუხლებზე...)

ღირსი ხარ ვკოცნო შენთ ფერხთა მტვერი!

ი ო ა ნ ა

(ცდილობს ფეხზე წამოაყენოს)

აგნესავ! ადუ,
რისთვის ივიწყებ თვის ღირსებასა?

ა გ ნ ე ს ა

ხელი გამიშვი. სიხარულითა
ბომ ხედავ ფეხზე ველარა ვდგები.



მხსნელ ანგელოზად ჩვენ მოგვევლინე,
ასე მწადიან, ასე ვიქნები.

ღვთიური ძალის გამომხატველსა
რა ვქნა, თუ არ გცე მაშ მე თაყვანი?
ტადარში მეფე შემოსილი დგას
და ეკურთხება ღღეს მის გვირგვინი,
რეგალიები მოაქვთ პერებსა
და ხალხს გროვ-გროვად მოაქვს ბაბანი.
ზარების რეკვა სმენის დამხშობი
და სიხარულის ჟღავ-ჟღუვი ხალხის
ყოველ მხრით ისმის. არ შემიძლიან
მე გულგრილადა თმენა ამ ამბის.

(იოანე წამოაყენებს ფეხზე. აგნესა თვალებს თვალეში უყრის)

ყველა ამ საქმის სიკეთის მქნელი
გულგრილად შესცქერ თავისვე ღვაწლსა.
არაფრად აგდებ შენ ჩვენ სიხარულს,
ჰხედავ და არ სცნობ ზეციურს მადლსა.

(იოანე მაგრა ჩასჭიდებს აგნესას ხელს, დაფიქრდება.

რა, უცბად ისევ გაუშვებს)

ნეტავი გეგრძნო ტრფობის სიამე,
სიყვარულითა აღგეგზნო გული.
როდემდის უნდა ტრფობას ემალო
და მკერდი გქონდეს რკინით შეკრული?
ჩემს გულს აგზნებულს სიყვარულითა.
აშინებ შენა შეარაღული.
ომი გათავდა, რისთვისღა გინდა,
სჯობს მოიშორო აბჯარი სრული.

იოანე

რასა სთხოულობ, ნეტავი ჩემგან?

აგნესა

ხმაღს ხელი უშვა და სიყვარულით,
როგორაც ქალმა, გული აღიგზნო.
მინდა რომ ქალი დაჰრჩე ქალადა,
ტრფიალებისა შენც რამ გაიგო.
შეყვარებული არ ვაოგა ქალი,
როს წელს არტყია ხანჯალი, ხმალი.



იოანა

რომ იარალი მე ჩემს თავადა
ჩამოვიყარო, ეგ არ იქნება.
უიარაღოც წავალ ბრძოლაში,
გული იქითკენ მიმეზიდება.
ათასჯერ მიჯობს მე იქ სიკვდილი
თქვენთან მოლხენას, თქვენთან ქეიფსა.
ჩემი ბუნება მაგას ვერ თვისობს
და ვერცა ვნახავ თქვენთან ხეირსა.

აგნესა

გრაფ დიუნუა ჩვენს მხედრობაში
ყველა ღირსებით გათქმული არი
თუ ვაყკაცობით, თუ ზნეობრივად
შენთვის იტანჯვის ტრფობითა მკვდარი.
მერწმუნე, მეტი ჯილდო სხვა რა ვსთქვათ,
როცა ქალს ეტრფის ეგეთი გმირი?
ის ხომ ყველაზე უტურფესია,
თუ ქალმაც იმას უჩვენა პირი.
(იოანა ზიზლიანის სახის გამომეტყველებით ზურგს შეაქცევს)
შენ ის არ გიყვარს და კი არ უწყი,
რომ საზიზლარი მხოლოდ იგია,
ვინც ჩვენ სიყვარულს არ უწყობს ხელსა
და საყვარელიც გაუტაცნია.
რას ვამბობ? შენ ხომ არავინ გიყვარს
და სიყვარულის მიტომ ხარ მტერი?
ნეტავ შემასწრო, რომ სატრფიალოდ,
ერთხელაც შენს გულს ეცვალოს ფერი.

იოანა

გებრალეზოდე, ჩემო აგნესავ,
იტირე ჩემი უბედო ბედი!..

აგნესა

რადა? მაგ სიტყვებს რისათვის ამბობ?
ბედნიერებას შენს რა აკლია?
სამშობლოს მტერი ფრანგებმა არა,
მარტოკა შენმა ძალამა სძლია.

შენგან რეიმში დიდებულადა
დევნილი მეფე მეფედ დამტკიცდა,
თვითეულს ჩვენგანს წყლული მოურჩა,
რაც კი მტრისაგან გულზედა გვჭირდა.
ხალხი გაღმერთებს, სამშობლოს ხსნასა
უპირველესად შენს ღვაწლად სთვლიან
და ისე მეფე არავის უყვარს,
როგორაც შენს წინ ქედებსა ხრიან...

იოანა

ვაჰმე, ნეტავი, შესაძლო იყოს,
დაგმალვიყავით ქვესკნელში თქვენა.

აგნესა

ნუ იტყვი მაგას, ნუ გამაგონებ!
სხვა ვინ ღირსია ნახოს ნათელი,
როცა შენგნითაც ეგ სიტყვა მესმის?
თავს დაბლა ჰხრიდე, გედვას მკვდრის ფერი?
მაშ მე შემშვენის გამოვიჭიმო
და მოვიღერო ამაყად ყელი,
ისეთი დაბლის ფიქრის მტვირთველმა,
რომლის სირცხვილით ვერც კი ვარ მთქმელი?
შენა გგონია მე ის მახარებს,
რომ გავიმარჯვეთ, სამშობლო აღსდგა?
ტახტი გაბრწყინდა და ერისათვის
ღღე სიხარულის, შვებისა დადგა?..
არა, ყველა ეგ მე მავიწყდება,
ნე გულს მიხარებს მხოლოდ რამ ერთი:
რომ ყველა იმას შესტრფის, შეჰხარის,
იგია ჩემი მეორე ღმერთი.

იოანა

ბედნიერი ხარ. სიყვარულისა
და ტრფობის შენის იქ არის ბინა,
სადაც სირცხვილსა არ აქვს ადგილი
და აღიარებ ყოველთა წინა.
შენს სიყვარულსა თანაუგრძნობენ,
გამარჯვებაა ღღეს შენის ტრფობის,

შენ მასთან ერთად გვირგვინი გედგმის,
მოზიარეა ყველა ამ გრძნობის.
აქ სამალავი არაფერია,
სხვასაც უხარის, ყველაცა ჰხედავს.
ძნელი ისაა, რომ ხსენებასა
თვის სატრფოსასა კაცი ვერ ჰხედავს.

ა გ ნ ე ს ა (მოეხვევა)

შენ ჩემი აზრი კარგად გაიგე
და, იოანა, იმასაც გატყობ,
რომ სიყვარულზე აღტაცებით სჯი,
შენ თვითაც ვისღაც სიყვარულსა ჰგრძნობ.
გამხნევებული გრძნობა-გონება
ჩემი შენსასა აწ ემონება.

ი ო ა ნ ა (სცდილობს გაუსხლტეს)

ახლოს ნუ მოხვალ, შორს, მომერიდე,
ნუ შეიბღალავ თავს ჩემთან ყოფნით.
იყავ ბედნიერ, მე ნება მომეც,
გავძლე მარტოკა მე თავის გმობით,
დავმალო ჩემი შიში, სირცხვილი,
არავის ესმას ჩემი ტირილი.

ა გ ნ ე ს ა


მე მეშინიან, როცა გიცქერი,
გაუგებარი ხარ შენ ჩემთვისა.
ვინ შესძლო შენის გულის შეპყრობა —
კერპის, ჯიუტის მეტად დღემდისა, —
სიწმინდე შენის სულის შეიგნოს,
რაც ცხადი არის მხოლოდ შენთვისა.

ი ო ა ნ ა

ჩემთან სიწმინდეს ნულარ დაეძებთ,
შენა ხარ მხოლოდ, შენა ხარ წმინდა.
რომ ჩაიხედო შენ ჩემს გულშია,
რასაც ჰნახავდი ბრაზს, ზიზღს მოგგვრიდა.

გამოსვლა მესამე

იოანა, აგნესა, დიუნუა და ლიაგირი (იოანას დროშით)



დიუნუა

შენდა გელიან მეფე და ხალხი
გაგვიძელ, მოგყვეთ ჩვენც, იოანა,
მეფე მას ბრძანებს, ხელთ ორი ალმით
რომ ახლოს იდგე შენ მეფესთანა.
უნდა აჩვენოს მთელს საფრანგეთსა:
შენ გაგვითენე დღე დიდებული
და რომ შენ სწორი არ გეპოვება
ფრანგთ დედათაგან დაბადებული.

ლიაგირი

დაიჭი დროშა. ცოტა ავჩქარდეთ,
ყველას სწყურს შენი თვალით დანახვა.
(უნდა გადასცეს დროშა, იოანა შემკრთალი უკან დაიხვეს)

იოანა

როგორ? მე მეფეს წინ უძღვებოდე
და წმინდა დროშა მის წინ ვატარო?

დიუნუა

მაშ ვინ არს ღირსი ხელი შეახოს
ამ წმინდათ წმინდას, თუ არა შენა?
თუ რომ მტრის ჯარი ამით დამარცხდა.
რა არს თუ დროშამ არ დაამშვენა,
დღესასწაული გამარჯვებისა,
რისთვისც თავს ვიყრით ყველანი ჩვენა?!

იოანა

შორს ჩემგან, შორსა!..

ლიაგირი

ქალო, რასა სთრთი, რა გემართება,
პატრონს გაშინებს თვისი ალამი?..

რად გავიწყდება, ამის წყალობით
ბედნიერების დაგვიღგა წამი.
შეხედე ერთი როგორა ბზინავს,
ღვთისმშობლის სახე როგორა ბრწყინავს.

იოახა (ალამს გაჭმლის)

ღვთისმშობელია. იგია, იგი!
სწორედ ამ სახით მეცხადებოდა.
შევფოფინებდი მის ბრწყინვალებას,
მის ცქერა როდი მეზარებოდა.
ეხლა უცქირეთ, დამნაშავე ქალს
როგორ მიცქერის განრისხებული,
თვალეებით ზიზღის ნაპერწკლებს მეხვრას
და მკვუნვარებით ჰმოსვია შუბლად.

აგნესა

შენ გეჩვენება, იგი საწყალის
ვისმე მხატვარის ხელით ქმნილა,
თვითონ კი ისევ ცაში ბრძანდება
და ზეცა როდი გაუწირია.

იოანა

მრისხანე დედავ, მიტომ მოხვედი
დაჰსაჯო თვისი უღირსი ქალი?
სად არის მეხი რომ არ შემმუსრავს,
ფერფლს არ გაჰფანტავს გრიალით ქარი.
მე დავამცირე შენი სახელი,
რისათვის ვცოცხლობ, არა ვარ მკვდარი?

დიუნუა

ოჰ, ღმერთო ჩემო, რა გულსაკლავი
მესმის სიტყვები.

ლიაგირი (დიუშატელს)

რაინდო, ნეტავ რას დავაბრალო
მის მღელვარება, მის მწუხარება.

ღ ი უ შ ა ტ ე ლ ი

მე იმას ვხედავ, რაც მაშინებდა,
რასაც ველოდი.

ღ ი უ ნ უ ა

რაო? რას ამბობ?

ღ ი უ შ ა ტ ე ლ ი

რასაცა ვფიქრობ, იმას ვერ ვიტყვი,
მხოლოდ ის მინდა, დღეს ყველაფერი
წესი შესრულდეს, რაც საჭიროა.
დავაგვირგვინოთ კვლავ მეფე ჩვენი.

ლი ა გ ი რ ი

ნუთუ ის შიში, რა შიშს და ძრწოლას
ამა დროშითა შენ მტერსა ჰგვრიდი,
შენზე მოიქცა დღეს, იოანა,
და ველარა სცნობ? ის რად არ იცი:
ეს არს მმუსრველი მხოლოდა მტრისა,
საფრანგეთისთვის ნიშანი ხსნისა.

ი ო ა ნ ა

დიადაც მხოლოდ მართალთა ჰმველის,
ორგულთ მოუვლენს რისხვას ღვთისასა!..
(ისმის. მარში)

ღ ი უ ნ უ ა

აიღე რაღა! მოსჭიდე ხელი,
უკვე დაიწყო დღესასწაული.
წავიდე ჩქარა, სირცხვილი არის.
გაღამელია მეც ხვეწნით გული.

(ძალას ატანენ იოანას დროშა აიღოს ხელში. იგი იღებს მძულვარებით დროშას
და მიდის. ყველანი უკან მისდევენ.)

გამოსვლა მეოთხე

კათედრალური სობოროს წინ მოედანია. შორს მოსჩანს მრავალი ხალხი
ბერტრანდი, არმანი, ეტიენი, გამოდიან გროვიდან. იმათ თან
მოჰყვებიან ალინა, ლუიზა. შორს მარში ისმის.

ბერტრანდი

საკრავებს უკვრენ, სჩანს, რომ მოდიან,
სად გვირჩევენია ნეტავ რომ დავდგეთ,
იქ მოედანზე, თუ აქ ქუჩაზე,
სეირს საიდან კარგადა ვნახავთ?

ეტიენი

ამდენს ღუნიას საით გავატანთ?
ჰყურობ? ცხენოსანთ, ქვეითა ხალხსა.
მოდის, იქიდან კარგად დაჩნდება,
მივმართოთ გვიჯობ აგერ იმ სახლსა.

არმანი

რა ამბავია! ერთი უყურეთ,
სით მოიკრიბა ამ ხალხმა თავი?
შინ, მგონი, ფრანგი არ დარჩენილა, —
ყველა მოსულა კაცი და ქალი.
ლოტარენიდან ჩვენც აქ მოვედით,
რა არის მართლაც წადილის ძალი?!

ბერტრანდი

შინ ვის რა უძე, როს დიდი საქმე
დღევანდლის მსგავსი ხდება ჩვენშია?
საკმაოდ გავწყდით, რომ შეგვრჩენოდა
სამშობლო მიწა ფრანგებს ხელშია.
გვირგვინ სახილი მეფეცა ჩვენი,
რომ გაშლილიყო ისევ წელშია.
ნუთუ არ არი ჩვენთვის სირცხვილა
კანონიერსა მფლობელსა ფრანგთა,
ვისაც რეიმსში დღეს ვაგვირგვინებთ,
რომ არ დაუხვდეთ უკეთესადა,

მაზედ უკედა, ვინაც სენ-დენში
მეფედ დაუსვეს პარიუელთ სხვათა.
ის რა ფრანგია, ვინაც ამ დღესა
არ გაიხარებს სხვებთან ერთადა,
ფრანგების მეფეს გაუმარჯოსო!
არ დაიყვირებს მალლა, მკვეთრადა?

გამოსვლა მეხუთე

ი გ ი ნ ი ვ ე, ლ უ ი ზ ა, ა ლ ი ნ ა

ლ უ ი ზ ა

ჩვენს იოანას, დაო, აქ ვნახავთ,
როგორ ვესწრაფვი რომ თვალით ვნახო.

ა ლ ი ნ ა

განდიდებულსა მეფის წყალობით
უსათუოდა ჩვენ მასა ვნახავთ,
რომ ჩვენი დაა ღმერთს მადლს შევწირავთ,
და თანაც პირჯვარს გამოვისახავთ.

ლ უ ი ზ ა

ვიდრე მე ჩემის თვალით არ ვნახავ
არ დავიჯერებ რომ ჩვენი დაა.
ორღეანელს ქალს რომ ეძახიან,
მე ასე ვფიქრობ, რომ იგი სხვაა.

ა ლ ი ნ ა

თვალით რომ ვნახავ ხომ დავიჯერებ?

ბ ე რ ტ რ ა ნ დ ი

ჩუმად, მოდიან!

გამოსვლა მეექვსე

წინ მოდიან მესაკრავენი. იმათ უკან ბავშვები თეთრის ტანსა-
მოსით ხელგვირგვინიანნი. შემდეგ ორი პეროლდი. რაზმი მხედარ-
თა ალეზარდებით. მოხელენი სადღესასწაულოდ მორთულნი. ორი
მარშალი, კვერთხით ხელში. ბურგუნდიის პერცოგი ხმალამო-
ლებული, დიუნუა კვერთხით, სხვა ვეზირნი ხელგვირგვინიანნი, მსოფ-
ლიოთი, მეფის კვერთხით, შემდეგ რაინდები შესაფერი ტანსაცმელით...
მგალობელნი სანთლებით და შანდლებით. ორი ეპისკოპოსი მი-
რონის საცხებელითურ. მღვდელმთავარი ჯვარით. იმის შემდეგ იოანა
დროშით. იგი მოდის ნელის, არეულის ნაბიჯით, თავდახრილი. დები რომ დაი-
ნახავენ, ერთმანერთს ანიშნებენ გახარებულნი და განცვიფრებულნი, იოანას მოს-
დევს თვით მეფე ბალდახინ დაფარებული, რომელიც ბარონებს მოაქვთ.
მეფეს მოსდევენ სასახლის მოხელენი, შემდეგ რაზმი ჯარისა.
როცა ყველანი შევლენ საყდარში, მარში გაჩუმდება.

გამოსვლა მეშვიდე

ლუიზა, ალინა, არმანი, ეტიენი, ბერტრანდი

ალინა

და ვერ იცანით?

არმანი

კარგს საქურველში გამოწყობილი
რომ მოუძლოდა მეფესა წინა
ხელდროშიანი?

ალინა

ღიად, ის იყო ჩვენი და იოანა.

ლუიზა

თუ არ იცოდა ჩვენი აქ ყოფნა,
არ მოიხედა ერთხელ ჩვენკენა.
თუ არ შეგვნიშნა ახლოს რომ ვყავდით,
რად იყო ისე ყვითელი სახით?
თავის დროშის ქვეშ შიშითა თრთოდა
და სულ მიწისკე იცქირებოდა.
ასე რომ ვნახე როდი მიამა,
რატომ თამამად არ იქცეოდა?!

ა ლ ი ნ ა

ვინ იფიქრებდა, რომ იოანას, —
ჩვენი ღვიძლი და ჩვენს ცხვარს რომ ჰმწყსიდა, —
მასა ვნახავდით მეფისა გვერდით,
ასეთს დიდებას ის მიიღებდა?

ლ უ ი ზ ა

მამაჩემმა რომ სიზმარი ნახა,
როგორ აგვიხდა, ვერ ჰყურობ განა.
ჩვენ რეიმსშიო თავმოხრილნიო,
ერთ დროს ვიქნებით ჩვენ უანას წინა.
მას შემდეგაცა კიდევ ენახა
საშინელი რამ, ცუდი სიზმარი.
ეშიშობ, ჩვენის დის საბოლოოდ
რომ ეგ დიდება კარგი არ არი.

ბ ე რ ტ რ ა ნ დ ი

აქ რასა ვდგევართ? ავდგეთ, წავიდეთ.
ჩვენაც საყდარში სხვებთან შავიდეთ,
რომ ყველაფერი კარგადა ვნახოთ.

ა ლ ი ნ ა

მართლაც სჯობია. ჩვენს იოანას
იქ მაინც იქნებ პირისპირ შევხვდეთ.

ლ უ ი ზ ა

თვალთ ხომ ვნახეთ. ეხლა სჯობია
სახლში წავიდეთ.

ა ლ ი ნ ა

ეგ ნახვა არი — რომ არ ავძრახდეთ?!

ლ უ ი ზ ა

ჩვენს სანახავად ის ვერ მოიცილის
და არც იკადრებს იგი ჩვენს ნახვას.

მეტომ, ხომ ჰყურობ, რომ თავადები,
ჯარის უფროსნი მას გვერდით ახლავს.
ზევრს ყურს წინადაც ის არ გვიგდებდა
მაშინაც, როცა ჩვენთან ცხოვრობდა.

ა ლ ი ნ ა

ისა გგონია რომ არ მიგვიღებს,
ჩვენი დანახვა არ იამება?

ბ ე რ ტ რ ა ნ დ ი

ჯერ თითონ მეფე არ სთვლის სირცხვილად
და ყველა ჩვენგანს ძმურს სალამს აძლევს.
და იოანა, თუმცა დღეს მაღლა სდგას,
მეფის ოდენი ძალა რით შასწევს?..

(საყვირების და წინწილის ხმა ტაძარში)

ა რ მ ა ნ ი

საყდარში ყველა შიგნით შევიდეთ!
(მიდიან და მიეფარებიან ხალხში)

გამოსვლა მერვე

ტ ი ბ ო შავი ტანისამოსით, იმას მოსდევს რ ა ი მ ო ნ დ ი, რომელიც ცდილობს
იგი შეაჩეროს.

რ ა ი მ ო ნ დ ი

მოდო აქედან, არკო, წავიდეთ.
აქ ყველა ერთად ლხინობს და ლაღობს
და შენი დარდი სხვის ლხენას ავნებს,
აქ ყოფნას ჩვენსას ბევრით წასვლა სჯობს.

ტ ი ბ ო

ხომ ჰნახე, ბიჭო, ი, ჩემი გოგო,
არ დააცქერდი საწყალს სახეზე?

რ ა ი მ ო ნ დ ი

ეჰ!.. გეხვეწები აქით გავშორდეთ.



ტ ი ბ ო

მოიცა ერთი. მაშ ვერა ჰნახე,
რომ ნაცრისფერი სახეზე ედო?
შვილია ჩემი, დროც საფერია,
იმისი დახსნა უნდა გავბედო.
ეტყობა თვით ჰგრძნობს თავის მომავალს
წავალ, შენ თუნდაც ბევრი იყბედო!
(აპირებს წასვლას)

რ ა ი მ ო ნ დ ი

რა გინდა, კაცო, სად გინდა წასვლა?

ტ ი ბ ო

ის მინდა, უნდა ქვეყნის წინაშე
წარვდგე ვით მამა და შევაჩვენო.
ეშმაკის ბრჯღლიდან შვილი დავიხსნა
და გზაც სატარად სწორე ვაჩვენო.
მას არას არგებს ეს ცრუ დიდება,
თუ ღვთის მორწმუნე ის არ იქნება.

რ ა ი მ ო ნ დ ი

სისულელეა!.. კარგად იფიქრე,
ბოლოს რა მოსდევ ემაგ შენს ცდასა.
სხვა არაფერი, გარდა ერთისა,
თავსაც დასტანჯავ, — დაჰლუპავ ქალსა.

ტ ი ბ ო

მეც მაგას ვეძებ: ლეშმა იტანჯოს,
მხოლოდ კი, მხოლოდ სული არ წაწყმდეს!

(იონა გამორბის საყდრიდან უდროშოდ. ხალხი შემოეხვევა გარს. უახლოვდებიან. უკოცნიან ტანისამოსს და არ აძლევს მას ნებას მიახლოვებისას).

ვერ ჰხედავ? აგერ, მოდის კიდევცა,
როდი ასვენებს ბოროტი სული.
მსჯავრი უფლისა სდევნის საყდრიდან,
ვაი საწყალი, ვაი ბედკრული!



რ ა ი მ ო ნ დ ი

მწვიდობით, ტიბო, სჯობ შინ წავიდე,
ჩემი იმედი მორჩომილია.
ღღესნამდე კიდევ ვიმედოვნებდი —
ღღეს როგორც ვხედავ, — ქალი სხვისია.
(მიდის. ტიბო მეორე მხარეს გადავა)

გამოსვლა მეცხრე

იგინივე და იოანა

იოანა (უახლოვდება)

არ შემიძლიან მე იქ დადგომა,
რაც ხმა დამღევს, მარცხვენს და მწყევლის.
სმენას მიწუხებს და გულსა ჰგლეჯავს
ხმა ყრიაშულის, ხმა საკრავების.
ტაძრის კედლები იძვრის მგონია,
თავზედ მეცემა იმისი თალი,
სული მეხუთვის, აქ მიჩვევია,
რომ შევისუნთქო ჰაერი ლალი.
წმინდა ადგილას დროშა დავტოვე,
ამიერიდან არ ვახლებ ხელსა.
მომეჩვენა თუ მართალი იყო,
თვალი მოვკარი აქ ჩემსა დებსა.
იქ სიშორიდან ჩემს სანახავად
რც მოიყვანდა აქ იმეებსა.
ეგ არის იმათ ველარა ვნახავ,
ვით ყმაწვილობის დაკარგულს ბედსა.

ა ლ ი ნ ა (გამოდის გროვიდან)

ჟანეტა, ჟანა!

ლ უ ი ზ ა (მიირბენს მასთან)

შენ გენაცვალე, დაო, მე შენა!

იოანა

ოჰ, ღმერთო ჩემო, თქვენაც აქა ხართ?
მაშ რაცა ვნახე, არ მზმანებია?

სიყრმის გრძნობები გულში იღვიძებს,
ასე სხვა არა გამხარებია.
ამდენის ხალხის მღელვარე ჯგუფში
მეც მყვანან, ვისაც ჩავიკრავ გულში.

ა ლ ი ნ ა

გვიცნო კიდევ. იგივე არის,
ის გულკეთილი ჩვენი უანეტა.

ი ო ა ნ ა

ოჰ, საყვარელნო! ამ სიშორიდან
რამ მოგიყვანავ ჩემ სანახავად?
სჩანს მაპატივეთ, აღარ მემდურით, —
რომ წამოვედი თქვენს უკითხავად.
მაშ არ იფიქრეთ რომ მოგეკვეთეთ,
რაკი მოვიქეც ასე გულზავად?!

ლ უ ი ზ ა

ღვთის ნება იყო, ჩვენ რა გვეთქმოდა.

ა ლ ი ნ ა

შენზე მრავალი, ძნელად სარწმუნო,
დაო, სოფელში ხმები გვესმოდა.
ამ ხმების შემდეგ უფრო დავწუხდით
ისე, რომ ყველას თავბრუ გვესხმოდა.
დანატრებულნი გამოვიქეციით,
შენი დიდება თვალთ გვენახა,
განა მარტო ჩვენ? შენს საყვარელ დებს,
ჩვენის სოფლიდან კიდევ სხვებსაცა.

ი ო ა ნ ა

მამაჩემიცა იქნებ აქ არი?
აქ არის მამა? რატომ არ ჩნდება?
აღარა მშვილობს, რად მემალება?..

ა ლ ი ნ ა

არ, არის აქა.



იოანა

ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ნუთუ შვილისა,
ვინც სისხლ-ხორცითა იმას ემგვანა,
არ უნდა იმას თვალით დანახვა?
კურთხევა მაინც გამოეგზავნა!

ლუიზა

როდი გაიგო ჩვენი წამოსვლა.

იოანა

არ იცოდნაო? რატომ? რისათვის?
რისგან გაძნელდა მისთვის ეს ცოდნა.
სტყუით. სად არის მამა?
მითხარით, ჩემი რად გინდათ ცოდვა?

ალინა

მას შემდეგ რაც შენ შინიდან წაბველ...

ლუიზა (ანიშნებს გაჩუმდეს)

ალინა!

ალინა

დაღვრემილია, დაფიქრებული.

იოანა

დაფიქრებული?

ლუიზა

ნუ შესწუხდები, ჩვენ რა გასწავლოთ?
შენ უკეთესად იცნობ მამასა:
ასე რამ ვნახე, ისე ვნახეო,
მისდევს, ყურს უგდებს დიდად სიზმრებსა.
მაგრამ, როს ვეტყვით შენს კარგად ყოფნას,
გულს დაიმშვიდებს ისიცა ცოტას.

ა ლ ი ნ ა

ტყუილს ვეტყვით თუ? მეტილა ბედი?
ეჭნება ვისმე, როგორც შენ, ჟანა?
მეფის სწორადა შენც იხსენები,
ჩუენში ვინ არის ღღეს შენისთანა?

ი ო ა ნ ა

ბედნიერი ვარ მინამ თქვენ გხედავთ
და ვიდრე თქვენი ტკბილი ხმა მესმის.
თვალწინ მიდგება მთები, სახლ-კარი
ჩვენი, ფიქრები მრავალი მეძრვის
და მოგონება სიყრმის ცხოვრების
ჩემს წყლულიანს გულს ვარდებად ესხმის.
მე ბედნიერი მხოლოდ იქ ვიყავ,
მის მსგავსსა ბედსა ველარა ვნახავ.

(თავს ლუიზას გულ-მკერდზე დაადებს. არმანი, ეტიენი და ბერტ-
რანდი გამოჩნდებიან შორს და ვერ ჰხედავენ ახლოს მისვლას).

ა ლ ი ნ ა

არმან, ეტიენ, მოდიტ ახლოსა,
რასა გრცხვენინათ, რის გეშინიათ?
ის თავმდაბალი ჟანეტა არი,
როგორიც იყო, როგორც გიცვნიათ, —
ვიდრე წინადა, ჩვენ ყველანიცა
ეწლა უფროცა მეტად ვუყვარვართ...

(მიუახლოვდებიან და ჰსურთ ხელი დაუჭირონ. იონა თვალ-გაშტერებით უცქე-
რის და საგონებელში ჩავარდება. მერე განცვიფრებული ამბობს)

ი ო ა ნ ა

ოჰ, ღმერთო ჩემო, ნეტავ სადა ვარ?
ღღეს მეგობრები ჩემთან არიან
და რაც ამბები გამოვიარე,
სიზმარში ვიყავ, ისე მგონია.
თითქოს დომ-რემში დიდის მუხის ქვეშ
ლოცვით დაღლილსა დამიძინია,
თქვენ იქ მოჰსულხართ ჩემს საძებხელად
და მეც ემ წუთში გამიღვიძნია.



მეფესთან ყოფნა. ბრძოლა, სისხლის ღვრა —
ყველა ეგენი სიზმრად მიგრძენია.
და რაც გავიცან ქვეყნად კაცები,
ერთიც მათგანი მე არ მიცენია.
მაშ მე ვინა და რეისში ყოფნა,
ან თქვენ რა გინდათ, აქ რა გიზარისთ.
რომ არ წავსულვარ არსად დომ-რემით,
სხვას ნურას მეტყვით, ასე მითხარით.

ლ უ ი ზ ა

ლიდს საქმეს, რაც ჰქმენ, დაო ჟანეტა,
და ჩვენს აქ ყოფნას ნუ სთვლი სიზმრადა.
მოფიქრდი, ირგვლივ მიმოიხედე,
ეგეთი იყავ განა წინადა?
ინახე მკერდზე ბრწყინვალე რკინა
და დაპრწმუნდები მაშინ პირადა.
(რსინჯავს მკერდს და თავზე მუზარადს შეაკრთუნებს)

ბ ე რ ტ რ ა ნ დ ი

ეგ მუზარადი ხომ მე გიძღვენი.

ა რ მ ა ნ ი

რაც შენ საქმე ჰქმენ ცხადად, აშკარად
სხვა ვერც კი ჰნახავს იმას სიზმრადა.
გაოცებს თვისი ნამოქმედარი
და ლანდადა სთვლი ყველას იმადა.

ი ო ა ნ ა

მოდი წავიდეთ, თქვენთან მწადიან
წასვლა სოფელში, ნახვა მამისა.

ლ უ ი ზ ა

შენ გენაცვალე, წავიდეთ მაშა.

ი ო ა ნ ა

მე თვითონ მიკვირს რად მადიდებენ,
რა მოვიქმედე საქმე ისეთი?

მინდა ის ვიყო, რაც თქვენთან ვიყავ,
სალოცავი ხომ არა ვარ ღმერთი?
თქვენ მე მიცნობდით ჯერ ისევ ყრმასა,
ისეცა მხედავთ ვით თავის დასა.

ა ლ ი ნ ა

უნდა დასტოვო, დაო, დიდება?

ი ო ა ნ ა

სწორედ ის მინდა, ჩემო კარგებო,
რომ გავიხადო ეს ტანსაცმელი,
ჩვენ ერთად ყოფნის, ჩემის შვებისა
სწორედ ეს იყო მოსისხლე მტერი.
ძვირფასს სამოსელს მე მირჩევნია
მწყემსისა კაბა ბევრად ძველი.
დიდკაცთ სინაზეს, მათ ჩირთი-ფურთებს —
სადა ცხოვრება და შავი ხელი.
ნეტავი ისევ მწყემსად მამყოფა
და ვიყო თქვენი მორჩილი მონა,
რომ დიდებითა შეძლვნილი ცოდვა
ღვთისა ვედრებით მე მომენანა.
(საყვირები)

გამოსვლა მეათე

მეფე გამოდის ტაძრიდან პორფირ წამოსხმული, თავზე გვირგვინი ადგა-
აგნესა, მღვდელმთავარი, ჰერცოგი ბურგუნდიისა, დიუ-
ნუა, ლიაგირი, დიუშატელი, რაინდნი, კარისკაცნი,
ხალხი

მ ე ფ ე

ჩემო ერთგულო, ერო, მიხარის,
მადლობელიც ვარ თქვენი დიდადა,
რომ ერთგულებას და სიყვარულსა
არ დამიზოგეთ, ჰხარჯავთ უხვადა.
ღირსი გამხადა ღმერთმა გვირგვინის,
თქვენის ღვაწლის და ხმლისა წყალობით,
არა სძლებს გული, ღვთის მადლთან ერთად,
რომ არ მოგმართოთ თქვენაც მადლობით.

ჯერ ჩემს გვირგვინსა თავდადებულთა
სისხლი ფრანგების ზედავე სცხია.
მწვიღობიანის ყოფნის დანერგვით
ზედ აყვავდება ვარდი და ია.
დიდადა ვმადლობთ ტახტის დაძვებულთა
და ორგულთათვის გვითქვამს შენუობა,
როგორაც ღმერთმა ჩვენ შეგვიწყალა, —
ჩვენც მზად ვართ მუდამ გიყვით წყალობა.

ხ ა ლ ხ ი

იდიდოს მეფემ! გაუმარჯოს მეფეს!

მ ე ფ ე

ღღემდე მეფენი საფრანგეთისა
გვირგვინდებოდენ იღუმალ ღვთისგან,
ჩვენ კი გვირგვინი ციდან მოძღვნილი
დავიდგით თავზე ამ ქალისაგან (უთითებს იოანაზე).
ხალხო, უწყიდეთ არ დაივიწყოთ,
რომ მოგვივლინა ეს მხსნელად ცამა.
ამან შემუსრა ქვეყნისა მტერი,
მეტობა მოგვცა ჩვენ ამის ცდამა.
სამშობლოს მხსნელად უნდა მიიღოს,
აი, ეს ქალი, ერისა ხმამა.
საშვილიშვილოდ, საუკუნოდა,
რომ მხსნელად გვყავდა ამისი ხელი,
მოსაგონებლად და სადიდებლად
უნდა ამ ალაგს დაუდგათ ძეგლი.

ხ ა ლ ხ ი

სამშობლოს მხსნელსა ქალს გაუმარჯოს!..
(საყვირები)

მ ე ფ ე (იოანას)

თუ როგორაც ჩვენ მომაკვდავი ხარ,
ჩვენთვის უფლისგან ძალით მოსილი,
სისხლით ჩვენა გრაცხთ ჩვენსა ტოლად
სხვას რა ბედსა მთხოვ, ამას მოველი?!
რასაც კი ითხოვ, მე ეხლავ მზად ვარ,
რომ აგისრულო თხოვნა ყოველი.

თუ ცის შვილი ხარ, ესეც ზვაუწყე
და გაგვინათლე ჩვენაც გონება.
მაშინ შენ წინა ჩვენ დავემხოებით,
მთელი ქვეყანა დაგემონება.
(საერთო მღუმარებაა. ყველანი უცქერიან იოანას)

იოანა (უცებ დაიძახებს)

ოჰ, ღმერთო, ღმერთო! აგერა მამა!..

გამოსვლა მეთერთმეტე

ტიბო გამოდის ხალხის გროვიდან და დადგება იოანას პირდაპირ.

მრავალი ხმა

ქალის მამაა!

ტიბო

მე უბედური მამა ქალისა
ჯავრისა გამო აქ ვარ მოსული,
რომ აგიხილოთ თვალი ყველასა
და განვიკითხო თვისი ასული.

ჭერცოგი

რას მოასწავებს მისი სიტყვები?

დიუშატელი

რალაც საქმეა აქ უჩინარი.

ტიბო (მეფეს)

შენა გგონია ღვთის ძლიერებამ
მოგცა, მეფეო, გვირგვინი, ტახტი.
სულ ტყუილია, ხალხო, დაჰბრმავდი,
აქ მუშაობდა ეშმაკის ლახტი.
(ყველანი შეძრწუნებული უკან იხევენ)

დიუნუა

სისულელეს ჰროშავ!

ტ ი ბ ო

მეკი არა და, თუ მათქმევეინებთ,
სულელი თქვენ ხართ, მართლა ყველანი.
ნუთუ უფალმა ამ გვარს ჭია-მლილს
მიანდოს თვისნი ძლიერებანი?..
ჰნახავთ, სთქვას, აბა მამის წინაშე, —
„გოგო, გაფიცებ სამების ძალსა...
წმინდანთ ეკუთნი? ღმერთი გშველოდა?
რად ატყუილებ ამოდენს ხალხსა?
სთქვი, რას მღუმარებ, რისთვის არიდებ
თვის მშობელს მამას ყურსა და თვალსა?!“

(საერთო სიჩუმეა. ყველა თვალს იოანას მიაპყრობს. იოანა უძრავად სდგას)

ა გ ნ ე ს ა

არაფერს ამბობს!

ტ ი ბ ო

ვერაფერს იტყვის. რადგან ღვთის წინა
თრთის ჯოჯოხეთი და მისი ძალა.
წმინდანიო, ცით მოვლენილი,
ამბობთ. სიმართლე სად დაიშალა?
რატომ არ მკითხავთ, როგორც მშობელსა
მე უკედ ვიცი სიდან რაც მოხდა:
უწმინდურ ხის ქვეშ ბევრჯელ ვიპოვნე,
ეშმაკებისთვის ბადესა ჰქსოვდა.
ის ხე ჩვენშია, ძველისძველადვე
კუდიანების ხედ არს ცნობილი,
თუ არ ავსულად, სხვად რად ჩავთვალოთ
მის მოტრფიალე, მისი დობილი?!
საწუთიერო დიდებისათვის,
ამ უბედურმა გაყიდა სული.
თვისი მშობელი მამა წაწყმიდა
ისე, ვით არის თვით წაწყმედილი.

ჰ ე რ ც ო გ ი

საშინელს ამბობს!.. თუმც მის სიტყვებსა.
როგორც მშობლისას, უნდა ვერწმუნოთ.

რად დასწამებდა მამა თვის შვილსა, —
საქმე არ იყოს, მაგნაირს ცილსა?!

დიუნუა

თვით სულელია შვილის დამღუბველს,
ვინც ყურს დაუგდებს მაგგვარსა სულელს.

აგნესა (იოანას)

შენცა სთქვი რამე, პასუხი მიეც,
ერთი სიტყვა სთქვი, ჰმდუმარებ რასა?
რომ აიშორო თავიდან ცილი,
ჩვენა ვჯერივართ ერთს სიტყვის თქმასა.
სთქვი, რომ არა გაქვს დანაშაული.
მიკვირს, ჰსჩუმდები, არ იღებ ხმასა?

(იოანა გაჩუმებულია. აგნესაც შეშინებული ჰშორდება მას)

ლიაგირი

მოულოდნელად ქალს თავზარსა სცემთ
და ბორკილს ადებთ თქვენ იმის ენას.
ასეთს ცილზედა თვით ანგელოზიც
ვერ გაჰბედავდა ხმის ამოღებას.
გონი მოიეც, მიმოიხედე,
უცოდველობა გაბედულია,
როგორაც მუხი ისე შეჰმუსრავს
რაც ჭორი არის, რაც ტყუილია.
აღაპყრე შენი უმანკო თვალი
და დაგვანახვე სახე ნათელი.
რომ დაისაჯოს ეჭვი და ჭორი,
სიმართლისა და კეთილის მსრველი.

(იოანა მდუმარებს. ლიაგირი შემკრთალი უკან-უკან იხევს. ხალხში მოძრაობა
გაათკეცდება)

დიუნუა

რას შეკრთით, ხალხნო, სარდალ-რაინდნო,
რაც ქალზე გესმათ, მტკნარი ჭორია.
კეთილშობილურს სიტყვას ერწმუნეთ —
ნუ გჯერათ ცილი მოსალორია.

ვინც ქალს შესწამებს კუდივნობასა,
მე იგი ხმალში გამითხოვნია.
(ძლიერი ჰეჟა ისმის ცისა. ყველანი თრთიან)

ტ ი ბ ო

მისი სახელით, ვისი ხმაც ციდან
ნიშნად წყრომისა ქუხილად გვესმის,
მაშ ცილსა გწამებ, გულს ჰუჭყი არ გაქვს,
უცოდვო ვარო, საჯაროდ გეთქმის?!

(შეორედ უფრო ძლიერად დაიჭეჭებს ცა. ხალხი აქეთ-იქით გარბის შეშინებული)

ჰ ე რ ც ო გ ი

ღმერთო, დაგვიხსენ განსაცდელისგან,
რა საზარელსა ნიშნებსა ვხედავთ?

დიუშატელი (მეფეს)

წავიდეთ, ძეფევ!

მ ღ ვ დ ე ლ მ თ ა ვ ა რ ი

თუ გწამს უფალი, გაგვაგებინე,
რა გაიძულებს, არაფერს ამბობ, —
ისა, რომ მართლა ეშმაკისგან ხარ,
თუ უცოდველი თავს მართლადა ჰგრძნობ?..
გესმას მგრგვინავი ხმა ციდან ღეთისა?
დაიჭი ჯვარი, თუ გწყალობს ისა.

(იოანა ისევ უძრავად სდგას. კიდევ ძლიერი ჰეჟა ისმის. მეფე, აგნესა, მღვდელ-
მთავარი, ჰერცოგი, ლიაგირი, დიუშატელი წავლენ)

გამოსვლა მეთორმეტე

დიუნუა, იოანა

დიუნუა

რაწამს შენს სახეს თვალი მოვკარი,
ჩემს საცოლედა მყის მოგინდომე,
ეხლაც ისევ იმ ფიქრზე ვდგევარ,
თუ შემიწყნარე, თუ შემივრდომე.

მე იოანას მეტად ვენდობი,
ვიდრე ნიშნებსა და ცის ქუხილსა.
შენს მღუმარებას მე პატივსა ვცემ,
ბრბო სით მისწვდეს შენს გულის წუხილსა?!
მე ცხადად მესმის: უმსგავსს ჭორებსა
შენ არა ჰხადი პასუხის ღირსად,
უმანკოება ცამდე ასული
თავის მართლებას არ იღებს კისრად.
მაგრამა მე კი უნდა გამიტყდე,
შენი სიწმინდე მწამსა და მჯერა.
თუნდ ნურას იტყვი, ხელი მომეცი —
რომ ჩვენს ერთობას შეჰმუსრავს ვერა.

(იგი ხელს აძლევს. იოანა ზურგს შეაქცევს შეშინებული. დიუნუა უცქერის განცვიფრებული და შეძრწუნებული)

გამოსვლა მეცამეტე

იოანა, დიუ შატელი, დიუნუა, შემდეგ რაიმონდი.

დიუ შატელი

მეფემა, ჟანა, შენ ნება დაგრო
საცა გენებოს იქ ცხოვრებისა,
რეიმსის კარი გაღებულა,
ნუ გეშინიან რამე ვნებისა.
მეფემ აღგიტქვა თვის მფარველობა,
არ მოგაკლდება მისი წყალობა.
თქვენთვისაც, გრაფო, ამ დროს აქ ყოფნა
სირცხვილია და არა შნოება.

(მიდის. დიუნუა რამდენიმე ხანს მღუმარებს. შემდეგ გადაჰხედავს იოანას და ნელის ნაბიჯით მიდის. იოანა მარტოკა რჩება. შემდეგ რაიმონდი. იგი დადგება შორიახლოს და მკმუნვარედ უცქერის იოანას. შემდეგ მიდის მასთან და ართმევს ხელს)

რაიმონდი

დრო გაქვს. ქუჩები დაცარიელდა,
წამოდი ჩემთან, მომეცი ხელი.
მე არ მაშინებს ყოფნა შენთანა,
ამიერიდან მე გყევარ მცველი.

(იოანა შეჰხედავს რაიმას სახეში, გრძნობაზე მოდის. შემდეგ აიხედავს ცისკენ. ართმევს ხელს და ორივენი ერთად მიდიან)



მოქმედა მხუთა

გამოსვლა პირველი

ხშირი ტყვა. შორს მოსჩანს მენახშირის ქოხი, ბნელა, საშინელი ჰეჰა-ჰუხილია.
თოფების ხმა ისმის. მენახშირე და მისი ცოლი

მენახშირე

რა საშინელი ავღარი არი,
როგორა ჰქუხს და როგორა ელავს!
დაღამებულს დღეს უკიდებს ცეცხლსა
და როგორც ყანა, ტყეც ისე ლელავს.
ყური დაუგდე, რა ქარი არის,
როგორა ღმუის, როგორ უბერავს.
ომია ცაში, ამ ომის გამო,
ყველა სულდგმულნი შიშითა თრთიან.
ადამიანი მხოლოდ არ სცხრება
და ერთს მეორის სისხლი სწყურიან.
ჩვენს და მტრის ჯარსა მხოლოდ ეს ტყე ჰყოფს,
მალე პირისპირ შეიყრებიან.
ჰუხილთან ერთად, მე კარგად მესმის,
სადღაც ბრძოლაა, თოფებსა სცლიან.

ცოლი

საკვირველია, ღმერთო, თითქოსა
ჩვენ ვაჯობევით, მტერი დამარცხდა.
ეხლა სით მოხდა, რა მოელანდა,
რომ თავზე გვესხმის, რად გამამაცდა?!

მენახშირე

მას შემდეგ რაკი აშკარადა სცნეს,
რეიმსში ქალის კუდიანობა,
ეშმაკის ძალა აღარა გვწყალობს
და მტერს მოეცა გულიანობა.
აღარ ვაშინებთ. ალაღებს მასა
ჩვენის ბედისა ცუდიანობა.

ცოლი

აბა გაჰხედე, ვიღაცა მოდის.



გამოსვლა მეორე

ი გ ი ნ ი ვ ე, ი ო ა ნ ა, რ ა ი მ ო ნ დ ი

რ ა ი მ ო ნ დ ი

ეს ქოხი არის მენახშირისა,
კრდეც გვისტუმრებს პატრონი მისა.
აქ მოისვენე შენ, იოანა,
ნატანჯ-ნავალი ხარ სამი დღისა.
ბალახ-ბულახი გქონდა საზრდოდა
ამ გაუვალის უღრანის ტყისა.
(ვექა-ქუხილი წყნარდება, მოიღარებს)
ზოდი, წამოდი, გადმოდგი ფეხი
და ნუ გეშინის აქ ნურათრისა.

მ ე ნ ა ხ შ ი რ ე

მობრძანდით, გზაში დაიღლებოდით,
სტუმარი არის მუდამაც ღვთისა.
რაც გვაბადია, მითი დაგხვდებით,
ჩვენ არ გვრცხვენიან სიღარიბისა.

ც ო ლ ი

ქალი ვინა და ჯაჭვ-მუზარადი?
მაგრამ ისეთი დაღვა დროება,
კაბისა ნაცვლად ქალს სამოსელი
მამაკაცისა უფრო უხდება.
ამბობენ თურმე, რომ დედოფალმა
ჩვენმა მხცოვანმა ისხა აბჯარი,
თვით დაუძღვება და საომრად
ინგლისელების დაუდის ჯარი.
წელად არ იყო, მეფის გულისთვის
როგორ იბრძოდა გლეხისა ქალი?..

მ ე ნ ა ხ შ ი რ ე

გაჩუმდი. გასწი, წყალი მოუტა
დაღლილსა სტუმარს დააღეინე.
(იგი მიდის ქოხში)



რ ა ი მ ო ნ დ ი

გულს ნუ გაიტეხ. ხომ ჰხედავ კარგად,
რო ყველა ხალხი სწორი არ არი,
რომ იპოვება უღრანს ტყეშიაც,
კაცი მოძძისთვის კვლავ თანამკვლარი.
გამხიარულდი, ნუ სწუხარ, ქალო,
გამოიღარა, ცამ მოიხდინდა.
როგორ უხდება მზეს ჩასვენება,
თვისი სხივები სრულ შეიკრიბა!

მ ე ნ ა ხ შ ი რ ე

თქვენ, რა თქმა უნდა, მისაშველებლად
ჩვენის ჯარისა მიედინებით.
ტყეში ინგლისელთ რაზმები დაძრძის,
არ დაგატყვეოთ, ძლიერ გაფრთხილდით.

რ ა ი მ ო ნ დ ი

ვერ არის კარგი! სით გავედწიოთ?

მ ე ნ ა ხ შ ი რ ე

აქ მოითმინეთ, საცაა მალე
შვილი მომივა ქალაქიდანა.
ის გაგატარებსთ ისეთი გზებით,
რომ დაგიფაროსთ მტრის ხელიდანა.
ჩვენ აქ ყოველი ბილიკი ვიცით,
ის თქვენ მიგიყვანსთ ფრანგთ ბანაკში.
იმედოც გქონდესთ, რომ არ მოგივათ
არავითარი ვნება თქვენ გზაში.

რ ა ი მ ო ნ დ ი (იოანას)

ეგ საჭურველი სულ გაიხადო,
ჩემის ფიქრითა ისა სჯობია.
მაგითი მტერი შენ უფრო ვიცნობს,
არაფერს გიშველს, ასე მგონია.

მ ე ნ ა ხ შ ი რ ე

რად არის ქალი დაღონებული?..
ცოტა მოიცათ, ვილაცა მოდის.



გამოსვლა მესამე

მენახშირის ცოლი გამოდის ქოხიდან წყლიანი ჭიქით ხელში. იგინივე და
მენახშირის შვილი

ცოლი

ჩვენი ბიჭია. რეიმსიდანა იგი დაბრუნდა.
წყალი ინებე. (აძლევს ჭიქით წყალს იოანას)

მენახშირე

ახალს რას იტყვი? რა ამბებია?

შვილი

(დაინახავს რა რომ დედამისი აწვდის ჭიქით წყალს იოანას და რა იცნობს მას,
მიჰვარდება და ართმევს ხელიდან ჭიქას)

რას სჩადი, დედავ, ვის ასმევ წყალსა,
ნუთუ არ იცი ჯადოქარია?..

მენახშირე და მისი ცოლი

ღმერთო, დაგვიხსენ განსაცდელისგან!

(პირჯვარს იწერენ და ორივენი გარბიან)

გამოსვლა მეოთხე

რაიმონდი, იოანა

იოანა

ხომ ჰხედავ კარგად, წყევლა უფლისა
საცა კი წავალ, კვალდაკვალ მდევნის,
არ მეკარება არავინ ახლოს,
მიმირბის შორსა და ყველა მწყევლის.
სჯობს, მეგობარო, შენც თავს უშველო.
რომ განმეშორო, დამტოვო ჩემთვის.

რაიმონდი

როგორ? დაგტოვო მე შენ მარტოკა?
ეჭლა? ამ ჟამად? ამ უღრანს ტყეში?

მაგას ვერ ვიზამ, უმალ მოვკვდები,
მე ვერ გაგწირავ შენ თავის დღეში.

იოანა

მარტოობითა ნუ შემიბრალებ,
არა ვარ მარტო, მყავს წინამძღვარი.
ბედს დავყევივარ ჩემ მიზნისაკე,
ხომ გაიგონე ჭექა მედგარი,
თუნდ არ ვეძიო, მიმალრწეინებს
იმ მიზანს, ჩემი წერა რაც არი.

რაიმონდი

ამ ტყეს შენ მაინც ნუ მიენდობი,
ინგლისელების ბუნაგად ქმნილსა,
რომ შენი ჯავრი ამოიყარონ,
არ იძინებენ დღედაღამ ძილსა.
ფრანგებმაც შენზე ხელი აიღეს,
ყველა ზურგს გაქცევს, გარიდებს პირსა.
მაშ სადღა წახვალ, რა გეშველება,
რის იმედი გაქვს, მითხარი, რისა?!

იოანა

რაც არ მიწერავ, ის არც მომივა.

რაიმონდი

რა შეგინახავს ამ უღრანს ტყეში
მშიერ მწყურვალსა, მხეცთა შორისა?
ვინ დაგიფარავს განსაცდელისგან,
თუ არა ძალა თანამყოლისა?
ბოროტ კაცთაგან არ გეფიქრება,
სიღარიბის ან ავადობისა?!

იოანა

არაფრის არა. ყველა ბალახს ვცნობ,
სხვა რა ვისწავლე მწყემსობაშია?
რა მავნე არი, რა სასარგებლო,
ვსცანი, ვუცქერდი ცხვრის ძოვნაშია.

ვარსკვლავებისა მსვლელობაც ვიცი,
მდინარეების ფიქრებიც მესმის.
საკმაო საზრდის მომცემს ბუნება,
ტყეს ესეც საკმავ ფოთოლი ესხმის.

რ ა ი მ ო ნ დ ი

ეგ მართალია... და სჯობდა ბევრით,
მოგენანია თვისი ცოდვები,
შეპრიგებიყავ მეუფეს ჩვენსა,
ღმერთი გეწამა, ვიდრე მოჰკვდები.

ი ო ა ნ ა

მაშ, მეგობარო, შენც მე მამტყუვნებ?

რ ა ი მ ო ნ დ ი

ძალა უნებრივ, შენმა სიჩუმემ...

ი ო ა ნ ა

როგორ? ნუთუ შენც ეგ დაიჯერე?...
ჩემმა ერთგულმა სხვათ შორის კაცმა?
როს მთელმა ერმა ზურგი მაქცია
და შემაჩვენა ქვეყნისა ხმამა,
შენ მიერთგულე ჯადოქარს ქალსა
და ჰფიქრობ ღმერთი გამიყიდია?
ვაი, რა ფრიად მოსტყუებულხარ.

(რაიმონდი მღუმარებს)

ჩემი ნაღველი როგორ დიდია!

რ ა ი მ ო ნ დ ი

მაშ, იოანა, სწორედ მითხარი, —
ჯადოქრობაში არა გაქვს წილი?

ი ო ა ნ ა

მე ჯადოქარი?

რ ა ი მ ო ნ დ ი

მაშ სასწაული რაც მოახდინე,
ღვთის შემწეობით ყველა ის მოხდა?

ი ო ა ნ ა

მაშ რის ძალითა?

რ ა ი მ ო ნ დ ი

რისთვის გასჩუმდი, ენაც ვერ დასძარ,
როს გამტყუვნებდა მამა მშობელი?!
რომ ამ საშინელს ცილსა გწამებდა,
მას ყურს უგდებდა ქვეყანა მთელი.
მეფის წინაშე დასჩუმ-დაჰმუნჯდი,
ერთის სიტყვისაც ვერ იყავ მთქმელი?..

ი ო ა ნ ა

ჩემს ბედისწერას დავემორჩილე,
რადგან უფალსა, ვსცან ასე ჰსურდა.
ჩემს მბრძანებელსა ვეურჩებოდი,
ვის მორჩილებაც მწყურის და მწყურდა?!.

რ ა ი მ ო ნ დ ი

მაინცდამაინც რა იქნებოდა
მამისთვის ერთი რამ სიტყვა გეთქვა?

ი ო ა ნ ა

რაც მამაჩემმა ცილი დამწამა,
ჩვენის გამჩენის ღვთისაგან იყო.
თვით მამაჩემსაც გამოცდის ღმერთი.

რ ა ი მ ო ნ დ ი

ხმაც რომ მოისმა ციდან უფლისა,
ცილის წამებას დაუკრა კვერი?..

ი ო ა ნ ა

და კიდევ მიტომ არაფერი ვსთქვი,
რადგან თვითონ ცა ლაპარაკობდა.



რ ა ი მ ო ნ დ ი

რადა. რად ჩასდევ ქვეყნის ცოდვაში,
რად მოუწამლე ერსა რწმუნება,
რისთვის ინდომე თვისთა ერთგულთა
გულის მომკვლელი ნეტავ ცდუნება?
თავს იმართლებდი ერთის სიტყვის თქმით,
შეუმწიკვლელი თუ გაქვს ბუნება.

ი ო ა ნ ა

გამოცდა იყო, არა ცდუნება...

რ ა ი მ ო ნ დ ი

მე ის მაოცებს, ცილისწამებას
ქედ მოდრეკილი შენ რომ ისმენდი.
შენ მაგიერად გული ამენტო,
თუმც ვერა ვსთქვი რა, ფრიად ვბრაზობდი.
და მიხარიან რომ ახლა ამბობ,
რასაც მე მაშინ თითონაც ვგრძნობდი.
მოთმენა მიკვირს იმ საძაგლობის,
როცა თავისთავს მართლად სცნობდი?

ი ო ა ნ ა

ღვთისგან მოვლენილს თავს რომ ვუწოდებ,—
მიტომ რომ ბრმად მწამს მე მისი ძალა.
თუმცა დავეცი და გავღარიბდი,
ბედმა ღამედა დღე შემიცვალა.
ვიდრე იქ ვიყავ, აქ უკედა ვარ
და უკეთესად ვიქნები ხვალა.
მხოლოდ იქ ვიყავ მე უბედური,
სადც ბედნიერად ყველანი მთვლიდნენ.
ყველასა ჰშურდა ჩემი იღბალი,
ჩემს სადღეგრძელოს ყანწებსა სცლიდნენ.
ამ გვარის ქცევით, პატივისცემით,
ადამიანნი ნაღველსა მგვრიდნენ.
რა განვეშორე სულთამხუთავს წრეს
და ბუნებისა კალთაზე მოვხვდი,
თავისუფლად ვარ, ღონე მომეცა,
იქ კი უძლურად თავს რადლაც ვგრძნობდი.

ის ხმა მედგარი ციდან რომ იყო,
მიწასთან ერთად მეწამლა მეცა.
მოხდეს რაც ჩემს თავს მოსახდომია,
არ ამომხდება გულიდან კვნესა.

რ ა ი მ ო ნ დ ი

დავბრუნდეთ შაშა. სთქვი ყველაფერი,
ღარწმუნდეს ხალხი, რომ მართალი ხარ.

ი ო ა ნ ა

ვინც დაუბრმავა ბრბოსა თვალები,
თვით იგივე მას თვალებს აუხელს.
ბედი განაჩენს თვისას უტყუვრად
მხოლოდ ბოლო დროს ყველას გაუმხელს.
და ვინაც მდევნის, ბოლოს დროს იგი
სინანულისას ცრემლსა დააფრქვევს.

რ ა ი მ ო ნ დ ი

მაშ მოთმინებით უნდა უცადო, ვიდრე შემთხვევა...

ი ო ა ნ ა (დაუჭერს მას ხელს)

შენ, მეგობარო, უნდა უწყიდე,
სიმართლე მზეს ჰგავ ციდან მბრწყინავსა,
სალამო ხანზე ჩაესვენება,
რომ ამობრწყინდეს ისევ დილასა.
შენ ბუნდოვანად მსოფლიოსა ჰსჭვრეტ,
უკვდავი რაც არს, ვერ ჰხედავ მასა.
უგანგებოდა ერთი ბეწვიც კი
არ მოაკლდება თავზედა თმასა.
სიმართლეც ერთხელ ამობრწყინდება
და ამოიღებს მქუზარედ ხმასა.


გამოსვლა მეხუთე

დ ე დ ო ფ ა ლ ი ი ზ ა ბ ე ლ ა მხედრებითურთ და ი გ ი ნ ი ვ ე

დ ე დ ო ფ ა ლ ი (ჯერ ისევ სცენის გარედ)

ეს გზა ინგლისელთ ბანაკში მიდის.

რ ა ი მ ო ნ დ ი



ღმერთო! მტერია! დავილუბენით!

(მხედარნი შემოდინ სცენაზე და დაინახვენ რა იოანას, შე-
შინებულნი უკან იხევენ)

დ ე დ ო ფ ა ლ ი

რამ შეგაშინათ? საით გაჰრბიხართ?
(დაინახავს რა იოანას, ძალაუნებურად შეკრთება)
ეს რასა ვხედავ?
(მოვა რა გონზე, საჩქაროდ მივა მასთან)
შედევ! ამ წუთას დაგვემორჩილე.
შენ ტყვე ხარ ჩვენი!..

ი ო ა ნ ა

თქვენი ნება ვარ.
(რაიმონდი შეშინებული მირბის)

დ ე დ ო ფ ა ლ ი

შებოჭეთ ჩქარა!

(მხედარნი მოწიწებით მიდიან იოანასთან, იგი გაუშვერს ხე-
ლებს და ისენიც ჰბოჭვენ ჯაჭვით).

აი ის ქალი, ვის დანახვაზე
თქვენ, როგორც თხები ისე გაჰრბოდით.
ეხლა მას ძალა გამოჰლევია
და აღარც ძალუძს დაგვიხვდეს ომით.
საკვირველება იმათთვის იყო,
ვისც სასწაული ბრმასავითა სწამს.
წინაშე ნამდვილ ვაჟკაცობისა
ხომ ჰხედავთ, ქედსა როგორ იდრეკავს?
(იოანას)

რისთვის დასტოვე თვისი მხედრობა,
ან გრაფი სად არს, გრაფ დიუნუა,
ვისიც არ გაკლდა შენ მფარველობა?

ი ო ა ნ ა

მე განმაძევეს.



დ ე ღ ო ფ ა ლ ი

გამოგაძევებს, გამოგაძევებს!
შენ ჩემმა შვილმა გამოგაძევა?

ი ო ა ნ ა

მაგდენი კითხვა რა საჭიროა?
მე თქვენი ტყვე ვარ: ჰქმენ, რაც გენებოს.

დ ე ღ ო ფ ა ლ ი

ჰმ!.. განგაძევა! ღირსეულადა
გადაუხდია შენთვის ძადლობა.
მეფობა მიეცა. დააგვირგვინე,
რამდენი უყავ ჩემს შვილს წყალობა.
პატივისცემით რომ მოგპყრობოდა
და რომ გყოლოდა ის მადლიერი,
გასაკვირადა მხოლოდ მაშინა
მე დამრჩებოდა მის საქციელი.
ჩვენს ბანაკშია თქვენ წაიყვანეთ
და მთელს მხედრობას აჩვენეთ ქალი.
ყველამ იხილოს თავის თვალითა
საშინელება და მისი ძალი.
კუდიანია? ჰმ, უგუნურნი!
კუდიანი გვაქვს მხოლოდ ჩვენ ტვინი.
რწყილს მოგვაჩვენებს ბევრჯელ აქლემად
შეშინებულის გულის ღიტიანი...
ეს უბედური მეტად უჭკვოა,
მეფის გულისთვის გაწირა თავი,
კაცობას ჰხედავთ, მადლობის ნაცვლად,
ქალს განუმზადა მან გული შავი.
ფრანგთა შებოჭილს ბედნიერებას
ემ ქალთან ერთად ლიონელს მიჰგვრით.
ჩქარა მეც უკან დაგედევნებით,
აბა, ეცადეთ და მალე მიდით...

ი ო ა ნ ა

ლიონელთანა? სჯობს აქვე მომკლა.

დ ე ღ ო ფ ა ლ ი

ვასწით!

(მიდის დანარჩენი მხედრებითურთ)

გამოსვლა მეექვსე
იოანა, მხედარნი



იოანა (მხედართა)

ბრიტანელებო, სასიცოცხლო ვარ,
კარგად იფიქრეთ, განა თქვენგნითა?
რამდენი თქვენის თანამოძმისა
მე დედამიწა მოვრწყე სისხლითა.
რამდენს დაუხშე მზისა ნათელი,
აღარ ეღირსათ დაბრუნვა შინა.
საუკეთესო თქვენმა სარდლებმა
ჩემის ხმლისაგან აქ დაიძინა.
აიძვრეთ ხმლები, აქვე დამკუწეთ,
ვინარს, მტერს სისხლი არ აზღვეინა?!
სისხლით მოსვრილი ჩემი სხეული
დაუგდეთ სარდალს თქვენს ფერხთა წინა.
კაი დრო არის: ასე უძღური,
ნუ ჰფიქრობთ, მნახოთ ყოველთვისინა.

უფროსი

თქვენ რაც გიბრძანესთ, ის აასრულეთ!

იოანა

ღმერთო! ნუთუ მე უბედურება
უკიდურესი არ უნდა ამცდეს?!
ოჰ, ღვთისმშობელო, მიტოვებულსა
მე შენი კალთა აღარა მცავდეს?
არ მისმენს ღმერთი, საკვირველების
მოქმედსა ძალას დაუძინია.
ცა დაკეტილა, ჩემს მცველს ანგელოზს
დამწყვდეულს ჩემთვის არ უტირნია.
(მისდევს თან მხედრებს)

გამოსვლა მეშვიდე

ფრანგების ბანაკი. დიუნუა, მღვდელმთავარი,
დიუშატელი

მღვდელმთავარი

მეფე მიგველის. სულსა მშვიდობა
სჯობს დაუბრუნო დღეს, სეფეწულო,

უნდა დასტოვო ბრძოლისა ველი,
როს შენი თავი ჩვენ გვიჭირს უფრო?

დიუნუა

რა არს მიზეზი დამარცხებული
რომ ხელახლად თავს გვესხმის მტერი?
სრულად შევმუსროთ მისი მხედრობა,
ზურგზე ვადინეთ ბოლი და მტვერი.
პასუხს მე გაგცემთ: იგია მხოლოდ,
რომ უმადური ჩვენა ვართ ერი.
მხსნელი განდევნეთ... თავს თვით უშველეთ,
მე კი მძულს დიდად აწ იგი ჯარი,
ვისაც არ უძღვის თეთრის დროშითა,
ხმალამოწვდილი დევნილი ქალი.

დიუშატელი

მაგ პასუხითა ნუ გაგვისტუმრებ,
გთხოვ, სეფეწულო, კარგად იფიქრო.

დიუნუა

სჯობს, დიუშატელ, კრინტი არ დასძრა,
მე შენა გხედავ პირველ ჩემს მტერად,
მიტომ რომ ქალის უმანკობას
შენ გადაჰხედე პირველმა ცერად.

მღვდელმთავარი

ვით შევირჩენდით მისადმი რწმენას,
ქალის მამის მსჯავრს როს ცაც ჰმოწმობდა.
თავზარი დაგვცა ამ სანახავმა,
ქალის სიმტყუვნეს ყველაცა ჰგრძნობდა.
ამ საშინელმა სანახაობამ
დააკარგვინა ხალხსა გონება
და ქალს რა ვხედავთ ისევ მშვენიერს,
დღეს მწუხარება გულს გვეფონება.
მეფე, ჰერცოგი ბურგუნდიისა,
ყველანი ერთად, თვით ლიაგირიც
თავებს იხოცენ სინანულითა,
რად მოვსტყუვდითო — ყველა მას ტირის.

დიუნუა

მატყუარაა?.. ოჰ, ღმერთო ჩემო,
ნეტავი ჩემებრ ყველა მას სცნობდეს.
ჟანას სახითა გვეჩვენებოდა,
ცით გვეწეოდა სიმართლე ოდეს.
და თუ არს სადმე ქვეყნად სიწმინდე,
უმანკოება და ერთგულება,
იმათი ბინა ქალის ბაგეზე
და მის თვალებში მე მეგულება.

მღვდელმთავარი

ჩვენს სუსტს გონებას არ შეუძლიან
ამ საიდუმლოს სწორედ გაგება.
სიმართლეს ვერ ვცნობთ, თუ ჩვენს თვალთ ხედვას
არ დაეხმარა ციდან განგება.
რაც უნდა იყოს მაინცდამაინც
დანაშაულში ფეხი გვიდგია,
ან ჯოჯოხეთთან გვქონდა კავშირი,
ან ქალი ღვთისგან მოვლენილია.
ჩვენ გავაძევეთ და უფალი გვსჯის,
მართლის სამართლის მქნელი იგია.

გამოსვლა მერვე

პაუი, წინანდელნი, შემდეგ რაიმონდი

პაუი

გრაფო, ყმაწვილი ვილაც მწყემსია
და თქვენი ნახვა გულით სწადია,
ორი სიტყვა აქვს თქვენთვის სათქმელი
ქალის ამბავი მოუტანია.

დიუნუა

ქალის ამბავი!.. ჩქარა მოვიდეს
(მიეგებება წინ რაიმონდს)

რაიმონდი

მადლობა ღმერთსა, რომ თქვენთან ერთად
ჩვენს სულიერსა მამასა ვხედავ,



ქვიცი-ობლის პატრონს, დევნილთა მფარველს.
სიმართლეს, ვიცი, რომ შენ განსჯებ.

დიუნუა

სადაა იონა?

მღვდელმთავარი

გვითხარი, შვილო.

რაიმონდი

დამერწმუნენით და დაიჯერეთ,
რომ კუდიანად ქალს ტყუილად სთვლით.
ყველა წმინდანნი და თვით ღმერთია
მოწამე მისა, რომ ცოდვა ჰქმენით,
ღვთის მოვლენილი უმანკოება
შეურაცხევით და განაგდევით.

დიუნუა

ძალიან კარგი. სადაა იგი?

რაიმონდი

გზა მე ვასწავლე, არდენის ტყეში
განუშორებლად სულ გვერდით ვახლდი.
ვიქმნა გვემული და სულით წავწყმდე,
თუ ვით ანგელოზს ქალს არა ვხადი.
გამოტეხითა ყველაფერი სთქვა,
მრწამს, მის სიმართლე დღეზეა ცხადი.

დიუნუა

დღისა სინათლე იმის სიმართლეს
ვერ შეედრება,
სად არის ეხლა შენ ეს მითხარი?

რაიმონდი

თუ მოიბრუნებთ იმაზე გულსა,
ჩქარა ეცადეთ, ინგლისელთ ტყვეა.



დიუნუა

ტყვედ წაიყვანეს?

მღვდელმთავარი

ოჰ, საცოდავი!

რაიმონდი

არტენის ტყეზე რომ მივდიოდით,
წინ შეგვეჩეხა თვით დედოფალი.
შეაბოჭინა თავის მხლებლებსა
და გაატანა ის შებოჭილი
თვისსა ბანაკში. აჩქარდით, გვმართებს,
რომ ჩვენც დავიხსნათ ის ჩვენი მხსნელი.

დიუნუა

რისათვის მინდა თავი ცოცხალი,
მტერს დავანებო წმინდათა წმიდა,
მთელს მხედრობასა, მთელს საფრანგეთსა
ფეხზე დადგომა ამისთვის გვინდა.
ჩვენი ნამუსი გირაოდ იყოს, —
ლაფი მოეცხოს მეფის გვირგვინსა.
ვინც ტყვეობიდან ერი დაიხსნა,
იტანჯებოდეს, ტყვედ იყოს ისა?
თუ შევარჩინო მტერს ესე ჯავრი,
ნულარა ვნახო სინათლე მზისა.
მთელის ფრანგების სისხლი ცოტაა,
რომ დავიზღვიოთ ჩვენ ჯავრი მტრისა.

გამოსვლა მეცხრე

კოშკი. თავზე სანათური აქვს.

ოთანა, ლიონელი, ფასტოლფი, შემდეგ

დედოფალი

ფასტოლფი (შემოდის)

ჯარი მღელვარებს გაცოფებული,
„ქალი მოგვეცი!“ გაიძახიან.

ხალხთან ძალითა ჩვენ რას გავხდებით,
იმას იზამენ, რაცა სწადიათ!
მოკალი ბარემ, მისი სხეული
ჯარს გადაუგდე, თუ უნდა სინჯონ,
უამისოდა ვერ დავამშვიდებთ,
არ დაწყნარდება ლაშქარი თითონ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი (შემოდის)

კოშკის კედლებზე კიბეებს სდგამენ,
ძალით სწადიანთ კოშკი აიღონ.
არ დაგვეყრება არც ჩვენ ხეირი,
მიეცი ქალი, რაც უნდა უყონ.

ლ ი ო ნ ე ლ ი

მაგათ ჯაჯღანი მე არ მაშინებს
და არც ჩემს კოშკსა მაგათ ყვირილი.
ამ თავხედობას ქედს ვერ მოვუდრეკ,
მე მირჩევნია ბევრად სიკვდილი.
კოშკის ნანგრევთა მიჯობს დამმარხონ.
შენც, იოანა, არა სირცხვილი —
მითხარი სწორედ. ჩემი გაჰხდები,
იქნებ სხვისა გაქვს ვისმე სურვილი?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ბრიტანელს რაინდს უნდა სცხვენოდეს!

ლ ი ო ნ ე ლ ი

იმ უმაღურსა შენსა სამშობლოს
ნურათრისათვის ნუ ეფერები.
შენის ღვაწლის და ამაგისათვის
თითონ შენებივ გაგიხდნენ მტრები.
მათ განგაძევეს, მტერს ხელში მიგცეს
და არა ჰგრძნობენ ამას სირცხვილად.
ნუთუ სხვა ერიც არ ადგებოდა
და არ ჩასთვლიდა ამას სიკვდილად?!..
შენის გულისთვის, აქ მე ვარ ერთი,
ვინაც შევებრძვი თავისას, სხვებსა.

შენ მე არ მომკალ, ასე ვფიქრობდი,
ქალო, ჰზოგავდი ჩემს სიცოცხლესა,
როცა ორთავე მტრები ვიყავით.
მარტო მე გყევარ მფარველი დღესა.

იოანა

რაც მტრები მყვანან იმათ შორისა
შენ მეჯავრები ყველაზე მეტად,
ჩემი იმედი ტყუილადა გაქვს,
ტყუილადა მთელი შენ თავის ბედად.
და თუ გიყვარვარ, სიყვარულისთვის,
თქვენიც სარგოა, მოდი ჰქმენ ესა:
უბრძანე შენს ჯარს წავიდეს აქით,
მოშალოს ჩვენზე მახვილის ლესა.
მოგვცემ ქალაქთა გასაღებებსა
და დაგვიბრუნებ ტყვეებსაც ჩვენსა.
გვიზღე ზარალი და დანახარჯი
და ერთგულების მოგვეცი ფიცი.
მეფის მაგივრად მე მოგცემ ზავსა.
არავის ვკითხავ, მე თავად ვიცი.

დედოფალი

ერთი უყურეთ ამ სულელს, გიქსა,
მონობაშიაც კანონებს გვიწერს.

იოანა

დროით განსაჯე, ასე გირჩევნის,
რა სათქმელია ფრანგების ძლევა.
ვიდრე თქვენ მაგას მოესწრებოდეთ,
მთელი ინგლისი აქ დაილევა.
ეგ კი არა და სწორე ის არის,
რომ საფრანგეთი თქვენს კუბოდ გახდეს,
საუკეთესო გმირები გასწყდა
და იმედია სხვებიც აქ გასწყდეს,
თქვენის სახელის ნაშთიც თქვენთანვე
ჩემს სამშობლოში საფლავში ჩაწვეს.



გამოსვლა მეათე

(ერთი ჯარის უფროსთაგანი აფორთქლებული შემოდის).

ჯ ა რ ი ს უ ფ რ ო ს ი

სარდალო, ჩქარა ჯარი გააწყვე,
ფრანგები უკვე მოდიან ჩვენზე,
მათ ბაირაღებს ბრიალი გააქვს,
და იარაღიც ბრჭყვიალებს ველზე.

ი ო ა ნ ა

მოდიან მაშა! ინგლისელებო,
დღეს გამოჩნდება თქვენი ბიჭობა,
დრომ მოაღწია, თვალითა ვნახავთ,
გამარჯვებული დღეს ვინ დარჩება.

ფ ა ს ტ ო ლ ფ ი

უტვინოვ! ნეტავ შენ რა გალაღებს,
ჰფიქრობ წახვიდე აქით ცოცხალი?!

ი ო ა ნ ა

ჩემი ხალხი სძლევს. მე კარგად ვიცი.
რა მენადვლება, თუნდა მომკალი.


ლ ი ო ნ ე ლ ი

მეჯავრებიან. ყველა ბრძოლაში
ვიდრე ეს ქალი არ დაეხმარა,
ჩვენა ვჯაბნიდით მაგ უბედურთა
და ერთი წუთიც არ გაეხარათ.
მაგრამ თვის მხსნელიც კი გააძევეს,
წავიდეთ, ძმაო, ჩვენი ჯერია,
რაც დღე კრეკსა და პუატიესა,
იგივე დღე ჩვენ მათ დავაყენოთ.
თქვენ, დედოფალო, ტყვე ქალთან დარჩით
და ვინძლო თავი არ დაანებოთ.

ფ ა ს ტ ო ლ ფ ი

თავს რომ ვანებებთ, არ გამოდგება.

იოანა



თუ მხედარი ხარ, როგორ არ გრცხვენის,
რომ შებორკილი ქალი გაშინებს.

ლიონელი (იოანას)

მომეცი სიტყვა,
რომ არ ინდომებ განთავისუფლდე.

იოანა

რომ დავიბრუნო თავისუფლება,
გულის წადილი ჩემი იგია.

დედოფალი

სამპირი ჯაჭვით სჯობს რომ შეჰბოჭოთ,
მაშინ ველარსად ვერ გაიქცევა.
(იოანას ისე შეჰბოჭავენ ჯაჭვებით, რომ ხელ-ფეხი და
ტანი აღარ უჩანს ჯაჭვებში).

ლიონელი (იოანას)

შენც ხომ გეწადა ყოფნა ჩვენთანა,
მოდო მოგვემხრე და დროშა ჩვენი
აღიბყარ ხელში, ხელებს გაგიხსნით,
რომ შენმა მტრებმა სცნან ძალა შენი.

ფასტოლფი

წავიდეთ, წავიდეთ!

იოანა

ტყუილად ენას რისთვისა ჰლაღავ,
აგერ მოდიან... დაუხვდი წადი.
(საყვირების ხმა ისმის. ლიონელი მიდის)

ფასტოლფი

მე რა გასწავლოთ, თქვენ კარგად უწყით,
დედოფალო, თუ რაგვარ მოიქცეთ.

შემთხვევა არის, ბედი რას იტყვის,
ვინიცობაა ვერ...

დ ე დ ო ფ ა ლ ი (ამოიღებს ხანჯალს)

თქვენ ნუ სწუხდებით,
აღარ დავაცლი იმხიარულოს.

ფ ა ს ტ ო ლ ფ ი (იოანას)

ეხლა შენ იცი, ღმერთს როგორ შესთხოვ,
რომ შენი ერი ღმერთმა დალოცოს. (მიდის)

გამოსვლა მეთერთმეტე

იოანა, დედოფალი, მხედარნი

იოანა

უნდა ვილოცო, ან კი ვის ძალსუძს,
რომ ენაზედაც კლიტე დამადოს?
ჩვენის ჯარისა ხმა საყვირისა
გულში ყრუოლას მგვრის როგორ საამოს!
ღმერთო, დაამხე ბრიტანელები
და ჩვენს საფრანგეთს აწ გაუმარჯოს!
წინ გაიწიეთ, თქვენ გენაცვალეთ,
წინ, უშიშარნო! ვაჰმე, ბედკრულსა.
ახლოსა; გყევართ და ვერა გშველით,
ჩემის დროშითა ვერ გიგზნებთ გულსა.
ხელ-ფეხით მტერმა თუმცა შემბოჭა,
ვერა' დააკლო მან ჩემსა სულსა,
იგი თქვენ დაგდევსთ განუშორებლად,
თქვენს ბრძოლის მღერას, თქვენს ყრიამულსა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ადი კოშკზედა. იქიდანა სჩანს
კარგად, გარჩევით ბრძოლისა ველი.
და რაცა ჰნახო, რაც იქ მოხდება
დაწვრილებითა მითხარ ყოველი.

იოანა

მედგრად, ფრანგებო! თავს შემოგვევლეთ,
ვინძლო არ შერცხვეთ, არ შემარცხვინოთ.
ერთხელ ძლევაა კიდევ საჭირო,
მტერი სამუდამოდ რომ გავაძევოთ.

დედოფალი

კერაფერს ჰხედავ?

მხედარი

უკვე შეიყარნენ. ვილაც შავს ცხენსა
წინ მოაქროლებს გაშმაგებული...
ჟანდარმებისა რაზმი თან მოსდევს,
ვეფხვის ტყავით არს ტანდაფარული.

იოანა

დიუნუაა! ყოჩად, ვაჟკაცო,
ნუ შეიბრალებ, დაჰკარი მტერსა!
საცა შენა ხარ, იქ ვერასოდეს
მტერი ვერ ჰნახავს გამარჯვებასა.

მხედარი

ჰერცოგი უკვე მიუხდა ხადსა.

დედოფალი

ოჰ, ეგ თავმკვდარი, ეგ მოღალატე!

მხედარი

ფასტოლფი იმას წინ გადელობა,
ცხენებიდანა ორივ ჩამოხტნენ,
იბრძვიან ჩვენნიც, ბურგუნდელებში,
როგორც თხა-ცხვრები, შიგ აირივნენ.

დედოფალი

კარლი ვერ იცან და ან სამეფო
ნუთუ ნიშნები არაფერი სჩანს?



მ ხ ე დ ა რ ი

მტვერმა დაფარა ბრძოლისა ველი,
აღარაფერი არ გაირჩევა...

ი ო ა ნ ა

მაგის მაგივრად, ნეტავ, მე ვიყ
კოშკზე, ყველაფერს დავინახავდი.
მე მხედველობა არ მომატყუებს,
არწივსა ყვავად არ დავსახავდი.

მ ხ ე დ ა რ ი

თხრილში საშინელს სურათსა ვხედავ,
ყველა სარდალნი იქ შეკრებილან.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მაშ ჩვენი დროშა?

მ ხ ე დ ა რ ი

ისევ ფრიალებს.

ი ო ა ნ ა

ნეტავ შემეძლოს ამ კედლიდანა
ბრძოლას ვუცქირო, ვნახო რა ხდება.
ჩემთა თვალთ ხედვა ბრძოლისა ბედსა
ჩვენს სასარგებლოდ, ვგრძნობ, გადასწყვეტდა.

მ ხ ე დ ა რ ი

გაიქცნენ! მირბიან! გამარჯვებაა!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ვინ მირბიან, ვინა?

მ ხ ე დ ა რ ი

თვით ფრანგები და ბურგუნდელები,
თავიანთ მკვდრებით ველი დაფარეს.

იოანა

ოჰ, ღმერთო, ნუთუ არ გებრალები?

მხედარი

ვილაც დაჭრილი დაბლა დაეცა,
გუნდადა ხალხი გარს შემოერთყა.
სჩანს სარდალია.

დედოფალი

ფრანგი თუ ჩვენი?

მხედარი

მუზარადს ჰხდიან; დიუნუაა.

იოანა

(აღელვებული იწიკება, უნდა ჯაჰვი გაწყვიტოს).
იმას იქ უჭირს, მე აქ ვმცონარებ!

მხედარი

აგერ სხვა მორბის მდიდრად ჩაცმული
შემოქარგულის ტანსაცმელითა,
თეთრი ფრთა უჩანს მას მუზარადში,
შეიჭრა აგერ იგი ჩვენს ჯარში.

იოანა (აღტაცებით)

მეფეა, მეფე, ხელმწიფე!

მხედარი

ცხენი დაუფთხა და ჩამოაგდო,
უზანგში ფეხი მას გაეჭედა,
მაგრამ არ იშლის, იბრძვის მაინცა,
მას ხელი უღევს ისევ ხმალზედა,
აგერ, ჩვენები მისკენ მირბიან...
მივიდნენ კიდევც, ადგან თავზედა.

მაშ ანგელოსნი გამწყდარან ცაში!..

დ ე დ ო ფ ა ლ ი (გამკიცხველი სიცილით)

დრო გაქვს... უშველე, მფარველო, მეფეს!

იოანა (დაემხობა მუხლებზე)

ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ტანჯულთ მფარველო,
ზეცას გიგზავნი ჩემს ტანჯულ სულსა
ცრემლით გაბასრულს, დიდად მორწმუნე,
შენ ეწამლები გაგმირულს გულსა.
ძალგიძს, უფალო, თუ კი ინებებ,
რომ აბლაბუდა გარდაჰქმნა რკინად
და ეს ჯაჭვებიც, ჩემი მბოჭველი
გარდააქციო დასადნობ ცვილად.
თუ მოისურვებ, ჯაჭვი დადნება,
დაიფუშება ციხის კედლები.
შენის ბრძანებით სამსონმა ბრმამა
გადაამტვრია ტაძრის ბოძები,
დაფუშა სუსტმა დიდი ტაძარი
და მტერს თავს დასცა მისი ლოდები.

მ ხ ე დ ა რ ი

იძლივნენ!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მეფე შეიპყრეს.

იოანა (წამოხტება)

სულ ტყუილია! ჩვენთან არს ღმერთი!
(ორივე ხელით სტაცა ჯაჭვებს ხელი და გაწყვიტა. მისწვდე-
ბა ერთს ახლო მდგომარე მხედარს, წაართმევს ხმალს და
გაიქცევა. ყველანი თავზარდაცემულნი უნძრევლად დგანან).

გამოსვლა მეთორმეტე

წინანდელნი, იოანას გარდა.



დ ე დ ო ფ ა ლ ი (დიდიხნის ღუმლის შემდეგ)

ეს რაღა ვნახე? არ მეჯერება,
სიზმარში ვარო ისე მგონია.
სულიერისა ასეთი ღონე
არავისაგან გამიგონია.

მ ხ ე დ ა რ ი (კოშკიდან)

ფრთები შეუსხამ... ქარივით მიჰქრის.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

სადაა იგი?

მ ხ ე დ ა რ ი

შუა ჯარშია, ვით შავარდენი,
იგი შეიჭრა, ხმალამოწვდილი.
განა ერთ ადგილს, აქა და იქა,
ათასგან ელავს მისი მახვილი.
აგერ წყეულმა — რა ჰქმნა? ოჰ, ღმერთო,
შუა გახია ჩვენი ლაშქარი.
მიდრკენ ჩვენები, გროვად გარბიან
და გადაყარა ყველამ აბჯარი.
ჩვენი დროშებიც დაბლა დაემხო.
ფრანგთა ჩაიდვეს გული მაგარი.
მისდევენ, ჰკაფვენ, შეუბრალებლად,
ხელში ჩაიგდეს ყველა სანგარი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ნუთუ ძლეულთა ეხლა ჩვენ გვძლიონ
მის მეოხებით?

მ ხ ე დ ა რ ი

ხმლით გაიკათა გზა მეფისაკე
და გამოჰგლიჯა ხელიდან ჩვენებს.

წინ მიეგება იმას ფასტოლფი,
ხმლით დაბლა დასცა, ვერ ხმარობს ხელებს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მოიცა, დადევ,
ნურათერს იტყვი, ჩამოდი, კარგი!

მ ხ ე დ ა რ ი

გაიქცეთ, გიჯობსთ!
თავსა უშველეთ! მოდიან კოშკის ასაღებადა!
(ჩამოდის დაბლა)

დ ე დ ო ფ ა ლ ი (ამოიღებს ხმალს)

დადევით, ხმლითა დაუხვდეთ მტერსა.

გამოსვლა მეცამეტე

ლი ა გ ი რ ი შემორბის ჯარისკაცებით. დედოფლის მხლე
ბელნი იარაღს იყრიან.

ლი ა გ ი რ ი (ზრდილობიანად მიდის დედოფალთან)

— დამორჩილების გარდა გზა არ გაქვს.
თქვენნი რაინდნი ტყვედ შევიპყარით.
ამაო არის ცდა ყოველივე
და ამაოდა სისხლს ნულარ დავღვრით.
საით მიბრძანებთ, რომ წაგიყვანოთ,
სად გირჩევნიათ? მე გამომყევით.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

სულ ერთი არის, მხოლოდ ამას გთხოვ,
რომ მეფე თვალით არ დავინახო.

(აძლევს ხმალს და მისდევს ლიაგირს).

ბრძოლის ველი. სცენის უკან ჯარისკაცი გაშლილი ბაი
რალეებით მოსჩანან. წინ მეფე და ჰერცოგი ბურგუნდიის
ხელზე ჰყავთ გადასვენებული იოანა სასიკვდილოდ დაჭრილ.
უძრავად. ისინი ნელა-ნელა მოდიან წინ).

ა გ ნ ე ს ა (შემორბის)

შენ ცოცხალი ხარ, განთავისუფლდი?
ისევ ჩემი ხარ!

მ ე ფ ე

თავისუფლება ჩემი იყიდა
თავის სიცოცხლით აი, ამანა.
მოდი, უცქირე!

ა გ ნ ე ს ა

იოანა! ოჰ, ღმერთო ჩემო! კვდება საწყალი.

ჰ ე რ ც ო გ ი

მოკვდა კიდევაც. მშვიდად, უწყინრად,
აწ გაგვიფრინდა ჩვენ ანგელოზი,
ვით ყრმასა სძინავს და მის სახეზე
ჰკრთის ედემისა სამფლობელოსა
სიმშვენიერე. აღარა ჰსუნთქავს,
თუმც სჩანს ნიშანი ჯერ სიცოცხლისა?

მ ე ფ ე

აღარ გვყავს ქალი. არ გაიღვიძებს,
მან სამუდამოდ თვალნი დახუჭა...
ჩვენსა ცრემლებსა და სინანულსა —
ცად ანგელოსმა გზა გაუფუჭა.

ა გ ნ ე ს ა

ცოცხალი არის. თვალებს ახილებს.



ჰერცოგი

მკვდარიც არ გვტოვებ, სამარიდანაც
მოესწრაფები ჩვენდა საშველად.
სიკვდილსაც როდი ემორჩილება,
სდგება, რალაცა უნდა სათქმელად.

იოანა (იცქირება გარეშემო)

ნეტავ, სადა ვარ?

ჰერცოგი

თვისსა ხალხში ხარ, თავისებთანა.

მეფე

აქ ვართ ყველანი ძმა-მეგობარნი,
აქავე არის თვით შენი მეფეც.

იოანა

(დიდხანს უცქერის უძრავის თვალებით)

ვაჰმე!.. მოსტყუვდით, ნუ დაიჯერებთ,
არა, არა ვარ მე კუდიანი.

მეფე

ანგელოზი ხარ, წმინდა, უმწიკვლო,
ჩვენა ვართ მხოლოდ გონებით ბრმანი.

იოანა

(იცქირება გარეშემო და საამურად იღიმება)

მადლობა უფალს, ჩემს ხალხში ვკვდები,
აღარა გძულვართ, აღარა მწყევლით.
ისევ ვუყვარვარ, ჩემს თანამოდმეთ,
ბედნიერი ვარ კვალად მე თქვენით.
ჩემს ხელმწიფესაც თავის გვერდს ვხედავ,
მიმზერენ სათნოდ მისი თვალები.
გულს იამება, რომ თავმომწონედ
ბრიალებს ჩვენი ბაირაღები.

რატომ არსად სჩანს ჩემი დროშაცა,
რატომ არ მოგაქვთ ჩემთანა ისა?
მეუფისაგან ნაბოძარია,
უმისოდ ვნახო მე სახე ღვთისა?
უფლის წინაშე აღარა მრცხვენის
წარვდგე, მივართვა კვლავ ჩემი დროშა.
მას ვუერთგულე, ვიდრე ჭრილობამ
არ დამცა. მკლავი არ მომიბოშა...

მ ე ფ ე (თვალს მოარიდებს)

მოიტათ დროშა!... აი, დაიჭი!

(იონა იღებს მას ხელში, ადგება ფეხზე, არავის არ უჭი-
რავს იგი. გაბრწყინებული ცაა).

ი ო ა ნ ა

უცქირეთ, აგერ ცა განხმულია,
გამოსახულა ზედ ცისარტყელა,
გაბრწყინებული მოსჩანს ძე ღვთისა,
ანგელოზთ გუნდიც იქ შეკრებილა,
თვით ღვთისმშობელი იმათ წინ უდგათ,
ლმობიერებით ჩემსკენ სწვდის ხელებს.
რა მემართება? ფრთები მესხმება,
ეს სამოსელიც აღარ მამძიმებს.
ჰა, შევუერთდი ცაში ღრუბელთა,
იმათთან ერთად მივფრინავ, მივჭრი.
შორს! იქ, სადაცა ამ ქვეყნიური
არ გამოდგება არც ერთი ფიქრი
და ნეტარებას დაუსრულებელს
გვაძლევს წვალეა აქ წუთიერი.

(დროშა ჩაუვარდება ხელიდან და იგი მკვდარი დაეშვება
მაზე, ყველანი დანადვლიანებულები მდუმარებენ. მეფე ანი-
შნებს და ნელა დაჰხრიან მაზე ბაირალებს, ისე რომ ბაირა-
ლები მთლად დაჰფარავენ).

[1904 — 1905 წწ.]



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ԳՆԱԳՐԱԳԻՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԳՐԱՐԱՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԳՆԱԳՐԱԳԻՏՈՒԹՅԱՆ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԳՐԱՐԱՆ

ფეოდალის აღზრდა

(ერკმან-შატრიანისა)

I

როდესაც მოვიგონებ ჩემს პატარაობას, — ასე დაიწყო თავის ამბავი პოლკოვნიკმა ზიგფრიდმა, — მაშინათვე თვალწინ წარმომიდგება ჩემი სახე, როდესაც პატარა ბავშვი ვიყავ და ვცხოვრობდი პატივცემულის ბიძაჩემის ძველი ბარონის ოტო ფონ-მაინდორფის სახლში.

ბიძაჩემი იყო ხმელ-ხმელი, მაღალი და ჯანმრთელი კაცი, უღვაშ-გათეთრებული, ცხვირწაგძელებული და თვალჭრელი, სამოცი წლის მოხუცი. ბევრი ტანჯვა და წვალება გამოიარა ბიძაჩემმა და ბევრი სამსახური გასწია, მაგრამ კავალერიის კაპიტნის ჩინს ზევით ვერ აიწია. 1792-ს წლიდგან მოყოლებული 1817-მდე საფრანგეთში ისეთი ომი არ ყოფილა, რომელშიაც იმას მონაწილეობა არა ჰქონდეს მიღებული. პატივცემულს მოხუცს ძლიერ სწყინდა, რომ იმისი შრომა საკმაოდ დაჯილდოებული არ იყო. ის წამდაუწუმ გოგენცოლებს იგონებდა და ემდურებოდა ამ გვარის უსამართლო ქცევისათვის. სცხოვრობდა მარტოდმარტო თავისის ძველს ვიდლანდის ციხეში კურშგავის მახლობლად და ბალტიის ზღვის ტალღების თამაშობის ყურებით იქარვებდა თავის დარდებსა. მამაჩემი, რომელიც იმ მოხუცს გამგეობის ქვეშ ემსახურებოდა, მოჰკლეს ომში, დედაჩემიც ჯავრით მცირე ხანს შემდეგ გარდაიცვალა და მე დავრჩი ობლად. ომი რომ გათავდა, ბიძაჩემი სამსახურიდგან გამოვიდა და დასახლდა იმ თავის საყვარელს ადგილას. ის ადგილი იყო მიყრუებული და კაცის ფეხს ძვირად მოხვდებოდა. თუმცა მოსაწონი არ იყო, მაგრამ, რადგან ფონმაინდორფების წარსულის დიდების მოწამე იყო, ბიძაჩემს ძლიერ მოსწონდა.

ამ ძველს დანგრეულს ბუდეში, რომელსაც ბალტიის ზღვის ტალღები ეალერსებოდენ, ვსცხოვრობდით მყუდროთ მე და პაპაჩემი, პაპიჩემის ადრინდელი იასაული იაკობი და მისი ცოლი ქრისტინა, რომელნიც ჩვენ გვემსახურებოდენ. ჩვენ სრულიად ღარიბები ვიყავით,



რადგანაც პაპაჩემის ადგილ-მამულს უშველებელი ვალები ედგა; შემოსავალიც დიდისხნით აწერილი იყო. იმას ემართა ვალი გერმანიელისა და პოლშელის ურიებისა, რომელნიც იმას სიკვდილსავით ეჯავრებოდა, — მაგ გასაწყვეტლებს უხარიანთ, სარგებელი რომ უბევრდებათ, — იტყოდა ხოლმე პაპაჩემი, უნდათ, რომ მთელი სამკვიდრო ერთს დღეს სულ ხელში ჩაიგდონ. თურმე ჩემს გულკეთილს პაპას, როგორც ყველა მამაკაცს და მხნე სალდათს, ომის დროს მომავალზე უზრუნველს, თამაშობა უყვარდა და მაშინ წაგებულის გადახდა სულ ბოლოს მოგვიხდა.

ამაზედ რომ დაფიქრდებოდა პაპაჩემი, მრისხანებით ტუჩებს იკვნიტდა, მუშტებს იჩვენებოდა და სწყევლიდა მთელს ურიათა ჩამამავლობას აბრამიდგან დაწყობილი უკანასკნელს ფრანკფურტელ ფულის მხურდავებლამდე. მარტო მე ვიყავი იმის ნუგეში და მარტო ჩემი დანახვა მოჰგვრიდა იმის დაღვრემილს სახეს ღიმილს, როდესაც დავჰყავდი ხელით ვიდლანდის ციხის ზემო სართულის გალერეიაში. იქიდგან ის მაჩვენებდა აქაფებულის ზღვის ტალღებსა და მეუბნებოდა: უყურე, ზიგფრიდო, უყურე!.. ერთს დროს ის ადგილი და წყლის სივრცე ჩვენ გვეკუთვნოდა; თეთრის იალქნის ქვეშ იმ გემებს რომ ჰხედავ, — ისინი და აგერ კიდევ ის მეთევზეების ნავებიც ერთს დროს ჩვენ გვაძლევდენ ხარჯსა. ის ბადეები და ის ადგილები, სადაც თევზს ამარილებენ და აშრობენ, გვაძლევდენ ადგილის, მარილის და შეშის ფასსა; გლეხები — დიკასა, კანაფსა, ხორცსა, კვერცხებსა და მწვანისს; ჩვენ ყველაფერში წილი გვქონდა; ყველას ბატონი და პატრონი ვიყავით. ამ ტყეში ნადირობის ნება მარტო ჩვენა გვქონდა; მარტო ჩვენი ცხენები და ჩვენი მეძებრები დასდევდენ იქ მშვლებსა, მელებსა და მგლებსა; მარტო ჩვენ ვიყავით ამ ადგილის პატრონები; როგორც კეთილშობილის ფანდალების ჩამომავალნი. ხომ გესმის, შვილო, ზიგფრიდ? — მე ყველაფერი მესმოდა, და თანდათან ტვინში მიჯდებოდა ის ჰაზრი, რომ ყოველისფერი, რაც კი გარშემო მერტყა, იყო ჩემი საკუთრება; თანდათან მეღვიძებოდა სურვილი, მყოლოდა თევზები, ფრინველები; მქონოდა ნავები, ბადეები და სოფლები. მე პაპაჩემს ვუპასუხებდი ხოლმე:

— ყოველისფერი ზიგფრიდს ეკუთვნის! — ეს სიტყვები იმას ძლიერ იამებოდა.

— კარგი, კარგი, — მეტყოდა ხოლმე, — მელებმა წაგვართვეს ჩვენი საკუთრება, უნდა ყოველისფერი ისევ უკანვე დავიბრუნოთ: საჭიროა, რომ გლეხი მუშაობდეს, მეთევზე თევზს იჭერდეს და ვაჭარი ვაჭრობდეს კეთილშობილის მაინდორფების ჩამამავალობის სასარგებლოდა.

მკოცნიდა, მეხვეოდა და უხაროდა ჩემგან ჭკვიანურის სიტყვის გაგონება. დამადებინებდა მხარზედ ხელსა, მიმიკრავდა ლოყაზე და მეტყოდა: მომკიდე ულვაშზედ ხელი, ზიგფრიდო, მე შენ მომწონხარ, კაი ყმაწვილი ხარ.

ძველი ციხე ზოგიერთს ალაგას იქცევოდა. პაპაჩემმა თავის სამყოფად მაგარი კუთხე ამოირჩია და დანარჩენი ნაწილი ბუნების სტიქიონთ დაუთმო. ჩვენს სახლს უკან, ჩრდილოეთის მხრივ ერთი მაღალი შენობა იდგა, რომელიც ჩრდილოეთის ქარისაგანა გვფარავდა. მაღალი და ფართო ზალა, ხუთი კარგად შენახული ოთახი, ძველებური სამზარეულო, ბუხრით და განიერის ფარდებით, — აი, ეს გახლდათ ჩვენის ოჯახის მოწყობილება. დაბლა ეზოში, სადაც კიბით ჩავდიოდით, საჯინიბო იყო გამართული. უშველებელი ციხეები გვერტყნენ გარსა და მთელს შენობას რაღაცა მრისხანე სახეს აძლევდენ, შეუძლებელია იმის საზარელი სურათი კაცს გულში არ ჩარჩომოდა, მე ეხლაც თვალს წინ მიდგა: დიდი ზალა, შუაზე მუხის სტოლი. აქეთ-იქით კედლებში კარებები, პაპისეული იარაღი, სამზარეულო, გაჩაღებულის ცეცხლით და ბებერი ქრისტიანა თავის კბილებჩამტვრეულის დანით. ქრისტიანა იყო გაყვითლებული და დაღრეჯილი, როგორც ასის წლის ბოშა დედაკაცი, მოკლე კაბა, წინსაფარი, შემოჭერილი ქამარი და გძელი ჯიბეები რაღაცა საოცარის სახის დედაკაცად აჩენდენ მას. ის ბუნებითად ჭკვიანი და დარბაისელი დედაკაცი იყო, მაგრამ მეტად ბევრსა ყბედობდა, ზამთრის გძელს დამეებს სულ თეთრად გვათენებინებდა, გვიამბობდა ციხის ადრინდელს ამბებს, მოტანტალე ცეცხლებისა და თეთრის თხუნელების ზღაპრებს და ბოლოს ან ამის, ან იმის სიკვდილით გაათავებდა.

აი, ეხლაც კი ვხედავ ქრისტიანას გვერდით ფეხებმოგრეხილს იაკობს: თავზე ჩამოუფხატია ძველი ფორმის ქუდი, წაღებზე რკინის დეზები აკრავს და პირში სჩრია ჩიბუხი. ციხის უკანა ზღვის ტალღების ხმა მოდის. ასე ჰგონია კაცს, თავიანთ გულის საკლავის კვნესით ქრისტიანას გასაოცარს ზღაპრებს მოძახილს ეუბნებიანო. — ეჰ, ამბობს იაკობი ოხვრით, ეს სუყველაფერი მართალსა ჰგავს... მე დიდი ხანია დავცადე, რომ გულისთქმით შეიძლება კაცმა წინადლითვე შეიტყოს — რაც მეორე დღეს მოხდება: მე წინა დლითვე გული მეტყოდა, როდესაც ხალხის არეულობა უნდა მომხდარიყო და მეორე დღეს მართლაც ბევრნი იხოცებოდენ.

ქრისტიანას საუბრის კილოში მტკიცე რწმუნება იხატებოდა, ამისათვის, ის თავის ზღაპრებს დაიწყებდა თუ არა, პაპაჩემი მაშინათვე თვალით მანიშნებდა, თითქოს უნდოდა ეთქვა: არ დაიჯერო, ზიგფრიდო, ბებერი ტყუის!.. კატა მაგას თეთრ თხუნველად მოსჩვენებია.

მე ქრისტიანას ისტორიებს სიამოვნებით ყურს ვუგდებდი, მაგრამ ჩვენი ცხენები უფრო მართობდნენ. ჩვენა გვყვანდა სამი ცხენი. ეს იყო ჩვენი სიმდიდრე, პაპაჩემი წამდაუწუმ მე მსვამდა ხოლმე ცხენზედ და მეტყოდა: სწორედ დაჯექი, აი, აგრე, კარგი. ერთი დრო იქნება ხმალამოღებული ჯარის წინ იდგები და დაუკრავ მარშსა: ჰოპ!.. ჰოპ!.. ჰოპ!.. ბნელს ეზოში ცხენის ჰენება მე დიდს ბედნიერებად მიმაჩნდა.

დანარჩენი ნაწილი ციხისა ცარიელი იყო, კარებები დაკეტილი და ფანჯრების შუშები დამტვრეული: იქ მარტო ფრინველები ბუდობდნენ. იმათი სკინტლით კედლები სულ გათეთრებული იყო. თავმინებებულ ზალები ძლიერ დანაგვიანდნენ. ზამთარში, ქარი რომ დაუბერავდა, მთელს შენობას გრიალი გაჰქონდა და მოისმოდა რაღაც საზარელი ხმა.

რამდენჯერ გამღვიძებია შუალამის დროს ჩემს ოთახში და მიგდია ყური ძველის ციხის ურიცხვს ხვრელებში ქარის გრგვინისათვის, მომგონებია ქრისტიანას ზღაპრები, მომლანდებია მკვდრების ფეხის ხმა და შემშინებია, მაგრამ, ჩემს ბედად, ჩემს მახლობლად, საშუალს ოთახში, პაპაჩემს ეძინა ხოლმე, იმის სულის ქცევა მე გარკვევით მესმოდა და მაგულადებდა. მე ვფიქრობდი — თუ სულები მოვიდნენ, დავიყვირებ და პაპაჩემი თავის ხმლით მომეშველება. პაპაჩემის ხმალი და დამბაჩა სიგმირეს მინერგავდნენ გულში; როდესაც ისინი თანა მქონდა, მაშინ მე არაფრისა არ მეშინოდა.

ერთს საღამოს ერთი უცხო ამბავი მოხდა, რომელიც მე ჩემს დღეში არ დამავიწყდება. ეს იყო 1822 წელს, პირველ ზამთრის დადგომის დროს. მე მაშინ სწორედ ათის წლისა ვიყავი. იმ ღამეს მე და პაპამ ჩვეულებრივ ვივახშმეთ. ჩვენ შუა სტოლი იდგა და სტოლზედ — ლამპარი, იაკობი გვემსახურებოდა. ზღვა საშინლად ჰღელავდა და პირველი თოვლი გაცხარებული ფანჯარაში უშენდა. ის იყო ვახშამს ვათავებდით, ქარმა დაუბერა და უცებ კარები გაეღო. მე ძლიერ შევშინდი, გაფითრებული ფეხზედ წამოვვარდი და უცებ წამოვიძახე: აი, მაინდორფი — რკინისკბილა!

გაკვირვებულმა პაპაჩემმა სტოლიდგან აღებული სტაქანი ისევ ზედ დადგა, შეჰხედა მრისხანედ იაკობს და უთხრა:

— ეს რასა ჰნიშნავს? ამ ყმაწვილს ეს შიში საიდგან გაუჩნდა?

— ეგ სულ ქრისტიანას ბრალია, ის მაგას რაღაც-რაღაცეებს უამბობს, — წაიბუტბუტა სალდათმა და მიხურა საჩქაროზე კარები.

— კარგი, — დაიყვირა განრისხებულმა პაპაჩემმა, — ის გადაყრუებული ბებერი აქ რომ იყვეს, იმ კისერს მოუგრეხდი... დღეის იქით აღარ გაბედოს!..

პატარა ხანს უკან პაპაჩემი ისევ დამშვიდდა და მითხრა: გაგიგონებ, ზიგფრიდო, მაინდორფი ამ ექვსასის წლის წინად მოკვდა და, კარგად იცი, რომ მკვდრები აღარა ცოცხლდებიან, მერე ფანჯარაზე თითი მიმიშვირა და მითხრა: ის, რამაც შენ შეგაშინა, ქარია, სხვა არაფერი; უხორცო სულელები სრულებით არ არსებობენ. ისენი, ვინც მოჩვენებაზე ლაპარაკობენ, ვირები არიან; გესმის?

— მესმის, — ვუპასუხე მე.

— აბა, მაშ კარგი, — მითხრა კიდევ პაპამ, — აიღე ეგ ლამპარი, მე კარებს გაგიღებ, გაიარე მარტომ დიდს კარიდორში და ჩვენს პირდაპირ ძველს ციხეში შედი. მე ამ ფანჯარასთან მოგიცდი და შენის ლამპარის შუქზე თვალს დავიჭერ. ციხეში რომ შეხვალ, დაიძახე: — მაინდორფო — რკინისკბილა, მაინდორფო — რკინისკბილა, მოდი! ხომ გესმის რას გეუბნები? თუ ამას ვერ იზამ, სიმხთალე შეგემჩნევა და ჩვენის გვარიდგან გამოირიცხები, კეთილშობილის გვარის კაცმა შიში არ იცის!..

ხმა არ ამომიღია, მაშინათვე ავდექი და ხელში ლამპარი ავიღე. პაპაჩემმა ჩამოიღო კედლიდამ დიდი გასაღები და გამიღო ძველი გმირების ციხის კარები. ქარი უბერავდა, დაქცეულს შენობას გრიალი გაჰქონდა. ძლივს მე ფეხი ავაჩქარე, მინდოდა გავქცეულიყავი, მაგრამ პაპაჩემმა გამაჩერა, მითხრა: ნუ სჩქარობ, სიჩქარე სიმხდალის ნიშანია, ჩქარობენ მარტო მშიშარები და კიდევ იღუპებიან. გაფრთხილდი, ფეხი არას წამოჰკრა.

მე წაველი მარტო. თაღები ბრჭყვინავდენ, ზღვის ბალახით და ფრინველებისაგან შემოტანილის თევზის ძვლებით მოფენილი კედლები ხმას აღარ მაძლევდენ. მე მივდიოდი და თან თვალი სვეტებზე მეჭირა. გარშემო სამარის მსგავსი სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ დროგამოშვებით უეცრად გაღვიძებული ფრინველები ისწორებდენ ფრთებსა და ბნელს სივრცეში იმალებოდენ. ჩვენს წინ იყვნენ გადაფენილი სვეტები, ფანჯრები, მოაჯირები, ზღვის ტალღისაგან შემოტანილი ნაგავი, კედლების ნაშალი და სხვადასხვა დანაშთენები, რომელნიც ლპებოდენ და ავრცელებდენ შმორის სუნსა. იმ დროს ქრისტინას ზღაპრები სულ თვალსწინ გადამეშალა, გულში შიში შემეპარა, მაგრამ კიდევ თავი შევიმაგრე: დიდს ციხესთან რომ მიველი, ლამპარი მაღლა ავიღე, სული შევიხუთე და ხმამაღლა დავიძახე: მაინდორფო — რკინისკბილა, მაინდორფო — რკინისკბილა, მოდი!..

ქარისა და ზღვის ტალღების გარდა მე პასუხი არავინ გამცა. თითქო ყველაფერი მომკვდარიყო. ის სიტყვები კიდევ რამდენჯერმე

გავიმეორე და მერე წყნარის ნაბიჯით უკან დავბრუნდი, მინდოდა გავქცეულიყავი.

პატარა ხანს უკან მე უჭირველი და თავმოწონებული პაპიჩემის ოთახში ვიჯექი, მეგონა პაპაჩემი მაქებდა. მაგრამ ხმაც არ გაუცია, ალბათ წინათვე იცოდა, რომ ასე უნდა მომხდარიყო, ალბათ ჩემი თავის გამოდება იმას ჩვეულებრივ მოვლინებად ეჩვენებოდა.

— დაჯექი! ქარი ძლიერა ჰქრის განა?.. კარში ძლიერ ცივა?..

— დიახ, პაპავ.

— აილე და დალიე

დამისხა სტაქანზე ღვინო, რომელიც მე ერთ ყლაპად გადავკარი.

— შენ ეძახდი მაინდორფსა? — დამიწყო იმან მერე სიცილით გამოკითხვა.

— დიახ.

— არ მოვიდა განა?.. როდესაც ცოცხალი იყო კი ბევრი ხვეწნა არ უნდოდა, — შეატყობინებდენ თუ არა, ის იმავე წუთს თავის ჩაჩქნით და ცულობით იქ დაიბადებოდა ხოლმე, მაგრამ ეხლა მკვდარია და ყოველი ურია ბედავს იმის უპატიოდ გახდომას. აი, ზიგფრიდო, სიკვდილი რას ნიშნავს. ქვეყნის შექმნიდან რამდენიმე ათასი მილიონი ხალხი გარდაცვლილა და იმათგანი უკან ერთიც არ დაბრუნებულა. ეს ცხადად გვიმტკიცებს, რომ სიკვდილი ყველაფერის დასასრულია და მას შემდეგ აღარაფერია. ეს ჰაზრი თავში შეინახე. ეს ყველაფრის გასაღებია.

ეს რომ მითხრა პაპაჩემმა, კარიდორის კარები დახურა. ვახშაშს უკან ჩვეულებრივ ერთმანეთს გამოვეთხოვეთ და ჩვენ-ჩვენს ოთახში დასაძინებლად წავველით.

2

კითხვა და პირველი საფუძვლები ანგარიშისა პაპიჩემის ხელმძღვანელობის ქვეშ მე ადრევე დავისწავლე. მერე მე დავიწყე პრაქტიკული საგნების სწავლა. დილ-დილით, საუზმეს რომ გავათავებდით, მე და პაპაჩემი საჯინიბოში ჩავდიოდით. იქ ის მე ცხენზედ ჯდომის გაკვეთილებს მაძლევდა. პირველად იმან მე ცხენის გაწმენდა, შეკმაზა და აღვირის ჩადება მასწავლა. რადგანაც მე ჯერ კიდევ პატარა ვიყავი და სხვის შეუწევნელად არ შემეძლო ცხენის მოვლა, შეკმაზვა და აღვირის ჩადება, — პაპაჩემი მეხმარებოდა; მოსართავებს მოუჭერდა ხოლმე და თან თვითვეულის თასმის დანიშნულებას მიხსნიდა; მასწავლიდა ყოველი ჯიშის ცხენის განსაკუთრებულს თვისებებსა. მას უკან ჩვენ დავსეირნობდით ხან ზღვის პირზე და ხან ტყეში.

ზანდახან ჩვენ ვიღვანდამდენაც ჩავდიოდით, რომელიც წინათ ციხის
პატრონებს ეჭირათ. პატარა სოფელი ძრეელ მარდად იზრდებოდა
და ხდებოდა სავაჭრო ადგილად. იქ რამდენიმე მდიდარი ვაჭარი და-
სახლდა, მათ რიცხვში — შტრომდერფერი, მეტად მდიდარი გემების
პატრონი, რომელმაც სოფელში თევზის საშრობლად და დასამარი-
ლებლად ჩინებული შენობა ააგო. იმას ჰქონდა საკუთარი ბარქაზები
(პრტყელ ძირიანი გემი), უშველებელი სახლი, ყველა სახლებზედ
უკეთესი და საბოჩკე, ჰყავდა ურიცხვი მუშა. ზუთხის ჭერამ იმას
ბევრი სარგებლობა მოუტანა. ის იყო ტანად სქელი და მხიარულის
ხასიათის კაცი, ძარღვიანს ლოყებზე ჩამოეშვებოდა აბურღული ბა-
კები, ტანს იცვამდა უბრალოდ — არც მდიდრულად, არც ღარიბუ-
ლად. თავზე იხურავდა თივთიკის კალთაგანიერს შლიაპას, რომელ-
საც თვალებამდე ჩამოიფხატებდა ხოლმე. პოლკოვნიკს ფონ-მაინ-
დორფს ყოველთვის, როდესაც კი შეხვდებოდა, სალამს აძლევდა,
მაგრამ ისე დინჯად და აუჩქარებლად, როგორც ტოლი ტოლსა.

პაპაჩემს ის კაცი ძრეელ ეჯავრებოდა. ის რომ სალამს აძლევდა,
პაპაჩემი ძლივას თავს მოუხრიდა ხოლმე. პაპაჩემი ყველა აღებ-მი-
ცემის ხალხს ამნაირად ეპყრობოდა. ამასთან ერთს შემთხვევას არ
გაუშვებდა ისე, რომ ჩემთვის არ ეთქვა, თუკი იქ დავესწრობოდი:
გამიგონე, ზიგფრიდო, ფრანცუზების შემოსვლამდე, 1806 წელში,
ესენი ყველანი ჩვენი ყმები იყვნენ და ჩვენს მამულზე იდგნენ. ჩვენ
უფლება გვქონდა ამათთვის ხარჯი გვერთმევიანა და, თუ მოვიინდო-
მებდით, კიდევ გავყიდდით, ამათ ხმის ამოღებაც არ შეეძლოთ. მა-
შინ ეგენი იცვამდენ: ზაფხულში — სქელი ტილოს პერანგებსა და
ზამთარში — ცხვრის ტყავის კაზაკინებსა. თმაც ძონების ნიშნათ მა-
გათ წარბებამდე ჩამოშვებული ჰქონდათ. ესლა კი ყველანი მაუდში
და მოდის ტანისამოსებში იბრანჭებიან და ისე სწორედ იყურება,
თვალს თვალში გიყრის, თითქოს უნდა გითხრას: ეს მე გახლავარ.
ბატონი შტრომდერფერი, მდიდარი გემების პატრონი: მე თქვენ, ბა-
ტონო ბარონო, წინაპირველად სალამს იმისათვის გაძლევთ, რომ
თქვენ არ დამასწროთ: მე ვგონებ თქვენს წინ ზრდილობიანად. მოვი-
ქვც, მაგრამ სწორედ რომა ვსთქვა, მე შემეძლო თქვენთვის არ და-
ძეთმო, ამისათვის რომ ჩემი ქისა უფრო მაგრაა გატენილი, ვიდრე
თქვენი. ჩემს სახელს იცნობენ ჰამბურგის, ბრემენის, ლიუბეკის, ლი-
ვერპულისა და მენჩესტერის ბევრს კანტორებში; ჩემი ხელის მოწე-
რა ინგლისურს სავაჭრო ბაზარში ძვირათა ფასობს, მაგრამ სალამს
წინაპირველად მაინც კიდევ მე გაძლევ, ამისათვის, რომ ასეთია ჩვენი
ჩვეულება. ამას გარდა ამ ჩვეულების აღსრულებას მაიძულებს ჩემი
შვილებისა მომავალი, რომელთაც ვალი აქვთ ახალგაზდა აზნაურის



ხელქვეით იმსახურონ და იქნება ერთს დროს თქვენი შვილიც იმათი უფროსი გახდეს. ამისათვის საჭიროა სხვის თავისმოყვარეობას ვუაღწერსოთ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ჩვენ არაფრად გვიღირს.

ასე ამბობდა რა, პაპაჩემი, ერთს უგემურად გაიხარხარებდა და მეტყობდა: ნუ გეშინიან, ზიგფრიდო!.. შესაძლოა ეს ყველაფერი გამოიცვალოს... საჭიროა, რომ გამოიცვალოს... დიახ, ჩვენ ბევრი დავკარგეთ... ეს ჰოგენცოლერები ჩვენ ძვირათ გვიღირან! იმათ მხოლოდ რომ აღასრულონ თავიანთი აღთქმა, რომ დაგვიბრუნონ ასკეცად ის. რაც ჩვენ იმათ გაჭირების დღეს დავუთმეთ... დეე, უფრო ვრცელს საფუძვლებზედ აღადგინონ ჩვენი ავტორიტეტი... მაშინ დავივიწყებთ იმათ მოტყუებასა. საჭიროა კია მაინც, რომ წინაპირველად დიდი საქმე მოგვიხერხდეს... საჭიროა, რომ პრუსიის მმართველობამ მთელი ჰერმანია ხელში ჩაიგდოს. ეს პირველი ნაბიჯია... მას უკან ჩვენ დანარჩენზე ვიზრუნოთ.

მე ამ მაღალს პოლიტიკურს ჰაზრებს ყურადღებით ვისმენდი, თუმცა იმათი მნიშვნელობა კი არ მეყურებოდა. მაგრამ ბოლოს კი ბევრჯელ მოვიგონებდი და მიკვირდა პაპაჩემის მეტისმეტი გონების სიღრმე და გამჭრიახობა.

უკან რომ დავბრუნდებოდით, პირველს ანუ მეორე საათზე, იაკობი, ჩვეულებრივ, ცხენებს უნაგირს მოჰხდიდა. მერე მე და პაპაჩემი ავდიოდით ბიბლიოთეკაში, რომელიც იყო გამართული იმის სამუშაო კაბინეტში, დიდი ზალის გვერდზე და ხელახლად სხვა საქმეს შევუდგებოდით. ახლა დრო მოვიდა — უნდა გონების, ისტორიის, გეოგრაფიის და მათემატიკის სწავლას შევდგომოდი. კაროლის კადეტის სკოლაში, სადაც მე უნდა შევსულიყავ, სასტიკად სცდიდენ ყმაწვილების ცოდნას. პაპაჩემს უნდოდა, რომ მე იქ ისე გამომეჩინა თავი, როგორც თითონ გამოიჩინა ორმოცის წლის წინადენების ცოდნა სამხედრო სამსახურის კაცისთვის, ძრიელ საჭიროა, იტყობდა ხოლმე პაპაჩემი, განსაკუთრებით იმისთვის, ვინც მსუბუქს კავალერიას ემსახურება, სადაც მე მსურს ჩემი ძველი ამხანაგების მხედველობას ქვეშ შენ მიგაბარო: საჭიროა, რომ უცხო ენებზე ლაპარაკობდე, მაგრამ უნდა კი ეცადო, რომ ლაპარაკში ნემენცური კილო არ შეითვისო, ამისათვის რომ ომის დროს ბევრჯელ შეგემთხვევა ადგილობრივ მცხოვრებლებთან ლაპარაკი და გამოკითხვა გზისა, ბილიკებისა და მტრის ჯარების შესახებ. — საჭიროა მაშინ იმათ მეგობრად ეჩვენო და თუ ენა კარგად არ გეცოდინება და სიტყვების გამოთქმაში უცხო კაცობა შეგემჩნევა, — ვერაფერს გაჰხდები. ამასთანავე საჭიროა — მარდათა ჰკითხულობდე, ამისათვის რომ ვინიცო-

ბაა მტრისაგან დებეშა ანუ კორესპონდენცია მიიღე, რომელიც რომელიც
ნობის დროს ხშირად მოხდება ხოლმე, — უნდა საჩქაროზე გადაი-
კითხო და აცნობო უმთავრესს შტაბს იმათი შინაარსი. ზიგფრიდო,
ხომ გესმის, რას გეუბნები? მხოლოდ თავი და თავი ენა, რომელიც
ჩვენ პრუსიელებმა უნდა ვიცოდეთ, — ფრანცუზული ენაა. ეს არის
ენა ჩვენის ბუნებითი მტრებისა. ფრიდრიხ II მისს დღეში სხვა ენა-
ზე არ დასწერდა, ის გარს სულ ფრანცუზებს ირტყამდა და ის ჭკვა-
თხელებიცა ფიქრობდენ, ვითომც ფრიდრიხი ამას იმისათვის ჩადიო-
და, რომ გენიოსებად სახავდა მათ. თავის მეზობლების თვალების
ასახვევლად, მოსატყუებლად, ფრიდრიხი განგებ თავის თხზულებებში
მაკიაველის ჰაზრებს არღვევდა და ნამდვილად კი მთელს თავის სი-
ცოცხლეში იმათ მისდევდა და, ამნაირის უბრალო ღონისძიებით, თავის
გულმინდობილი მეზობლების ხარჯზე, უმატებდა, არგვალებდა
თავის სახელმწიფოსა და დაიგდო ბრძნისა და მაღალ ზნეობითი ხელ-
მწიფისა სახელი. მე ამას ყველას იმ ჰაზრით გიხსნი, შვილო, რომ
დაგანახვო — პოლიტიკის უმთავრესი ხასიათი მდგომარეობს მტრის
მოტყუებაში, რასაც ვერ მოახერხებ, თუ მისი ენა არ იცი.

ეს გონივრული წესები რომ ჩამაგონა, პაპაჩემმა მერე ქსენო-
ფონტის „I' Hipparchie ou le maitre de la covalerie“-ს¹ კითხვა
დამაწყებინა, რომელიც იყო გაილისაგან ფრანცუზულს ენაზე
ჩინებულად გადათარგმნილი, ბერძნულის ტექსტით და ლათინურის
თარგმანით en Regarol. პაპაჩემმა ეს ენები ორივე კარგად იცოდა და
განსაკუთრებით ლათინური. ამ ენაზე ის, როგორც ყველა მაშინდე-
ლი დროის განათლებული კაცები, კიდევცა სწერდა. მაშინ, როგორც
ვიცით, ყველა სამეცნიერო წიგნები ამ ენაზე იწერებოდენ. იმას უყ-
ვარდა ჩემთან ლათინურად ლაპარაკი. ლაპარაკის გასაადვილებლად
იმან ერაზმის „Collodues“ ზეპირად დამასწავლა. ყველა სამეცნიე-
რო საგნებს ერთად ვსწავლობდით.

ასე გავატარე ათი წელიწადი. ჩემის წარმატებით პაპაჩემი კმაყო-
ფილი იყო. ერთს მშვენიერს დილას იმან ახალს საგანზე ჩამომიგდო
ლაპარაკი: — შენ ხომ ჰხედავ, ზიგფრიდო, რომ ჩვენი საქმე თანდა-
თან წინ მიდის, მაგრამ ეს საკმაო არ არის, ცხოვრებისა და მის მო-
თხოვნილებისაგან ხელი არ უნდა ავიღოთ. ჩვენ ადრიდგან ჩვეულებ-
ადა გვაქვს, რომ ოფიციალურად (ხალხის დასანახვებლად) რომელ-
სამე სარწმუნოებას უნდა ვაღვიარებდეთ. საჭიროა რომელიმე როლი
აიღო: ან პროტესტანტისა, ან კათოლიკისა და ანუ კიდევ ურჩისა,
რომელიც შენ მოგეწონოს — სულ ერთია. მაგრამ უმჯობესი კია იმ

¹ გიპარხია, ანუ ცხენზედ ჯდომის მასწავლებელი.



სარწმუნოებას მიეკედლო, რომელიც ცხოვრებაში უფრო გამოვადგება. თუ პრუსიაში იცხოვრებ, — საჭიროა რეფორმატიულის სარწმუნოებას აღიარებდე, რადგანაც ის აქ კაროლის და თავად-აზნაურების სარწმუნოებაა. საფრანგეთში და ავსტრიაში კათოლიკური სარწმუნოების მიღება სჯობია. ჩვენც ჩვეულებას გამოვუდგეთ. უგუნურები ამბობენ: ურჯულოდ პატიოსანი კაცი ვერ იქნებიო. მე ამ დღეებში ვიდლანდის პასტორს დავუძახებ, ის შენ ადგილობრივი რჯულის შინაარსს და იმის ჩვეულებრივს წესებს აგიხსნისო. მე იმას რაც ეკუთვნის მივცემ და შენ რეფორმატიული ლიუტერანი გახდები. კადეტის სკოლაში შენ ყველა საღმთო წესებს აასრულებ, ამისათვის რომ მაგალითის საჩვენებლად კაროლი იმათზე დგას და თუ ეკლესიაში სიარულს დაიწყებ და ხანდისხან რომელსამე სასულიერო საგალობლებს იტყვი, მაშინ შენ ყველანი პატიოსანს კაცს დაგიძახებენ.

მითხრა რა ეს მოკლე ქადაგება, რომლითაც გამაგებინა ძალა და მნიშვნელობა სარწმუნოებისა, პაპაჩემმა მაშინათვე გაგზავნა პასტორთან ბრანდგორსტთან იაკობი. პასტორი იყო ტანად მაღალი და ხმელ-ხმელი, ქერა თმიანი და წითელ წამწამებიანი. ვიდლანდში იმას, როგორც ბოლოს შევიტყე, ყველანი პატიოსან კაცად იცნობდენ, რადგანაც სჯულის თანამდებობას მტკიცედ ასრულებდა. ის მოვიდა ჩვენსა მოკლე შავის წამოსასხამით, დიდრონის აბრეშუმის შლიაპით და კმაყოფილის სახით; ბედნიერად სახავდა თავსა, რომ ის ბარონმა ოტო ფონ-მაიდორფმა თავის შვილისშვილის აღსაზრდელად ამოირჩია. ეს იმას მის მრევლში და თანამოძმეებში დიდს მნიშვნელობას აძლევდა.

როდესაც მისი შარაბანი ეზოში შემოვიდა, ცხენზედ ჯდომის გაკვეთილს ვიწყებდი, მაშინვე მივეგებენით. იმან ჩვენ კადნიერად თავი დაგვიკრა და ჩემზედ პაპას რამდენიმე საიმედო სიტყვები უთხრა, რომლისთვისაც პაპაჩემმა ალერსიანად გაუღიმა. მერე ყველანი კიბეზე აველით და შევედით ბიბლიოთეკაში. ბრანდგორსტმა მაშინათვე მოიხსნა თავის მოკლე წამოსასხამი, დაჯდა ჩემს გვერდით, ბუხრის წინ და დაიწყო თავისი გაკვეთილი: მელაპარაკა ღმერთზე, შვილის დღის განმავლობაში ქვეყნის შექმნაზე, ადამზე, ევაზე და სხვანი და სხვანი.

გაკვეთილის დროს პაპაჩემი დადიოდა ჩვენს უკან ნელის ნაბიჯით, თავჩალუნული და გვიგდებდა ჩაფიქრებულის სახით და ტუჩებმოკუმული ყურსა. პირველი თავი რომ გაათავა, ბრანდგორსტმა მთხოვა, იმის ნაამბობი გამემეორებინა, ალბათ იმას ჩემი ყურადღების გამოცდა უნდოდა. მე ყველაფერი მარჯვედ მივუგე, ბრანდგორსტმა სრული კმაყოფილება გამოგვიცხადა და მოგვილოცა მე და ბარონს,



ადგა, წამოისხა თავის წამოსასხამი და გამოგვეთხოვა. პაპაჩემმა კარებამდე გააცილა. მე იმაზე სულ თვალი მეჭირა, ვუყურებდი, როგორ ჩავიდა პასტორი კიბეზე, გადაიარა პატარა ვაკე და ჩაჯდა შარაბანში. ორი თუ სამი კვირის განმავლობაში პასტორთან ჩემი გაკვეთილები ასე მიდიოდა. პაპაჩემი ყოველთვის ჩუმად ყურს გვიგდებდა. ძველი აღთქმა, მსაჯულების, მეფეების და წინასწარმეტყველების ისტორია რომ გავათავე, პასტორმა ქრისტეს ისტორია დამაწყებინა, რომელიც ასწავლიდა კაცთ თანასწორობას წინაშე ღვთისა, უწოდებდა ყველას ძმებად და ამცნებდა ხალხს ურთიერთის შეურაცყოფის პატივებასა, უბრძანებდა მარცხენა ლოყის მიბრუნებასა, როდესაც სცემდენ მარჯვენაზე... ამ მაღალ ზნეობით პრინციპებზე რომ დამიწყო ლაპარაკი, ბრანდგორსტი აღტაცებაში მოვიდა, ჩვეულებრივი საუბრის კილო მან მჭერმეტყველურად შესცვალა. ერთბაშად პაპაჩემმა, რომელიც იმ დრომდე გაჩუმებული იყო, პასტორს ლაპარაკი გააწყვეტინა.

— ეგ, ბატონო პასტორო, ყოველისფერი კარგია გაჭირვებულებისათვის, მუშებისა და გლეხებისათვის, რომელთაც თქვენ სოფელში ხშირად ხედავთ. თქვენ ძრიელ კარგად იქცევით, რომ იმათ მაგ ზნეობას უქადაგებთ და ასწავლით, რომ იმაზე დადგინებულთ ნებას დაემორჩილნენ, მიიღონ ცემა და უკან არ დაუბრუნონ და არწმუნებთ რომ ისინი, ნაცვლად მოთმინებისა, ერთგულის დამორჩილებისა და თავ-განკარგულებისა, საუკუნო ცხონებას მიიღებენ. ეგ სუყველათფერი მართალია და ძრიელაც სასარგებლოა. მაგრამ მაგგვარს დარჩებას დაბალს ხალხს, მონების შთამომავლობას რომ აძლევთ, ის სხვა საქმეა. ეგ რომ აზნაურთ კეთილშობილ შთამომავლობას უქადაგოთ, რომელნიც მბრძანებლებად არიან შექმნილნი, — სრულებით სხვა საქმეა. აი, ეს გარჩევა ახალგაზდა ბარონს ზიგფრიდს ფონ-მაინდორფს თქვენ კარგად უნდა აუხსნათ, — რომ ამან თავისი ვალდებულება სწორეთ შეიტყოს, რადგანაც მოსწავლისათვის ყოველგვარი სწავლა მარტო მაშინ არის გამოსადეგი, როდესაც ის შეფარდებულია იმ ადგილს, რომელზედაც იმას (მოსწავლეს) საზოგადოებაში ფეხი უდგას. როდესაც ის ადგილი გამოიცვლება, მაშინ თვალის მხედველობაც გამოიცვლება: არწივი, რომელიც დაქანაობს ჰაეროვანს სივრცეში, მინდვრის ბალახს სრულებით სხვა თვალთ უცქერის და ვირი, რომელიც იმასა სძოვს, — სრულებით სხვითა!..

პასტორი ამ სიტყვებმა დააფიქრეს და გააჩუმეს. პაპაჩემმა კიდევ განაგრძო: — იცოდეთ, ბატონო პასტორო, რომ კათოლიკურს ეკლესიას უპატიოთ გახდომისთვის პატივების პრინციპი არასოდეს არ აუხსრულებია. პირიქით, ის თავის მტრებს ყოველთვის უწყალოდ



ეკიდებოდა: აწამებდა, სწვავდა, უმწარებდა წუთისოდ და სწყევლიდა საიქიოსა, ყოველთვის, როდესაც კი უნდოდა და შეეძლო ეს ექმნა. იმის მაგალითი ჩვენ წესად უნდა გვქონდეს!.. რაც საკუთრად ძველის აღთქმის საღმრთო ისტორიას შეეხება, უნდა გითხრათ, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენის მამათმთავრებისა და იზრაილთ მსაჯულებისა, რომელნიც თქვენ აგრეთვე გაკვირვებენ, უქმად ყოფნის მოყვარენი იყვნენ: ამათ უნდოდათ ხალხის მბრძანებლები ყოფილიყვნენ, მეათედი აეღოთ, სჯულის კანონები ეწერნათ და იარაღის ხმარება კი არ იცოდენ. იმ დროს, როდესაც სხვანი, სასიკვდილოდ თავგადადებულნი ომში მირბოდენ, ისინი შინ ისხდენ და წმინდა კიდობანს შესცქეროდენ. თუ გაქცევა დასჭირდებოდათ, ყველაზე წინ გარბოდენ და კიდობანს ფილისტიმლებს დაუტოვებდენ. საქმე იმით გათავდა, რომ ხალხმა თვალი გაახილა და დაინახა, რომ იმათზე უფლობდენ მშიშარები. სამუელს მეტი ღონე არა ჰქონდა, უნდა ხალხის თხოვნას დასთანხმებოდა, უნდა იმათთვის მეფე მიეცა, სახელდობ საული, რომელიც უკანასკნელი ომის წინა დღეს მკითხავს ეკითხებოდა; მკითხავმა დამარცხება უწინასწარმეტყველა, ასე რომ ომის დროს იმან სიმხნე და გაბედულობა სრულებით დაჰკარგა და თავის ხელით თავი მოიკლა. ეს ამბავი ყველასათვის გასაგებია. რაც დავითს შეეხება, უნდა ვსთქვათ, რომ ის მხნე და გონიერი კაცი იყო,

როცა იმან საჭიროდ დაინახა — თავის მომავალზე ეზრუნა, თავის ტახტი დაემკვიდრებინა, იერუსალიმს მიჰმართა, მიეკედლა სამღვდლოებას და მისცა მას განსაკუთრებული წყალობები. დავითი სამაგალითო კაცია, მაზედ ჩვენ შეგვიძლიან დავინახოთ რას ნიშნავს წინანდელს ბრყვეს ხალხში სისხლის სიწმინდე. დავითმა დააფუძნა თავის დინასტია, იცოცხლა ღრმა სიბერემდე და დაიგდო სახელი პოეტობისა და წმინდა კაცობისა.

აი, ბატონო პასტორო, ახალგაზდა აზნაურის გასაწვრთნელად იოანისა და ელისეიზედ კი არ უნდა ლაპარაკობდეთ, — ამისთანა მაგალითები უნდა ამოიჩიოთ. იობზე, რუფზე, კოააზზე და ტოვიაზედ მარტო გლეხებს ელაპარაკეთ, ხოლო სამხედრო სამსახურის ხალხს დავითზე და იუდა მაკაბელზე ელაპარაკეთ და თავდაპირველად იმას ეცადეთ — ისეთი რჩევა არ მისცეთ, რომელიც იმათ ხელობას და პატივს ეწინააღმდეგება; აი, მაგალითებ, თუ ასწავლით რომ ცემა და უპატიოთ გახდომა ვისმეს დაუთმონ, უკან არ დაუბრუნონ, მაგიერი არ გადაუხადონ...

პასტორს ძრიელ შერცხვა. მაგრამ მაინც წარმოსთქვა: ბატონო ბარონო, ეს მცნება სახარებაში სწერია.



— სახარებაში სწერია, — მიახალა საჩქაროდ პაპაჩემმა, ახა ღმერთო ჩემო, ეგ თქვენ ჩვენზე კარგად იცით, კითხვების გადარევა რა საჭიროა? დამორჩილება და თავგანწირულება ვაჭრებს და მუშებს ასწავლეთ. ეგ საჭიროა, ეგ ძრიელ კარგია... ის ხალხი იმისათვის არის შექმნილი, რომ იმსახუროს... აზნაურთ შთამამავლობა კი ნამდვილად შეახედეთ საქმეზედ, ნამდვილი გააგებინეთ.

იცოდეთ, რომ კათოლიკური სარწმუნოება საპოლიტიკო ინსტიტუტია, ხალხის ზნეობითი გამწვრთვნიელი და პრაქტიკული დისციპლინისთვის მომზადებული რამეა. რაკი ამ საგანს შევეხეთ, არ შემიძლიან ყოველისფერი არ გამოვსთქვა: მე თქვენ გიცხადებთ, რომ რომელთ კათოლიკური სარწმუნოება უფრო კარგად ასრულებს თავის დანიშნულებას, ვიდრე ჩვენი, პროტესტანტული. ის უკრძალავს ხალხს სახარების კითხვასა, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებსა ქადაგებს, უკრძალავთ სამღვდელთ — ცოლების შერთვას, რითაც ის აცალკევებს იმათ საკასტო ინტერესებს მთელი საზოგადოების ინტერესებისაგან, თხოულობს მორწმუნეთაგან ეკლესიის ყოველის დებულების განუსჯელად რწმუნებას და ცოდვების აღიარებასა, რომ არეულობას თავის დროზედ წამალი მიაშველოს, ხმარობს სამღვთო მოქმედებათა დროს ლათინურს ენასა მისთვის, რომ დაუმალოს გაუნათლებელს ხალხს იმ მოქმედებათ ჰაზრი და მისცეს კულტს ზეზთაბუნებითი ხასიათი. ყველა ამ შემთხვევაში კათოლიკური სარწმუნოება მეტად საკვირველ ღრმა პოლიტიკურ ინსტიტუტად იჩენს თავს და მისი ცალი მთელს ქვეყანაზედ არ არის.

ვიდრე ის სარწმუნოება ჩვენში მეფობდა, აზნაურებს და სამღვდელოებას ერთმანეთისა ესმოდათ და ხალხიც გაჩუმებული იყო: პაპი და იმპერატორი ხშირად ერთმანეთს ებრძოდენ, ხოლო მონასტერი და ციხე ერთმანეთში წვრილ-წვრილ ჩხუბებს გარდა, რომელიც ახლო მეზობლებში ხშირად მოხდება ხოლმე, — მეგობრულადა სცხოვრობდენ: იმათ ჰქონდათ ერთი საზოგადო ინტერესი — არ გვეღვიძებინათ დაბალ ხალხში მავნე სურვილები რაღაც-რაღაცა „უფლებებზე“ ქადაგებითა და ჰყოლოდათ ის ყოველთვის დამონებული. იმ დიდებულს ფეოდალურს დროს რომ მოვიგონებ, როდესაც ბუნების მოთხოვნილებისამებრ ყოველისფერი თავ-თავის ალაგას იყო, არ შემიძლია არ ვიფიქრო, რომ როდესაც ლიუტერმა დაგვირღვია სასულიერო დისციპლინა (წყობილება), უშველებელი და წამალდაუდებელი ვნება მოგვცა. იმის პრინციპები თავისუფლათ სჯაზე, თავისუფალ სინიდისზე, საღმთო წიგნების თავისებურად ახსნაზე, გონების გარყვნაა, სხვა კი არაფერია. ლიუტერი „კაცის უფლებების“, იმ ბედითი ხალხის საზარელი სახარების კანონიერი მამაა. იმან ძრიელ გო-

ნივრულად დაიწყო საქმე, მიიზიდა წარჩინებულის ხალხის გული: უწოდებდა მათ ყოველისფერს, რაც პაპებისაგან აღკრძალული საქონ- დათ: აძლევდა ცოლების გაშვების და სამ-ოთხჯერ ჯვარისწერის და სხვადასხვა გარყვნილების ნებას. აი, სწორედ იმ დროდამ დაიკარგა დისციპლინა. ეხლა ხელახლად ძალაზე მივარდა საქმე. ადრე თუ გვი- ან ამას საქმეშიაც მოიხმარებენ და ხალხი დამშვიდდება, ხელახლავ მიიღებს თავის ბატონებს და იგრძნობს, რომ იმის საკუთარის ბუნე- ბის და იმათ ბატონების შუა გაუზომელი სივრცე სძევს. ამისათვის სამღვდელთ ვალია — ყველას ისეთი რელიგიოზური აღზრდა მის- ცენ, რომელიც იმათ წოდებას შეეფერება. მე ვსთქვი ჩემი სათქმე- ლი, ეხლა, ბატონო პასტორო, განაგრძეთ თქვენი გაკვეთილი და ეცა- დეთ, რომ თქვენი მეთოდი ჩემს სურვილს შეათანხმეთ.

პასტორიც ისე მოიქცა, მას უკან ის პაპაჩემის შეხედულობის ეკლად დავითზე და იუდა მაკაბელზე ვრცლად მელაპარაკებოდა. და ბოლოს, თავის მეცადინეობისთვის, პაპაჩემისაგან ჯეროვანი საჩუ- ქარი მიიღო. რამდენსამე ხანს უკან, ერთს კვირა დღეს ჩვენ წავე- ლით ვიდლანდის ეკლესიაში, სადაც პასტორმა შესაფერი ქადაგება წარმოსთქვა. გულჩვილი დედაკაცები სტიროდენ. წირვის ვამოსვლის შემდეგ მე, ღარიბების შესაწევნელად, მეკარის თეფშზე ერთის მა- გივრად ორი ფრიდრიხსდორი დავდე (ხუთ მანეთიანი ოჭროა). ვა- კეზე რომ გამოველით, ჩვენ შევსხედით ცხენებზე, რომელნიც ია- კობს ეჭირა, და გავწიეთ შინისკენ. ამ სახით, პაპაჩემის სჯ რვილისა და ძველი პრუსიელების ანდერძების გამო, მე გავხდი ქრისტიანი რეფორმატულის ეკლესიისა.

3

სარწმუნოების ვალი მოვიხადე. პაპაჩემმა მათემატიკის სწავლა- ში, რომელიც კაროლის კადეტის სკოლაში შესვლისათვის თავიდათავი საგანი იყო, ძრიელ ძალა დამატანა. არითმეტიკა რამდენჯერმე გავი- მეორეთ და საკმაოდ კარგად ვიცოდი. ახლა ალგებრის და გეომეტ- რიის ჯერი მოვიდა. ის საგნები პაპაჩემს ძრიელ უყვარდა. ცხადია რომ, რაც კარგად იცი, ის გეყვარება. პაპაჩემი მთელ საათობით სა- წერ ფიცართან მაჩერებდა და ღიმილით მეტყობდა: „აბა, ზიგფრიდო, დღეს გვეყოფა, ღრუბელს და მელს თავი დავანებოთ და გზას გავუ- დგეთ!“.

მე დავისვენებდი. მერე ჩვენ ჩავდიოდით ძირსა, ვკმაზავდით ცხენებსა და გავწევდით მხიარულად სასეიროდა. მოხუცი თითქოს გაყმაწვილდა. იმას უნდოდა ჩემთვის ყველაფერი ესწავლებინა: ცუ-



რაობა, ცხენზედ ჯდომა და ხმლის ხმარება. ზღვის პირას რომ
დავგოგმანობდით, მეუბნებოდა: „მე მინდა, რომ კაროლის სკო-
ლაში შენ პირველი კადეტი იყო; მინდა იყო ლონიერი, მამაცი,
მარდი და მცბიერი, როგორც მე ვიყავ 30 წლისა, — რომ
იმ დროს, როდესაც ჩვენ ველფებს შევებმით, რომლებმაც გაგვანად-
გურეს 1806 წ. და წაგვართვეს სამი წილი ჩვენის საკუთარის მამულ-
დედულისა, შენ იმათა ჰკეფდე, როგორც საგუფთე ხორცსა. ეჭვი არ
არის, რომ მე მაშინ ცოცხალი აღარ ვიქმნები, მაგრამ კი მოგაგონ-
დები და შემოგესმის ჩემი ძახილი: გულადად, ზიგფრიდო, გულა-
დად!.. მაგრა დაჰკარ, დაკეფე, დასჭერი, ნურავის დაზოგავ. შებრა-
ლება ფრანცუზული უგუნურებაა! დასწვი ყოველისფერი, რასაც
თან ვერ წამოიღებ, მოხვეტე! ყველაფერი მოხვეტე! ჩემო ახალგაზ-
დავ, ეგ ომის უფლებაა: რასაც ხმლით იშოვნის, ის შენზე ალალია!
გაქნილები! მაგათ ჩვენ თავიანთ „კაცის უფლებებით“ განა ცოტა
ვნება მოგვიტანეს! უიმათოდ ფრიდრიხ-ვილგელმი ბარონს შტეინს
არასოდეს არ დასთანხმდებოდა არც გლეხების განთავისუფლებაზე,
არც იმათ სამხედრო და შტატის სამსახურში შეშვებაზე, არც საზოგა-
დოებათათვის საკუთარ მსაჯულების დაყენებაზე და არც კიდევ იმ
სხვადასხვა საძაგლობაზე, რომელნიც ნიშანნი არიან მაშინდელის
გარყვნილებისა... გარდენბურგები ჩვენს ძველს კონსტიტუციას თავის
დღეშიაც ხელს ვერ მიაკარებდენ, მაგრამ საჭირო იყო ხალხისათვის
თავისუფლება აღგვეთქვა, უფლებები მიგვეცა, უნდა იაკობინელე-
ბის კონსტიტუციისათვის მიგვებაძნა, — რომ ყველანი ჩვენს მხარე-
ზე გადმოსულიყვნენ და ჩვენს სამზღვარში შემოსულს მტერთან
ბრძოლაში დაგვხმარებოდენ. დიახ, ის ბედასლები ჩვენ ძვირად გვი-
ღირან. მაგრამ გაფთხილდით!.. გაფთხილდით!.. ჩვენ მწევრებსა
ვწვრთნით და კბენას ვასწავლით, ველფების შურსა და სიძულილს
სკოლის სკამზედვე ვუნერგავთ გულში. რაკი ერთს პირველს ხელს
მოვიგებთ, რაკი მთელს გერმანიას სულ დავიპყრობთ და ნემეცებს
ჯოხით დავწრთვნით, მაშინ იმ ავაზაკებთან წავალთ და ანგარიშს გა-
ვუწმენდთ. იმათი ერთის კაცის წინააღმდეგ ჩვენი ხუთი ან ექვსი
გავა. იმათ იმდენი ჰკუთა არა აქვთ, რომ წინათვე მოემზადენ: ჩვენ
იმათ რიცხვით გავჰყლევტ! ჩვენ იმათ პარიეს დავწვავთ. იმათ ელ-
ზარს, ლოტარინგიას, შამპანიას, ბურგუნდიას და ერთის სიტყვით
მთელს იმათ სახელმწიფოს ავიღებთ. როგორც ჩვენმა მამა-პაპამ
თოთხმეტის წლის განმავლობაში ფრანცუზებისათვის იმუშავა, ისე
ჩვენ იმათ ჩვენთვის ვამუშავებთ. დემოკრატულს სულს ძირიანად
ამოვგლეჯთ და ავმართავთ ფეოდალურს დროშას. ბუნებითი წყობი-
ლება ხელახლად გამეფდება და მძლეველის ტომის კეთილშობილი



შთამომავლობა, რომელმაც გააქრო რომის იმპერია და დაადგინა ყველა ევროპიული დინასტიები და არისტოკრატია დასავლეთზე ხელახლად უფლებას იშოვის.

ამ სიტყვების თქმაზე პატივცემული მოხუცი თავის უკბილო ყბებს მრისხანებით უჭერდა და უღვაშებს ათრთოლებდა. ბოლოს სული მოიბრუნა და ხმამაღლა წამოიძახა: წინ წადით! ურა!.. ურა!..

ზღვის პირას ისარივით გავექანენით. იაკობი უკან ძლივს მოგვეყვებოდა. ხანდახან, აგვისტოს ცხელს დღეებში, პაპაჩემს ესიამოვნებოდა ჩემი წაყვანა ზღვის პატარა ყურის ნაპირას, რომელიც ციხის თხრილს უკანა მდებარეობდა. იქ ცურაობას მასწავლიდა; იაკობი — რეისი, ნაპირიდგან გვიყურებდა და თავის ჩიბუხს ეწეოდა. ცურაობის დროს პაპაჩემი, აპობდა რა ხელით ზღვის ტალღებსა, პირზე წყალს მალვრიდა, და როდესაც ნაპირს დავშორდებოდით, დაღალვას რომ შემატებოდა, მეტყობდა: აბა, ჩემო შვილო, მხარზე ხელი დამადე; დაიღალე განა?

— დიახ, პაპა.

— მაშ კარგი, უკან დავბრუნდეთ, მაგრამ წყნარად, აუჩქარებლად. შენ იცი, რომ აჩქარებისთანა ცუდი არაფერია: აჩქარებით მომეტებულად წინ ვერ წახვალ და ტყუილად ძალას დაჰკარგავ. რამდენიც დინჯად მიდიხარ, ისა სჯობია. როცა უკან დავბრუნდებოდით, პაპაჩემი სულ ამას მეუბნებოდა: დინჯად!.. დინჯად!.. დინჯად!.. ნაპირზე რომ გავიდოდით, იაკობი მაშინვე ზეწრებში გავვახვევდა. ჩვენ დავსხდებოდით, ვიწმინდებოდით და თან მღელვარე ზღვის ცქერით ვსიყვარულობდით. ის წუთები ჩემთვის მყუდროების, განსვენების და ტკბილი ფიქრების წუთები იყვნენ, რომელთ ეხლაც გამოუთქმელის სიამოვნებით მოვიგონებ ხოლმე. მერე ჩვენ დავბრუნდებოდით ციხეში, ქრისტიანა საუზმეს დაგვახვედრებდა. საუზმეს შევექცეოდით და ზედ თითო სტაქანს თავღვინოს დავაყოლებდით. სხვას, რომელ აღზრდას შეეძლო ჩემი ასე გაღონივრება, ჩემი ფიზიკური და ზნეობითი გამთელება. რას შეეძლო გავეხადნე ასე გამძლე და ამტანი სამხედრო სამსახურისა და ეცნობებინა ამ ქვეყნის ნამდვილი წყობილება — დაბალი ხალხის დამონება, აზნაურების ვალია და უფლება. ანუ კიდევ, რას შეეძლო უკეთესად ჩემი დაცვა იმ უგზო-უკვლო თეორიებისაგან, რომელთაც უნივერსიტეტში ქადაგებენ ჩვენი პროფესორები, მეტაფიზიკები, თავის მოსწავლეების გამომტვინებლები? ვერა, ამას სხვანაირი აღზრდა ვერ იზამდა. ამისათვის ეხლაც პაპაჩემის მზრუნველობას რომ მოვიგონებ, რაღაცა სასიამოვნო მღელვარებასა ვგრძნობ და იძულებული ვარ გამოვტყდე, რომ მე

პაპიჩემისაგან ვარ დავალებული ჩემის რწმუნებებისა, რომელთაც, შეძლების კვალად, ვცდილობ სხვა პაპის მქონებლებსაც გადავცე.

იმ დროს, 1828 წელში, ბევრი შემთხვევა მქონდა, რომელშიაც გამოვიჩინე ხასიათის სიმტკიცე, ნაყოფი პაპიჩემის გაკვეთილებისა: იმ შემთხვევებმა პაპაჩემი მეტად გაახარა.

ერთს დროს პაპაჩემს ძველი წყლული ასტკივდა, ძრეულ ცუდს გუნებაზე იყო და შინიდან კარში არ გამოდიოდა. მე მაინც ყოველდღე სასეიროდ დავდიოდი, იაკობიც მუდამ თან დამყავდა: ეს პაპაჩემის სურვილი იყო. იმას უნდოდა რომ მე კაი ჩვეულებები არ დამვიწყებოდა. ერთხელ მე და ძველი გუსარი ვიდლანდისაკენ მივგოგმანობდით. ჩინებული ამინდი იდგა. მინდორზე ყანასა მკიდენ. თევზების საბოლავებიდან ბოლი ამოდიოდა. შორს, მოსარკევებულს ზღვაზე, ლურჯი იალქნები მოცურავდენ. რაღა თქმა უნდა, კაი გუნებაზე ვიყავით. ვნახოთ, ერთბაშად მიუღებენის ახლო პატარა ხიდთან რომ მიველით, ჩვენს უკან ერთი ყმაწვილი კაცი გამოჩნდა. ის იყო მაღალი ტანისა, წლოვანობით თითქმის ჩემი ტოლი. ტანზე იმას ეცვა ფრაკი და ფეხებზე მსუბუქი დეზებიანი წაღები, თავზე ეხურა სანადირო ქუდი. ის იჯდა ჩინებულს წაბლისფერ იაბოზე ინგლისურად, უზანგებზე დაბჯენილი. იმან ყურადღება არ მოგვაქცია, წინ გადაგვასწრო და ცხენს მათრახი დამიკრა. მე მეტის მრისხანებისაგან ფერი მეცვალა.

— ეგ ბატონის ბურგომისტრის შტრომდერფერის შვილია, — მითხრა იაკობმა. — ეგ უსათუოდ თავიანთ ყანების დასათვალიერებლად ყოფილა. აგერ ის პურით დაღებულ ურმები, აქეთ რომ მოდიან, მაგათ ეკუთვნის.

მეც ვიცან ის ყმაწვილი. იმის სახე წინათვე თვალში არ მომდიოდა. იაკობს ხმა არ გავეცი და გამოვუდექ იმას ძახილით უკან: დადექი!.. დამიცა!.. დადექი!.. დამიცა!..

იმან თავი მოიბრუნა, შემომხედა გვერდზე დაცივნით და ცხენი გაქუსლა. ჩემს ცხენს იმის ცხენი სჯობდა და ამის გამო მალე გამასწრო. მე თვალი მოვკარ, რომ ის სოფელში შეეფარა. მაშინ მე კანკალმა ამიტანა, დავდექი და მოვუცადე იაკობსა. წუწკმა თევზის ვაჭრის შვილმა ფონ-მაინდორფის გვარის დაცინვა გაბედა!.. იმაზე მეტად მე ჩემს სიცოცხლეში არაფერი მწყენია.

— ეგ საძაგელი!.. — მითხრა ძველმა გუსარმა, — მაგას უსათუოდ უნდა ვუჩივლოთ.

— ვუჩივლოთ! ვისთან?.. მსაჯულთან, რომელიც მაგას შენიშვნას მისცემს და მე კი მთელი სოფელი სასაცილოდ გამხდის?.. არა!.. უკან მომყევ!.. მე გაჩვენებ მაგის სეირსა!..

ჩვენ მას უკან ხმა აღარ ამოგვიღია, ვიდრანდში ისე მივედით. დიდს ქუჩაზე, მარჯვნივ, მესამე სახლი შტრომდერფერს ვკუთვნი-
და. საჯინიბოს კარებთან ბიჭი ჯერ ისევ გაოფლიანებულს ცხენს
სწმენდავდა. ეს რომ დავინახე, მე მაშინათვე ძირის სართულის გა-
ლებულს ფანჯარაში შევიხედე, მთელი ოჯახობა — მამა, დედა, ვა-
ჟები და ქალები სტოლთან ისხდნენ და სადილის ჭამას აპირებდნენ.
შუადღე იყო. სტოლზე წმინდა სუფრა იყო გადაფარებული და ზედ
სხვადასხვა საჭმელები და ღვინოები დალაგებული.

მაშინვე ცხენიდან ჩამოვხტი, აღვირი იაკობს მივეცი და შევე-
დი ქუდით ოთახში. ყველამ გაკვირვებით შემომხედა. მამა წამოდგა
და სალამი მომცა. მე იმას ყური არ ვუგდე, პირდაპირ იმის უფროსს
შვილს მივმართე და ვუთხარი ბატონურის კილოთი:

— გამიგონე შენ, კუნძო!.. შენ იცი, რომ ცხენი კაცს არ ამალ-
ლებს? იცით რას ნიშნავს ფონ-მაინდორფის წინ გადასწრობა, მის
უპატივუცემლობა, მაზე დაცინვა და გაქცევა, როდესაც ის გიბრძა-
ნებს დადევნო?

ყველამ პირები დააღეს. მოხუცს უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ
მე იმას აღარ დავაცალე და ვუთხარი: — დაჩუმდით!.. თქვენმა შვილ-
მა მაწყენინა. მაგან ჩემს ცხენს მათრახი დაჰკრა. მაგას მე ისეთს ჭკუ-
ას ვასწავლი, რომ სიკვდილამდე გამოადგეს.

და გავარტყი იმის შვილს პირის სახეში მათრახი, ისე ღონივრად,
რომ იმან ძალღივიტ დაიღმუილა.

— ამან გასწავლოს და დაგანახვოს ის განსხვავება, რომელიც
თევზის ვაჭრის შვილსა და წარჩინებული გვარის კაცს შუა არსებობს.

ეს ვუთხარი და გამოველი კარში. შესდგა ერთი ალიაქოთი, ია-
კობმა, რომელიც ფანჯარასთან იდგა, ყოველიფერი დაინახა. მე შევ-
ჯექ ცხენზე და ვუთხარ ბებერს სალდათს: — აბა, ეხლა კი წავიდეთ!..

იმას უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ მე დავაბრუნე და ვუთხა-
რი: — ნაბიჯით!.. ისინი იფიქრებენ, რომ ვითომც შეგვეშინდა! ვიდ-
რანდი სულ წყნარის ნაბიჯით გამოვიარეთ და ვიდრე ნაპირის ქოხს
გამოვცდებოდით და მერე კი ცხენები გამოვაჭენეთ.

იაკობს გაკვირვებისაგან ენა ჩაუვარდა. ამ ამბის შემდეგ იმან
ჩემს უკან დაიწყო სიარული, როგორც პაპაჩემს დასდევდა. ის მიხვ-
და, რომ მე ცნობაში მოველი და იმას ვალი ჰქონდა ჩემთვის პატივი
ეცა.

ციხეში პირველს საათზე მიველით. ჩემი ცხენი გაოფლიანებული
იყო. მე იმას წმენდა დავუწყე. იაკობი სადღაც დაიმალა. საქმე რომ
გავათავე, კიბეზე ავედი და შევნიშნე, რომ მალა ბალკონზე იდგა
პაპაჩემი, მოაჯირზე ნიდაყვებით დაბჯენილი და იმის უკან ძველი

გუსარი. პაპა მე მელოდებოდა. იმან, როგორც კი დამინახა, მითხრა ალერსით და სიყვარულით სავსე ხმით:

— ზიგფრიდო, ჩემო პატარა, ჩქარა ამოდი, მოდი მოგეხვიო!.. ეხლა დავრწმუნდი, რომ მე შენ გიცნივარ, რომ შენ შენთა წინაპართ ღირსეული წარმომადგენელი ხარ.

კეთილმა პაპამ გულზე მიმიკრა, მერე გადამხვია მხარზე ხელი და თავის ოთახში წამიყვანა. იქ ის დაჯდა სტოლს გვერდით სელზე და მითხრა ისეთის ხმითა, რომელიც მე არაოდეს არ დამავიწყდება: — დღევანდელი დღე, ჩემო საყვარელო ზიგფრიდო, ჩემთვის ძვირფასი დღეა. იაკობმა მე ყველაფერი მიაგებო. ეხლა შემიძლია მოვკვდე. ძველი სისხლი მაინდორფისა ისევ ცოცხალი დარჩება!.. შენ ძრიელ კარგად მოქცეულხარ... მით უფრო, რომ შენ ეგ სამართლიანი გგონია განა?

— უეჭველია! — მივუგე მე. — შენ რამდენჯერ გითქვამს ჩემთვის, — გლახებს უნდა ჭკუა ვასწავლოთო?

ეს რომ გაიგონა პაპაჩემმა, აღტაცებაში მოვიდა და აღარ იცოდა რასა შვრებოდა: იცინოდა, სკამზე მუშტებით არახუნებდა და იძახოდა: ჰო!.. ჰო!.. ჰო!.. ძრიელ კარგად გიქნია!.. ის გაბერილი თევზის ვაჭარი რანაირად დაიღრიჯებოდა!.. ხა! ხა! ხა! ნეტა ერთი იმის პირისახე დამენახა... ხელი არ გაუქნევია!.. ხმა არ ამოუღია?..

— ნეტა ხმა ამოეღო და მე ვაჩვენებდი იმას თავის სეირსა!..

პატარა ხანს უკან პაპაჩემი დამშვიდდა, ხელზე ხელი მომჭიდა და მიიღო დაფიქრებული სახე.

— შენ ძრიელ გამახარე. ამაზე მეტ სიხარულს ქვეყანაში კაცი ველარ გამოსცდის, — მითხრა იმან. — მე მინდა მაგიერი გადაგიხადო, მინდა პატივისცემა გამოგიცხადო.

პაპამ მერე იაკობს გასაღები მისცა და უბრძანა, რომ იმას ბუხრის უკან, კედელში, კარები გაეღო და მოეტანა იქიდგან პატარა ყუთი. იაკობმა ყუთი საჩქაროზე მოარბენინა და დადგა სტოლზე. პაპაჩემმა ის თავის ხელით გააღო. იმაში ეწყო სხვადასხვა ნივთები: ძვირფასეულობა, ქალაღებები, ორდენები და რამდენიმე ძველი ფრიდრიხსდორი, რომლებიც შავი დღისთვის ინახებოდენ. ის ყველა იმ ნივთეულობას ჩაფიქრებული სახით არჩევდა. ჩვენ იმ ნივთებს ვსინჯავდით. ბოლოს იქიდგან იმან ძველი ოქროს საათი ამოარჩია, მომაწოდა და მითხრა:

— ჩამომართვი, ზიგფრიდო, ამ საათს შენ გაძლე. ეს ძვირფასი საათია. ამას ორპირი შენობა აქვს. მაგრამ თავი და თავი ამის ღირსება ეს არ არის: ეს საათი ჩემი მხედრული ცხოვრების სახსოვარია.

ეს მე ჩემის ხლმის პირით ვიშოვნე. ეს ის კი არ არის, ერთ მუჭა ოქროთ ვილაცა ურიისაგან რომ იშოვნე. შენ ეს ხომ გესმის, ჩემო პატარა?

— დიახ, პაპა, — მივუგე მე აღელვებულმა.

— ჰო და აი, ეხლა შენია, — დაუმატა პაპაჩემმა.

მოხუცს პირის სახეზე მწუხარების ფერმა გადაჰკრა, რამდენიმე ხნის განმავლობაში ჩვენ ხმა არ ამოგვიღია. მერე იმან დაიწყო: — მე ეს საათი მარტის ცხრას, 1814 წელში, ლაონთან ბრძოლის წინაღულს და კრაონის ომის მეორე დღეს, ვიშოვნე. მე ჩემის გუსარებით ქალაქის ახლომახლო ადგილებსა ვზვერავდი, იაკობიც თანა მყავდა. მტრის ავანპოსტების მოსანახავად ჩვენ ღამე წაველით. განთიადზე, უკან რომ მოვბრუნდით გზაზე რამდენიმე ისპანიელნი დრაგუნნი დავინახეთ, რომელნიც ალბათ ჩვენა გვზვერავდენ. იმათ წვერი დაყენებული ჰქონდათ და ტანზე თეთრი წამოსასხამები ესხათ. ჩვენ გვეცვა წითელი დოლომანები, დავინახეთ თუ არა ერთმანეთი, მაშინვე ჰაერში ხმლებმა გაიბჰყვირაღეს. შეტაკების დროს მე პირდაპირ მზვერავების უფროსს შევეჯახე, იმას უნდოდა ჩემთვის მარჯვენა გვერდში გაერთყა, მაგრამ დავასწარი და ხმალი გულში ვატაკე. დრაგუნები ძრიელ უგუნურად მოიქცნენ, რომ იმათ ჩვენი შებმა გაბედეს, რადგანაც რიცხვით ჩვენზე ძრიელ ცოტანი იყვნენ, მაგრამ იმათ თავის მომრევი არავინა ჰგონიათ და აი, რისგან მოხდა, რომ მუდამ ჩვენ ვამარცხებდით. შვიდი თუ რვა კაცი იმათი იქვე დარჩა მკვდარი, მე ორი გუსარი დავკარგე და თავათაც დავიჭერი. საქმე ერთს თვალის დახამხამებაზე გათავდა. ჩვენგნით უკუქცეული დრაგუნები უსათუოდ კიდევ სადმე შეერთდებოდენ, მაგრამ ჩვენ იმათ უკან აღარ გამოვდგომივართ, რადგანაც იმ დროს ზარბაზნების სროლა მოისმა. ეს ომის დაწყების ნიშანი იყო და ამასთანავე ჩემზედ მონდობილი საქმე ავასრულე. უკან რომ დავბრუნდით, მე ჩემგან მოკლულს დრაგუნს შევხვდი, რომელიც თხრილზედ იყო გადებული. იაკობს ვუთხარ ცხენიღამ ჩამომხდარიყო და გეეჩხრიკნა ისა. გახსოვს, იაკობო?

— დიახ, ჩემო კამანდირო.

— იმასა ჰქონდა ეს საათი და ქამარში 50 ნაპოლეონდორი (ფრანცუზული ოქროს ფულის სახელია). ფული ჩემს გუსარებს დაურიგე და საათი ჩემთვის დავიგდე. ეს მე, ვიდრე პოლკიდან გამოვიდოდი, სულ თან დამქონდა, ჩემს სიცოცხლეში ბევრი კაი წუთი უჩვენებია, ის წუთები, როდესაც ვატერლოსის მინდორზე ბონაპარტის დანარჩენი ლეგიონები ჩემს წინ გარბოდენ, როგორც დამარცხებული ჯარი ბარბაროსებისა!.. დაიჭი და ყოველთვის თანა გქონდეს. დეე, ამან

შენ უკეთესი საათები გაჩვენოს, თუკი ეს შესაძლებელია. დღემ
ამან შენ ველფების მფლობელობის უკანასკნელი საათი გაჩვენოს,
და იმავე დროს — ფეოდალთ ჩამომავლობის გამარჯვება.

მას დღეს შემდეგ ოტო ფონ-მაინდორფი ისე მეპყრობოდა, რო-
გორც თავის ტოლს კაცსა.

რამდენიმე თვეს უკან მე კადეტის სკოლაში მეორე შეგირდად შე-
ვედი. ის დღე გულკეთილის პაპისჩემისთვის სწორეთ მეორეთ მოსვ-
ლის დღე იყო. იმას ალაღებდა იმედი — ვენახე მალე ხმლით ხელში
გუსარების რაზმის თავსმდგომარე, მაგრამ ამას ის ველარ მოესწრო:
1830 წელს ივლისის რევოლუციის ამბავი და კარლის მეათის გაქ-
ცევა რომ გაიგო, ისეთნაირად ვარისხდა, რომ მეხდაცემულსავით
წაიქცა.

თქვენ, რასაკვირველია, მიხვდებოდით, რომ ამ ტრაგიკულს ბო-
ლოს პაპისჩემისას არ შეეძლო შეემცირობინა ჩემში ის სიმძულვარე
ფრანცუზებისა, რომელიც იმან გულში ჩამინერგა. ეს სიმძულვარე,
რომელიც თანდათან იზრდებოდა, მე 1840 წლამდე ყოველთვის
გულში დამქონდა და მაშინ კი საკმაოდ გავაძლიერე ყველგან, სადაც
კი გაივლიდა პოლკოვნიკი ზიგფრიდი თავის გუსარებითა, დანგრეუ-
ლი სახლების მეტი აღარაფერი რჩებოდა! ახ! მოხუცი ბარონის საა-
თი იმ კამპანიის დროს მე კაი საათებს მაჩვენებდა — ისეთს დროს,
როგორიც ფეოდალთ ჩამომავლობას დიდი ხანია არ უნახავს. მაგრამ
რიღასთვის მაჩვენა იმან ბოლოს წყეული წუთები საფრანგეთის გაწ-
მენდისა? რასაკვირველია, პაპაჩემი საიქიოდგან უკან რომ დაბრუნ-
დებოდეს და ჰნახავდეს თავის დანგრეულს სახლ-კარსა, ხელახლად
გაწყობილს და საფრანგეთილამ მოტანილის დავლით გავსებულსა, —
დარწმუნდებოდა, რომ მე იმის ნასწავლებ წესზე: „რაც ვერ დასწვა,
თან წაიღე“-ზე მტკიცედა ვსდგევარ. უთუოდ იმას სიხარულით ცრემ-
ლები ჩამოსცვიოდა და მერე რომ ვინმე ეტყოდა: საფრანგეთი და-
ვამარცხეთ, ხმალამოლებულები შინ დავბრუნდით და ჩვენს შთა-
მომავლობითი მტერს დასვენების, ღონის შემოკრების და შურისძიე-
ბის დრო მივეცითო, — ეს ამას ღალატობას უწოდებდა და ახლათ
საფლავში ჩაწოლას მოინდომებდა! რანაირად შევცდით... რანაირა-
და!.. და აი, ის კაციც, რომელმაც ამ პირობაზე ხელი მოაწერა, დიდე-
ბულ პოლიტიკად იწოდება!.. ჩვენ შეგვეძლო საფრანგეთი გაგვეყო,
გაგვენაწილა, — როგორც პოლშას უყვეს, — ერთი ნაწილი იტალიის-
სათვის მიგვეცა, მეორე — შვეიცარიისათვის, მესამე — ბელგიისათვის
და მეოთხე — ისპანიისათვის, რომ ჩვენ ყველგან მომხრეები, ესე
იგი, თანამონაწილეები გვყოლოდა და ერთი ნაწილი ჩვენთვის დაგ-
ვეგდო. ვინ დაგვიშლიდა? ჩვენ მტრის ჯარი სულ ერთიანად გავაქ-

რეთ. მთელი სახელმწიფოს პატრონები ვიყავით. ევროპა ჩვენი გამარჯვებით შეშინებული თვალებს დაჰხუჭავდა!.. მაგრამ ჩვენ, ჩვენს საუბედუროდ, ძველი საფრანგეთის ბურჟუას წინ დავლბით, მილიარდებმა თვალები აგვიჭრელეს. ფეოდალთა ინტერესები გვერდზე გადავდეთ და ნაციონალურს ლიბერალებთან, ძველი მონების ტომთან, კავშირი დავიჭირეთ... და ერთის ხელის მოწერით დავკარგეთ ყოველისფერი, რაც კი წინდახედულმა პოლიტიკამ მთელი ნახევარსაუკუნის განმავლობაში აშენა და რაც ხმალმა ასე ჩინებულად აღასრულა.

[1880 წ.]

მზითვის ლანგარი

(მოთხრობა უიდასი)

ძალიან ძველი იყო ეს ლანგარი. როგორც მთებია ძველი და თვით დედამიწა, ისე ეს ლანგარიც, იძახდა ხალხი. ეს იმ ძვირფას წმინდა ლანგართაგანი იყო, შუაგულში ჯამივით ამოხვეწილი ტკბილეულობისათვის, რომელსაც ძველად მზითვის ლანგარს ეძახდნენ და ჯორჯიოსა და ჰორაციო ფონტანის მიერ იყვნენ დახატულნი მართლაც საქორწინოდ. ლანგარი კედელზე ეკიდა, დაქანებულ ლურსმანზე, ჯიუდეტა ბერნაკოს სახლში ქვაბებსა და გამხმარ ბალახებთან ერთად, ძველს, ჭიებისაგან დაჩრჩნილს ხის ჩარჩოში. ჯიუდეტას, ყველა მის მახლობელს და ნათესავეს მტკიცედ სწამდათ, რომ ლანგარს ვინც ხელს შეახებდა, უბედურება არ ასცდებოდა. მის გარშემო მტვრის აბერტყა და გაწმენდა ყველას შეეძლო, ხელის შეხება — არა. მოკლედ რომ ვთქვათ, ლანგარი გველის თვალად მიაჩნდათ, ხოლო კედლიდან მისი ჩამოღება დიდ უბედურების მომასწავებლად. ლანგარი ისე სწამდათ, როგორც თავიანთი მღვდლები და წმინდანები. რომ გეკითხათ: რაღა გწამთო? გიპასუხებდნენ: ჩვენს მამა-პაპას სწამდა და ჩვენცა გვწამსო. რაც უნდა ურწმუნო ყოფილიყავით, ეს საბუთი საკმაო უნდა ყოფილიყო თქვენს მოსარჯულებლად. ჯიუდეტა პირჯვარს იწერდა, როცა ლანგარს შეჰხედავდა, თითქოს ხატის წინ იდგესო.

— მამაპაპეულიაო, — შეჰხაროდა ჯიუდეტა, — ბედსა გვწევსო, — ღრმად მოხუცებული იყო, ოთხმოც წელზე მეტისა. ახალგაზრდა დაქვრივდა. ორი ვაჟიშვილიც დაეხოცა: ერთი ომში მოუკლეს, მეორეს მეხი დაეცა. ბევრი ტანჯვა და ავადობა გამოიარა საბრალომ, ბევრი ნაკლულევანება, სიღარიბე. მაინც დაჟინებით გაიძახდა, ლანგარი ბედსა გვწევსო.

— მადლობა ღმერთს, თუ ფაელოს გაზრდას მაინც მოვესწარ, — იტყოდა ხოლმე ისეთი კილოთი, თითქოს მთელი ქვეყანა იმისი იყოსო.

ფაელო (რაფიელი) იმისი შვილის შვილი იყო. ერთადერთი მამრი მთელს გვარში; დები კი ბევრი ჰყავდა. ეს პატარა გვრიტები ვარდივითა ყვაოდენ, იყვნენ ღონივრები და ოჯახისთვის გამოსადეგნი, როგორც საზოგადოდ ყველა გლეხის ბავშვები ტოსკანში.

ლამაზი, მამაცი, ხათრიანი, პატიოსანი, ღონიერი ბიჭი იყო ფაელო და ყველა საქმეში მხარში ედგა თავის დიდებას. იმათი პატარა სახლი იდგა გორაკზე სოფელ იმპრუნეტის ახლო, სადაც მუდამ ქარდებდაბერივით წუწუნებს. ერთის ჯორისა და ურმის მეტი არაფერი გააჩნდათ. ეზიდებოდენ ქირით ქალაქში იმპრუნეტის გათქმულს თიხის ჭურჭელს და იმით ცხოვრობდენ. როცა ჯიუდეტას შვილები დაეხოცა, ფაელოც პატარა დარჩა, დიდიდემამ მოჯამაგირე დაიჭირა ურმის სატარებლად... ბევრი მწუხარება გამოიარა საწყალმა დედაბერმა, ბევრი ღამე ათია თვალცრემლიანმა, არ ჰქონდა ერთი წამი დასვენება, მუდამ ფუსფუსებდა, სულ იმის ზრუნვაში იყო, რომ ბავშვებს არ მოშივნოდათ და თბილი რამ სცემოდათ. ოთხის წლის განმავლობაში ფაელო წამოიჩეჩა და უკვე შეეძლო თვითონ ევლო ურემზე. დებიც არ ისხდენ შინ უსაქმოდ: ჰქსოვდენ ჭილობებს და ეზიდებოდენ ტყიდან ფიხსა და ნეკერს ჯორის საკვებად. ქირაზე სიარული სარფიანი ხელობა იყო. ოჯახი ცოტა არ იყო ფეხზე წამოდგა, დღესასწაულებში და კვირა დღეობით წვნიანი საჭმელი, ხორცეულიც კი მოეპოვებოდათ სუფრაზე.

— ღმერთი მოწყალეა, არ დაგვივიწყებს, — ამბობდა ჯიუდეტა, — და ლანგარიც, როგორც უწყით, შვილებო, ბედის მომასწავებელია. — როგორც ფაელო, ისე იმისი დები მოწიწებით უცქეროდენ ლანგარს, რომელიც საუცხოვოდ იყო ნახატი მრავალი ფერადით. მხატვრობის საგნად იყო აღებული ისააკ და რებეკა. მომქმედ პირებს მეთექვსმეტე საუკუნის ტანისამოსი ეცვათ. ლანგარი ოქროს წყალით იყო მოვარაყებული, რადგან იმდროის მხატვრები ფრიად დახელოვნებული იყვნენ ამ საქმეში. ლანგარის გარშემო იყო დაწერილი შავი ასოებით და გამოყვანილი იყო მეფე, რომელიც დედოფალს სძღვნიდა ბეჭედს და ჰერცოგის გვირგვინს. ბაღებს ძლივს შეეძლოთ გარჩევა ამ სურათისა, რადგან იგი ბნელს კუნჭულში ეკიდა და, როგორც ვიცით, გარშემო მისა სხვადასხვა ბალახები იყო ჩამოკიდებული. როცა მისი გასინჯვა უნდოდათ, სანთელს მიანათებდენ და ლანგარის მხატვრობა აბრიალდებოდა ათასფერად, გამოსცემდა თვალის მჭრელს ბრწყინვალეებას, შავი ასოებიც კარგად დაეტყობოდა, თუმცა წაკითხვა არავის შეეძლო. ჯიუდეტა მოჰყვებოდა ლანგარის ამბავს, — მამა-პაპათა დროსაც აქ ეკიდა და, როგორც თქმულება არის, თვით ჩვენ ჩამომავალნი ვართ იმ წინაპართა, რომელთა ღერბი და

გვირგვინი ლანგარზე არის დახატულიო... ეს ტყუილია, რან თქმა უნდაო — ბავშვები პირდაღებულნი მოწიწებით ყურს უგდებდენ თავიანთ დიდედას.

— მართლა კი ტყუილია, ვინ იცის? — ფიქრობდა თავისთვის ფაელო. ბევრს არც თავს იტკივებდა სინამდვილის გასაგებად. ამაყი და ჩუმი ბიჭი იყო. ამხანაგები „ამპარტავანს“ ეძახდენ, რადგან არ უყვარდა იმათსავით სმა, თამაშობდა და ჩიტებზე ნადირობდა. კვირა-უქმობით არ უყვარდა დუქნებში სიარული და ლაყბობა გრძელს ზამთრის ღამეებში. ფაელო გარჩერაყს უსწრობდა, ისე ადრე დგებოდა, ჰკმაზავდა თავის ჯორაკს და გაუდგებოდა გზას ლიმონადისა, ერბოსა და წყლის ჭურჭლით დატვირთული. ფრიად დინჯი და დარბაისელი იყო. უყვარდა თავისი ბებია, უმცროსი დები და თავისი ძალღი პასტორი. მგონია, პასტორი ყველაზე მეტად უყვარდა. საუკეთესო ძალღი იყო, მართლა. თუმცა ეს მხარე განთქმულია ძალღებით, მაგრამ ფაელოს პასტორისთანა ძვირად მოიპოვებოდა, სწორედ მეფის სრა-სახლის საკადრისო იყო. ამისთანა ძალღი ნამდვილი დამამშვენებელი არის თავისი ჯიშისა: მამაცი, მშვიდი, სულგრძელი, ტანადი, ნამდვილი რაინდი. როგორმე, რომ შესაძლებელი იყოს, და თვით ხელმწიფის ცოლი ესტუმრებოდეს ჩვენს ფიჭვნარით შემოსილს მთებს, ჩვენს მთის ფერდობებზე გაბნეულს ზეთისხილის ბაღებს და მწირ სადგურებს, პასტორისთანა ძალღი უთუოდ მოდად შემოვიდოდა და დედოფალი თავის კაბას არ დაზოგავდა, რომ ზედ მოესვენებინა საყვარელი პირუტყვი.

დიდხანს იცხოვრეს ერთად ფაელომ და პასტორმა ბედნიერად. საქმის დღეში ოცდაათ ვერსს მიდიოდენ ქალაქის მტვრიან და ტალახიან გზაში. როცა ფაელო სადმე წავიდოდა, პასტორი არ შორდებოდა ურემს და ჰყარაულობდა, როგორც ადამიანი. საღამო ხანზე სახლში ბრუნდებოდენ არა ქვეითად, არამედ ურმით. თუ ჭურჭელი აღარ იყო ქალაქში წასაღები. მიემგზავრებოდენ ტყეში, უდებდენ ურემზე ჩადუნის ფოთოლს, დეკას, რომლითაც გლეხები და მეჭურჭლეები ახურებენ ქურას. ჩადუნას და დეკას უზიდავდენ ქალაქში მეშეშეებს. ხანდახან ჩალა და თივა მიჰქონდათ. ერთი სიტყვით, ზამთარ-ზაფხულს ფაელო, ჯორაკი და პასტორი მაღალკლდიან მთიდან უნდა დაშვებულიყვნენ დაბლა თავდაღმართზე, თორემ სიმშლით დაიხოცებოდენ. ეს მგელი, სიმშლიად წოდებული, ბევრჯელ მისდგომიათ კარებზე, ნამეტნავად ბოლოს დროს, როცა დაადვენ ფქვილს ხარჯი და ლუკმა გაუწყვიტეს ღარიბ-ღატაკ ხალხსა. მაგრამ ამ მგელს ფაელოს ოჯახში მაინც ფეხი არ შეუდგამს.

— უნდა მადლობელი ვიყოთ ამ დალოცვილი ლანგარისა, — ამ-

ბობდა ჯიუდეტა. „ჯორაკისა და ჩემი მადლობელი იყავით“, ფიქრობდა თავისთვის ფაელო, მაგრამ მაშინვე შეინანებდა, რადგან პატიოსანი, ღვთისმოშიში ყმაწვილი იყო.

„ვენაცვალე მაგის სიყმეს, ლამაზია, მშვენიერი, ჩემი ფაელო“, ამბობდა ჯიუდეტა, როცა დაინახავდა შვილიშვილს სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულს; — ყურს უკან ყვავილი ჰქონდა ფაელოს. მზე ბრწყინავდა იმის დიდრონ, ლურჯ თვალეში და იმის ხუჭუჭ თმაზე. გასათხოვარი ქალებიც ამასვე ამბობდენ თავის გულში, როცა ქვეშიდან გადაავლებდენ თვალს და თან თავის ქერა, ოქროსავით ბრწყინავდა ნაწნავებს ისწორებდენ ხელით. ეს კი ყურადღებასაც არ აქცევდა; ან კი სად ეცალა იმათთვის? საქმისაგან წელში წყდებოდა, ხოლო თანაშემწედ ჰყვანდენ დები და თავისი საყვარელი პასტორი.

— როცა წირვაზე მივდივარ, ჩემი პასტორი მაშინადვე გაიგებს ხოლმე და არ ინძრევა. ფეხებზე დამხედავს და, თუ წაღები მაცვია, იცის საცა მივემგზავრები.

ფაელო ძალიან უფრთხილდებოდა წაღებს და იცვამდა მხოლოდ მაშინ, როცა საყდარში მიდიოდა.

ამნაირი ცხოვრება ქალაქის ხალხს საშინლად ეჩვენება. მართლაც, არ არის ადვილი მთელი წლის განმავლობაში, ქარსა, სიცხე-პაპანაქებაში, დარსა და ავდარში წინ და უკან სიარული: წინ მიგიძღვებოდეს ჯორაკი დადებული ურმით და „აცე-აცეს“ მისძახოდე. ფაელო კი სუბუქად იტანდა ამ საშინელებას. ეს უსწავლელი, წერაკითხვის უცოდინარი ბალღი ამგვარ ცხოვრებაში თავისებურს პოეზიას და სიამოვნებას ჰკრძნობდა. სიამოვნებით ეგებებოდა მთის მწვერვალზე მდგომარე სახლიდან განთიადს, დილის ცისკარს, ვარდისფრად შეღებილს აღმოსავლეთს. გულდასმით ყურს უგდებდა მონასტრის დიდრონი ზარების გუგუნს. უყვარდა ყვავილები და, რომელიც მოეწონებოდა, ყურში გაირჭობდა, — ლერწამს სადმე მდინარის ნაპირას მოსულს, რომელსაც დანით მოსჭრიდა ხოლმე. უყვარდა აყრილს, ფიჭვის ტყეში ყოფნა, სადაც ტყის მყუდროებას არაფრის ხმაურობა არ არღვევდა... მისი ცხოვრება, როგორც ჰხედავთ, არ იყო რთული, მრავალფეროვანი. ამგვარი ცხოვრებისა და სურათების ბრალი იყო, რომ ფაელო არ გადასცილებია არასოდეს კეთილგონიერების საზღვარს, თუნდა ისეთი რამეც დამართებოდა, როცა ადამიანისა და, მით უმეტეს ყმაწვილკაცისაგან, უგუნურება მოსალოდნელია. იმას, როგორც ხშირად ემართებათ ხოლმე ძლიერ ღრმად მოხუცებულებს, უცბად მოუკვდა დიდიდედა ჯიუდეტა. საბრალომ მშვიდად განუტევა სული, გაჰქრა როგორც სანთლის ნამწვი.

შობის წინა ღამეს ჩიკაზე ცეცხლა-პირას იჯდა, უცბად ვარდა და ფაელომ ხელები შეაშველა, ბავშვები წივილ-კივილით გარს შემოეხვივნენ. მაშინ მოხუცმა ათრთოლებული თითი გაიშვირა ლანგრისკენ.

— არასდროს არ ჩამოიღო კედლიდან, — წაილულულა მოხუცმა, — არასდროს, არასდროს!.. მომეცი ფიცი!

— გაძლევ ფიცს, — წაიდუღუნა ფაელომ შემკრთალმა და შეშინებულმა დიდიდედის სახის გამომეტყველებით. მომაკვდავი დააშტერდა ფაელოს, რომელმაც არც კი იცოდა, რომ ეს სიკვდილის ნიშანი იყო.

ჯიუდეტამ თავი დალუნა, ხელები მოკრუნჩხა. ძალისძალად გაახილა თვალები. ცდილობდა რაღაცა ეთქვა.

— ჰოო, თუ ყოვლად მოწყალე ღმერთი ინებებს, — წარმოსთქვა ჯიუდეტამ და სული განუტევა.

მოკვდა ჯიუდეტა ისე, როგორც სხვა მრავალი. წმინდა, მდაბიო, პატიოსანი შრომისმოყვარე ადამიანი. იტაცებს იმათ სიკვდილი, როგორც ხმელს ფოთლებს შემოდგომის ქარი.

ფაელო უკვე თვრამეტის წლისა იყო.

შობა დღეს იყო დაბადებული.

მთელს ღამეს თვალი არ მოუხუჭავს... იწვა ხმელს თავის ლოგინზე და ქვითინებდა. მეორე ღამეს მოხუცის გვამი წაასვენეს მალლა მთაზე, სასაფლაოზე. კუბოს წინ ბაღლები მიუძღვოდნენ ჩირაღდნებით. სანთლები ციალებდა ზამთრის ცივს ჰაერში და წითელს სხივს აფრქვევდა თოვლზე.

დასაფლავების მეორე დღეს ფაელომ ისევ საქმეს მიჰყო ხელი. ღარიბს ვინ მისცა იმდენი დრო და იღბალი, რომ იჯდეს და იგლოვოს.

ამ პატიოსანი, ღვთისმოყვარე და მშრომელი ადამიანის დაკარგვამ ფაელო ფრიად დაადარდიანა, ოჯახს დალუპულადა სთვლიდა.

ტკბილი თუ მწარე ყველაფერი ფაელოსა და იმის დების ხელში დარჩა. ქოხი ქირით ეჭირათ, ხოლო ავეჯი, ჯამ-ჭურჭელი, ურემი და ჯორაკები იმათი საკუთრება იყო. ორი მისი და — კანდიდა და ვინა წამოიზარდნენ იქამდის, რომ ოჯახი ძველს წესზე ჰქონდათ დაყენებული, მაგრამ ფაელოს კი ეგონა, წინანდებურად ველარ ვიცხოვრებთო. ყმაწვილობიდან შეჩვეული იყო დიდიდედის მშვიდს, პატიოსანს, ზამთარა ვაშლივით შეჭმუხვნილს სახეს და, რომ ველარ ჰხედავდა ოჯახში, გულზე ჯავრი აწვებოდა, გავიდოდა გორაკებთან, შემოჰხვევდა ყელზე ხელებს პასტორს და ტიროდა. პასტორს უკეთესად ესმოდა მისი დარდები, ვიდრე იმის დებს.

ქალებიც დაადარდიანა დიდედას სიკვდილმა, გულწრფელად იგლოვეს, მაგრამ ერთის მხრით კიდევაც უხაროდათ, რომ უფროსობა ოჯახში იმათ დარჩათ, — აღარავინ გაუჯავრდებოდა, რად დაიგვიანეთო, როცა წყალზე წავიდოდენ, ან ჩქარა არ სწნავდენ ჭილობს.

კანდიდამ ყელზე მძივი გაიკეთა, რომელიც წარსულ შემოდგომის ბაზრობას ჩარჩმა აჩუქა, ხოლო ბებია მ აღუკრძალა ეტარებინა. ორი კვირის განმავლობაში ვერა შენიშნა რა ფაელომ, მაგრამ, დაინახა თუ არა, მივიდა, დინჯად შემოხსნა და ჭაში ჩააგდო.

ქალმა ტირილი მორთო. საიდანღაც გამოჩნდა პასტორი და დაუწყო ქალს აღერსი, უსვამდა ცხვირს ლოყაზე და უშრობდა ცრემლებს.

პასტორს უყვარდა ყველანი ისეთი თავგანწირული სიყვარულით, რომელიც შეუძლიან მხოლოდ ძალს და ზოგიერთა დედაკაცს. ისინიც კეთილად ეპყრობოდენ. მართალია, ხშირად ნახევრად მაძლარი იყო პასტორი, მაგრამ პატრონებიც ბევრჯელ რჩებოდენ მშვივრები. პასტორი, ჰხედავდა როგორ სცემდენ სხვა ძაღლებს, ამშევდენ, აბამდენ ჯაჭვით და სტოვებდენ ქუჩაში ღამე ყინვა-ზრობაში და თავის თავს ბედნიერად სთვლიდა.

პასტორი და ფაელო ტოლ-ამხანაგებივით ერთად აღიზარდენ. უკვე ცხრა წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ფაელოს მოუყვანეს ფუნჩულა, ბამბის ქულასავით თეთრი ლეკვი და მას შემდეგ განუშორებლად ერთად ცხოვრობდენ, ერთად დადიოდენ მთებში, ტყეში, სადაც იცის ბევრი მუხა, მაღალი კენწეროთი ცამდე ასული ფიჭვნი და სურნელოვანი წაბლის ხეები. დღესასწაულების დროს ერთად თამაშობდენ. მაგრამ ფაელოს ეხლა აღარ ედღესასწაულებოდა, დიდიდედას სიკვდილი გულზე აწვა, როგორც ლოდი ან ვისილა იმედი უნდა ჰქონოდა, როცა დიდიდედა აღარა ჰყავდა ცოცხალი. დღე და ღამ იმას ფიქრობდა, იშოვიდა იმდენს ფულს, რომ დები ისე შეენახა, როგორც დიდიდედის დროს იყვნენ? ხუმრობა ხომ არ იყო ხუთი ბავშვის შენახვა? მოთხოვნილება ემატებოდათ, ხოლო ქირას ჭურჭლის გადატან-გადმოტანაში იმდენს ვინ მისცემდა, რომ ყველა მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ. მოგება მეჭურჭლეებს და შეშის მოვაჭრეებს რჩებოდათ.

ჯიუდეტა სხვა გზით სძენდა ოჯახს: ამრავლებდა ქათამს, ასუქებდა ღორსა, ჰკრეფავდა და ინახავდა სოკოს. ისე შეანელებდა შეჭამადს, რომ კაცი ვერ გაძლებოდა. იცოდა ათასნაირი საშუალება ფულის დაზოგვისა; ქალებს კი ეს არ შეეძლოთ. ქათმები დახდენ და აღარც კვერცხსა სდებდენ, ღორი გახდა, შეჭამადს ხრაკის სუნი ასდიოდა და ერთხელ ისეთი სოკოც მოხვდა შიგ, რომ კინაღამ ყველანი



არ დაიხოცნენ. სახლში ბაღლინჯო გაჩნდა, მტვერი დაედო ყველა-
ფერს, კომბოსტოს ჭია გაუჩნდა. ქალებს ოჯახისთვის კარგი უნდო-
დათ, მაგრამ დაუდევრები იყვნენ. კანდიდს ხომ ჩორბი ჰქონდა დაშ-
ვებული, გაბუტული იყო მძივის გამო, რომელიც ფაელომ ჭაში
ჩაუგდო.

ფაელო ძლიერ დაღონებული დადიოდა.

— ცოლი შეირთე, ძმაო, აგრე ყოფნა ხელს არ მოგცემს; მაშინ
შენი დებიც ერთ წრეზე დადგებიან, — უთხრეს მეზობლებმა. ის კი
გაწითლდა, რადგან არა დროს ცოლის შერთვა ფიქრად არ მოსვლია
და მოკლედ უპასუხა:

— მანამ დებს არ დავათხოვებ, მე ცოლს ვერ შევირთავ. სულ
უმცროსი — ტუანეტა შვიდი წლისა იყო. მეზობლებმა გაიცინეს და
ბერი დაარქვეს. ფაელოს არ ეცილებოდა.

მართლაც არ გაუვლია ერთ-ორ თვეს, რომ შემოხვდა ქალი, რო-
მელმაც ახლოს გაუარა, შეჰხედა თავის მსხვილი, ცისფერი თვალე-
ბით, სხვებსავით ქურდულად კი არა, პირდაპირ სათნოიანად. ქალაქ-
ში რომ მადონები ენახა, იმასა ჰგავდა ქალი. ფაელო იმას არა დროს
არ დალაპარაკებია. ვერც გაუბედავდა, რადგან ეს იყო ქალი მდიდა-
რი მეჭურჭლისა, რომლის დიდრონი წითელი ქვევრები ფაელოს მიჰ-
ქონდა გასასყიდად ფლორენციაში. ეს ქალი ეხლახან გამოვიდა მო-
ნასტრიდან, სადაც იგი იღზრდებოდა და ხელსაქმეს სწავლობდა. ფა-
ელოსთვის ისე მიუწვდომელი იყო, როგორც ხელმწიფის ქალი. მი-
უწვდომელი იყო, მაგრამ ფიქრს ხომ ვერავინ დაუშლიდა. სულ იმაზე
ფიქრობდა ფაელო. ეს იყო და ეს.

ერთხელ ქალმა პასტორს თავზე ხელი გადაუსვა. ფაელომ სწო-
რედ იმ ალაგას აკოცა პასტორს, სადაც ქალის ხელი შეეხო. მაგრამ
მალე იგრძნო ამ კოცნის უხერხულობა და გაწითლდა.

იმ გაზაფხულის დღეს, როცა ქალმა პირველად შეჰხედა თავის
მადლიანი თვალებით, ფაელოს სულ ეს თვალები ელანდებოდა, მალ-
ლა ცაში და დაბლა ყვავილთა შორის, სწორედ ამ დროს ეწვია უბე-
დურება. ერთი ჯორი მოუკვდა; მეორემ ფეხი მოიტეხა. ფაელოს
ამიერიდან ხელ-ფეხი დაემტვრა. დარჩა მშრალზე, როგორც უწყა-
ლოდ გარიყული თევზი. არსად პური, არსად ფული — ვაჰმე, ამომხ-
და სულიო, რომ იტყვიან, სწორედ ამის მსგავსი იყო ფაელოს მდგო-
მარეობა. არც ფული ჰქონდა, რომ სხვა ჯორები ეყიდნა და პური
საიდანღა მოვიდოდა, სამუშაო რომ აღარა ჰქონდა საბრალოს?!.
მღვდელი შეეცადა მეზობლებში მოეგვარებინა ცოტაოდენი ფული,
მაგრამ ვერ მოახერხა, ყველა ამას ამბობდა: რა უჭირს, ჯეელი ბიჭია,



სხვები უფრო ბევრია მაგაზე გაჭირვებულო. მისი მეზობლებიც ღარიბები იყვენ. თვით ქარხნის პატრონმა, რომელსაც იგი ემსახურებოდა, ფულზე უარი უთხრა.

მეტი ხარა არ იყო, უნდა ექირავნა ერთი ჯორი, მაგრამ ქირათითქმის ჯორს მიჰქონდა. გაჭირდა საქმე. საჭამადის სადულარი გაუქმდა. ფაელო ცალიერ ხმელ პურზე იყო და იმასაც ცოტასა სჭამდა, ნახევარს თავის პასტორს უზიარებდა.

ერთხელ უქმე დღე იყო. ქოხთან ვილაც უცნობი მოვიდა. წყალი მოითხოვა. მოუტანეს, დალია და სთქვა: — გავიგონე, რაღაცა საყურადღებო ძველი ლანგარი გქონიათ, არ შეიძლება მაჩვენოთ?

— შეიძლება, რატომ? და მიუთითა კედელზე.

უცნობს უნდოდა ლანგარის ჩამოღება; ის იყო, ხელი უნდა შეეხო, მაგრამ ფაელომ შეაჩერა: — ნუ, ნუ ჩამოიღებთ. მაგისტვის ჯერ ხელი არავის არ გვიხლია.

— ხელს არ ახლებთ? — ჰკითხა კვლავ უცნობმა განცვიფრებით და სთხოვა, ჰრაქი აენტოთ.

— ნაგდები დაძველებული ნივთია. ხუთ ფრანკს მოგცემთ, — სთქვა უცნობმა და გააქრო სანთელი.

— ვერ გავყიდი, — მიუგო ფაელომ.

— რა ამბავიაო? ეს ხომ უსარგებლოა თქვენთვის, გიკიდიათ აქ ტყუილად. ჰა, ათი იყოს!

ფაელომ თავი გაიქნია.

უცნობი თანდათან უმატებდა; ათი ფრანკი გახდა ოცად, ოცდახუთად, ოცდაათად, ორმოცად, ასე რომ ნახევარ საათში ას ფრანკზე ავიდა.

ასი ფრანკი! ფაელო ამ ფულის ხსენებაზე დნებოდა, ამით ჯორაკის ყიდვა შეიძლებოდა, მაგრამ მაინც უარი განაცხადა: — არა ვყიდითო. გაბრაზებული უცნობი გამოვარდა ქოხიდან და გასწია თავის გზაზე.

უცნობი ძველი ნივთებით მოვაჭრე იყო, ლანგარი ძლიერ მოეწონა, იცნო რაც საქონელი იყო — ურბანის საუკეთესო მხატვრობა.

— შე, ხეპრევე შენა! — გაილანძლა ტოსკანელი ჩვეულებისამებრ, — რა ხელსაპყრი მაგ მზითვის ლანგარს, რომ ჩამოგიკანკურებია კედელზედ? გახმი!

მაგრამ ფაელო არ გახმა. ყოველდღე მტვერში, პაპანაქებაში მიდიოდა ქალაქში დატვირთული ურმით, ეჭირა ხელში გამხმარი პურის ქერქი, რომელსაც პრასას ატანდა. ცარიელი პურიც კი მძღრივ არა ჰქონდა. ხანდახან ერთი ჭიქა უხეირო ღვინოს თუ გადაჰკ-



რავდა, ისიც ძლიერ იშვიათად, რადგან ღვინო ძვირი იყო, წარსული წლის მოუსავლობამ დააძვირა. ხეირიანი ღვინის დაღვევა მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ...

მას შემდეგ, რაც მოვაჭრე წავიდა გაბრაზებული, ვინც არ მგონია, მოდიოდა ლანგრის სანახავად, ევაჭრებოდენ და სხვადასხვა ფასს აძლევდენ. ფაელოს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ეს კაცები წინანდელი ვაჭრის მოგზავნილები იყვენ. ამ ვაჭრებს, ცოტა არ იყო, ცდუნებაში შეჰყავდათ ყმაწვილი ბიჭი: დაქირავებული ჯორი უვარგისი გამოდგა; ქირას, რასაც იღებდა, თითქმის მთლად ჯორის პატრონს აძლევდა, თავად კი აღარაფერი ჰრჩებოდა. მაინც დიდდედის ანდერძს არ ჰლალობდა. ხშირად ლოცულობდა მუხლმოდრეკილი დიდდედის საფლავთან, ევედრებოდა ღვთისმშობელს თეთრის გალავნით შემოვლებულს სასაფლაოზე, მაღლა გორაკზე, რომელზედაც არ მოსჩანდა არც ჯვარი, არც ძეგლი და თამამად შეეძლო ეთქვა: ბებია ჩემო, ნუ გეშინიან, შენს ანდერძს არ ვუღალატებო!

მეჭურჭლის ქალიც დადიოდა სასაფლაოზე, დედის საფლავის თაყვანსაცემად. ერთხელ-ორჯელ ფაელო შეხვდა იმას იქ და თავი დაუკრა, თუმცა პირდაპირ, თამამად არ შეუხედნია, როგორც ოდესმე თვით ქალმა შეჰხედა იმას, თუმცა კი გული ძლიერად უცემდა,

ერთხელ გახედა და ქალის დედის საფლავზე რამდენიმე ყვავილი დასდო — აბა, გაიგებს, ვინ დასდო ეს ყვავილებიო? მაგრამ საით გაიგებდა, ყვავილებს ხომ ლაპარაკი არ შეუძლიანთ?! ქალიც არ ელაპარაკებოდა ფაელოს, მხოლოდ მის პასტორს ეალერსებოდა; თავზე ხელს უსვამდა. ძალლიც დაუმეგობრდა მას შემდეგ, რაც პირველად ერთმანერთი გაიცნეს და ქალმა მიუაღერსა.

— ძალიან კარგი ქალია დეა და კარგ მზითვსაც მისცემს მამა, — სთქვა ერთმა მისმა მეზობელმა, როცა მკას მორჩინენ საღამოთი. ცაზე ვარსკვლავებმა დაიწყეს ჭიკჭიკი, ხოლო მთაზე, ღელეში და ნამჯაში ციციანათელები ციმციმებდენ.

— არა სტყუი, ძალიან კარგი ქალია, — სთქვა მეორემ, — ხმა დადის, ტიტას აძლევენო.

ტიტა ახალგაზრდა, ხელობით დალალი იყო, შეძლებული და მოქეიფე. კარგს ცხენებს ინახავდა საჯდომად. ზამთრობით თეთრი ხავერდის ტანსაცმელს იცვამდა, ზაფხულობით ტილოსას. ძველს, გარუჯულს კოშკში ცხოვრობდა, რომელიც იქვე ახლო მაღლობით გადმოიყურებოდა. მთელი ოლქის გმირი იყო. ამ სიტყვებს რომ ისმენდა, ფაელოს თვალწინ უბნელდებოდა — ცაზე ვარსკვლავნი,

დაბლა, დედამიწაზე ციციანთელები სინათლეს და ბრწყინვალეობას
ჰკარგავდენ. მის თვალში ყველაფერი ძაძით შეიმოსა.



თან ამასაც ფიქრობდა, მე დეა მშურდეს ვილაცა ტიტასთვის? ტიტა იყოს, თუ სხვა, დეა ხომ მე არ წამომყვება. სად მე, სად მისი დედოფალისავით ცისფერი თვალები, სქელი ნაწნავები, ყველაზე ძვირფასი ლალის მძივი, ხუთი ათასი ფრანკი ქრთამად და ახლა სხვა მზითვევი, რამდენი საცვალი, ქვეშაგები... ეჰ!

ის უნდა დამტკბარიყო მხოლოდ ცქერით, თვალებისთვის, როგორც იტყვიან, წყალი დაეღვევინებინა, როცა დეას თვალს მოჰკრავდა სადმე და სხვა არაფერი.

ამის ხვედრია, სიმშლილი მოიგერიოს, ააშოროს თავის უმცროს დებს. ქალის მამა ხომ ყურადღებას მხოლოდ იმიტომ აქცევდა, რომ უზრდელი კილოთი რამ ებრძანებინა, ან გასწორებოდა შაბათ საღამოს: ფაელო იმის მუშა-მოჯამაგირე იყო და სხვა არაფერი. ბატონი ბალტაზარი ცხოვრობდა მშვენიერ სასახლეში, ოქროს საათი ჰქონდა, დიდი კაცი იყო, იმპრუნეტელების აზრით. როგორც ლაპარაკობდენ, იმას შეეძლო ფრანგული ბანკის ბილეთებით აევსოთ ორმეტი ცალი წითელი ქილა და მაინც კიდევ მდიდრად დარჩენილიყო. შეიძლება ეს ხმები გადაჭარბებულიც ყოფილიყო.

რაც უნდა იყოს, ფაელოსათვის ბალტაზარი მიუწვდომელი კაცი იყო.

მშვენიერი გაზაფხულის ტაროსი იდგა; ცხელოდა, რა თქმა უნდა, მაგრამ საღამო-საღამოობით ჰაერს ჟუჟუნა წვიმა აგრილებდა. პური, შვრია და ქერი უხვად მოვიდა, ყურძენსა და ზეთისხილსაც კაი პირი უჩანდა. ფაელოსათვის კი ერთიც არსად იყო.

ჯიუდეტას სიკვდილის შემდეგ ოჯახს რამდენიმე უბედურება ეწვია. კანდიდას ყელი დაუსივდა, დიდხანს იავადა, როგორც იყო გამოკეთდა და სულ იმას სჩიოდა, მძივი რომ მქონოდა ყელზე, ჩემ სიცოცხლეში ავად არ გავხდებოდიო. კანდიდას არა ჰქონდა კარგად გათვალისწინებული ოჯახის მდგომარეობა და, როგორც თხუთმეტი წლის გოგოს, უყვარდა კოხტაპრუწობა. დიდიხნის ავადობის შემდეგ, ღორიც მოკვდა. ხუთი დედალი საქათმიდან დილაადრიან, როცა ფაელო და პასტორი სახლიდან გასულები იყვნენ, ვილამაც მოჰპარა. პატარა ანტუანეტა ალუბლიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. სამი და ავადმყოფების მოვლას უნდებოდენ, სარეცხის რეცხას, პურის ცხობას, მაგრამ საოჯახო საქმეს მაინც ვერ უძღვებოდენ.

ფაელოს შინ ბევრი საქმე უხვდებოდა გასაკეთებელი, დასაკო-



წიწებელი, გასაწმენდი, ბოსტანში სამუშაო. ხშირად სარეცხსაც თითონ ირეცხავდა.

რამდენიც დრო გადიოდა, ფაელო ლანგარს მომდურავი თვალით უცქეროდა და ჰფიქრობდა: როდისღა უნდა გვწიოს ამ დალოცვილ-მა ბედსაო. ფიქრად კი მაინც არ მოსვლია არასდროს მისი გაყიდვა. ლანგარის გაყიდვა იმოდენავე ცოდვად მიაჩნდა, როგორც დიდ-დედის სამაროდან ამოღება, — თითოდან ბეჭდის გაძრობა, ან სუდარის შემოძარცვა. საღამ-საღამოობით, როცა ფაელო ჭასთან ჰრეცხდა თავის პერანგს, ან შეშას აპობდა, ჰხედავდა, როგორ მოაქევექევებდა ტიტა თავის ლურჯას და გული უკვდებოდა. მეზობლებიც დასცინოდნენ: „ოჰო, აგერ მიდის, ბიჭო, მიდის ბალტასარის მოსაბირებლად. იცის ბიჭმა და, როგორ იგდოს ხელში დეიას სიმდიდრეო“.


ფაელოს ამის გაგონება ისე ხვდებოდა, თითქოს გულში დიდი ლოდი დასცხესო. და ჰფიქრობდა, ვერ ავიტან უკულმართს ცხოვრებასო. მაგრამ ამგვარი წუთების კვალი მალე ქრებოდა: მამაცი გულის პატრონი იყო და მასთან მომთმინო. დილაადრიან შეუდგებოდა თავის საქმეს.

მარიამობისთვის გვალვიანი იყო, ძლიერ ცხელოდა. ერთხელ დილით ადრე გარიჟრაჟზე ფაელო ჩვეულებრივ გაემგზავრა თავის ურმით. პირველი სხივი განთიადისა ის იყო წითლად გამოჩნდა მთის მწვერვალზე. ფაელო დაჯდა ურემზე, პასტორიც შეხტა და ორივენი პურუჭმელები გაემგზავრნენ მეჭურჭლესკენ. მძიმე საპალნე ჰქონდა წასაღები, ქალაქელ მეზალეს შეეკვეთა აუარებელი სხვადასხვა ფერის ქოთნები, წვრილი და მსხვილი. სხვასაც რაღაცას ავალებდნენ. შეგირდმა მისცა დაბეჭდილი წერილი.

— ჰხედავ, ფულია. უნდა ბანკში შეიტანო, რაწამს ურემს მიიტან, მაშინვე, ოსტატი გენდობა, იცის, რომ პატიოსანი ბიჭი ხარ.

ფაელო სიამოვნებისაგან გაწითლდა. პირველად ეხლა გაიგონა სალბუნო სიტყვა. იგრძნო, რომ ეხლა დეიასთან ახლო იდგა, რადგან მისმა მამამ პატიოსან კაცად იცნო და ფული ანდო. ფაელო გაცოცხლდა, გამხნევდა, კარგა ხანია ასე ბედნიერად არ უგრძვნია თავი. გაუქნია ჯორაკს შოლტი და გასწია. ხოლო წინ, ჩვეულებისამებრ, მიხტოდა მისი პასტორი — თეთრი, როგორც უმტვერო თოვლი.

ფაელო ბედნიერი იყო. იგი უახლოვდებოდა დეას. რად ანდო მაშ მისმა მამამ ფულები, თუ განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდა? ფულები იმას, როგორც ამბობდნენ, თავის სულს ურჩევნია და მომეტებულად უყვარს, ვიდრე თავისი ქალიო.



მზე ამობრწყინდა და თავის სხივებით მორწყო ვოლდასნო, იტაზის ზარებმა წირვისა დარეკეს. ფაელო დაემხო იქვე გზის პირად ჯვარცმის წინ მტვერში, წარმოსთქვა ლოცვა და უფრო მომეტებული ბედნიერება იგრძნო.

პასტორი კი შესჩერებოდა ფაელოს, ლოცვა რომ გაათავა, ძალღი შეახტა და მკერდზე ტოტები მიაბჯინა. ფაელომ აკოცა.

— პატიოსნებას, ჩემო პასტორო, ვითომ არაფერი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში, მაგრამ იცი რა არის, როცა პატიოსნებისათვის გაქებენ! პასტორი წინ მიძუნძულებდა, თან ბუთქვს კუდს იქნევდა აქეთ-იქით და თითქოს ამბობდა, ძაღლები მუდამ პატიოსნები არიან, მაგრამ ამისთვის არც ვინ აქებს და არც ენდობაო.

როცა კარგად გათენდა, უკვე ქალაქს მიაღწიეს. ქუჩები ჯერ ისევ ცარიელი იყო. მხოლოდ მშვენიერი სუნი ტრიალებდა ვარდის და იასამნისა, რომლებიც გასასყიდად გამოეტანათ. ურემი რომ დაცალეს, უკვე თერთმეტი საათი იყო. ძაღლსა და მის პატრონს ძალიან ჰშიოდათ.

— მოდი, ჩემო პასტორო, ჯერ ფული შევიტანოთ ბანკში და მერე ვისადილოთ, — უთხრა ძაღლს ფაელომ და გასწია ცარიელი ურმით ბანკის საპოვნელად. ჩვეულებისამებრ პასტორი ჯორს დაუყენა და თვითონ შუშაბანდიან ბანკის კარებში შევიდა.

მოხელეებმა გააჩერეს და დიდხანს აცდევინეს მეორე სართულის ვიწრო დერეფანში. ეტყობოდათ, ბევრი საქმეები ჰქონდათ, რადგან იმ დღეს ბაზრობა იყო. თითქმის ერთი საათი დაუგვიანდათ, ვიდრე ბარათს დაუწერდენ. ერთი საათი მთელ დღედ ეჩვენა ფაელოს, ისე შეაწუხა შეხუთულმა ჰაერმა, სიცხემ და სიმშიმლმა. თანაც ეცოდებოდა თავისი პასტორი, სიცხე-პაპანაქებაში მართოდ მიტოვებული, ისიც მშიერი. სანუგეშოდ ისა ჰქონდა, რომ ურემს და ჯორაკს არაფერი დაუშავდება, ვიდრე პასტორი ჰყარაულობსო.

უკვე თორმეტი საათი იყო, როცა ფაელოს ბარათი ჩააბარეს. შუადღის ჰაერი მარიამობის თვეში ძალიან მავნებელია კაცისა და საქონლისათვის.

ფაელომ კიბე ჩამოირბინა, ქუჩას თვალი გადაავლო... აღარც პასტორი, აღარც ჯორაკი და ურემი!

მოჩვენება ეგონა, თვალი მატყუებსო, ჰფიქრობდა. მერმე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, პასტორს დაუძახა.

იქვე ჩრდილში წაღების მწმენდელს ჰქონდა ფანჩატური, ყვირილზე გამოელვია და ხელი დაუჭირა.

— რას ყვირი, ძმობილო, არ იცი მაგ ყვირილისთვის შენც დაგიჭერენ და წაგიყვანენ, როგორც შენი ძაღლი წაიყვანეს.

— რაო? — შესძახა ფაელომ ისეთი ხმით, რომ ამ ყვირილს გული თან ამოატანა. წალის მწმენდელმა თავი ჩაიქნია.

— ყელზე თოკი მოაბეს, დიად, ხომ იცი კანონი — თუ საპირე არა აქვს, ძალს ქუჩაში არ გაატარებენ. უკანიდან მიეპარნენ და ფიუ! ხელად ამოსდეს ყელზე თოკი. რა გაკვირვებით მიცქერი? ძალ-ლი ცოცხალი იყო, როცა ურემში ჩააგდეს.

— ურემი, ჯორი?! — ამოიკვნესა ფაელომ.

— ჰოო! ვილაცამ წაიღო ურემი, ძალლი რომ წაიყვანეს, იმის შემდეგ. მე ყველაფერი კარგად დავინახე, მაგრამ რას ვეტყოდი, ვინა მკითხავდა? — ფაელომ ისე შეჰღრიალა, რომ მთელი ქუჩა შეინძრა.

— პასტორ, პასტორ! ჩემო ძაღლო, ჩემო ძმაო, ჩემო მეგობარო!.. ოჰ, წყეულნო!

— სუუუ, ჩუმად! თუ ლანძღვა-გინებას მოჰყვები, შენც დაგიჭერენ, — უთხრა წაღების მწმენდელმა. ამას წინად ჩემი შვილი დაიჭირეს ძაღლის გულისთვის, არ ანებებდა. ნუ ღრიალებ კი, გაიქე ჩქარა, ჯერ არ მოჰკლავდენ, თუმცა საწყალი იხრჩობოდა, ისე მოუჭირეს თოკი. გასწი ჩქარა!

უჩვენა გზა, საით წასულიყო. ფაელომ აღარ დაიგვიანა, გაიქცა ფეხშიშველა გახურებულს ქვებზე თავგადაგლეჯილი. ურემი და ჯორი სრულიად დაავიწყდა, მხოლოდ თავისი მეგობარიღა ახსოვდა.

ფაელო თითონაც ცოფიან ძაღლსა ჰგავდა. არ იცოდა, რას ჰშვრებოდა, თვალები სისხლით ავსებოდა, ენა სასაზე მიჰკროდა, ტუჩებზე დორბლი ჰქონდა მოდებული. მივარდა კარებს და ორივე ხელით ცემა დაუწყო.

— ჩემი ძაღლი! ჩემი ძაღლი!.. რა უყავით? სად არის ჩემი პასტორი? ვილაც მოხელე გამოვარდა და შეუტია ფაელოს. ფეხშიშველა, საკინძჩამოგლეჯილს, მტვერში ამოგანგლულს ადამიანს მოხელე პატივს არა სცემს.

— თქვენ მომპარეთ ძაღლი! — ყვიროდა ფაელო, — თქვენა გყავთ აქ დამალული. მაჩვენეთ ჩემი ძაღლი, გამიშვით, თორემ დაგხოცავთ ყველას. გამიშვით-მეთქი, გამიშვით! მომეცით ჩემი ძაღლი.

— დაიკარგე აქედან, შე სულელო! ემ საათში ვუბრძანებ, დაგატუსალონ, — მიუგო მოხელემ, ჰკრა ხელი და ჩამოარახრახა კიბეზე, თანაც კარი მიჰხურა. ფაელო ისევ ეცა კარს და დაუწყო მუშტებით ცემა.

— ქურდებო! მოსისხლენო! შემიშვით, შემიშვით სახლში! რა, ნება გქონდათ, ხელი გეხლოთ ჩემი ძაღლისთვის? რას აშავებდა. თავისთვის ჰკვიანად ურემს ჰყარაულობდა. მოჰკალით განა და ურე-

მიც დამიკარგეთ?! გამიგონეთ, ღმერთი არა გწამთ, გამიგონეთ. ე? ძალლი ჩემს თავს მირჩევნია. რამდენს ტანჯვას იტანს ჩემთან ერთად, ჩემსავით მშიერია, ჩემი ძმაა! როგორ ახლეთ ხელი, როგორ? თქმ, ჩემო ძალლო, ჩემო სიცოცხლევ!.. გაიგონეთ, ყველაფერს ვიკისრებ, ყმად დაგეწერებით, ოლონდ ჩემი ძალლი მაჩვენეთ. მე თუნდა ციხეში გამგზავნეთ, ოლონდ ეგ შინ დაუბრუნეთ ჩემს დებს. არ გინდათ? არა? არა? გაიგონეთ?

ფაელოს ყვირილი მხოლოდ კარებსა და კედლებს ესმოდა.

ფაელო ხან ხესა სცემდა, ხან ქვას, ტიროდა, ხან ევედრებოდა, ხან გაჩუმდებოდა და მოუთმენლად ელოდა პასუხს. მზე კი თავისას შვრებოდა, აჭერდა თავზე გახურებულს სხივებს და სისხლი აუვარდა თავში.

— რალა ვქნა? ოჰ, ძვირფასო სან-როკო, შენ გიყვარს ძალლები. უშველე ჩემ პასტორს, უშველე შენი მაღლის ჭირიმე!

მერე თვალთ დაუბნელდა და დაეცა. მზე მაინც თავისას შვრებოდა. როცა გონებაზე მოვიდა, ფანჩატურს ქვეშ იწვა, თავზე წალების მწმენდელი ადგა.

— კარგად მოვიქეცი, რომ უკან დაგედევნე, — ამბობდა წალების მწმენდელი, აჰა, როგორა ხარ? მზის ბრალია, ქუდი კეფაზე დაიხურე, შენი ბრალიც კია — ძლიერ ბრაზობ.

— ძალლი! — წარმოსთქვა ფაელომ გამხმარი ტუჩებით და როგორც იყო აღონდილდა ფეხზე.

— შენ, ძამიავ, უნდა თავმდაბლად მისულიყავი და ისე გეთქვა, რაც სათქმელი გქონდა, მაშინ შეგიშვებდენ სახლში. რა საჭიროა ლანძღვა? ისინი ჩვენზე ძლიერნი არიან. ისინი კარების მარჯვნივ დგანან, ჩვენ მარცხნივ. მაგათი ბამბა ჩხრიალებს და ჩვენი კაკალიც არა. კარგია კიდევ, რომ შუადღეა და ყარაული არავინ იდგა ქუჩაზე, თორემ შენც დაგატუსაღებდენ. ჩემი ნაცნობი მჭედელი სამი კვირით ჩასვეს ციხეში მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი ლამაზი, შავი ძალლი გაათავისუფლა მაგათ ხელიდან. არ იცნობდა წინად, არ ენახა, მაგრამ შეეცოდა: ოოო! ძალიან მშვენიერი დროებაა! ეს ის თავისუფლება გახლავთ, რომლის მოსაპოებლად ჩვენ მოხუცებულნი, ვიბრძოდით. ოჰ, ღმერთო, რა სულელები ვიყავით, რომ თოფს ვისროდით: თვითვეულმა გასროლილმა ტყვიამ ახალ-ახალი გადასახადი შემოგვძღვნა. მშვენიერი დროა, მშვენიერი!.. ცოტა ხანს აქ მომიცადე, დადეგ ჩრდილ ქვეშ. შენ, ჩემო კარგო, ჯერჯერობით ვერაფერს დანახავ! შენს ძალლს მეც ვიცნობ, წავალ და ვნახავ ცოცხალია, თუ მკვდარი.

ფაელო ხეს მიჰყრდნობოდა ზურგით და უცდიდა. თავბრუ ესხ-

მოდა, ცეცხლი ეკიდებოდა. ძაღლის წამყვანები რომ ენახა, დაპხო-
ცავდა ყველას. წვრილმანი კანონები ხშირად დიდ დანაშაულს ჩაადე-
ნინებენ ადამიანს. საუბედუროდ ეს ხშირად გვავიწყდება.

თვითეული წამი ფაელოს წელიწადად ეჩვენებოდა. როცა იყო
წაღების მწმენდელიც დაბრუნდა.

— ცოცხალია, ცოცხალი, — წარმოსთქვა იმან სხაპასხუბით, —
აღიკაპი დაუდვიათ, ეტყობა საშიშარ ძაღლად სთვლიან; დაღონებუ-
ლია და თუ მალე არ გამოისყიდე, ამაღამ მოუკლავს არ გაუშვებენ.
საწყალი ძაღლი!

ფაელომ ღრმად ამოიკვნესა.

— ფულებს თხოულობენ სულ ორმოცდაათ ფრანკს. ოცდახუთს
ჯარიმაში გთხოვენ, მეორე ოცდახუთს იმიტომ, რომ ძაღლს უკბენია
თოკის ჩაღების დროს. ნაკლებად ვერ შეიჯერებ.

— ორმოცდაათი გროშიც არა მაქვს.

ფაელომ თავი დაჰკიდა და ქვითინი დაიწყო. წაღების მწმენდელი
მხრებში შეიშმუშნა და იღვა გაჩუმებული.

— ვაი ამისთანა თავისუფლებას. რაზე ვინოცდით თავებს საცო-
დავები?! — ფაელოს არ ესმოდა მისი საუბარი, იგი მთელი ტანით
თრთოდა, თითქოს გაუციებიაო.

ორმოცდაათი ფრანკის გულისთვის უნდა თავის საყვარულ ძაღლს
გამოსთხოვებოდა.

— თუ ძაღლი გიყვარს, ფულიც უნდა იშოვო, — სთქვა წაღების
მწმენდელმა, — მერე ხმა დაიდაბლა, — იმათ გულით სწადიანთ ძაღ-
ლის მოკვლა. ერთს დოსტაქარს დიდი ხანია შენს ძაღლზე თვალი
უჭირავს. იმედი აქვს, ხელში ჩავიგდებ, ცოცხალს გავსხებ შუაზე,
დავთხრი თვალებს ან დავწვაგო. განუკურნავი აღარა დაგვრჩება რაო,
ბრძანებენ ეს ვაჟბატონები. ფაელომ რაღაც წამოიძახა და, როგორც
კურდღელი, გაუსხლტა ხელიდან წაღების მწმენდელს, გაიქცა თავგა-
დაგლეჯილი, გაირბინა თეთრი, განიერი ქუჩა და ბაღი. ფაელო გა-
ლომებული იყო.

— წყეულებო, შეჩვენებულეზო! ოჰ, უღმერთოები! — იძახდ,
გახელებული.

რა ექნა, როგორ მოქცეულიყო? გრძნობდა კი რომ რაღაც უნდა
დაჯდომოდა, ყველაფრისთვის მზად იყო, ოღონდ ორმოცდა ათი
ფრანკი ეშოვნა. მზად იყო საყდარი გაეტეხა, ან ყაჩაღურად ვისმე დაპ-
ხვედროდა გზაში, მაგრამ ჯერ ვალის აღებას ფიქრობდა. თუ ეს არ
მოხერხდებოდა, მაშინ თავის სიკვდილს არჩევდა, ხოლო პასტორს
კი არ მოაკვლევინებდა ტანჯვით, როგორც გადაწყვეტილი ჰქონდათ
იმ „უღმერთოებს“.

უცებ ფიქრმა გაუელვა: იქნება ბატონმა ბალტასარმა მასესხოს? მთელი დღე და ღამე ფაელოს პირში ლუკმა არ ჩასულა. ოფელში ჰქონდა გაწურული. თვალებს წინ უბნელდებოდა ცალკე ჯავრისა და ცალკე მტვრისაგან, თავში სისხლი ჩაქუჩივით სცემდა, მაგრამ მაინც მიდიოდა პირდაპირ ნაცნობ გზაზე. თუნდა თვალები აეხვია ვისმე, მაინც გზა არ აერევოდა. ფაელო დაღლილ-დაქანცულს, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს ირემსა ჰგავდა, რომელიც ცდილობს როგორმე გაეხვეწიოს მონადირეებს.

არ ახსოვდა, სოფელში როგორ მივიდა, იმოდენი მანძილი სად როგორ გაიარა, ხან მიდიოდა ნაბიჯით, ხან მირბოდა, ხან მიძუნძულდებდა. უკვე ოთხი საათი იყო, როცა იმპრუნეტაში მივიდა და პირდაპირ ბალტასარის ეზოში შევიდა.


წინად არადროს არ მისულა ფაელო ასე უდროოდ ბალტასარის სანახავად. ალბად ფული დაჰკარგა და იმიტომ მოვიდაო, იფიქრა შეგირდმა და მაშინვე შეატყობინა ოსტატს.

— ფული დაჰკარგე განა?!. ამ საათში პოლიციაში გაგგზავნი — დაუყვირა ალეწილმა მეჭურჭლემ. ფაელომ ჯიბეში ხელი ჩაიყო და ამოიღო ბანკირის ბარათი. ბალტასარმა ჩამოართვა, წაიკითხა, დაკმაყოფილდა, მაგრამ ერთხელ მაინც კიდევ გაილანძლა, რადგან ტყუილ-უბრალოდ შეაწუხეს.

ფაელოს გული ყელში ჰქონდა ამომჯდარი და ისე უამბობდა მეჭურჭლეს თავის ამბავს. თვალთაგან თხილის ტოლა ცრემლები სდიოდა და უღარავდა პირისახეს. ემუდარებოდა ბალტასარს, ესესხებინა მისთვის ორმოცდაათი ფრანკი.

— ბატონო, შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე, — ამბობდა ტირილით დახოჭილი ფაელო, — არ შეგაწუხებდი, ჩემთვის რომ მინდოდეს ეგ ფული, მაგრამ რა ვუყო ჩემს საყვარელს პასტორს, რომელსაც დებზე მეტად ვუყვარვარ, ეხლა ცხრა წლისაა და ამ ცხრა წლის განმავლობაში ჰყარაულობდა თქვენს საქონელს ზამთარ-ზაფხულ, დღედაღამე ერთგულად, თავდადებით... ნუთუ თქვენ მოინდომებთ ჩემი პასტორის დატანჯვას და სიკვდილს? თქვენ შეგიძლიანთ მისი დახსნა. ჩემი ღმერთი თქვენ იქნებით. არ მოვხუჭავ დღედაღამ თვალს, ყმად დაგეწერებით, პირდაპირ ყმად, რასაც შემომიკვეთთ. ყველაფერს გავაკეთებ, უქმე დღესაც კი არ დავისვენებ, ამას ვგონებ, რომ წმინდანები არ მიწყენენ, ოღონდ მიშველეთ, მომეცათ ფული... უშველეთ საწყალ დატუსაღებულს ჩემ პასტორს. მერწმუნეთ, ბატონო, დაიჯერეთ, ვფიცავ მაღალ ღმერთს, დღედაღამეს გავასწორებ და თქვენ ვალს კი არ შევინარჩუნებ, თქვენის ცოლ-შვილის

მზეს, შემეწიეთ. დღეს თუ არ მივიტანე ფული, შექველად მოჰკ-
ლავენ.



ფაელო უცბად გაჩუმდა და შეაჩერდა მეჭურჭლის უცვალებელ, გაშეშებულ სახეს.

დააკვირდა მის მოკუმულ ტუჩებს, რომელთაც უნდა წარმოეთქვათ ფაელოს სამკვდრო-სასიცოცხლო განაჩენი.

ბატონმა ბალტასარმა ამ სიტყვების გაგონებაზე ტუჩები ჯერ უარესად მოკუმა და მერე ოდნავ გაიღიმა.

— ქვეყანაზე ცოტაა ძალლი? განა სხვას ვერ იშოვი. შენისთანა ღლაპს მაგოდენ ფულს ვერ ვანდობ, არ შემიძლიან.

ფაელოს ხმა აღარ ამოუღია, წამოდგა ზეზე და ტანის რყევით განშორდა მეჭურჭლეს.

— აქ რალაც ამბავია, — სთქვა შეგირდმა, — ეგ კი არა, ეგ ბიჭი უთუოდ მთვრალია...

ფაელო გულჩათუთქული, ცოცხალ-მკვდარი ეზოდან გზაზე გავიდა. შუადღე გადასული იყო, ჰაერი ტყვიის ზოდვიით აწვებოდა. ერთი ფოთოლიც კი არ ინძრეოდა სიცხისაგან გარუჯულ ხეებზე. არც ერთი ფრინველი ხმას არ იღებდა.

ფაელო გაქვავებულივით იდგა და ამღვრეული თვალებით შესჩერებოდა უფერულს ცას. ის ფრიად ღვთისმოყვარული ყმაწვილი იყო, ეშინოდა ღვთისა, ცოდვისა, მაგრამ ეხლა კი მზად იყო ჩაედინა ღვთის და რჯულის წინააღმდეგი საქციელი. ამ დროს უცბად ვიღამაც ხელი მოჰკიდა. მიიხედა და დაინახა დეია, რომელმაც ხელში ხუთი ფრანკი ჩაუდო.

— მაგის მეტი არა მაქვს და რა ვქნა. აჰა, წაიღე და მოიხმარე, — ერთი ეს მითხარ, რას გიკეთებს ის მზითვის ლანგარი, რატომ არ აიღებ და არ გაჰყიდი?

ფაელო ისე იყო დაფიქრებული და დადარდიანებული, რომ დეიას ხელის შეხებამაც კი ვერ გაასხვაფერა მისი მდგომარეობა.

— მზითვის ლანგარი?! აღთქმა რომ მაქვს, ხელი არ ვახლო?

— იმან რომ სთქვა, რად ივიწყებ: „უკეთუ ღმერთი ინებებსო“. შენმა დებმა მიაძბეს. ღმერთს სწორედ ეხლა ჰნებავს, — წარმოსთქვა ქალმა ხმადაბლა და, შემოესმა რა ფეხის ხმა, მოჰკურცხლა შინისკენ.

დარჩა ფაელო მარტოდმარტო. იდგა და ჰბლუჯავდა დეიას მოძღვნილს ფულს.

„სწორედ ეხლა ჰნებავს ღმერთსა!“

ეს სიტყვები რამდენჯერმე ზედიზედ წარმოსთქვა: „მაშ როდის-ღა, სწორედ ეხლა ჰნებავს ღმერთსა...“ მაგრამ თან ეჭვიანობდა და



დეიას სიტყვებიც თითქოს მოჩვენებად ჩასთვალა: მართლა დეიამ უთხრა, თუ ანგელოზი მოეჩვენა...

ჰლოცულობდა, ევედრებოდა ღმერთს, გაენათებინა მისთვის გზა, დაეყენებინა სწორე ფიქრზე, არ შეეყვანა ცდუნებაში. ჰლოცულობდა პასტორის მაგივრად, ახვეწებდა ღმერთს თავის საყვარელ პასტორს... მუხლები ჩაეკეცა და ჩამოჯდა გზის პირას ქვაზე. მიიფარა ხელები თვალებზე და ცდილობდა დამშვიდებულიყო და კარგად მოეფიქრა თავისი მდგომარეობა.

„ჰო, სწორედ რომ ღმერთს ჰნებავს. უფალსა ჰნებავს დაიხსნას განსაცდელისაგან, ჯოჯოხეთურ ტანჯვა-წვალებიდან პატიოსანი, უდანაშაულო არსება. ეს მძიმე საქმეა, მძიმე, უეჭველად ღმერთს ჰნებავს. განსვენებულს, ცხონებულს დიდებაჩემსაც ესევე ჰნებავს!“.

— იგი მხედავს მე, — ფაელოს ეს ისე სწამდა, როგორც სინათლე დღისა, — არ გაჯავრდება, არ გამიწყრება, არ ჩასთვლის ანდერძის დარღვევად. თვით იმანვე არა სთქვა ცხონებულმა: „უკეთუ ღმერთი ინებებსო!“ და ნუთუ ეხლა არა ჰნებავს ღმერთსა. თვით იმ ღმერთმა არ გააჩინა პასტორი? მაშ როგორ შეიძლება, არ ინებოს მისი სატანჯველიდან დახსნა?

ფაელო ზეზე აღგა.

მკვდრის ფერი ედო... უკვე გადასწყვიტა.

— სამართლიანად ვიქცევი, ღმერთმაც უნდა მომიწონოს. და უცბად გაუელვა ამ ფიქრმა: არ მომიწონებს და არც ღირსი ყოფილა დიდებისა... სახლში შევიდა, ჩამოიღო ლანგარი კედლიდან და გამოიტანა მზეზე. თუ არ ეს წამი, როგორ შეეძლო ლანგარისთვის ხელი ეხლო? მაგრამ დღეს ყველაფერი დაივიწყა, ყოველ წინანდელ რწმენაზე ხელი აიღო. დიად, აიღო ხელი, რომ გამოეხსნა თავისი ერთგული მეგობარი. ამ აზრს შესწირა ყველა სხვა ფიქრი და მოსაზრება.

როცა ზღურბლზე გადადგა ფეხი, ქუდი მოიგლიჯა და პირჯვარი გადაიწერა.

— დიდება ჩემო, ხომ არ ჯავრობ და შენთან ერთად წმინდანებშიც ხომ არ წყრებიან? ღმერთო, ნეტავი კი მივასწრო და!..

არ ახსოვს, როგორ მივიდა ფლორენციაში. გზაში წამოეწია ვიღაც უცნობი, რომელიც ცხენს მოაქევექევებდა. ფაელომ უჩვენა მას ლანგარი, უცნობმა ცხენს უკან შეისვა ყმაწვილი კაცი და გაჰქუსლა. სწრაფად მიიყვანა უცნობმა ფაელო ქალაქში.

იგი მაშინადვე გაიქცა ძველი ნივთების მოვაჭრესთან და დაუდო წინ მზითვის ლანგარი.



— აი, ესეც თქვენი სანუკვარი ლანგარი, — წარმოსთქვა ფაქობი ლომ, — მომეცით ასი ფრანკი!

იქვე ვილაც კაცი იდგა. წინდაწინ იმან სტაცა ხელი ლანგარს და დაუწყო სინჯვა.

— მე მოგცემთ ას ფრანკს, თუმცა ეს მეტადა ღირს, მხოლოდ მომითმინეთ.

— არ შემიძლიან. ჩქარა ასი ფრანკი!

— ნაპარევი არ იყოს და? — წაიდუღუნა უცნობმა და თანაც ატრიალებდა ხელში ლანგარს.

— არა, ძალიან პატიოსანი ბიჭია. ლანგარი მაგის საკუთრებაა.

უცნობმა მაშინადვე ამოიღო ასი ფრანკი და მისცა ფაქობს, თანაც ცნობისმოყვარე თვალთ გადაჰხედა. ფაქობს გამოართვა რა ფული, როგორც ისარი, გაჰქანდა მაშინვე ძაღლების საპყრობილესკენ, დაუწყო კარებს ორივე ხელებით ბრახუნი, ყვიროდა ხმამაღლა: „შემიშვით, ფული მოვიტანე“!

ესლა აღარავინ ჯავრობდა, სწრაფად გაუღეს კარი და შეიყვანეს. ასეა მუდამ: ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს.

ცოტა ხანს შემდეგ იგი იკრავდა გულში თავის პასტორს, სიხარულისაგან სიცილზე ტირილს ურთავდა და ცხარე ცრემლით უსველებდა ძაღლს დაწყულულებულს ტანსა.

ფაქობს გრძნობამიხდილი წაღების მწმენდელმა მოიყვანა სახლში. იგი ურემში ჩალაზე იწვა, ფეხით უჯდა პასტორი. სახლში ხომ იმის ლოგინს არ განშორებია მთელი ღამე.

რამდენიმე კვირა გავიდა, ვიდრე ფაქობს გამოკეთდა და შეიძლო მუშაობა. სიცხემ იკლო, აგრილდა. სინესტით გაქლენთილი დედამიწა კვალად ამწვანდა, ეგრედვე ფერმიხდილი ტყე. ვენახებიდან ქარვისფერ ტევნებით დატვირთული ვაზები გამოიციქირებოდნენ. ფაქობს კარებზე იდგა, იკრავდა გულში პასტორს და თანაც სიცოცხლის მშვენიერებაზე ფიქრობდა.

— ჩვენ ესლა, ჩემო პასტორო, დიდი ბეჯითობა გვმართებს, — ჩაელაპარაკებოდა ფაქობს ძაღლს, — ურემი და ჯორაკი მოგვპარეს. საზღაური თავზე დაგვედო. ჩემი წამლობა ძვირად დაჯდა და ახლა ქალებს, ვინ იცის, ხაბაზისა რამდენი ჰმართებთ. მაგრამ ფიქრი არ არის. ღმერთი მოწყალეა, ცოცხლები ვიყვნეთ, ჯანი არ მაკლია და ღონე, გავუძღვები ყველაფერს. ასე, ჩემო ძაღლო, ასე, ჩემო კარგო!

ამ დროსვე მოაგონდა დეია და სახე გაუბრწყინდა, დეიას მიცემული ხუთი ფრანკი, ისე მაგრა ჰქონდა დაბლუჯული ხელში ავად-



მყოფობის დროს, რომ იმდენი ხნის განმავლობაში, ხელიდან ვერავინ წაართვა.

სწორედ ამ დროს მოვიდა ის უცხოელი კაცი, რომელსაც ფა-
ელომ ლანგარი მიჰყიდა; მიესალმა თავაზიანად, მოიკითხა ალერსია-
ნად, თან მოიტანა ლანგარიც.

— შენ ეს გაჭირებამ გაგაყიდვინა?

— დიად.

— იცი კი ამისი ფასი?

— რა მოგახსენოთ, ბატონო.

უცხოელს გაეღიმა, ლანგარი გადააბრუნა და უჩვენა ფაელოს
ოთხი ამ რიგად დასმული ასო ვ. ფ. ო. ფ. და თარიღი 1538 წ.

— ეს ჰორაციო ფონტანის შრომაა, — წარმოსთქვა მან. ეს სახე-
ლი შენ პირველად გესმის და არც იცი მისი მნიშვნელობა, მაგრამ
რომ იცოდე, იგი დიდებული შესანიშნავი კაცი იყო ძველს დროში.
შესანიშნავი მხატვარი მთელს ურბინოში. ეს ლანგარი ათას ხუთასი
ფრანკი ღირს. მე ვაჭარი არა ვარ და ამიტომ გაძლევ ღირებულს
ფასს. გარდა ამისა, მე კარგად გავიგე შენი გარემოება. მე უცხოელი
ვარ. აქვე, ცოტა მოშორებით მაქვს მამული და ძლიერ მიყვარს თქვე-
ნი სამშობლო. თუ გინდა, კარგ ადგილს მოგცემ, ასე რომ არც შენ
და არც შენს პასტორს არაფერი გაგიჭირდებათ, — არავითარი სა-
ფრთხე არ მოგელისთ.

ფაელოს ამ სიტყვების გაგონებაზე თავბრუ დაესხა. აღარ იცოდა
რა ექნა, ან რა ეთქვა, უბედურებას ადვილად გაიგებდა, როგორც
ჩვეული, ხოლო ეს ბედნიერება!..

მაგრამ როცა სიმართლე დაუდგა თვალწინ მთელი თავის ძლევა-
მოსილებით, სახე და თვალები მზეებრ გაუბრწყინდა.

— ალბად ღმერთს ასე ჰნებავდა! — წამოიძახა იმან ხმამაღლა.

ორი წლის შემდეგ ფაელომ ჯვარი დაიწერა დეიაზე, ხოლო პას-
ტორი, როგორც ეჯიბი, მეთაურობდა მთელ პროცესიას.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

საქართველოს
ისტორიის
ინსტიტუტი

ბედნიერი დღე

მოქმედება პირველი

მოქმედნი პირნი

ივანე ზაქარიას ძე სანდიროვი — პოქტმეისტერი სამაზრო ქალაქისა. 50 წლისა. უფრო გაზეთების კითხვას უნდებდა, მინამ სამსახურსა.

ოლდა სანდიროვისა — მოხერხებული ქალი 45 წლისა.

ლიპა }
ნატო } ამათი ქალები.

უბრალადე — მაზრის ექიმი 35 წლისა, ჩაფიქრებული, გამხდარი, მოწყვეტილად მოლაპარაკე და მოსიარულე.

თეიმურაზი — იმერელი, ფოქტალიონი.

მეზობლები: მიხაკა მეწვრილმანე, მედუქნე.

მეზობელი ქალი.

მოქმედება არის სამაზრო ქალაქში

პატარა-სასტუმრო ოთახი სანდიროვის სახლში. პირდაპირ ზალაში შეღებული კარები, მარჯვნივ (აქტიორების მხრიდან) კუთხეში კარები, შიგნით ოთახებისა; მაყურებლების ახლოს კედელთან — დივანი, იმის წინ რგვალი სტოლი და რამდენიმე კრესლა; მარცხნივ კუთხეში კარები, — კანცელარიაში შემავალი, პირველ პლანზე — ფანჯარა, ამის წინ ლომბერის სტოლი. სხვადასხვანაირი ძველი მებელი.

გამოსვლა პირველი

სანდიროვი დაგლეჯილ ხალათში. გრძელტარიანი ჩიბუხი უჭირავს ხელში, დივანზე ზის, სტოლზედ იდაყვდაბჯენილი. წინ უდევს გაზეთი და ვეოგრაფიის კარტა.

სანდიროვი (უსვამს კარტაზე თითს). ჰმ, ჰმ, მცირე ზვორნიკი, მცირე ზვორნიკი, ხათაბალაა, ერთი სიტყვით. დეპეშებიც იკითხე და კარტასაც უყურე, დასწყევლოს ღმერთმა! მცირე ზვორნიკი, მცირე ზვორნიკი, რამ ეშმაკმა ჩაყლაპა? ეხლა თითი ზედ მედო! ფუ, შე... არა, თუ ქინძისთავეები არ დაურჭე, მე ამ ტანჯვას ვერ მოვრ-

ჩები. წავიდე. ერთი რამტენიმე ქინძისთავი ჩემს ცოლს გამოვართო. ცუდი რამ არის გეოგრაფიის უცოდინარობა. გუშინ ტელეგრაფმა იყო პიტსბურგიდგან, სად არის პიტსბურგი, რომელ კუთხეშია: ღმერთმა უწყის... ერთი სიტყვით: ხათაბალაა ფოჩტმეისტერობა. მცირე ზვორნიკი, მცირე ზვორნიკი. (შემოდის სანდიროვისა მორთული).

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. უჰ! რანაირათ დავილაღე.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი (თავჩალუნული). ოო! რა ახალი ამბებია იდიოჩკა-ჯან, რო იცოდე!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა (წყრომით). რა ამბებია?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. ევროპიის შესახებ, ქალო, ევროპიის.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. (დაეშვება კრესლოზედ) ღმერთო! რა კაცია, თქვენი ჭირიმეთ, რა გვეევროპება! შენ თავზედ დაიხედო, ოჯახ-ზედ იფიქრო... დაუყინია ევროპეიცი... ევროპა აწუხებს ჩემს ვაჟ-ბატონს.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. ოსმალები, დედაკაცო, ოსმალები.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ბოროტი ხალხი არის, ხომ ველური ხალხია? თქვენ რომ უკანასკნელ ოსმალოზედ უარესი ბრძანდებით! იმათ ეპატივებათ, ურჯულონი არიან, მაგრამ თქვენ — ქრისტიანი, იმათზედ უარესად იქცევით! გაგონილა, გენაცვალეთ, ცოლ-შვილი, ოჯახი გააოხრე, სახლი დააქციე, არა გრძნობ, რომ ხვალ კარის-კარ მოწყალების თხოვნა მოგვინდება!..

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. როგორ? რა ამბავია?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. გაგაქვავა ღვთისმშობელმა დედამ, არ იცი რაცა?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. რას შეუწუხებხარ, დედაკაცო, ქოთნიდამ ლობიო ხომ არ გადმოსულა?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. მართლაც, რომ შენი თავი ქოთანია და ტვინიც გაგქცევია! მე უნდა აქეთ-იქით ვასქდე, თავპირი ვიმტვრიო, შენ კი გაზეთები იკითხო, ო, თქვენმა მზემა. მთელი ქალაქი შემომარბენა, ვის არ მოვხვევივარ მუხლზედ, ვისთვის? სულ ამის გულისთვის... ვის შევტირე... ვის გავეხუმრე... ვის გავესიყვარულე... ვის ისეც და ასეც... ყველას ხელს ვაწერინებდი, რომ ქალაქს ეთხოვა თქვენი დარჩენა. ორმოც კაცს ხელი მოვაწერინე და უნდა მივართო მათ აღმატებულებას, ქალაქის თავმაც აღმითქო შემწეობა. ეს თქვენ ჭკუაში არაფერია?!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. (შინჯავს კარტას) ო, ფრიად სასიამოვნოა, სულიკო!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. (თავის ქნევით) „ფრიად სასიამოვნოა!“ რა უზრუნველი, რა ბედოვლათი რამ არის, თქვენი ჭირიმე! იქნება არ



შეგიტყვია თეიმურაზის ქალაქილამ დაბრუნება? სუყველაფერი
 კარგად გაუგიათ და შეუტყვიათ: გლეხების ცარცვა და ცხენის კუ-
 დის იჯარა. თქვენს ჩიბუხზედაც ყოფილა ლაპარაკი. თვითონ ლე-
 ნერალი მობრძანდება გამომძიებლად. რამდენს გელაპარაკებოდით,
 მაგ შეჩვენებულ გაზეთებს ჩამოესხენი-მეთქი. რა მოგველის არ
 იცი? უნდა ხელი ხელს გადავაბათ და ქუჩა-ქუჩა მოწყალება ვი-
 თხოვოთ.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. (ყურს არ უგდებს) მადლობა ღმერთსა! ძლიერ
 თავსაც არ ვიტყენ, მობრძანდეს!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ქა! ყურსაც რომ არ იბღერტამს! იქნება
 არა გჯერა?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. ა, ვიპოვე! ვიპოვე! აქ არის!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. რა? რა იპოვნე — ასი ათასი?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. არა, მცირე ზვორნიკი.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. გასაოცარია (შემოდის თეიმურაზი).

გამოსვლა მეორე

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი, ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა და თ ე ი მ უ რ ა ზ ი.

თ ე ი მ უ რ ა ზ ი. (შემოდის, თავს უკრავს) რაღა მშვიდობით ბრძან-
 დებით, ბატონო?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. აგერ, ეს ვაჟბატონი... რა გნებავს?

თ ე ი მ უ რ ა ზ ი. თქვენი მშვიდობა, ბატონო, და დღეგრძელობა
 (სანდროვი გაზეთს დასდებს, ჩიბუხს ეწევა და შესცქერის თეიმურაზს).

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. შენმა თავის გახეთქამა! რა გილაპარაკნია
 ბატონზე ლენერალთან?

თ ე ი მ უ რ ა ზ ი. მე? არაფერი, ყველა კაი, მარა ვინ მაცალა მე,
 ბატონო, წინეთვე გეგო ლენერალს, თეიმურაზ მოდისო, ჩასვლის
 უმალ მომეგება კაცი, გიხმობს ლენერალიო, წავედი. მიმილო ძალი-
 ან, დამაჯინა (მოიწევს სკამს და დაბრძანდება) ასთე, თქვენ, თქვენ სა-
 ხელს ვფიცამ. მითავაზა ციგარა... მე ვიფიქრე: თუ ასთე მე მწყა-
 ლობს, ჩემს ნაჩალიკს — თქვენზე ვიფიქრე, ჩემ ნაჩალიკს ხომ
 ცხადად დაისვამს კისერზედ-თქვა. მიამა — თქვენ ნუ მოუკვდებით
 ჩემს თავს! დამიწყო მუსაიფი: ყველაზე უმალ მკითხა ცხენის კუ-
 დის თაობაზე. ყველა კაი და პატიოსანი-თქვა, დავიწყე თქვენი ქე-
 ზა. გაქეთ, მარა რაღა გაქეთ, აგიყვანეთ ზეცას, მაგრამ უცებ არ გა-
 მაჩერა მე უბედური. „გაზეთიო“ დეიძახა. შემოვიდა, ბატონო,
 „დროების“ მეგაზეთე, შემოიტანა გაზეთი და უშველებელი ბეჭე-

დი. შემეშინდა. გულმა დამიწყო ფანტქალი, უცბათ მომაწვა გულ-
ზედ მე უბედურს: თქვენი ჩიბუხის ტარი, ფოჩტაში მოსული ფუ-
ლის დაკლება, ცხენის კუდის ხარჯი და სხვა უშველებელი. მაგრამ
არა, შენ არ მომიკვდე, არ წახდე თეიმურაზ-თქვა! — შეუძახე ჩემს
თავს. ამ ვაიში ხომ ვარ, ეს ჩემი ცოდვით სამსე მეგაზეთე ამ უშვე-
ლებელ ბეჭედს ურტყამს გაზეთს და ურტყამს, იმე, ვიფიქრე, ღმერ-
თო მომკალ, თუ ჩემზე ტორგი დაუნიშნავთ და ამ მეგაზეთეს ვერ-
გეთქვა!.. ჩამივარდა ენა. თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემ თავს, რომ
სულ ეს ნამდვილია. მარამ რა, რომ ჩემი თქმა მათ არ სჯერე-
ბიათ. თავში გაიჩერო რამე ფიქრი, მეგაზეთე დაჰკრავს ბეჭედს და
სულ ენით არ უთქვამს კაცს, გამეხატება გაზეთში... გევიფიქრე
ცხენის კუდზედ, დაერტყა ბეჭედი და მოჰყვა ქვეშ ცხენის კუდი,
მომაგონდა თქვენი ჩიბუხის ტარი, რომ მირტყამთ ხოლმე და ჩემი
შეწუხებული თავი და თქვენი ჩიბუხი გამოიხატა გაზეთში კხადათ.
ეს რომ მცოდნოდა მე უბედურს, სულ თქვენ დღეგრძელობას და
ყველა კეთილს ვიფიქრებდი, ციმბირშიდაც რომ გავეგზავნეთ.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. დიდი ხანია შენ საციმბირო ხარ! ხომ და-
გაცალეთ, გრძელი სიცრუვე გათქმევინეთ. არა, შე მაწანწალა, რო
ჩიოდი, ის არ იფიქრე, რომ ღმერთი ჩვენ არ გაგვწირამს და შენის-
თანა მაწანწალას არ გაამართლებს?

თ ე ი მ უ რ ა ზ ი. კი, მაგრამ რა ვიცოდი, ქალბატონო, რომ რა-
ცხას მე გულში გევივლებდი, ყველას ბეჭედი დაესმებოდა და გა-
ზეთში დაიწერებოდა?!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. (მოთმინებიდან გამოსული) აი, ამ მინუტში მე შენ
დაგაწერ ჩიბუხის ტარით რაც დაგაკლდა და რაც გულში გიფი-
ქრია!

თ ე ი მ უ რ ა ზ ი. (წამოდგება) ინებეთ, ინებეთ, მარა გაზეთის უშ-
ველებელი ბეჭედი...


ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. (დგება დივნიდამ) ერთიანად, ერთიანად მიიღებ,
რაც დაგკლება. (თეიმურაზი ზალისკენ მირბის)... უშველებელი ბეჭე-
დი... უშველებელი...

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. დაანებეთ თავი, ახლა ეგ გაუხადე ახალ
ამბათ მეგაზეთეებს...

თ ე ი მ უ რ ა ზ ი. (ზალიდამ) მე გულით კი არა, ენით მოვახსენე
მეგაზეთეს ცხენის კუდებზედ, საფოსტო ფულიც, სხვებიც (გა-
იქცევა).

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. (დამშვიდებით) მაშ მოიცა, ჩემზედ არ დაგეკარ-
გება (ისევ ჯდება დივანზედ და გაზეთის კითხვას მიეცემა).

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. როგორ? კიდევ გაზეთებს მოუჯექ? მაშ



გესმის? თავს დაგანებებ და გადავიკარგები სადმე. იცხოვრეთ, როგორც გეპრიანებოდეთ! არა, მითხარი, მიპასუხეთ, ცოტას მშვიდობით თქვენს სახლ-კარზე, ცოლ-შვილზე?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. არა, სრულებით არა, შენმა მზემ. ჩვენა ვართ ჩრჩილნი და სიცოცხლე ჩვენი არს ამაოება; ამიტომაც არც ფიქრი ღირს ამაზე (გაზეთზე უჩვენებს) აი, აქ არის კაცობრიობის ბედი და იღბალი, ისტორიული კითხვები.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ჩვენ რომ არავინ გვეკითხება, მაშ არც პასუხისგებაა ჩვენი საქმე. ჩვენი საქმე—შიმშილით არ დავიხოცნეთ—აი, ეს არის. მოიფონე რა გვაწევს კისერზედ: ნატო და ლიპა უმათხოვრო გასათხოვრები, მაგრამ დაეთხოვე-და, წინეთ მეგონა ლიპაზე თვალი ეჭირა და ეხლა ჭკვაზე შემცდარა. რაღაც დისერტაციას თურმე სწერს. აგერ ორი თვე მიდის, ერახელ არ შემოუხედნია — ვიფიქრე და მოვიგონე — კაცი გაუგზავნე დღეს და დავაბარე: ლიპა ავად არის და ვთხოვთ ექიმს მობძანდეს ნახოს-მეთქი, უნდა რამე მოვახსებო. ნატო თავს გაიტანს, დედის შვილია. ლიპას კი მურაბის კეთების და ძილის მეტი არა გაეგება რა. ახლა სხვა: კოლა და ნიკო გემნაზიაში მისაცემები არიან. სონა, საშა, მაშო და ლუბა ზავედენიაში უნდა ჩავიყვანოთ. დანარჩენებისათვის ვინმე სემინარისტი მაინც უნდა დავიჭიროთ, თორემ სირცხვილია, სხვა არა იყოს რა, — მეზობლებს ბაღში აღარა შეარჩინეს რა და ვენახში. იმათზე წყევლა და გინება მოსვენებას არავის აძლევს (შემოდინ მეზობელი ქალები და კაცი). აი, კიდევ, ყური დაუგდე.

გამოსვლა მესამე

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი, ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა და მ ე ზ ო ბ ლ ე ბ ი

მ ე ზ ო ბ ე ლ ი ქ ა ლ ი. ეს რა ღვთის რისხვაა, თქვენი ჭირიმეთ, ჩემ თავზე! კიტრი ველარ გადავარჩინე ბაღში თქვენ შვილებს და ხილი! დღეს ერთ მინუტას მეზობელთან მივირბინე და ის იყო, მანამ დავბრუნდებოდი, სულ ძირიანათ დაეგლიჯაო, რაც მოხვედროდათ ხელში. დამიფარე, ღმერთო, რაღა ჩემზედ ძოიციალეს,—ეს ხომ პირველი არ არის.

მ ი ხ ა კ ა. რის შენზედ, დედაკაცო, — მე კი სარგებელში ვარ იმათგანა? ჩემი ვენახი რომ ნახო, კალიისაგან მოტვლებილი გეგონება, ერთი მომაშორეთ, ბატონო, და! ლამის წვერ-ულვაშიც მომაძოვონ: დიდი ძუნწი რამეები არიან.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. როგორ მოგწონს პოლიტიკა, მამა ბატონო?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. ჰმ. დიახ... ჰოდა! დაიჭირეთ... მიროვოი სუღიასთან.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. იჰ, იჰ! მამა ბატონსა!

მ ი ხ ა კ ა. დავიჭიროთ — ადვილია! ერთი საძნე ურემი გამოვთვა, ბევრი მოგიშენებიათ და!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. აი, ჩორტი-კანალია! მომიშენებია რომელია? მე შენ აგიშენებ ზურგზე (ჩიბუხს უღერებს) შენს სიბრიყვეს.

მ ი ხ ა კ ა. ვა, შვილებმა გადამძოვონ, მამა მცემს: ეს სადაურია, ცნიაზჯან?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. სადაური და ჩემებური.

მ ი ხ ა კ ა. მაშ კანონებიც შენ გიწერია. სუდიაც შენა ხარ რაღა?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. კიდევ რომ ლაპარაკობს? გაკმინდე ხმა-მეთქი!

მ ი ხ ა კ ა. ზაპრეშჩენიეც შენი ყოფილა რაღა! ვა, იქნება მეც შენი ვარ!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. (მიიწევს ჩიბუხის ტარით) დაიკარგე შე შარლატანო, შე...

მ ი ხ ა კ ა. (მიდის და კარებიდამ) აი, თქვენს სამართალს... (გადის)

ქ ა ლ ი. მეტი მოჩვენებები არიან. რა გამოუდგები, უკან, უკან გარბიან, ენებს გამოგიყოფენ და ზზზ! (თითს თითზე უსვამს) ასე გაბრაზებენ! მეტისმეტი ღვთის რისხვები არიან.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ღვთის რისხვაც შენა და ბატონისაცა!

ქ ა ლ ი. ჭა, მევე რომ მწყევლის. ჩემი სისხლით და ოფლით ნამუშავარი თქვენ გამოიხროთ და ღვთის რისხვა მე?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. სწორედ შენ. მეხი კი დაგაყარე შენცა და შენს ნამუშევარსაცა.

ქ ა ლ ი. აი, არა მოგივიდეთ რა მაგაზე უფრო სამართლიანი. ჰო და ასე!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. როგორ ბედავ, შე უნამუსო, აშარო! ვისთან?

ქ ა ლ ი. აი, არ დასცალდეს ხვალინდელი დღე უნამუსოსაც და აშარსაც.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. (მიიწევს და მუჯღუგუნით გააგდებს) მე ვარ აშარი? მე ვარ აშარი?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. (სანდროვს) ხომ ხედავ ამ ამბავსა? ეხლაც არ იფიქრებ რასმე?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. (დამშვიდებული მიუჯდება გაზეთებს) ერთი მინუტი შენ გეთაყვანე, ერთი მინუტი დამაცალეთ.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. არა, ერთი მითხარ: ადამიანი ხარ თუ არა?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. შენთან ცხოვრება, ოღლა, სწორედ შეუძლებელია...

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. შეხედეთ ამ ვაჟბატონს, მე რომ მამტყუნებს.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. მთელი ეს დილა ვეძებე პატარა ზვორნიკი...
ვიპოვე...

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. მერე!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. პატარა ზვორნიკი ვიპოვე, მაგრამ დიდი იზვო-
როტისკი დავკარგე, თქვენი გადამკიდე... ეჰ! (ვაზეთებს, კარტას აპკრებს
და მიაშურებს კანცელარიას).

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. დაგლეჯილო ფოსტალო! რა იქნება ეს კა-
ცი უჩემოთ! სულ მე, საბრალო ქალს, უნდა მეკიდოს ამითი რჩე-
ნა (ზალიდამ გამოდის ლიპა, ამთქნარებს და იზმორება).

გამოსვლა მეოთხე

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა და ლ ი პ ა

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. აი, კიდევ ჩემი გამაბედნიერებელი! რას
ამთქნარებ?

ლ ი პ ა. მეძინება.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ეხლა არ ადექი. როგორ არ გრცხვენია?
ერთი საათი უნდა გაღვიძოს ადამიანმა, რომ თვალი გაგახელინოს.

ლ ი პ ა. რათ მალვიძებთ? რა უნდა ვაკეთო? მთელი დღე ვეხე-
ტილო ოთახიდან ოთახში?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. მაშ სულ უნდა გეძინოს? რას გაუგიყებია?

ლ ი პ ა. რასაკვირველია, სჯობია; აღარც არა გესმის, აღარცა
რას ხედავ. დიახ, სჯობია (ჯდება კრესლოზედ), რათ იბადება ადამია-
ნი, თუკი ამისთანა ტანჯვაში იქნება?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ფილოსოფიას თავი დაანებე. სწორე გითხ-
რა სულაც არ შეგფერის. გიჯობს თავი მოიავანტყოფო; უბრალოდ
მალე მოვა.

ლ ი პ ა. მერე, როგორ მივიღო, თუკი არა მტკივა რა?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. კიდევ! კბილი არ მოგიცვლია? უთხარი
ფერდი მტკივა-თქო, თავის ტკივილი, გულის წუხილი და სხვა. ვე-
რაფერს მოიგონებ? თავი მოისუსტე, ხმა მიიკნავე და ამასთან
გრძნობით გადახედე, მოსიყვარულედ, მერე მოიწყინე... თავი შეა-
ბრალებ... საყვედური...

ლ ი პ ა. მერე ეგ გრება კომედია არ გამოდის?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. დიახ, კამედია მაშ, ქალბატონო, შენ რა
გეგონა? მზითევი რომ არა გაქვს... წუთისოფელია, შვილო, რითაც
კაცი თავის საქმეს გაიკეთებს, იმას უნდა მიჰყვეს... რა გიყოთ, ერ-
თი დედაკაცი ყველას როგორ გაგიძღვეთ, გენაცვალე, — უშენოთაც
ბევრი მახვევია თავზედ... წყალში უნდა გადავვარდე.

ლ ი პ ა. ჩემზე ნუ სწუხართ, მკერვლად შევალ...

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. შესვლით დიახ შეხვალ... გასაკვირველი აქ არა არის რა და მინამ არ შესულხარ, გასათხოვარი ხარ და დედის დარიგება გეყურებოდეს, ოჰ!.. გავიდე ერთი, მივხედო რა ამბავია ჩვენ კანცელარიაში (კანცელარიაში მიდის; შემოდის უბრალოდ).

გამოსვლა მეხუთე

ლიპა და უბრალოდ

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. (ხელს ჩამოართმევს) როგორ ბრძანდებით? ავად თურმე ხართ?

ლ ი პ ა. (ღიმილით) ძალიან!

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. რითი ხართ?

ლ ი პ ა. ზიზღით, ალბათ.

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. ცუდი არ იქნება ეგ თქვენი სენი მე გადმომედოს! მაშ რაზე მიპატიუებდით?

ლ ი პ ა. არ ვიცი, დედაჩემი მარწმუნებს, რომ ავადა ვარ. იმას ჰკითხეთ: რითი ვარ ავად?

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. იშვიათი შეხვედრაა, სწორე გითხრათ. აქიმისთვისაც ავათმყობის წამლობა... დედათქვენი სად არის?..

ლ ი პ ა. ეხლავ შემოვა... იცით რა გითხრათ... მოდი მომწამლევი?

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. ჰო, მითომ როგორ?

ლ ი პ ა. ისე, გამომიწერეთ საწამლავი, მე მივიღებ და მოვკვდები... ვერც ვინ გაიგებს და თუნდაც გაიგონ — ვის უნდა დავხანდე. მე კი სულაც არ მინდა სიცოცხლე. გული გამიწვრილა.


უ ბ რ ა ლ ა ძ ე. არ გეტყობათ.

ლ ი პ ა. ეგ არის და მაგან მომაბეზრა თავი: სიკვდილი მინდა და ამასთანავე ვიზრდები, რო მომწამლოთ, რა მადლობელი ვიქნები!

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. საშინელება მესმის, ბატონო, თქვენით, „ამაოებათა ამაოებაზე“ ალბათ ბევრი გიფიქრიათ.

ლ ი პ ა. ყველაფერი მომბეზრდა და უფრო ჩემი თავი.

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. „ამას არა სწამს არღარა ამ სოფლისა“. წამალს გამოგიწერთ და უცებ გაივლის. ეს დიდის სიამოვნებით და რაიცა შეეხება საწამლავს... არ მოგიხდებათ... სხვა არა იყოს რა, ეს საწამლავი კაცსაც მავნებლად მიაჩნია, „ვინც საწამლავს მისცემს სხვას, ის ციმბირში ამოჰყოფს თავს“. მართალია, ციმბირში მცხოვრებნი ნაკლებად არიან, მაგრამ მე სწორე მოგახსენოთ არ მაქვს სურვილი ჩემის იქ ჩაბრძანებით ხალხის რიცხვებმა იმატოს.



ლიპა. არა, საწამლავი, საწამლავი, ექიმო! რა არის, იმდენი პა-
ტივისცემა როგორ არ გაქვს! ოჰ, როგორ დამავალეხდით!

უბრალო ძე. ხომ გითხარით, არა მეთქი! რა ანგარიშია, მე
უფრო ძვირად მიღირს. მოიცადეთ: ზეცას ხო მუდამ არ ებნელება.

ლიპა. მინდა მკერვალობა დავიწყო.

უბრალო ძე. რაღა უთუოდ მკერვალობა?

ლიპა. მეტი რომ არაფერი ვიცი რა? მართლა, მურაბის კეთე-
ბა ვიცი. როგორ მოხდა ეს, ვერ გეტყვით მე თვითონ: არც მისწავ-
ლია, მაგრამ ბოლოს გამოვიდა, რომ ვიცი.

უბრალო ძე. მაშ მკერვალობას აპირებთ რაღა?

ლიპა. იქ სხვა არა იყოს რა, სიცოცხლე მაინც არის.

უბრალო ძე. ბევრი არაფერი, სწორე გითხრათ.

ლიპა. ჩემსას მაინც ემჯობინება. მთელი კვირა მუშაობით
იქანცებიან და უქმე დღეს სიამოვნებით ისვენებენ, მე კი მუდამ
დასვენებამ გული გამიწვრილა. კაცმა მკითხოს: სისაღე მაკლია თუ
ჯანი, რას ვაკეთებ? ოთახიდან ოთახში დავეხეტები უსაქმოდ,
უმიზნოდ. ხალხს უნდა და ნატრულობს სისაღეს და ღონეს, მე კი
ეს ყველა მომჭირებია, ჩემთვის გამოუსადეგარია ერთიც და მეო-
რეც. აბა რა ვარ? გავქვავდებოდე მაინც? განა ამისთანა წამალი არ
არის?

უბრალო ძე. აფთეკაში ვერ იშოვით მაგფერ წამალს, მაგრამ
ნუ შესწუხდებით, არც არის საჭირო, თვითონ ჩვენი ცხოვრება გამ-
ქვავებელი სენი არის სიცოცხლისა. აი, ეგ მობეზრება სიცოცხლი-
სა, აი, ეგ დღითი დღე ერთი და იგივე უმიზნო და უხალისო ცხოვ-
რება ნელ-ნელა ისე გამოაშტერებს კაცსა, რომ ბოლოს ველარა-
ფერმა დრტვინვამ ვერ გამოაღვიძოს, ვერა ხმამაღლა ძახილმა ვე-
ლარ გამოაღვიძოს.

ლიპა. „ნელ-ნელა“ განა საშინელი არ არის ეს ცდა?

უბრალო ძე. „მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთა სული
თქვენი“. თავის მობეზრებაც ბევრნაირია.

ლიპა. როგორ?

უბრალო ძე. შეიძლება სხვადასხვანაირად მოიწყინოს კაცმა,
სხვადასხვა გარემოებაში, მარტობაში, ვთქვათ ვისმე თქვენსავით
თავმობეზრებულს და ამასთან ერთიორად მოწყენილს.

ლიპა. თქვენ გამოცანებით ლაპარაკობთ.

უბრალო ძე. (საათს დაჰხედავს) შემდეგში მოცლილი გახლდე-
ბით და უფრო ცხადათ გეტყვით (სანდროვისა შემოდის).

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ოჰ, ექიმო! რა არის, ყმაწვილო, რაზედ მოგვიძულეთ, (უბრალოდ თავს უკრავს) დაგვივიწყეთ, სრულებით დაგვივიწყეთ.

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. შინიდამ გამოსვლის ხალისი არა მაქვს და არსად დავდივარ, თუ არ...

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. დიახ, გაწუხებთ ჩვენის სნეულობით მაშინ, როდესაც თქვენ თითონ, მგონი, უქეიფოთ გამხდარხართ, ყმაწვილო.

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. დიახ, როგორღაც გახლავართ...

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. მეტათ ბევრსა საქმობთ. გავიგონე, დისერტაციას თურმე სწერთ.

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. ჰმ... მერე ვინ მოგახსენათ და ვის რად ეპიტნავენა ეგ ახალი ამბავი?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. სხვისაგან გავიგონეთ, ყმაწვილო. ქვეყანაზედ რა იმალება? ძალიან სიამოვნებით მოვისმინეთ ეს ამბავი, თქვენმა მზემა.

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. მართალია, ვწერ, თანაც ვიტანჯები. მედიცინა მიყვარს, მრწამს, რომ დიდი მომავალი აქვს ამ მეცნიერებას, მაგრამ ამასთანავე მჯერა, რომ ვარ ერთი ჩამორჩენილი, მკვდარი წევრი მისი! მეურნეობის წამართვის საქმე და მე, უეზდის ექიმი, შორი-შორს გახლავართ — „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ ნახირაო“ — ჩემზე შეიძლება ითქვას. ჩემი საქმეა სალომიანტის მეუღლის „მუცლის გვრემაზე“ და „თავის ფრენაზე“ ვიფიქრო დილდლით და სალამ-სალამოთ კი უნდა გულადად ვებრძოდე კნიაზ ბელაშვილის „თიაქრებსა“, „ბუასილსა“. (წამოდგება) მე იმ ადამიანთაგანი ვარ, რომლებიც ცოტა თუ მეტათ ბრძოლის შემდეგ მიეცემიან წუთისოფლის ვითარებას და ეხლა მე ყველა ქვეშევდომებრთა შორის მივედინები იქით, საითაც მიგვერეკება ჩვენ ჩვენი მედგარი ხვედრი.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. გვემართლებით, გვემართლებით, ექიმო. ან კი რა არის პროვინციალური ჩვენი ცხოვრება?

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. რა ბრძანებაა! განა კი მე ჩემ თავზედ არას ვამბობ! მეც ცხვრის ფარაში ურევივარ და მოწინავე თხად სრულებით არა ვრაცხ ჩემს თავსა! რითია ავათ თქვენი ქალი?..

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. აბა, ლიპა, მოახსენე, შვილო!

ლ ი პ ა. მე არ ვიცი რა მტკივა, დედა.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. (გაფითრებული) ოჰ, ღმერთო! მთელი ღამე, შენმა გაზდამ, ისე გაათენა საბრალომ, რომ თვალი არ მოუხუჭია, თავის ტკივილი და გულის კოვზთან...

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. შეიძლება მუცლის გვრემა იყოს, ეგ არაფერი—გაივლის!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ბოდავს, გენაცვალე, საშინლად ბოდავს, წუხელის მთელი ღამე... ისე კიოდა რომ... ამ ბოლო დროს მაინც ესეც ჩემი ბედი! (ამოიოხრებს) მერე მიმაღავს. ვკითხამ: რა არის, შვილო, რითა ხარ ავად? არას მეუბნევა, აჩრდილივით დადის გულის შემაწუხებლად, — საქმისათვის ხელი ვერ მოუკიდია, ალაგი ველარ უპოვნია საცოდავს... მთელი ღამე თვალს აღარ მოხუჭამს, ისე ცხადათა ბოდავს... გული მტკივა, ექიმო, ამის ცქერით! ხშირად, თითქმის მუდამ, თქვენ გიგონებთ, ვინ იცის, რა ელანდება!

ლ ი პ ა. დედაჩემი რას არ მოიგონებს!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. შენ ჯერ კიდევ სულელი ხარ, ჩემო ანგელოზო! შენ არ გესმის ესეთი დასაწყისი აქვს ძნელ ავადმყოფობას და ხშირად მოურჩენელი სენია!..

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. მაშ უწამლოთ?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ოჰ, როგორ არა! უთუოდ, უთუოდ.

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. თუ უთუოდ, მაშ უთქვენოდაც მოვახერხებთ, ტყულად ფული რად დავხარჯოთ? შინაური წამლები გექნებათ რამე. მარტორქა, ძირმწარა... ან სხვა რამ?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. როგორ არა, მაქვს... მაგეებს ყველას ვიშოვნი.

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. ძალიან კარგი, დაალევინეთ, მოუხდება...

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. რა დავალევინო?

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. ბევრი კი არ მოგივიდეს და სულ ერთი... მარტორქის ნალესი იქნება თუ ძირმწარისა! მაშინვე მორჩება. (ეთხოვება) მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. რად მიბრძანდებით? მოგწყინდათ განა ჩვენი მუსაიფი? იქნება ყავას ინებებთ? რა არის, ყმაწვილო, ნახევარი საათი რომ გვაჩუქო?

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. არა, ბატონო, არ შემიძლიან, საავათმყოფოში უნდა შევიდე, ნურას უკაცრავად! (გადის).

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. (გააცილებს და ქალს) უი, შენ მოუკვდი შენ დედას! (გადის).

ლ ი პ ა. ცხოვრება! რა ვარ? გამოდის რო, მე ვარ სავაჭრო საქონელი, რომელიც თავისთავად ვერ საღდება, რა ქნას ვაჭარმა? უნდა ძალაუნებურად მიაჩეჩოს ღა შეატყუოს როგორმე რომელსამე

მყიდველს. ამისთანა მდგომარეობას, მგონი, სიკვდილი უნდა სჯობდეს, მაგრამ ეჰ, რაც უნდათ ის... (ხელებს პირზე დაიფარავს. მსცენარის იქით ისმის ხმა: „როცა მე ვიყავ არკადის პრინცად, როცა მე ვიყავ არკადის პრინცად!..“)

გამოსვლა მეშვიდე

ლიპა და ნატო

ნატო. ტრალა-ლა-ლა-ლა. სალამო მშვიდობისა, ლიპაჯან, მითხარი, გენაცვა, სიზმარში ვისა ჰხედავ ხოლმე, უბრალოდეს არა? (ფანჯარაში იცქირება) ღმერთო! მე ვინლა მომხვევს ხელს, ვინ მაკოცებს ტკბილად. მეც წყნარად გავიცინებ, შევხედამ, ცოტად შორს დავდგები, მერე იქიდგან გავექანები და მოვეხვევი, თუნდა ლამაზიც არ იყოს! აი, მოდის საპელო, უპრავის ბუხგალტერი, რა იქნება, რომ მაგან შემირთოს! საპელო! შემირთე, გეთაყვა, რა არი. შემირთე, (მიუახლოვდება ლიპას) ლიპა! შენ გენაცვალე, დამითმე უბრალოდ! შენ ხელიდამ წაგივა, მე კი მალე გავაბამ მახეში.

ლიპა. გამეცა იქით, თვალიც გამოგძვრება. წადი, ვისაც გსურდეს, იმას ააჯექი.

გამოსვლა მერვე

ლიპა, ნატო, სანდროვისა

სანდროვისა. ნატო, შვილო, უბრალოდემ რად დაგვივიწყა, იქნება აღარ ვაგონდებით.

ნატო. აღარ ვაგონდებით, თქვენ ნუ სწუხდებით, დედილო, მოიცა, როგორ ვაჩვენო თავი.

სანდროვისა. ნაღველი მომაწვება გულზედ, უშენობას რომ მოვიგონებ: შვილო, ერთი შენა ხარ ჩემი ნუგეში და მეგობარი, არა, შვილო, ჯერ ყმაწვილი ხარ (ლიპა მიდის კარებისაკენ).

ნატო. ლიპა, არ გეძინება?

ლიპა. (ზარმაცად ამოქნარებს) არ ვიცი, იქნება... დავიძინო, არა სჯობიან ტყუილად ყბედობას.

სანდროვისა. დაიძინე, შვილო, მაგრამ ღენერალთან როგორ უნდა მოვიქცეთ, უნდა ამაზედაც ვიფიქროთ, უნდა მოვთინთლოთ, უიმისოთ არ გამოდგება საქმე, უნდა შევაკოწიწოთ... წუთისოფელში უმისობა არ გამოდგება... იქნება ჩამოხდეს ჩვენსა, იქნება არა, მაინც სადილად კი ჩვენსა იქნება შექველად, აი, მაშინ უნდა ცოტა პირის გასატკბობელი მივართოთ... ის დიდი ავმუცელაა, როგორც ვიცი.



ნ ა ტ ო. მესმის, დედილო!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. თვალები ააყუყუნე... ნაზათ გაუცინე.
თქვენო აღმატებულება... ასე. ამასობაში საქმე...

ნ ა ტ ო. სამის წლის წინათ რომ მოვიდა, დედი, მე მაშინ პა-
ტარა ვიყავი. ეხლაც მახსოვს, თმაზე ხელი გადამისო... მაშინ არა-
ფერი ვიცოდდი... ეხლა კარგად ვიცი, რაც ეამება მათ აღმატებულე-
ბას... უფრო თვალების ყუყუნი და ჩუმი ღიმილი, არა, დედი! უეჭ-
ველად ჩვენსა ჩამოხტება! სად უნდა ჩამოხტეს, თუ არა ჩვენსა...
ვინც რა უნდა თქოს, მე ვიცი ჩვენსა ჩამოხტება.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ღმერთმა ბრძანოს, დედაო, ღვთისმშობე-
ლო, ჩვენსა ჩამოხტეს.

ნ ა ტ ო. თვალი ესე არ ვუყო, დედა! ვიცი, ვისწავლე (ტანში გა-
მოპრანჭული, ტუჩებში ილიმება).

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ჰო, გენაცვალე, ეგრე, ჰო, ეგრე, რა გონიე-
რი რამ არის ჩემი ნატო (კოცნის). არა, მე იათად არავის მივცემ... მე-
ნი კი დავაყარე ფოჩტალიონებს, იმათ უნდა მივცე, კანცელარიაში
ეშმაკიც კი ფებს მოიტეხავს, არამც თუ კაცი, უწინ დღე დამელიოს,
ვიდრე კანცელარიის მოხელეს მივცე. გული გამიწყალდა ღენერა-
ლის მოლოდინში.

ნ ა ტ ო. ნუ სწუხდები, დედი! (ისმის იქით ზარის ხმა, თანდათან უახ-
ლოვდება).

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. (შემოჰკრამს ტაშს) უი, დამიდგა თვალები!

ნ ა ტ ო. ის არის დედი — ისა (მირბის მარჯვნივ კარებში, შემოდის
თეიმურაზი).

გამოსვლა მეცხრე

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა, თ ე ი მ უ რ ა ზ ი და ს ა ნ დ ი რ ო ვ ი

თ ე ი მ უ რ ა ზ ი. გიახლათ, ბატონო! მის აღმატებულება ღენე-
რალი. მისთანა რომ რა გინდა! (უცებ იკარგება თავიდან).

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. (მირბის მარცხნივ, შეეჯახება ქმარს, გაკვირვებით)
ქა, ხალათშია ისევ თქვენი ჭირიმეთ! გაიძრე-მეთქი ჩქარა! გადააგ-
დე, რაღაც საოხრო ჩიბუხს დაათრევ, შე საცოდავო! რა ღვთის გლა-
ხაა ეს საწყალი! ეს საბრალო (გადის. სანდიროვი რჩება გაშეშებული).

ფარდა დაეშვება

მოქმედება მეორე



მოქმედნი პირნი:

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი, ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა, ლ ი პ ა, ნ ა ტ ო

შ უ რ გ ი ნ ი. შტატსკი ღენერალი. უფროსი გამგეობისა, სადაც სანდიროვი მსახურობს. 50 წლისა, ძალად დარბაისელი ვერცხლის სათვალეებით.

პ ე ტ რ ე ს ტ ე ფ ა ნ ე ს ძ ე ი ვ ა ნ ო ვ ი. მოხელე შურგინის გამგეობისა; წმინდათ ჩაცმული, თმებგადავარცხნილი. ახალგაზრდა, ლაპარაკი ცოტა მორცხვი, ილიმება და არ იცის თვალეზი რაზედ გააჩეროს.

ქ ა ლ ა ქ ი ს თ ა ვ ი. მობღუნძული, წლოვანება არ ეტყობა. ცდილობს თავი მაღლა დაიჭიროს. ხელეზი ჩამოშვებული აქვს, ცოტა გაშეშებული. ტანზედ აცვია მუნდირი.

I მოქმედების დეკორაცია

გამოსვლა პირველი

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა მორთული, შემდეგ ლ ი პ ა

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. (მიიპარება დახურულ კარებთან და იქილამ უგდებს ყურს) ფეხის ხმა არ ისმის, მოუსვენია (უკან იწევს). უი, ოჯახო დაღუპულო, გაჯავრებულია ის. არ ლაპარაკობს! მხოლოდ ერთი ესა სთქვა: „ცოტა უნდა მოვისვენო“. ჩემი ვაჟბატონი ყურებსაც არ იბერტყამს, უი, ოჯახო დაღუპულო.... უბედურება მოგველის, გული მეუბნევა. როგორი მოხელე მოჰყოლია ღენერალს? სხვა ვილაც მოხელე მოჰყოლია ღენერალს, ეს ის არ არის. სახე გულკეთილობას უმტკიცებს. არა ჰგავს სატახტო ქალაქის მოხელეებს ბოროტებით და გესლით სამსეებს. მგონია სემინარისტი უნდა იყოს, მიმოხვრაშიაც ეტყობა... ხელეზს ისე შლის, ასე გონია... ნეტა შემატყობინა, რა გადაწყვიტეს? ჩემი თვალის ჩინი განგებ ცეცხლში ვარდება გაზეთების კითხვით. იმას არ გრძნობს, რა უბედურება მოგველის (კარებში შემოდგება ლიპა) სად მიეხირება ნეტავი კაცმა თქოს? წადი ქადა არ დაიწოს, მიხედე.

ლ ი პ ა. გული აღარ მითმენს, დედილო.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. აი, შე აშარო, აშრის შვილო! ქადა მეტქი, ქადა მეტქი, არ გესმის? მიჰხედე ჩქარა, არ დაიწოს (ლიპა მიდის, კანცელარიიდან გამოდიან: ივანოვი ქალაღლებით, სანდიროვი წიგნებით).

ივანოვი, სანდროვი და სანდროვისა

სანდროვისა. მობრძანდით, გენაცვალეთ, თქვენთვის აქ სჯობს, კანცელარია ლაფით სამსეა. მთხოვნელები შეგაწუხებენ, აქ უფრო მოსვენებით იქნებით.

ივანოვი. დიახ, აქ სჯობია.

სანდროვისა. (უთითებს სტოლზედ) ვგონებ, ამ სტოლზე გერჩივნოთ. მობრძანდით, გეთაყვანე (ივანოვი ჯდება, სანდროვი ალაგებს წიგნებს, დაიწყობს უკან ხელებს და დაფიქრებული მედიდურად დადის. ივანოვი უწყებს რჩევას წიგნებს და საქმეებს).

სანდროვისა. (უჩვენებს) ეს შემოსავლის ჟურნალი გახლავს, ის — გასავლისა, ესეც შემოსავალ-გასავლისა, ეს სხვადასხვა გადასახადის ჯარიმებისა. გასაოცარი წესიერებით და სიწმინდითა გვაქვს, ბატონო, ყოველი საქმე დაყენებული. საწყალმა ივან ზახარიჩმა ხომ სულ თავი გადააკლა საქმეს! (ტირის) დღე არ გააჩნია და ღამე საცოდავს და კიდევ არავინ უფასებს, მის აღმატებულებასთან აბიზღებენ, სწამებენ ცილსა. კარგად მოგეხსენებათ ეხლანდელი დროება.

ივანოვი. (გატაცებული ქალღღების რჩევაში) რა მოგახსენოთ.

სანდროვისა. (ხელს წაჰკრავს ქმარსა) რას ელოდები, შე ბედოვლათო, და არაფერს ამბობ, ვერა გრძნობ, რა უბედურება მოგველის.

სანდროვი. მე ოცდაათის წლის სამსახურის კაცი ვარ და მე ეს ჩემი სამსახური დამიხსნის. უადგილოდ დამითხოვენ, დამითხოვონ რა? თეიმურაზს კი ლაზათიანად დავბეყამ და... (გაღის მარჯვნივ).

გამოსვლა მესამე

სანდროვისა. (თავისთვის) ვაი დამიდგა თვალები! (მიღის ივანოვთან) შტრაფების ჟურნალს სინჯავთ?

ივანოვი. დიახ, აქ ცოტაოდენი უნდა ვნახოთ.

სანდროვისა. უი, დამიდგა თვალები! ივან ზახარიჩისთვის ეგ წიგნი ღმერთი გახლავთ, არვის შეეძლო ხელის ხლება. ის რო მოგახსენოთ... ის მეც ახლოს არ გამატარებდა ხოლმე! უკაცრავათ, თქვენი სახელი?

ივანოვი. პიოტრ სტეფანიჩი.



ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. პიოტრ სტეფანიჩი, ჩაის ან ყავას იქნება
შიირთმევთ, დაღალული ბრძანდებით, ცოტა დაისვენეთ. სიზღვირთა
ი ვ ა ნ ო ვ ი. ჯერ ცოტა საქმე რამე მაქვს...

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. პიოტრ სტეფანიჩი, ლენერალი მგონი უქეი-
ფოთ ბრძანდება, რომ მოესვენა?

ი ვ ა ნ ო ვ ი. არაფერი უშავს, კარგად არის...

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. გზაზედ დაიტანჯებოდა?

ი ვ ა ნ ო ვ ი. (ჩააკვირდება წიგნებს) დიახ!.. გზა... ცუდი...

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. უკაცრავათ, საქმეს მოგაცდინეთ.

ი ვ ა ნ ო ვ ი. სრულებითაც არა.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. გიშლით მგონია, ბატონო! (შემოდის ნატო გა-
მოწყობილი, ივანოვი არჩევს ქაღალდებს და ვერ ამჩნევს).

გამოსვლა მეოთხე

ი ვ ა ნ ო ვ ი, ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა და ნ ა ტ ო

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. (ნატოს) ეგები როგორმე გაართო, გენაცვა-
ლოს დედა, თორემ ეს არის დავილუბეთ. (შტრაფების ქაღალდებს სინ-
ჯავს) დამიდგა თვალები!

ნ ა ტ ო. (თავს დაუქნევს) მე თვითონ ვიცი.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. (ივანოვს) მე გიახლებით, რომ თავისუფლად
ბრძანდებოდეთ (გადის).

ი ვ ა ნ ო ვ ი. (შეხედავს ნატოს) ეს რა კარგია! (ჩააკვირდება ისევ წიგ-
ნებს, რამდენჯერმე გარშემო თვალს შემოავლებს, ცოტათ წამოიწევს, დაუკრამს
თავს და დაიკუზება სტოლზედ).

ნ ა ტ ო. (უახლოვდება) ბატონო! არ მოგწყინდათ ქაღალდების
შინჯვა, სუნი მაინც არ გძაგთ? რანაირ დამპლის სუნი უდის?

ი ვ ა ნ ო ვ ი. რასა ბძანებთ, როგორ შეიძლება! სამსახური გახ-
ლავთ. მათი აღმატებულება თხოულობს.

ნ ა ტ ო. იმისი ძლიერ გეშინიანთ?

ი ვ ა ნ ო ვ ი. თავის ნაჩაღნიკისა ვის არ ეშინიან, ბატონო!

ნ ა ტ ო. გულკეთილიანია ლენერალი, თუ ბრაზიანი?

ი ვ ა ნ ო ვ ი. მათი აღმატებულება ძლიერ მოწყალე ბძანდება.

ნ ა ტ ო. ვისი, — ჩვენი?

ი ვ ა ნ ო ვ ი. მოხელეებისა.

ნ ა ტ ო. სხვებს როგორღა ეპყრობა?

ი ვ ა ნ ო ვ ი. რა მოგახსენოთ, უეჭველია, სხვებისათვისაც ისეთი-
ვე უნდა იყოს.



ნ ა ტ ო. გენერალმა როგორღა გულის ქალია?

ი ვ ა ნ ო ვ ი. ჩვენ, საუბედუროთ, გენერალმა არა გვყავს, მათი აღმატებულება ქვრივი გახლავთ.

ნ ა ტ ო. დედა ვინ არის... და?

ი ვ ა ნ ო ვ ი. არავინაც არა ჰყავს.

ნ ა ტ ო. მაშ მარტოკა ცხოვრობს უქალოდ?

ი ვ ა ნ ო ვ ი. იმათ ახლავთ მხოლოდ სახლის გამგე ამალია კირი-ლოვნა!

ნ ა ტ ო. უი! ნემენცის ქალი! ბებერი!

ი ვ ა ნ ო ვ ი. არა, საკმაოდ ახალგაზდა გახლავსთ.

ნ ა ტ ო. ლამაზია?

ი ვ ა ნ ო ვ ი. რა მოგახსენოთ, ისე რაღა?..

ნ ა ტ ო. თქვენ ხომ არ გიყვარს ისა?

ი ვ ა ნ ო ვ ი. რასა ბძანებთ, როგორ შეიძლება?

ნ ა ტ ო. მითხარით, მაშ ვინ გიყვართ?

ი ვ ა ნ ო ვ ი. არავინაც არა... მე ჯერ... (უყურებს ისევ წიგნებს).

ნ ა ტ ო. როგორ. მაშ აქამომდე არ გამოგიცდიათ განა სიყვარული?

ი ვ ა ნ ო ვ ი. დიახ (ცდილობს აჩვენოს მითომ საქმეს აკეთებს).

ნ ა ტ ო. რა მიზეზია? იქნება თქვენი ხასიეთისა არ შეგხვედრიათ, თუ ქვის გული გაქვსთ?

ი ვ ა ნ ო ვ ი. არა, ქვისა კი არა, მაგრამ შემთხვევა არა მქონია.

ნ ა ტ ო. დავიჯერო, რომ თქვენ არავინ გყვარებოდესთ? მაშ არავინ?.. არავინ?

ი ვ ა ნ ო ვ ი. სმ... არა... ჯერ მე... შე... შემთხვევა არა მქონია.

ნ ა ტ ო. თვითონ მეც არა მქონია, ყმაწვილო. აქ მაინც ვის შეიყვარებ... რო იცოდე რანაირად მწყურრიან სიყვარული... როგორც წარმომიდგენია, მეტად სასიამოვნო რამ უნდა იყოს... უსიყვარულო გული ჭმუნვას აქვს შეპყრობილი.


ი ვ ა ნ ო ვ ი. დიახ, რასაკვირველია. თქვენ ჯერ ახალგაზდა ბძანდებით, მერე მიყრუებულ ადგილას.

ნ ა ტ ო. მუზიკა, თეატრი, საზოგადოება გიყვარს?

ი ვ ა ნ ო ვ ი. ფრიად სასიამოვნოა სამსახურის შემდეგ მუზიკის სმენა და საზოგადოებაში გამოსვლა.

ნ ა ტ ო. ისე, როგორც მე თამაში მიყვარს... ოხ! არ შემიძლიან ერთი დღე გავძლო... აქ ერთს მოთამაშეს ვერ იპოვნით, თუ ითამაშებ, დაიქანცები, კავალრის თრევაში! მოდი ერთი ვითამაშოთ.

ი ვ ა ნ ო ვ ი. ახ! როგორ შეიძლება... საქმე უნდა გავაკეთო.



ნატო. არაფერი უშავს... ერთი ბეწო ხანს. ერთ წუთას, რა არის ერთ წუთას, ყმაწვილო.

ივანოვი. ახლა, რო ღენერალმა გაიგონოს, მაშინ ხომ დავი-
ლუბე... ეს არ შეშვენის მოხელეს.

ნატო. ჩუმად... იქნება თამაშობა არ იცოდეთ?

ივანოვი. (ღგება) არა, ვიცი, მხოლოდ უსიამოვნებისა მეშინიან (ნატო დამღერს); თამაშობენ პოლკას.

ივანოვი. (შეჩერდება) მომითმინეთ, გვეყოფა (იწევს სტოლთან დასაჯდომად).

ნატო. ოხ, რა მიამა! წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა. ორ-
ჯელ, სამჯერ მაინც მეღირსოს ხოლმე წელიწადში თამაშობა, ისე
როგორც უნდა... კამეჩები არიან აქაური კავალრები, არაფერს სია-
მოვნებას არ მოუტანენ თავის თამაშობით, რაც არ დასტანჯავენ
ადამიანს.

ივანოვი. (დახრილი) აი, ამისთანა ქალს შეიძლება უთხრას...
ამისთანა (ჩურჩულით) ანგელოზს.

ნატო. (ვითომ ჯავრობს) რაო? რაო? რაო? თქვენ რა ბრძანეთ?
თქვენ ვინ მოგცათ ნება? თქვენ ვის უბედამთ მაგისტანა სიტყვებს?

ივანოვი. არაფერი — ისე! ყურმა მოგატყუათ.

ნატო. თავს ტყუილად იმართლებთ. მე კარგად გავიგონე თქვენ
რაცა ბრძანეთ. გთხოვთ ამ საათში ლექსი დამიწეროთ თავის გასა-
მართლებლად.

ივანოვი. დიდი სიამოვნებით, მაგრამ არ მცალიან, ამ საათში
გენერალი მოიკითხამს ქალაღდებს, მე კი ჯერ არ მომიმზადებია.

ნატო. თუ ლექსებს დამიწერთ, თორემ არ გაპატიებთ (ზარის ხმა
ისმის, შემოდის სანდიროვისა).

გამოსვლა მეხუთე

ივანოვი, ნატო და სანდიროვისა

სანდიროვისა. მგონია ზარის ხმა იყო?

ივანოვი. დიახ, ღენერალი...

სანდიროვისა. უი, დამიდგა თვალები, ჩქარა მოსამსახურე-
ები, ნატო!

ნატო. რა ტკბილად გავატარეთ დროება. ერთად ვითამაშეთ
(გარბის).

სანდიროვისა. უკაცრავად, მგონი შეგაწუხათ ჩემმა ქალმა,
სოტა ცელქი გახლავსთ.



ივანოვი. რასა ბძანებთ, ბატონო?

სანდროვისა. ჯერ ბავშვი გახლავსთ ჩემი ქალი. (დადის)

ივანოვი. რა მშვენიერებაა... ტანი... ფეხები... ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც ჩვენ ქალაქში მოიძევა... (არჩევს საქმეებს) სუყველაფერი თავიდან დამეფანტა... აქ ერთ ადგილას რაღაც შესასწორებელი იყო. დასწყევლოს ღმერთმა, სად დამეკარგა! სიცივის და სიცხის ჟრუანტელი მივლის. საცაა ღენერალი დამიბარებს და ჯერ კი არ მიპოვნია. ხათაბალა! (კარები გაიღება, ზალიდამ გამოდის შურგინი, ივანოვი ცოტა წამოდგება, მერმე ისევ დაჯდება).

გამოსვლა მეექვსე

ივანოვი და შურგინი

შურგინი. (დადის, იწმენდს ფრჩხილებს) როგორ მდგომარეობაშია კანცელარიის საქმეები?

ივანოვი. (წამოდგება) ბევრ ვერაფერ მდგომარეობაშია, უწესობა ეტყობა, მაგრამ ის არის რომ... თქვენო აღმატებულებავ.

შურგინი. თქვენი სიტყვებიდამ ვერაფერი გავიგე, თქვით მოკლეთ და გარკვევით.

ივანოვი. სტრახის, თქვენო აღმატებულებავ, როგორღაც... არა... თუმცა...

შურგინი. (შეჩერდება) მე თქვენ ველარა გცნობთ, არ ვიცი რა დაგმართვიათ, წინად ცხადი, გარკვევითი ლაპარაკი მომისმენია, ეხლა სულ ვერაფერი გავიგე.

ივანოვი. ცოტა თავი... თქვენო აღმატებულებავ... თავი მტკივა... სისხლი ამივარდა.

შურგინი. მაშ ცოტა დაისვენეთ, ან ცივი წყალი დაისხით და ისე განაგრძეთ. ბევრი გამოძევა და გამოკვლევა საჭიროც არ არის. ყველა, ვინც ნახამს კანცელარიას, ცხადათ დარწმუნდება უწესოებაში, უყურადღებობაში, კანცელარიის საქმეთა, გარდა ამისა, გლეხები უცარცვია, ცხენის კუდზედ ხარჯი ურთმევია. (შემოდის სანდროვი).

გამოსვლა მეშვიდე

შურგინი, ივანოვი და სანდროვი

სანდროვი. (იჭიმება) პატივი მაქვს გამოვცხადდე თქვენი აღმატებულების წინაშე. მომიტევეთ პირად ვერ დაგხვდით.

შურგინი. (თავის ქნევით) ა-ა გაუმარჯოს! გაუმარჯოს! თქვენ დიდი ხანია მსახურებთ, მე არც კი მახსოვს (დადის).

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. ოცდაათი წელიწადია, თქვენო აღმატებულება, დაუზარავათ ვასრულებ ჩემს თანამდებობას.

შ უ რ გ ი ნ ი. გასაოცარია ღმერთმან იცის, რომ აქამდინ არ გამოაშკარავდა ეს უწესობა და მტარვალობა!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. მტარვალობა არა გამიწევია რა, თქვენო აღმატებულება, თუ არ სხვის თანახმით, თუ რამე მომხდარა იმისთანა, ეგ სულ ჩემი სიგულკეთილის და გაუწყვეტლივი შრომისაგან.

შ უ რ გ ი ნ ი. (შეჩერდება, აიმაღლებს ხმას) რას ბრძანებთ! გაგონილა სამსახურში „ორივე მხრით თანხმობა“. თქვენ რასაც კანონი შეგიწერთ, ისე უნდა მოიქცეთ და არა ისე, როგორც თქვენა და თქვენს მეზობლებსა გსურთ. კერძო პირებთან გქონიათ საქმე, იმიტომაც გაგიოხრებიათ კანცელარია? სუყველგან უწესობაა: შიგნით და გარეთ. ქალაქებში, ჟურნალებში, საქმეებში არევდარეულია, რა არ ჩაგიდენიათ, თანაც რაღაც ჩიბუხი აგითრევიათ.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. ჩიბუხი! თქვენო აღმატებულება, ჩემს კაცთმოყვარეობას შეადგენს.

შ უ რ გ ი ნ ი. კაცთმოყვარეობას! რას ყბედობს?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. ოცი წელიწადია, თქვენო აღმატებულება, ეს ჩიბუხი იხსნის კაცს ყოველი ბოროტებისაგან და ცუდ განზრახვისაგან.

შ უ რ გ ი ნ ი. ჩიბუხი?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. დიახ, თქვენო აღმატებულება.

შ უ რ გ ი ნ ი. საკვირველი კაცთმოყვარეობაა! (სცენის იქით ისმის ნატოს ხმა: „ახ გაფრინდი, მერცხალო“) მღერის ვილაც, ვინ იმღერს?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. ჩემი ნატო გახლავსთ, ნება მომეცით, ვუბრძანოთ, თუ გაწუხებთ.

შ უ რ გ ი ნ ი. სრულებითაც არა! თქვენ საჭირო აღარა ხართ, შეგიძლიანთ წახვიდეთ, მუნდირი გაიხადოთ (სანდიროვი დაუკრავს თავს და გადის, შურგინი დადის, მოიღერებს სიგარას. ივანოვი წამოხტება და აძლევს ცეცხლს, ის მოუკიდებს და დაეშვება კრესლაზედ).

შ უ რ გ ი ნ ი. (თითქო თავისთვის) უნდა უადგილოდ დავითხოვო, ამას რაღა ლაპარაკი უნდა... სულ ძველი ჩვეულება ახდენს საქმეს (შემოდის ნატო კალათით, რომელშიაც ქაღები უწყვია. გოგოს მოაქვს ფოდნოსი ყავით).

გამოსვლა მერვე

შ უ რ გ ი ნ ი, ი ვ ა ნ ო ვ ი, ნ ა ტ ო, გ ო გ ო

ნ ა ტ ო. თქვენო აღმატებულება, ყავას არ მიირთმევთ? (გოგოს სდგამს ყავას სტოლზედ და მიდის).



შურგინი. (ლიპლით) გმადლობთ, გმადლობთ (ივანოვის ჩქარა-ჩქარა კერებს ქალაქებს და მიდის კანცელარიაში) თუ არა ვცდები, მგონი თქვენ იმდერდით, არა?

ნატო. დიახ, მე.

შურგინი. მე ძლიერ მომეწონა თქვენი ხმა.

ნატო. არავის არ უსწავლებია ჩემთვის სიმღერის კილო, მე ისე ვიმღერდი ხოლმე, თქვენო აღმატებულება.

შურგინი. თქვენის ხმის მიხვრა, სიმტკნარე, სინაზე, სინარნარე — მე ძლიერ მომეწონა (სვამს ყავას).

ნატო. შეიძლება, მაგრამ ცხოვრებაში არაფერი მინახავს, არც არაფერი გამიგონის და სჯაც არ შემიძლიან, თქვენო აღმატებულება, მე თქვენთან სათხოვარი მაქვს...

შურგინი. ბრძანეთ, ბრძანეთ, სასიხარულოდ მოვისმენ.

ნატო. რადგანაც ჩი...ნო...ვნი...კები... ეზლა დედაკაცებს, ამბობენ მინიჭებიათ უფლება, სამსახურში შესვლისა...

შურგინი. ხა... ხა... ხა... კაი აზრი ბრძანეთ. სად გსურთ სამსახური?

ნატო. სხვაგან არსად, თუ არ თქვენის უფლების ქვეშ... თქვენ ისეთი თავაზიანი და მოწყალე ბრძანებულხართ თურმე თავის ქვეშემდომებთან... მე გულბრაზიან ღენერლებთან სამსახური არ შემიძლიან...

შურგინი. ხა... ხა... ხა... დიახ, დედაკაცები მსახურებენ, მაგრამ კერძოთ, მათ მუნდირები არ აცვიათ, ბატონო!

ნატო. (კოპწიათ) მე კერძოთ ვიმსახურებ, თქვენო აღმატებულება.

შურგინი. თქვენ ხომ დიდი ჯამაგირი მოგინდებათ... ხა, ხა? მე იმდენი შეძლება არ მაქვს...

ნატო. წინაპირველად ცოტათიც კმაყოფილი ვიქნები.

შურგინი. რომელ სტოლზედ უნდა დაგსოთ, რა საქმე უნდა გაგიჩინოთ?

ნატო. მე ყოველისფერ საქმეს ერთნაირად ავასრულებ, მამაჩემს, თქვენო აღმატებულება, სულ მე უწერავ ხოლმე ქალაქებს.

შურგინი. მაშ კარგი და, თუ უწესობა შეგამჩნიეს რამე, გაგლახავ რომ ჰო, ჰო, ღმერთმა დაგიფაროსთ.

ნატო. უწესობა! რას გვიბრძანებთ, თქვენო აღმატებულება, ვინ მოგახსენათ? მთელი ღამე არა მძინებია თქვენის მოსვლისათვის ქალაქების მზადებაში, სუყველაფერი კარგად არის. მე თქვენგნით საჩუქარს მოველი. განა უყურადღებოდ დამტოვებთ? (კოპწიობს და თან თვალს უშვრება).



შ უ რ გ ი ნ ი. ვინა, თქვენ დაგტოვოთ უყურადღებოთ? მე წარ-
მოსადგენი არ არის (კოცნის ხელზედ). მე ჩემს სეკრეტარად ავიყენებ.

ნ ა ტ ო. წამიყვანეთ, გენაცვალე! ვეცდები არ შეგანანოთ, შევის-
წავლო თქვენი ხასიათი და ჩვეულება და გასიამოვნოთ!

შ უ რ გ ი ნ ი. ოჰ, თქვენ ჯადო მომისვით (აღტაცებით უჭერს ხელს)
მაგრამ ეს (წამოღება) რასა ვშვრები? მე აქ უნდა ვსჯავრობდე, უნდა
ვწყობოდე (გაივლის) უნდა დავცე თავს ზარი, მეხი მოულოდნელი.

ნ ა ტ ო. თავს ზარი? ვისა?

შ უ რ გ ი ნ ი. მე მამათქვენს არ შეიძლება ვაბატო, უნდა დავი-
თხოვო სამსახურიდგან უადგილოდ.

ნ ა ტ ო. მაშ მეც, თქვენო აღმატებულებავ! შემიძლიან წარმოვი-
დგინო, როგორ იზამთ თქვენ მაგას! აბა თავის სულ ქვეშა თქვით,
დენერალო! არ გენანებით საწყალი ქალი, რა იმედით მოგელოდით,
იმედი მქონდა საჩუქრისა, თქვენ კი სასჯელს მიმზადებთ?

შ უ რ გ ი ნ ი. (შეჩერდება) რასაკვირველია, ეს უხასიათობა არის,
მაგრამ არ შეიძლება, სულ და... (უჭერს ხელს) თქვენ... სულ თქვენა
ხართ დამნაშავე! ერთ დროს ბავშვი და იმდროსვე მომჯადოები (გა-
უწყვეტლივ კოცნის ხელზედ). მაინც, რაც უნდა იყვეს, მე გაგხდი ჩემს
სეკრეტარად, გაძლევ ნებას თავისუფალი მოქმედებისას! (ხელს არ
უშვებს).

ნ ა ტ ო. დიდის კმაყოფილებით, მაგრამ რომ არ ვიცი...

შ უ რ გ ი ნ ი. თქვენ ამაზედ ნუ იზრუნებთ. თქვენ მხოლოდ შე-
გიძლიანთ იცოდეთ, რომ ეხლა რასაც მოვიქმედებ, მიმართული
იქნება თქვენი სეკრეტარად გახდომის სასარგებლოდ... ყაბულს
ხართ, თუ არა?

ნ ა ტ ო. მე თქვენი ვარ, რაც გსურთ ის მიყავით, ხმას არ ამოვი-
ღებ.

შ უ რ გ ი ნ ი. ოხ! რა სეკრეტარი მყავს, რა სეკრეტარი!

ნ ა ტ ო. რევიზიის შემდეგ კმაყოფილი ბრძანებულხართ?

შ უ რ გ ი ნ ი. კარგი, ეგრე იყოს...

ნ ა ტ ო. გენაცვალე, კარგო, ლამაზო, დენერალო! (აკოცებს შუბლ-
ზედ და გაიქცევა).

შ უ რ გ ი ნ ი. რანაირად მაკოცა, ოხ! დამწვა ერთის სიტყვით! ტან-
ში ამაზრზოლა, თავბრუ მეხვევა (იჭერს თავს) ცეცხლი მეგზნება გულ-
ში. საკვირველია! საკვირველი! (დადის) თავი! პატარა ფეხები! თვალე-
ბი! ოხ! ქალებო! ნეტა მექნეს შემთხვევა, თავი შემოგწიროთ! (გააღებს
კანცელარიის კარებს) უფალო, ივანოვ! ივანოვ! აქ მობრძანდით. (ივანოვი
შემოდის).



გამოსვლა მეცხრე

შურგინი და ივანოვი

შურგინი. თქვენ იქ... ძალიან ნუ... ისევე... წესები დიდი რამ არ არის... სხვას ცოტათი, თუ ბევრად არ უშავს... სასტიკად ნუ მოვეკიდებით, ცოდონი არიან.

ივანოვი. მესმის, თქვენო აღმატებულება.

შურგინი. გაიგე, მე არ მინდა მაგის დაღუპვა, დიდი სახლის პატრონია (ჯღება).

ივანოვი. მართალსა ბრძანებთ, თქვენო აღმატებულება... ძლიერ დიდი...

შურგინი. ხომ თქვენც თანახმა ხართ! ფრიად სასიამოვნო! დასხედით, მე ცოტა სალაპარაკო მაქვს თქვენთან.

ივანოვი. რას ბრძანებთ, თქვენო აღმატებულება (ჯღება სკამის კიდურზე).

შურგინი. ხომ იცი კარგად, როგორ კარგად ვეკიდები ჩემს ქვეშევრდომთ და თქვენ უმეტეს...

ივანოვი. (შეხტება) ვიცი, თქვენო აღმატებულება. ჩემი მეორე მამა ბრძანდებით.

შურგინი. ჰო, მადლობელი ვარ შენის სამსახურის და ჩვენის დაბრუნების შემდეგ ჩინზედაც წარგადგენ.

ივანოვი. (თავს უკრავს) დაკარგული ვიყავი და ეხლა თქვენის წყალობით კაცი გავხდი, თქვენო აღმატებულება.

შურგინი. მაგრამ ჩემი ყურადღება მამისას გადასცდა. შემეშინდა, — რომ თქვენ ცოლი გყავდესთ, მაშინ უეჭველად ბედნიერი იქნებით. დრო არის, შვილო, ამაზე იფიქრო, დასხედით!

ივანოვი. (ჯღება) მე ბევრი ვიფიქრე, სიზმარშიაც ეგ მეღანდება, თქვენო აღმატებულება, მაგრამ რა ვუყო, რომ ვერ შემხვედრია ღირსი იყოს.

შურგინი. არ შეგხვედრია! ოხ! რო იცოდე ბედი წინ გიდგა, ახლოს, ძლიერ ახლოს! თქვენ ნახეთ, აქ რომ ქალი იყო... მომღერალი?

ივანოვი. ვნახე, თქვენო აღმატებულება.

შურგინი. აი ქალი, თუ გინდათ! აიყვანეთ დღესვე! ნუ იფიქრებთ, მაგაზედ ფიქრი საჭირო არ არის... მშვენიერი ქალია!

ივანოვი. ოჰ, მართალსა ბრძანებ, თქვენო აღმატებულება, ცოდოა ის ამისთანა მიყრუებულ ადგილს ცხოვრობდეს.

შურგინი. მზითევი, რასაკვირველია, არ აქვს, მაგრამ რადგან მეცოდება მშობლები, ამის გამო მე გაძლევთ პირობას შემწეობისას.



ივანოვი. (წამოხტება) თქვენო აღმატებულება, განა ღირსი ვარ?

შურგინი. თქვენმა სიმშვიდემ, უსაყვარელესო და ერთგულობამ გაგხადათ ღირსი. აი, კიდევ რას გეტყვი: გამიგონე, საქმის გაჭიანურება, გაცნობა-გამოცნობა ბევრს მოუშლის სამსახურის კაცს და ესე უცეფ საქმის თავსმოყვანა, მერწმუნეთ, ბედნიერებას მოასწავებს.

ივანოვი. იქნება, თქვენო აღმატებულება, იმას არ ვსურდე, ან არ მოვეწონო?

შურგინი. მე პირობას გაძლევ, რომ მოეწონები კიდევ და საქმესაც გავაკეთებ. თქვენ დამერწმუნეთ, ცხოვრება უფრო იცის ამ ქალმა, ვიდრე ჩვენ. ეცადეთ, გამოუცხადოთ თქვენი სურვილი, აქ დარჩით, მე დღეს მივდივარ, ხვალ თქვენც მომეწევით, რასაკვირველია.

ივანოვი. (სიხარულისაგან აღტაცებული) თქვენო აღმატებულება, სიტყვას ვერ ვპოულობ რომ... (შემოდის ნატო).

გამოსვლა მეათე

შურგინი, ივანოვი და ნატო

შურგინი. (ნატოს უჩვენებს ივანოვზე თვალით) აი, ამ ყმაწვილს აქვს თქვენთან დიდი სათხოვარი, რომელსაც დღეს გამოგიცხადებთ. ჩემთვის დიდი სასიამოვნო იქნება და შემწეობასაც აღმოგიჩენთ (ნატო იღიმება, ივანოვი გაწითლდება და გარბის. შემოდის სანდიროვი, სანდიროვისა, ნატო გადის).

გამოსვლა მეთერთმეტე

შურგინი, სანდიროვი და სანდიროვისა

სანდიროვისა. თუ გვიკადრებთ, თქვენო აღმატებულება, გვეწვიეთ პურმარილზედ.

სანდიროვი. გთხოვთ გაგვაბედნიეროთ, თქვენო აღმატებულება!

შურგინი. მადლობელი, დიდის სიამოვნებით (სანდიროვისას) უნდა გითხრათ, რომ მშვენიერი ქალი გყოლიათ.

სანდიროვისა. მეტისმეტი გიყია, თქვენო აღმატებულება! გული გამიწყალა! (შემოდის თეიმურაზი, ძლივს დგება ფეხზე).



გამოსვლა მეორეზე

შურგინი, სანდროვი, სანდროვისა, თეიმურაზ

თეიმურაზ. (ხელებგაშლილი დაეცემა შურგინის წინ) მიიღეთ, თქვენო აღმატებულება...

შურგინი. გრძნობა სულ დაკარგვია, მკვდარს დაჰგვანებია!

თეიმურაზ. ს... ს... ჩემს პირში წყლის მეტი არ მინახავს. ეს ნიშნავს, რომ წმინდის გულით...

სანდროვი. აი, ახლავ მე ვაჩვენებ მაგას თამაშს (სანდროვი წამოავლებს ჩიბუხს ხელს).

შურგინი. ისევ ჩიბუხი (სანდროვი შედგება ხელ ჩიბუხიანი).

სანდროვისა. თქვენო აღმატებულება, ერთი სიტყვით მოსვენება აღარ არის და არც შეიძლება კაცურად.

შურგინი. თუ ეს არა, თქვენი ჩიბუხი მაინც არ გენანებათ?

თეიმურაზ. სამართალი, თქვენო აღმატებულება!

სანდროვი. მეტი არ შემიძლიან, თქვენო აღმატებულება (თეიმურაზს წაჰკრამს ხელს და შეაგდებს კანცელარიაში. ზალიდამ გამოდის ქალაქისთავი და ნატო).

გამოსვლა მეცამეტე

შურგინი, სანდროვი, სანდროვისა, ნატო და ქალაქისთავი

ქალაქისთავი. (თავს უკრავს) პატივი მაქვს გამოვცხადდე, თქვენო აღმატებულება, მე გახლავართ თავი ამ სამაზრო ქალაქისა... დი... ახ...

შურგინი. ფრიად სასიამოვნოა, გმადლობთ.

ქალაქისთავი. დანება მომეცით მოგართოთ, თქვენო აღმატებულება! (მოუტანს ქალაქისთავს).

შურგინი. (აიღებს) ეს რა არის?

ქალაქისთავი. შესახებ მით მაღალკეთილშობილებისა მოწერილია, რაც უნდა. აი რა! დიახ!

შურგინი. (კითხულობს) ჰო, ჰო, ეს თხოვნა ხალხიდან ფოჩმეისტერის შესახებ.

ქალაქისთავი. დიახ, თქვენო აღმატებულება, საზოგადოებისაგან. ყველანი მადლობელი ვართ, არც საჩივარი გვაქვს რამე, არც სათქმელი, გარდა იმისა, რომ ივან ზახარიჩი კარგი პოჩმეისტერი არის. უნდა მოგახსენოთ.



შურგინი. მე თუმცა ჩემის თვალთ ვნახე... მაგრამ ჩემთვის ძლიერ სასიამოვნოა, რომ ხალხი აფასებს ჩემი მოხელის ერთგულებას! საზოგადოება დაუზოგავი მსაჯულია!

ქალაქის თავი. მაშასადამე, ჩვენც, თქვენო აღმატებულებავ, მოხარულნი ვართ ამ შემთხვევისთვის. სხვა არაფერი...

შურგინი. (ყველას თვალს გადაავლებს) ეხლა, ვგონებ, საქმე გათავებულა...

სანდროვისა. გთხოვთ უმორჩილესად, თქვენო აღმატებულებავ, ზალაში მობრძანდეთ.

შურგინი. მადლობთ, ჩემო ბატონო (ნატოს კიდებს ხელს) თუ შეიძლება... (გაღიან. შურგინი ნატოს ჩურჩულით რაღაცას ელაპარაკება, ნატო იცინის, სანდროვისა ფაცა-ფუციტ ქალაქისთავს ხელს ართმევს; სანდროვი ხელს ჩასკიდებს, ყველანი ზალაში მიდიან).

ფ ა რ დ ა

მოქმედება მესამე

სანდროვი, სანდროვისა, ლიპა, ნატო, ნიგინი, ივანოვი
დეკორაცია ისევ ის.

გამოსვლა პირველი

სანდროვი ძველ თავის ფორმის სერთუკში გაზეთით და ჩიბუხით დადის
წინ და უკან.

სანდროვისა. ქა! ერთი მითხარი, ეს რასა ნიშნავს?

სანდროვი. არ ვიცი, დედაკაცო, არა.

სანდროვისა. გაიგონე, ყრუ, ღენერალი წავიდა...

სანდროვი. არ ვიცი მეთქი, არა მეთქი, გელაპარაკები.

სანდროვისა. აღარ დამაცლი სიტყვა დავამთავრო! ღენერალი წავიდა მეთქი, თავის მოხელე დასტოვა.

სანდროვი. არ ვიცი მეთქი, არ გესმის. ეშმაკმა წაგიღოს შენ და ისიც.

სანდროვისა. ეშმაკმა! ქა, ვუი ჩემ თვალებს, გამიგონე, შე გამოჩერჩეტებულო, მამა არა ხარ, მართლა ეშმაკო და მამებში გამოსარჩევო. ეშმაკი ხარ თუ მამა?

სანდროვი. უნდა გაიგო, რომ მამა უნდა ვიყო, როდესაც შვილები მყავს.



ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. რით უნდა ვაცხოვროთ, ამდენი შვილები გვახვევია, ხომ დაიწვა ქვეები ამათი ცოდვით (იწმენდს ცრემლებს). რადგან არ გესმის, აგისხნი: ღენერალმა კარგი ხერხი გვიგდო, ეგ სულ თურმე ეგრე იქცევა, სხვისაგანაც გამიგონია. თვითონ წავიდა, მოხელე აქ დასტოვა, რომ ჩამოგართოს იმის მოწერილობის ძალით თანამდებობა. იმდენი არ გესმის, ამას ვერ მიუხვდები.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. მერე რა არის, იმის სადღეგრძელო იქნება.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. მერე ისა, რომ აიღე, წამოიკიდე გლახის თოფრა და გასწიე წყალობის სათხოვნელად.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. რა ვუყო ახლა? წამხდარა საქმე. ველარ გაასწორებ. დიდი სიტუტუტუცე იქნება ჩემის მხრით ვიღარდო. რა უნდა ვქნა? თავპირი დავიმტვრიო, უკანასკნელი თმა და წვერი შემრჩენია, ესეც გავიწიწკნო? რას გადამკიდებია ეს დედაკაცი! ღვთის მადლით თავში საკმაოდ მილაგია ტვინი... იკვნესეთ, რამდენიც გინდათ, იტირეთ, თუნდა ქვას ახალეთ თავი, ოღონდ მე ნუ მაშფოთებთ. შენ რა იცი რა ამბები ხდება ქვეყანაზედ. სამეფო ირღვევა, სულთანებს სცვლიან წამდაუწუმ, პოჩმეისტრის გამოცვლა დიდი საქმეა. უმჯობესია თავი დამანებეთ, მოსვენებით მაინც ვიქნები (გაღის მარჯვნივ).

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. (შიახარებს) მახინჯო, შე მახინჯო! შე ბაბაყულო, თუ შენი თავი არ გეცოდება, შეიცოდე შვილები და მე საბრალო დედაკაცი (ზალიდამ შემოდის ნატო).

გამოსვლა მეორე

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა და ნ ა ტ ო

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. სად წავიდა ის ივანოვია ვილაცა?

ნ ა ტ ო. (მხიარულად) დიდ ქუჩაზედ შეუხვია.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. პალაშო მისდევს?

ნ ა ტ ო. (სიცილით) ისიც მეორე გვერდზედ და არ ეხსნება.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. რას იღრიჯები ნეტა ვიცოდე? აქ სატირელი გვაქს, ეს კი იცინის.

ნ ა ტ ო. არა, დედილო, ისე ვიმხიარულოთ რომ, აბა ნახე.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. საიღამ მოელი მხიარულებას! ვინ მოგვცემს?

ნ ა ტ ო. გეუბნები-მეთქი, ვიმხიარულებთ.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ნეტა არ ხუმრობდე!

ნ ა ტ ო. ქაღალდი გავშალე და სწორედ — ბედი... სიმხიარულეს მოველოდეთ, დედილო, ღმერთმანი!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ქაღალდებით ამისთანა საქმეს ვერ გაიგებთ,



შვილო, ეს იმისთანა საქმეა, რომლითაც ჩვენი სიკვდილი და სიცოცხლე გადასწყდება.

ნ ა ტ ო. (ფანჯარასთან) ივანოვი დაბრუნებულა. აჩქარდით, მოდის! ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. აგერ პალაშკაც ქუჩაზედ მოდის (მიდის მარჯვნივ) ვისთან ყოფილა იქ? (მიდის).

ნ ა ტ ო. აი, მოვიდა კიდეც, ლენერალს უთქომს „მაგას თქვენთან დიდი საქმე აქვსო“. რა საქმე უნდა ჰქონდეს სხვა ან რისთვის დარჩომილა, ჩვენთან, იქნება ჰქონდეს კერძო საქმე... საკურველი მდგომარეობაა ჩემი მდგომარეობა, თითქო მიხარიან და თანაც მეშინიან, არ ვიცი კი რისგან მემართება (შემოდის ივანოვი).

გამოსვლა მესამე

ნ ა ტ ო და ი ვ ა ნ ო ვ ი, ერთ ხელში ალბომი, მეორეში პორტფელი ქაღალდებით.

ნ ა ტ ო. (დაეშვება სკამზედ) Merci... რა მშვენიერია! საკურველებაა. რა კაცია თქვენი ლენერალი?

ი ვ ა ნ ო ვ ი. ოხ, მეტიმეტია. (აირევა, მიდის სტოლთან და არჩევს ქაღალდებს პორტფელიდამ).

ნ ა ტ ო. (კითხულობს ზედ წარწერილს) „ჩემ მშვენიერ სეკრეტარს პირველი გაცნობის სახსოვრად“ Merci, Merci. (დაჯდება კრესლაზედ გაშორებით და შინჯავს ალბომს) თქვენ დიდი საქმე გაქვს ვგონებ?

ი ვ ა ნ ო ვ ი. (ზურგშექცევით) დიახ... ეს საქმე... აქ ცოტა გამოხატვა უნდა აზრისა და მე არაოდეს...

ნ ა ტ ო. ის საქმე მანდ ქაღალდებში გიწერიათ?

ი ვ ა ნ ო ვ ი. (ისევ ისე დგას) არა, მე გულში... მაქვს.

ნ ა ტ ო. გულში?

ი ვ ა ნ ო ვ ი. მე ამნაირი საქმე გულში არასოდეს არ მქონია. ეს პირველად არის ჩემს სიცოცხლეში. გრძნობები მერევა. თავბრუ მესხმის (ქაღალდებს უკან იმალება).

ნ ა ტ ო. თავი როგორღა მდგომარეობაში გაქვსთ?

ი ვ ა ნ ო ვ ი. თავიც... მე შეყვარებული ვარ...

ნ ა ტ ო. ვინ გიყვარსთ?

ი ვ ა ნ ო ვ ი. არ შემეძლიან არაოდეს...

ნ ა ტ ო. ნუ გეშინიან მარტოკა ვარ, თქვი?

ი ვ ა ნ ო ვ ი. რაღა გითხრათ, თქვენ მიყვარხართ (ჩააკვირდება), მაგრამ ვგრძნობ, რომ ღირსი არა ვარ... მეშინიან კიდეც...

ნ ა ტ ო. ეგრე ჩქარა?

ი ვ ა ნ ო ვ ი. (მიბრუნდება, პირის სახეს მალავს) დიახ... უცებ... არც

მე ვიცი როგორ... რალაც დამემართა უცებ, მეც აღარ მახსოვს (წამო-
იწევს) ნატო, შენ გენაცვალე, მეტი აღარ შემიძლიან... ჩემი სული და
გული... საუკუნოდ... (დაჯდება და ჩამალავს ქალაქებში თავს. შემოდის სან-
დიროვისა, უყურებს ივანოვს იქვნიულად, ნატოს ვერ ხედავს).

გამოსვლა მეოთხე

ივანოვი, ნატო და სანდიროვისა

ივანოვი. (წამოიწევს და გამოიჭყიტება ქალაქებიდან) მე ლენე-
რალმა... მათ აღმატებულებამ მე...

სანდიროვისა. უი, დამიდგა თვალები, გული მეუბნება, რა-
ღაც უბედურებაა ჩვენს თავს... რა უბედურება გვეწვია.

ივანოვი. (თანდათან კრთება და ირევა) არა, მე სჯა მინდა. მე
მაქვს...

სანდიროვისა. წინათვე ვიგრძნე (ტირის) რისთვის? რა დაუ-
შავეთ? წავალ და მივეწევი ლენერალს, გულზედ მოვეხვევი, თავს
მოვევლები, შევეხვეწები, შეგვიბრალოს ღვთის გულისთვის!

ივანოვი. ღიახ მე... სრულებითაც არა... მე...

სანდიროვისა. (ტირილით) მე ვიცი... ვიცი... თქვენ ვინ გამ-
ტყუნებსთ, რასაც გიბრძანებსთ, იმას ასრულებთ, პიოტრ სტეფანიჩი,
შეგვიბრალეთ ღვთის გულისთვის. მირჩიე რამე, შენ გენაცვალე,
სთხოვე ლენერალს, თქვენ დაახლოებული ბრძანდებით (უჭერს ხელს)
წავიდეთ, წავიდეთ, შენ გენაცვალე, ეხლავე წავიდეთ!

ივანოვი. არა, მე სულ სხვა... მომითმინეთ...

ნატო. (მირბის დედასთან, უჭერს ხელს და გამოაშვებინებს ივანოვს) დე-
დი, აქ სულ სხვა საქმეა!

სანდიროვისა. რა? რა? მითხარით ჩქარა, თორემ გული გა-
დამიბრუნდა.

ივანოვი. მე... მე წინადადება მივეცი თქვენს ქალს, ესე იგი
თქვენს ნატოს, ვთხოვ ხელსა.

სანდიროვისა. ახ! ნატო! ღმერთო...

ნატო. აი, ლენერლის გამოგზავნილი საჩუქარი...

სანდიროვისა. ველარ მოვსულვარ გონებაზედ, რა დამე-
მართა, რას ვხედავ, თქვენ გენაცვალეთ, ნატო! გენაცვალოს დედა,
შვილო! (ეხვევა, ჰკოცნის) რომ იცოდე, ყმაწვილო, რა მიყვარს ჩემი ქა-
ლი!.. მარგალიტია ჩემი ნატო. მაპატიეთ, გენაცვალე, ჰკუილამ შევც-
დი... მე სულ სხვა გავიფიქრე მოულოდნელად, დიდათ მადლობელი
ვარ თქვენი, პიოტრ სტეფანიჩი, არ ვიცი, როგორ გადაგიხადო სიკეთე.
მობრძანდით, გეთაყვა, ბაღში, ჩაი მიირთვით, ისე მოიქეცით, რო-
გორც შინაური... რა საკურველებია ჩვენი ბაღი.



ივანოვი. დიდის სიამოვნებით.
 სანდროვისა. (მიდის მარჯვნივ) მე მოვამზადებ, რაც საჭი-
 რია (გადის).
 ივანოვი. (სიხარულით) ნატოჯან! მოუთმენლად მოველი იმ
 დროს... ვიტანჯები...
 ნატო. მართლა გიყვარვართ?
 ივანოვი. გაგიყვებით, სულთ, ისე, რომ არ ვიცი, როგორ გა-
 მოვთქვა.
 ნატო. იქნება ლენერალმა გიბრძანათ.
 ივანოვი. იმათ მხოლოდ მამობრული რჩევა მომცეს.
 ნატო. მაშ, ბაღში, ბაღში (სკიდებს ხელს და მიდის, ზალის მარჯვნივ
 შემოდის სანდროვი გაზეთით, სანდროვისა ხელით მოათრევს).

გამოსვლა მეხუთე

სანდროვი და სანდროვისა

სანდროვისა. არ ჩამოეხსნები მაგ საოხრო გაზეთებს, რა
 ღმერთი გახსწყრომია, შენ გენაცვალე, რა თავში ვირტყამ შენს ევ-
 როპას?
 სანდროვი. რა, რა გინდა, თქვა, ერთი მითხარი, დედაკაცო?
 სანდროვისა. ბრძენო, ჭკვიანო, აბა იქნება გამოიცილო?
 სანდროვი. ცეცხლი ხომ არ წაეკიდა სახლებს, ან იქნება მი-
 წისძვრა იყო?
 სანდროვისა. გაახილე თვალები, შე გამოჩერჩეტებულო,
 ქალსა გთხოვენ, ნატოს, გამოიბღერტე ყურები. კიდეც არ ესმის.
 თქვენი ჭირიმი!
 სანდროვი. ჰო! კარგი, კარგი (ჩასცქერება გაზეთებს).
 სანდროვისა. არ იკითხამ მაინც, ვინ არის?
 სანდროვი. როგორ — რა — მაშ... მაშ... ვინ არის?
 სანდროვისა. მოხელე, ყრუ, მოხელე!
 სანდროვი. იცი, ის ვისი მოხელეა?
 სანდროვისა. ლენერლისა, გაიგონე!
 სანდროვი. ლენერლის, ლენერალი, ლენერლის? ჰე! ჰე!
 სანდროვისა. გამოიღვიძე, ჩერჩეტო (წაართყამს კისერში). არ
 გესმის, რასაც გელაპარაკები? დღეს რა გქონდათ სადილათ?
 სანდროვი. (შუბლს იწმენდავს) ჰა, ჰა, ეხლა... მე
 სანდროვისა. პიოტრ სტეფანიჩი ივანოვი, მოხელე მათ
 აღმატებულებისა, რევიზიის დროს რომ... არ გესმის?
 სანდროვი. ჰა, ჰა, ჰო, ჰო, ის არის განა?



ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. დიახ! ის გახლავსთ, აბა რაში მოგეწონებათ.
ნატოს თვითონ ლენერალმაც ალბომი გამოუგზავნა...

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. ლენერალს ალბომი გამოუგზავნია და მოხელეს
წინადადება მიუცია? როგორ მოგწონს? აქ საკურველი არაფერია!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. იშ, ქა (უკვირს) არაფრად მიაჩნია ამ ვაჟ-
ბატონს! საცოდაო, ხელზედ მაკოცე ჩქარა (უშვერს ხელს) აფსუს, ქა-
ლო, რომ შენი ცოლი ვარ!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. შენგნით მოხდა ეგ საქმე. დიდად გმადლობ,
სულიკო!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. შენი მადლობა საჭირო არ არის, წადი ბალ-
ში, სიძე ნახე! ეგ საოხრო გაზეთი ეხლა მაინც გადააგდე (გამოართმევს
ხელიდამ გაზეთს) წადი, გაამხიარულე, შეაქციე. მეც ეხლავე მოვალ.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი. ჰი, წავალ, წავალ... (მიდის).

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ვინ მოელოდა ამისთანა საქმეს (მიდის ფანჯა-
რასთან) უბრალოდ მოდიხ (ფანჯრიდამ) ვასო, ვასო, ცოტა ხანს ჩვენსა
მობრძანდი, უნდა სიხარული გაგიზიაროთ! (მირბის ზალისკენ, კარებში
უბრალოდეს შეეხლება).

გამოსვლა მეექვსე

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა და უ ბ რ ა ლ ა ძ ე

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. გცხვენოდეს, გცხვენოდეს, ყმაწვილო, რომ
იმ დღეს აქეთკენ ჩამოიარე და ჩვენსა კი არ მოხვედით.

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. უკაცრავად. ისე მივეჩქარებოდი, რომ გავცილე-
ბოდი თქვენს სახლს.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. რას ჩაფიქრებულხართ? დაბძანდით, გენა-
ცვალე, ცოტა ხანი (დასხდებიან) ჩვენმა რევიზიამ მშვიდობიანად ჩაია-
რა, ლენერალი კარგი კაცი ბრძანებულა.

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. გულით მოხარული ვარ...

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. კიდევ ერთი სასიხარულო.

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. რა? ბრძანეთ.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. მათ აღმატებულების მოხელემ ხელი სთხოვა.
ჩემს ნატოს. იმის გვარი გახლავსთ ივანოვი, დაუზოგავი გახლავსთ!

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. როგორ მოგიხდენიათ ეს უცებ?

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. ვენაცვალე ღვთის განზრახვას!

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. ჰა... რევიზია... ქორწილი — აქ რაღაც ამბავია.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. რანაირად გამოცვლილხართ, ყმაწვილო, ამ
ცოტა ხანში?!

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. ვბერდებით, ბატონო.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. რას გვიბრძანებთ, თქვენი დრო ესლა არის, ჯერ რა დროს თქვენი სიბერეა. სულ სწავლითა ხართ, მაგრე გამხდრები, ფერს ეგ უკარგავს და სიცოცხლესაც უმოკლებს... გეყოფათ, ყმაწვილო, ეგ სწავლა დაგაჭლექებთ.

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. სწავლა იმისთანა რამე გახლავსთ, ბატონო, რომ რამდენსაც სწავლობს კაცი, იმდენი უნდება. ქართული ანდაზაა: „სწავლა კაცს არ მოსჭარბდება“.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. განალა დაგრჩენიათ რამე უსწავლელი, თქვენ სუყველაფერი იცით, გაგიუდებით, ყმაწვილო, სხვა რომ არაფერი იყოს. სახელს დაეძებენ, სწავლობენ. ან ჭლექში ჩავარდებიან ან თავს იხოცამენ. რა არის მიზეზი? სულ სწავლაა.

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. ძალიან დარიგებას მაძლევთ, ბატონო, მაგნაირი ტკბილი სიტყვა, ამოდენა კაცი ვარ, და ჯერ არავისგან გამიგონია!

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. უკაცრაად, გენაცვალე, ნუ გამიწყრებით, გული არ მითმენს, რომ არ გითხრათ. სახელი რა გაგიხდათ. ჩემი ფიქრით ოჯახობრივი ცხოვრება, მშვიდობიანათ ყოფნა, სუყველაფერსა სჯობიან. ამისთანა კაცს ყველა პატივს სცემს, ყველას უყვარს. რა დაგემართათ თქვენა და თქვენს სახელის ძებნას?

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. არ ვიცი სადა ვარ. მესმის ზეციური ხმა და მგონია ჰაერში დავფრინავ-მეთქი.

ს ა ნ დ ი რ ო ვ ი ს ა. გაიცინეთ, გაიცინეთ, მე არ მეწყინება. ღვთისმშობელ დედას ვთხოვ თქვენს დღეგრძელობას... ჩაი მიირთვით, გენაცვალე. ახალი ჩაი მივიღეთ, ეხლავე, ერთ წუთას მომიტმინეთ (გადის).

უ ბ რ ა ლ ა ძ ე. რა დედაკაცია! რა ჭკვის პატრონი რა და აი, მოსაზრება თუ გინდათ ეს არის! (დაჩუმდება) მერე, ბატონო, რომ მშვენივრად ვიცხოვრო, ცოლ-შვილით დავსტკბე. არ იცით თქვენა, რომ ეს სიმშვიდე შეიტყუებს კაცს და ლაფშიაც შეატოპინებს. უცებ გააღებ თვალებს, გამოგედვიძება, ძველი აზრები აგეშლება—გინდა გაფრინდე, მაგრამ ფრთები შეგკეცვია, ძალა დაგიკარგავს, ხომ დაილუბა სამუდამოთ კაცი ცხოვრების ლაფში, რომელსაც თქვენ სიმშვიდეს ეძახით. გუშინ მთლად დავხიე დისერტაციის შავი, რადგანაც ულონოდ ვიცანი ჩემი თავი... დღეს ისევ (დაინახავს ლიპას კარებში) უნდა წინ წავიწიო! (შემოდის ლიპა ჩაის სტაქნით).



გამოსვლა მეშვიდე

უბრალოდ და ღიპა

უბრალოდ. უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს ლამაზი ხართ.

ღიპა. (სდგამს სტაქანს) ვითომ როგორ, ეგ რას ნიშნავს?

უბრალოდ. (სვამს ჩაის) იმას, რომ სასიამოვნო სანახავი ბრძანდებით.

ღიპა. თქვენ როგორღაც კომპლიმენტებისათვის მიგიყვიათ ხელი, ალბათ უსაქმობით.

უბრალოდ. ჩემდა უნებურად თქვენმა შეხედულებამ გამომიწვია.

ღიპა. დამცინით? თქვენსას კაცი ვერაფერს მიხვდება.

უბრალოდ. სრულებითაც არა: თქვენ ისეთი მშვენიერი, ლაბუა... გაღუებული ფაფუკი ხართ, მართალს არ ვაძბობ თუ?

ღიპა. (გაიბუტება) გაღუებული... ფაფუკი... ნაზუქი ვარ თუ?

უბრალოდ. მაშ მომიტევეთ უზრდელობა. არშიყობაში ცოტა ვსუსტობ. არა, მართლა კი უნდა გითხრათ, რომ თანდათან მომწონხართ. თქვენში ცხადათ იხატება იდეა უშფოთველი ცხოვრებისა.

ღიპა. (იცინის) თქვენ თანდათან პოეზიას ეძლევი.

საქართველოს
